www.tbiliselebi.ge

№31(710) 4-10 აგვისტო ფასი 1,50 ლარი



რატომ ჰქონდა გიორგი ბახუტაშვილს ხანმოკლე თაფლობის თვე და ვისთან ერთად გეგმავს ის ცხელი ზაფხულის გატარებას

გვ. 19

გვ. 14

რატომ ეგონა დიასპორის ახალ მინისტრს სესილია თაყაიშვილი საკუთარი ბებია და როგორ გახდა ის ომამდე ტანკისტი

გვ. 18

რატომ ვერ ჩამოიტანა „ახალ ტალღაზე“ მოგებული 50 ათასი ევრო საქართველოში ნუცა ბუზალაძემ და რატომ მოუხდა მას ბეწვის ხიდზე გავლა იურმალაში

გვ. 23

რის გამო სვამდა ნოდიკო ტატიშვილი ფსიქოტროპულ წამლებს და რა შიშები დასჩემდა მას გარკვეული დროის განმავლობაში

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 74

როდის გეგმავს „ახალი ტალღის” კონკურსანტების ჩამოყვანას ბათუმში ბრენდონ სტოუნი და ვინ აჩუქა ნუცა ბუზალაძეს ძვირად ღირებული, ბრილიანტებიანი ოქროს სამაჯური



რატომ დააშორა შვილობილები ერთმანეთს თამარ ივერმა და როგორ გახდა ის სამი სხვადასხვა ეროვნების და-ძმის „დედა”

გვ. 22



გვ. 79

რა ცივილიზებული სიურპრიზი მოუწყო ამერიკელმა მილიარდერმა ნუცა შანშიაშვილს და როგორ ცხოვრობდა ის ერთი თვე დათვების გარემოცვაში



გვ. 70

როგორ მოხვდა ლადო ხინჩეგაშვილი მსოფლიო რეიტინგის პირველ ადგილზე და რა თემაზე არ უსაუბრია მას დედასთან

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!




**მერცის სპეციალური დრაჟე - ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალური კომბინაცია
გლუვი კანის, მბრწყინავი თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად**

მერცის სპეციალური დრაჟე შექმნილია გლუვი კანის, მბზინვარე თმისა და მტკიცე ფრჩხილების შესანარჩუნებლად. იგი წარმოადგენს ვიტამინების, მიკროელემენტების და პროტეინების უნიკალურ კომბინაციას, რომელიც შეიცავს თითოეულ კომპონენტს ისეთი დოზით, რაც აუცილებელია ჯანმრთელი კანის, ფრჩხილების და თმის ზრდისთვის, ორგანიზმის ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესებისთვის.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება, მარილიანი ზღვის წყალი ან ქლორიანი წყალი აზიანებს კანს, თმას და ფრჩხილებს. კანი ხდება მშრალი, ნაკლებად ელასტიური, დანაოჭებული, თმა - მტვრევადი, დაზიანებული, აღინიშნება ინტენსიური თმისცვენა, ფრჩხილები - მყიფე, მტვრევადი, ნელა იზრდება.

მერცის სპეციალური დრაჟე აღადგენს კანის, თმის და ფრჩხილის უჯრედებს, უზრუნველყოფს მათ სიმტკიცეს და იცავს დაზიანებისგან, უნარჩუნებს კანს სინოტივეს, ელასტიურობას და სიგლუვეს, ხელს უწყობს თმის და ფრჩხილების ზრდას, ამცირებს თმის ცვენას.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როგორ აწამებდა და სცემდა ქართველ სამხედრო ტყვეებს ჯავაში ედუარდ კოკოევი და როგორ აიფეთქა თავი მძიმედ დაჭრილ ნათლულთან ერთად მტრის ალყაში ტყვიების გარეშე დარჩენილმა ალეკო ონიანმა ........ 6

რატომ არის დაინტერესებული რუსეთი აფხაზეთის რკინიგზის გახსნით და როგორ აშანტაჟებენ აფხაზები სომხეთს რკინიგზის თემით ........ 8

რა თანხას ინახავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი ანაბარზე და როგორ დააგროვა ნაღდ ფულად 80 000 აშშ დოლარი ........ 9

რატომ ნიშნავს სქესობრივი აქტი რუსულ ენაში ცემას, ქართულში – ტყვედ აყვანას, ფრანგულში კი – სიყვარულის კეთებას ........ 10





როგორ განკურნა სარკის წმიდა გიორგის ხატმა სიმსივნით დაავადებული ადამიანი და როგორ სწირავენ მას უშვილობისგან განკურნებული მშობლები აკვნებს ... 12

რატომ ეგონა დიასპორის ახალ მინისტრს სესილია თაყაიშვილი საკუთარი ბებია და როგორ გახდა ის ომამდე ტანკისტი ........ 14

როგორ მოვუაროთ თვალის გარშემო კანს ზაფხულში ........ 15





გახდება თუ არა „ემის“ მფლობელი ხელოვანის, ჯეიმს ჰიგინსონის სავიზიტო ბარათი ქართველ ბერებზე გადაღებული ფილმი „უანგარო მსახურება“ ........ 16

რა განაპირობებს „კამელინის“ საერთაშორისო აღიარებას და როგორ იცავს ის ადამიანის ჯანმრთელობას ........ 17

რატომ არ აპატიებს ქალი ქმარს ღალატს მაშინაც კი, როცა თავადაც უღალატა ........ 20

როგორ უნდა აღმოაჩინოს ქრისტიანმა მასზე მოვლენილი სულიწმიდის ნიჭი და როდის მიმართავს ეკლესია სასჯელის უკიდურეს ფორმას, ანათემას ........ 24

„მანჩესტერ იუნაიტედის” ლეგენდარული ფეხბურთელები ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

რატომ აღმოჩნდა მედეა ჯაფარიძის პირველი ქორწინება ხანმოკლე და რა ჯოჯოხეთი გამოიარა მან რეზო თაბუკაშვილთან შეხვედრამდე ........ 30

1996 წელს მესამე მასივში, ნაქირავებ სახლში დატოვებული გოგონას აღმზრდელები მის ბიოლოგიურ დედას საბერძნეთიდან ეძებენ ........ 31

ექვემდებარება თუ არა ცხოვრებისეული დამთხვევები კანონზომიერებას და მართალია, რომ ყველას თავისი კონკრეტული თარსი დღე და რიცხვი აქვს ........ 32





რა სასწაული რესურსი დევს ქალში და რომელმა ორგანოებმა გაუცვალეს ერთმანეთს ადგილი ქართველის სხეულში ........ 36

როგორ ათამაშებდა სტალინი მოწინააღმდეგე ქვეყნების სპეცსამსახურებს ........ 37

რისი გამოსახულება დაგიცავთ ბოროტი ადამიანების უარყოფითი ენერგიების ზემოქმედებისგან და რა დაბლოკავს ბინაში ნეგატიური ძალების შემოდინებას ........ 41

ადვოკატი გირჩევთ ........ 54

კაცობრიობის გადასარჩენად ........ 56

მაფიის შვილობილი ........ 60

ვინ იყო საბჭოთა უშიშროების ქართველი გენერალი, ვინც „ცეერუს“ შექმნაში მონაწილეობდა ........ 64

პენსიონერმა სიდედრმა მოძალადე და ქურდი სიძე სახალხოდ დასაჯა ........ 65

ჰიტლერის რა დირექტივებს ატარებდა ლიტვაში აბვერის ოფიცერი გიორგი ჯანდიერი........72





რისთვის არ დაზოგავს თავს კახა კუხიანიძე......75

რატომ არ ნერვიულობდა თაკო ოქროპირიძე „ახალი ხმის” ბოლო დღეს სცენაზე და რატომ გადაიზარდა მომენტალურად მისი სტრესი ბედნიერებაში........75

ვინ განკურნა და აამეტყველა ქართულად წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი ........ 76

„მეფის შეცვლა“ ხეთების მსხვერპლშეწირვის ყველაზე ძველი რიტუალია ........ 77





# „ის აფრენს“ „უდუმოდ“

ისე მოხდა, რომ გასულ კვირას **რუსეთის „დუმის“ არც ერთი დეპუტატი „დუმებში“ არ გადავარდნილა**, რის გამოც ჩვენთვის გულების გასახალისებლად **რამე საბჭოურად კრეატიული იდეა-ინიციატივა არ შემოუთავაზებიათ**, თუმცა **კვირას მთლად ნაცრისფრადაც არ ჩაუვლია ჩვენს ჩრდილოეთით**. ოღონდ **თავი ამჯერად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაგვაჩვენეს**.

კერძოდ, **რფ-ის სპორტის მინისტრი,** ვინმე ვიტალი მუტკო დაგვპირდა, ჩვენ რა, **რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელს** (ფაბიო კაპელოს) **დაჰპირდა, რომ თეოდორ დოსტოევსკის გვერდით დამარხავენ!** ოღონდ, **განა უაპელაციოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუკი იტალიელი მწვრთნელის ძალისხმევით **რუსეთის ნაკრები წარმატებით იასპარეზებს 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე!** მომყავს ციტატა: „კაპელო აიღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას შედეგზე და მოგვცემს მას, თუ მას სხვა სტილი აქვს, გადავაჩვევთ, შემდეგ კი დოსტოევსკის გვერდით დავასაფლავებთ.“ –



**დასამარხადგილშემზადებული რუსეთის ნაკრებთან 2012 წლიდან მუშაობს** და **კონტრაქტი 2018 წელს უმთავრდება**. იმ დროისთვის **მწვრთნელი უკვე 72 წლისა მოიყრება**. მანამდე კი მისი ხელმძღვანელობით რუსეთის საფეხბურთო ნაკრები ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატზე, თუმცა მთლად კრამიტებსაც ვერ აუტეხა რაკირუკი და ჯგუფური შერჩევის შემდეგ დატოვა მუნდიალი.

ჩვენ არ ვიცით, **რას ფიქრობს იტალიელი მისთვის შერჩეული საუკუნო განსასვენებლის ადგილის შესახებ** (ღმერთმა 100 წელიწადს ამყოფოს ჯანზე!), ან, არის თუ არა დოსტოევსკის პროზის მოყვარული, თუმცა აშკარაა, რომ **რფ-ის სპორტის მინისტრს არ აწყენდა შესაბამის სპეციალისტთან სეანსი!**

# ციფრების პრესტიჟული კომბინაცია

## ევროკავშირისკენ – ახალი სანომრე ნიშნებით

თუმცა, მაგალითად, **პატრულს არასწორად პარკირებული ავტომანქანის მიერ ჩაკეტილი მძღოლის დახმარების ფუნქცია ჩამოართვეს** (ამით **დაზარალებულმა მოქალაქემ** თავად **უნდა მოაგვაროს ეს პრობლემაო** – არ მკითხოთ, როგორო, იმიტომ რომ, ჩემი ფანტაზია ამდენს ვერ სწვდება – ), უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ **სექტემბრიდან ახალი სანომრე ნიშნები გვექნება,** იმისდა მიუხედავად, **გვინდა თუ არა.**

ერთი ისაა, **შს მინისტრის მოადგილემ დაგვამშვიდა, რომ ახალი სანომრე ნიშნების აღება 6 წლის განმავლობაში შეგვიძლია** (სამგზის დიდება!). ზედაც, **დაგვარიგა,** რაკი სადაგი, ანუ **სერიული ნომრის ფასი 35 ლარია, მოქალაქეს შეუძლია, თადარიგი წინასწარ დაიჭიროს და ყოველდღე თითო ლარი გადაიხადოს** (დაზოგვის ასეთ გენიალურ ხერხს დაუხმარებლად და მხოლოდ საკუთარი რუხი ნივთიერების იმედად, აბა, როგორ გავიაზრებდით?!).

აი, **პრესტიჟული ნომრების მსურველებს კი** (ტერმინი ჩემი არ არის, შს მინისტრის მოადგილეს დავესესხე) **ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ**: **500-დან 10 000 ლარამდე**. თუმცა **სინათლე აქაც ჩანს გვირაბის ბოლოს**: „თუ მოქალაქეს შეძენილი აქვს 500-ლარიანი პრესტიჟული ნომერი და ამის შემდეგ გადაწყვეტს, აიღოს სხვა პრესტიჟული ნომერი, რომელიც, მაგალითად, 700 ლარი ღირს, **ის იხდის მხოლოდ სხვაობას, 200 ლარს და ნომრის დაბეჭდვის ღირებულებას,** 35 ლარს. ხოლო **ოჯახის წევრს შეუძლია, მის საკუთრებაში არსებული პრესტიჟული ნომერი სხვა წევრს უფასოდ გადასცეს** (დავმშვიდდი, თუკი შთამომავლობას პრესტიჟულ ნომერს მემკვიდრეობით გადავცემ – ). პირადად ჩემთვის გაუგებარია, **როგორ შეიძლება, ციფრთა კომბინაცია პრესტიჟული ან არაპრესტიჟული იყოს**, მაგრამ, რაკი **მსურველები არიან,** მე რომ მკითხოთ, **ასეთებს 10 000-ზე მეტიც უნდა დაუფასო**.

ასეა თუ ისე, **განგვიმარტეს, რომ „ეს არის ევროპული სტანდარტის ნომრები“,** ძველი ნომრები კი **18 წელია, მოქმედებს** (არადა, მცხეთის ჯვარი 15 საუკუნეა, დგას – ) **და ვერანაირ საერთაშორისო სტანდარტს ვერ უძლებსო.** ანუ ინიციატივა ევროკავშირთან ასოცირებას დაუკავშირდა, რაც ბადებს კითხვას: **ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ ძველი სანომრე ნიშნები გვეღობება?!**

# ევროპულ ურემზე

## ანუ 52 მილიარდი და პოლონური ვაშლები

მას შემდეგ, რაც **სანქციებით მუქარიდან დასავლეთი რეალურ სანქციებზე გადავიდა**, **რეაქცია არც რფ-მ დააყოვნა**, თუმცა, როგორც წესი, **პატარებსა და სუსტებს მიეძალა**.

აქეთ – **მოლდოვასა და უკრაინას დაუწუნა პროდუქცია, იქით – პოლონეთს ვაშლები**, სადღაც **შუაში ჩვენც მოგვაყოლა** და **პირველი სექტემბრიდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გაგვიუქმა**, რაც იმას ნიშნავს, რომ **რუს მომხმარებელს ქართული პროდუქცია გაუძვირა (**იმედია, ჩვენი მშობლიური **ხელისუფლება ისევე ცალმხრივად იმოქმედებს,** როგორც სავიზო რეჟიმის შემთხვევაში, **რაც ქართველ მომხმარებელს რუსული წარმოების პროდუქციას იმავე ფასებში დაუტოვებს**).

ამასობაში კი, „იუკოსის“ საქმეზე, ერთი მხრივ, **ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება გახდა ცნობილი,** მეორე მხრივ – **სტრასბურგის ადამიანის უფლებათასი**. კერძოდ, **რფ-ს სტრასბურგმა ექსაქციონერებისათვის 2 მილიარდი ევროს კომპენსაციის გადახდა დააკისრა**. იმას გარდა, რომ ამ უკანასკნელებს **დამატებით 300 000 ევროც უნდა გადაუხადონ სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად**. რუსული რომანსის თანახმად, რაკი Беда приходит не одна**, ჰააგის სასამართლომაც დააკმაყოფილა „იუკოსის“ ექსაქციონერთა სარჩელი** და **რფ-ს, თავის მხრივ, 50 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.**

ბუნებრივია, ჩვენ **არ ვიცით, დაეხმარება თუ არა რფ-ს დაკისრებული თანხის შეგროვებაში,** მაგალითად, **პოლონური ვაშლების აკრძალვით დაზოგილი ფული**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **„იუკოსის“ იურისტებმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2004 წელს მიმართეს**, როგორც ჩანს, **ევროპული სამართალიც ურმით გადაადგილდება** (ანუ, ვითომ ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული?!)! –


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com

# გამოძინებულები და გადამძლრები

## „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“

საჯარო **მოხელეებს ჯერ ის ვერ მოენელებინათ, რომ** „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებები იგეგმება, რის თანახმადაც, **საჯარო სამსახურში პრემიების გაცემის წესი უნდა დარეგულირდეს** (გეყოთ გადაძღომამდე ჭამა! – ), **რომ ქვა ალმართში მეორე მხრიდანაც მიეწიათ.**

კერძოდ, **პრემიერ-მინისტრმა გასული კვირის მინწურულს დაიჩივლა, რომ სამუშაო დღის 10 საათზე დაწყება მეტისმეტად გვიანია** და **ის პირველი სექტემბრიდან საჯარო მოხელისთვის**, სულ მცირე, **9 საათზე უნდა დაიწყოსო** (ცნობისთვის: სკოლები ისედაც და ყოველთვის 9 საათზე ან უფრო ადრე იწყებენ შრომა-გასწორებას, თანაც, თითქმის უხელფასოდ, ჩინოვნიკთა ხელფასების ფონზე).




მეორე მხრივ, მაგალითად, საქართველოს **პარლამენტი კანონშემოქმედებით ღვწას 11 საათზე შეუდგება ხოლმე** და, თუმცა ბ-ნ **ღარიბაშვილს არაფერი უთქვამს ჩვენებურ ხალხის რჩეულთა სამუშაო განრიგზე**, იმედია, ისინიც **აუბამენ მხარს ალმასრულებელ შტოს და სისხამ დილით შეუდგებიან კანონების ქმნას.**

ჯერჯერობით **საპარლამენტო უმცირესობას ამის შესახებ თავისი აზრი არ გამოუთქვამს** (ანუ გამოძინება ურჩევნიათ თუ ოფლთა ღვრა), სამაგიეროდ, უმცირესობის წევრმა ბ-ნმა **თევდორაძემ უყურადღებოდ არ დატოვა პრემიების გაცემის წესის მოსალოდნელი ცვლილებები** და, არც მეტი, არც ნაკლები, **ჩინოვნიკთა ჯიბეების შეთხელების ტენდენციას „პოლიტიკური კეკლუცობა” უწოდა**, რამეთუ ღრმად სწამს, რომ **ამ ჟესტით ხელისუფლებას უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების გადაფარვა სურს** (არადა, იმაზე აქტუალური რა უნდა იყოს, როდესაც, 2003 წლიდან მოყოლებული, **ამ მშიერ ქვეყანაში ჩინოვნიკები ისე ძღებიან საბიუჯეტო ფულით, ლამის სკამზე ვერ დაეტიონ?!).**

მეტიც, **ხალხის რჩეულს ვერდიქტიც გამოაქვს:** „ამით ვერ გადაფარავენ იმ საკითხებს, **რომლებიც კრახამდე მიიყვანს ამ ხელისუფლებას**.“ თუმცა: თუ გავიხსენებთ, რომ **გაქსუებული ჩინოვნიკები ისე მოქმედებს ამომრჩეველზე, როგორც წითელი მატერია – ხარზე**, ეჭვი მაქვს, ბ-ნი **თევდორაძის ზემოხსენებული ვერდიქტი უფრო სასურველის რეალობად წარმოსახვაა**. –

# ოდესღაც, დემოკრატიის შუქურაში

## ანუ „მზე იტირებს და ჩაქრება“

და, თუმცა **ის დროც იყო, მის ერთ სიტყვაზე ქალაქებიც რომ შენდებოდნენ**, დღეს **მას ბრალი წაუყენეს** – , რასაც **ოთხიოდ აშშ-ელი სენატორი გამოეხმაურა** და **ყოფილი პრეზიდენტის,** ერთ დროს დემოკრატიის შუქურად რომ უხმობდნენ, **დაკავება სასტიკად აკრძალეს** („სიყვარულთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შუქურასთან თამაში სასტიკად აკრძალულიაო“). **ჩვეულებისამებრ შეშფოთებულმა ევროკავშირელმა ჩინოვნიკებმა სიფრთხილისა და კანონის უზენაესობისკენ მოგვიწოდეს** (კაცმა რომ თქვას, ურიგო არ იქნებოდა, თუკი იმავესკენ, სახელდობრ, კანონის უზენაესობისკენ აშშ-ელ სენატორებსაც მოუწოდებდნენ, თორემ ალაგ-ალაგ დემოკრატიასავით გამოგვივა).



რაც მთავარია, ამ ამბავს **თავად ყოფილი პრეზიდენტი გამოეხმაურა და** გაგავაფრთხილა, ჩვენ რა, **სამართალდამცველი ორგანოები გააფრთხილა, რომ მისი დაკავებით** არა მარტო მას, არამედ, **დაიჭერენ „ნატოს“, ევროკავშირს, ევროპის ცივილიზებულ ნაწილს და მათ ლიდერებს** (აი, მესმის თვითშეფასება! – ). ბოლოს კი დაბეჭდა: **„ღარიბაშვილის მთავრობას თუ ევროპის რისხვის მიღება უნდა, დამიჭირონ!“**

ეს ემოცია ხეირიანად არც კი გაგვსვლოდა, რომ **გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქართველოსადმი მეოთხე პერიოდული ანგარიშისთვის მომზადებული ძირითადი შენიშვნები გამოაქვეყნა,** რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება წარსულში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიების საკითხს ეთმობა, კერძოდ, როგორებიცაა: **სამოქალაქო პირების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენება, უკანონო დაკავება, წამება, არაადამიანური მოპყრობა და ქონების ჩამორთმევის შემთხვევები**. ზედაც, ახლანდელ **ხელისუფლებას ობიექტურ გამოიძებაში პასიურობა დაუწუნა:** „კომიტეტი შეშფოთებულია იმ ნელი წინსვლით, რომელიც წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა გამოვლენისა და მათ პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით მიმდინარეობს.“ ისიც **ურჩია, რომ „გამოძიება უფრო მძიმე მუხლებით უნდა წარიმართოს, ვიდრე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაა**, რადგან ჩადენილი დანაშაულებები შესაძლოა კვალიფიცირდეს, როგორც ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.“

თუ ამ დასკვნით ვიმსჯელებთ (და გამოვრიცხავთ „ნაციონალურ“ ლოგიკას, რომ გაეროც პუტინის ადკვეთას ასრულებს), სავარაუდოდ, **ყოფილი პრეზიდენტის იმედები** იმის შესახებ, რომ **„მზე იტირებს და ჩაქრება“, გადამეტებულია.**

# უსექსოდ პლაჟზე

## ანუ შემცდარი

ჩვენ არ ვიცით, **რატომ გაირბინა შავმა კატამ ეკონომიკის მინისტრსა და ტურიზმის დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილ ხელმძღვანელს შორის**, თუმცა, მოარული ხმებით, **ირიბად ამ საქმეში განხეთქილების ვაშლის როლი „კაზანტიპმა“**, უფრო ზუსტად, ბ-ნი სიგუას მიერ „კაზანტიპის” ჩატარება-არჩატარების გამო გამართულმა სიტყვიერ შეხლა-შემოხლებში გამოთქმულმა მოსაზრებებმა **შეასრულა**.



უფრო მეტიც, **მისი ერთი გამონათქვამის გამო თვით ეკონომიკის მინისტრმა მოუბოდიშა საზოგადოებას,** ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბ-ნმა **სიგუამ „კაზანტიპის” მოწინააღმდეგე ქალბატონს ჰკითხა, ჰქონია თუ არა სექსი პლაჟზე** და შემდგომ დაუზუსტა, რომ **თავად ჰქონია და არაფერი განსაკუთრებულიც არ უგრძნია**. –

ბ-ნმა სიგუამ **პოსტფაქტუმ ისიც გაგვიმხილა, რომ მინისტრს მისთვის არაერთხელ მიუცია შენიშვნა** („ის სხვანაირია, მე – სხვანაიარი, ის კონსერვატორია, მე – არა“, ვითომ ყველაფერში დამნაშავე სექსია პლაჟზე?!) და განმარტა, რომ **არათუ ხელმძღვანელს, შეუთავსებლობის გამო თვით მეორე ნახევარსაც კი დასცილდა**. „თუ პრობლემა არის ხელმძღვანელთან და შეუთავსებლობა, ალბათ, ეს ადამიანები უნდა დაშორდნენ. გიორგი კვირიკაშვილი კი არა, ცოლი მყავს ორი შვილით და არ ვართ ერთად და მეგობრები ვართ.“

მე არ შევუდგები იმის ახსნას, რომ **ჩინოვნიკის საჯარო ქცევა-მეტყველებას კავშირი არ აქვს კონსერვატორობა-ლიბერალობასთან**, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბ-ნ **სიგუას მაინც გაუმართლა, რადგან „კაზანტიპის” ვიცეპრეზიდენტობა შესთავაზეს** და მისი ანაზღაურება (წელიწადში 100 000 ევრო) ჯიბეში ჩაისვამს მის ჩინოვნიკურ ხელფასს, ასე რომ, **მართალია, სკამზე აღარ არის, მაგრამ თავი მაინც ქუდში აქვს**. –

დამშვიდობებისას მან სევდიანად შენიშნა: „მე **მეგონა, რომ ჩვენს ქვეყანაში სექსი იყო და, თუ არ არის** და შევცდი, კი ბატონო, **ვაღიარებ რომ შევცდი.“** მეტი არაფერში შემცდარიყავით, გიორგი ბატონო! –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# როგორ აწამებდა და სცემდა ქართველ სამხედრო ტყვეებს ჯავაში ედუარდ კოკოევი და როგორ აიფეთქა თავი მძიმედ დაჭრილ ნათლულთან ერთად მტრის ალყაში ტყვიების გარეშე დარჩენილმა ალეკო ონიანმა

*ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულია 170 სამხედრო მოსამსახურე, მათგან 23 ოფიცერი, 136 კაპრალი, 1 რიგითი, 9 რეზერვისტი და 1 სამოქალაქო პირი. ერთი სამხედრო მოსამსახურე დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. 51 სამხედრო მოსამსახურეა ამოცნობილი დნმ-ის ანალიზის შედეგად. დაღუპულები საძმო სასაფლაოზე განისვენებენ, რომელიც ომში დამარცხებულმა მთავრსარდალმა საზეიმოდ გახსნა.*

*ომმა 155 მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა. დაიჭრა 2 234 მოქალაქე, მათ შორის – 1 964 სამხედრო მოსამსახურე. ომის მიმდინარეობისთანავე რუსულ-ოსური პროპაგანდისტული მანქანა ავრცელებდა ინფორმაციას 2 000 დაღუპული 2 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლის შესახებ, 2008 წლის 28 აგვისტოს ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ „გენერალურმა პროკურორმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია 1 692 დაღუპულისა და 1 500 დაჭრილის შესახებ. თუმცა იმავე წლის 5 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პროკურატურამ განაცხადა, რომ დოკუმენტურად დადასტურდა მხოლოდ 134 მშვიდობიანი მოსახლის დაღუპვა და მოუწოდა ოსურ მხარეს, შეეწყვიტა ამ თემით სპეკულაცია.*

*მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსურ მხარეს დღემდე არ წარმოუდგენია დაღუპულთა სრული სია, ისინი რუსულ მხარესთან უნისონში სდებენ ბრალს ქართულ მხარეს „ოსების გენოციდში“. ამასთან, ცხინვალში არ უშვებენ უცხოელ დამკვირვებლებს, რის მიზანიც, სამხედრო ექსპერტების თქმით, რუსული სამხედრო კვალის წაშლის მცდელობაა: დანგრეული შენობების დათვალიერება ნათლად დაადასტურებს, თუ რომელი მხრიდან შეტევამ დაანგრია ქალაქი.*

## ომის პრელუდია

მართალია, როგორც რუსეთის ფედერაცია, ისე ნაწილობრივ ცივილიზებული დასავლეთი ბრალს სდებს ოფიციალურ თბილისს სამხედრო მოქმედებების დაწყებაში, თუმცა თავად რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფს, რომ არანაკლები გაცხოველებითა და მიზანმიმართულად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისთვის როგორც ოფიციალური მოსკოვი, ისე ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება. შევეცდებით, აღვადგინოთ 2008 წლის აგვისტოს ომის მოკლე ქრონოლოგია, რომელსაც უკვე ეწოდა 5-დღიანი ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო.

2008 წლის ივლისში სააგენტო „როსბალტი“ აქვეყნებს აფხაზეთის „თავდაცვის მინისტრის“ მერაბ ქიშმარიას ინტერვიუს, რომელშიც ის ამბობს: „... ქართველებს ესმით, რომ აფხაზეთში მათ საქმე ექნებათ რუსეთთან. მათ აქ არავინ მოეფერება. აფხაზურ არმიას ამზადებენ რუსი სამხედროები და ამჯერად, თუ ქართველები ზღვარს გადმოვლენ, ჩვენ მივალთ ქუთაისამდე.“

ივლისშივე მიმართა ედუარდ კოკოევმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს თხოვნით, შეეყვანა ჯარები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და რუსული პრესის ფურცლებიდან დაიმუქრა: „თუ ქართული მხარე განაგრძობს აგრესიულ მოქმედებებს, გავცემ არა მხოლოდ საპასუხო ცეცხლის გახსნის ბრძანებას, არამედ შეტევაზე გადასვლისაც. ამას არ დავჯერდები და როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, წინ გავუძღვები იმ დანაყოფებს, რომლებიც გადავლენ შეტევაზე.“ იმავე პერიოდში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე კოლესნიკოვმა კი გაგვაფრთხილა: „თქვენ ცეცხლს ეთამაშებით, ამერიკა ვერ გიშველით. ფეხზე დავაყენებთ მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, მთელ რუსეთს, უბრალოდ გადაგივლიან და თქვენგან არაფერი დარჩება.“

## ცხელი აგვისტო

2008 წლის პირველ აგვისტოს დასრულდა რუსეთის სამხედრო წვრთნები „კავკაზ 2008“, რომლის სასწავლო სცენარი შემდეგ ზედმიწევნით განახორციელა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა. ზუსტად იმავე პერიოდში დასრულდა თბილისში, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მიმდინარე „ნატოს“ სამხედრო წვრთნებიც, რომელიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა. 2008 წლის 2 აგვისტოს ედუარდ კოკოევმა ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გამოაცხადა და გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები მზად არიან, დაეხმარონ ოს ძმებს“. ვლადიკავკაზში კი ჩატარდა მიტინგი „სამხრეთ ოსეთის“ მხარდასაჭერად. ეს მხარდაჭერა რადიო „ეხო მოსკვის“ ეთერში დაადასტურა დიმიტრი მედოევმა. თავის მხრივ, კოკოევმა, „კავკაზსკი უზელის“ ინფორმაციით, დაადასტურა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში უკვე ჩავიდა 300 მოხალისე და რომ, საერთო ჯამში, ელიან 2 000 ადამიანს. ხოლო ქართული „მედიანიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ეგრეთ წოდებული შს მინისტრი მიხეილ მინძაევი დაიმუქრა ქართული ქალაქების დაბომბვით. „ჩვენ იერიშს მივიტანთ ქართულ ქალაქებზე, ჩვენ შეჩვეულები ვართ დაბომბვებს, რასაც ვერ ვიტყვით ქართველებზე, ამიტომ, როდესაც ერთი-ორი ბომბი ჩამოცვივდება, თქვენი პრეზიდენტი, რომელიც გასცემს ცხინვალის დაბომბვის ბრძანებას, მიიღებს იმავეს რუსთაველის პროსპექტზე.“ მინძაევმა დააზუსტა, რომ დარტყმები განხორციელდებოდა: „ქალაქებზე გორსა და ქარელზე და ერთ-ერთ საკურორტო ზონაზე.“



„მათმა მეთაურმა უთხრა ჩვენს მეთაურს: არ ვიცი, ადამიანები არიან თუ ქაჯები, უკვე ერთი საათია, ასეთ დღეში ვართო. ჩვენ ჩავებით ბრძოლაში, ყველაფერი დამთავრდა და როგორც გავიგეთ 17 კაცი გვებრძოდა“

6 აგვისტოს რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ დონის კაზაკები მზად არიან ქართული აგრესიისგან „სამხრეთ ოსეთის“ დასაცავად. რუსეთის კაზაკთა კავშირის უმაღლესმა ატამანმა, რუსეთის სახელმწიფო „დუმის“ დეპუტატმა ვიქტორ ვოდოლაცკიმ მხარდამჭერი დეპეშა გაუგზავნა „პრეზიდენტ“ კოკოევს. დონის კაზაკების ატამანმა ნიკოლაი კოზიცინმა კი განაცხადა, რომ ცხინვალში მათ შეუძლიათ, გაგზავნონ მრავალწლიანი საბრძოლო გამოცდილების მქონე 10 000-დან 15 000 ადამიანი.

1-დან 7 აგვისტომდე პერიოდში ორმხრივი სროლები განახლდა, რის შედეგადაც კონფლიქტის ზონაში დაიჭრა 11 ქართველი მშვიდობისმყოფელი, რომელთაგან ორი შალვა ტრაპაიძე და ვიტალი ტაკიძე დაიღუპნენ 7 აგვისტოს, შუადღეს. სამწუხაროდ, ეს ფაქტი ვერ მოხვდა ევროკავშირის კომისიის ოფიციალურ დასკვნაში, თუმცა რუსი მშვიდობისმყოფელების დაღუპვა ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ მიიჩნია ლეგიტიმურ საფუძვლად რუსეთის საბრძოლო მოქმედებებში ჩასაბმელად.

არანაკლებ საინტერესოა კრიტიკულ დღეებში ოფიციალურ პირთა გადაადგილებები: 4 აგვისტოს რფ-ის პრეზიდენტი მედვედევი 10-დღიან შვებულებაში გავიდა; 5 აგვისტოს შვებულებიდან საქართველოში დაბრუნდა თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი; 6 აგვისტოს უცხოურ შვებულებიდან საქართველოში, ასევე, დაბრუნდა მიხეილ სააკაშვილი; 7 აგვისტოს, დილით, რფ-ის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი პეკინში ჩავიდა; 7 აგვისტოს, შუადღეს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაიფიქრა პეკინში გაფრენა.

7 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილი გასცემს ბრძანებას „რუსეთის შესაძლო აგრესიის შეკავების შესახებ“, რის საფუძველზეც საქართველოს შეიარაღებული ძალები მოყვანილნი იქნებიან საბრძოლო მზადყოფნაში და დაიწყებენ გადაადგილებებს თავიანთი მუდმივი დისლოკაციის ადგილებიდან ცხინვალის რეგიონის მიმართულებით.

7 აგვისტოს ღამით, 11-ის ნახევარზე, სპეციალურ საინფორმაციო გამოშვებაში გენერალი მამუკა ყურაშვილი საზოგადოებას აუწყებს ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ოპერაციის დაწყების შესახებ. მოგვიანებით კი განმარტავს, რომ ეს განცხადება გააკეთა თვითნებურად და საკუთარი ინიციატივით და ამით გარდაუვალ დახოცვას გადაარჩინა კონფლიქტის რეგიონის მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა.

8 აგვისტოს ლაწყებისთანავე ქართულმა არტილერიამ ცხინვალის შემოგარენზე მიიტანა შტურმი, დაახლოებით, ღამის 4-ის ნახევარზე ქალაქის შტურმი დაიწყო ტანკებით...

## მეორე მხრიდან

ევროკავშირის კომისიამ თავის დასკვნაში ცალსახად არ მიუთითა, იმყოფებოდა თუ არა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონაში ან მის სიახლოვეს, თუმცა რუსულ მედიაში გამოქვეყნებული მასალები ადასტურებს, რომ რუსეთის სამხედრო მანქანა ომის დაწყებამდე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო შესაბამის პოზიციებზე. მეტიც – საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცხინვალში ჩავიდა რუს ჟურნალისტთა (39 ადამიანი) ჯგუფი, საინფორმაციო ომის ეფექტიანად წარმოებისთვის.

2008 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც რუსი კორესპონდენტი აღწერს ცხინვალში იმ დროისთვის არსებულ ვითარებას: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ბარანკევიჩი ყურმილში ყვიროდა: „ქართულმა სამხედროებმა თითქმის დაიკავეს ქალაქი. ჩვენ ველით დახმარებას! თუ ქალაქში არ შემოვა რუსული სამხედრო კოლონა, ეს იქნება ყველაზე სამარცხვინო ღალატი რუსეთის არმიის ისტორიაში! ... დაგვეხმარეთ!!!“

2008 წლის 3 სექტემბრის „კრასნაია ზვეზდაში“კაპიტანი დენის სიდრისტი იხსენებს: „ჩვენ ვიმყოფებოდით სწავლებაზე. 7 აგვისტოს მოვიდა ბრძანება, რომ უნდა დავძრულიყავით ცხინ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



**შალვა ჩუტკერაშვილი**, *68 წლის, თბილისი.* **დიაგნოზი:** *კისრისა და წელის მალების ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია.* მწვავე ტკივილებით მომიყვანეს. წლების განმავლობაში მაწუხებდა წელის ტკივილი, შემდეგ კისრის გაკავების ეპიზოდებიც მქონდა. ბოლო დროს კი ტკივილმა და დაბუჟებამ გადაინაცვლა მარჯვენა ხელსა და ფეხში. მიჭირდა მოძრაობა, დგომა, ღამით ტკივილი არ მაძინებდა, ჩატარებული მკურნალობა არ მშველოდა. ამ კლინიკაში პირველივე დღეებიდან არაჩვეულებრივად სწრაფი ეფექტი მივიღე. მეშვიდე დღეა და გამართულად დავდივარ. აღარაფერი მაწუხებს. უღრმესი მადლობა მანანა ექიმს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**მირანდა ჩოხელი**, *49 წლის. გუდამაყარი.* არ გამახსენოთ ჩემი სატკივარი, იმაზე ფიქრიც აღარ მინდა. ტკივილისგან ვერ ვჯდებოდი, ვერც დავდიოდი, კუჭის მოქმედება არ მქონდა კარგი. ექიმმა რომ გამსინჯა ჩვენთან, კვანძები გაქვს და საოპერაციო ხარო. მერე თბილისში ჩამოვედი, ნათესავის ოჯახში და იმათ აქ მომიყვანეს. მალამოები წავილე და დავიწყე მკურნალობა. ერთ დღეში ისე კარგად გავხდი... 3 დღეში ტკივილი მთლიანად მომეხსნა და ნაწლავებიც ამიმუშავდა. სისხლდენებიც აღარ შემიმჩნევია. ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმო!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**


ვალისკენ. ჩავედით და დავბინავდით. 8 აგვისტოს ისეთი ძალით დაგვარტყეს, რომ ბევრი დაიბნა კიდეც. ვიცოდით, რომ ქართველები რაღაცას ამზადებდნენ, მაგრამ იმის წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო, რაც ვნახეთ. შუაღამის შემდეგ ქალაქზე მასირებული შეტევა დაიწყო.“

„გაზეტა იუგა“ წერდა: „სამშვიდობო ბატალიონის პოლიტხელმძღვანელი, უფროსი ლეიტენანტი ზალიმ გეგრაევი, მიუხედავად იმისა, რომ ფეხი აქვს დაზიანებული, გამართული დგას: „მთელ თვეს ვიყავით სწავლებაზე იმ მიდამოებში. სწავლება დამთავრდა, მაგრამ ჩვენ მაინც არ გამოვყავდით. ბოლოს, მოვიდა ბრძანება, დავძრულიყავით ცხინვალისკენ. 8 აგვისტოს ჩვენ ვიდექით ქალაქის წინ და ველოდით შემდგომ ბრძანებებს. ვერც ვიფიქრებდი, რომ ასეთ რამეს ვნახავდი.“

გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“ 2009 წლის 7 მარტს წერდა: „იმ პერიოდისთვის რესპუბლიკის მთელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმყოფებოდა ბუნკერში, პარლამენტის შენობის სარდაფში, სადაც მართვის შტაბი იყო განთავსებული. ელოდებოდნენ პრეზიდენტ კოკოითის, რომელიც (იგულისხმება 2008 წლის 7 აგვისტო) ჯავის რაიონში იყო წასული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრაზე.“

### „იძულება მშვიდობისათვის“

„კომრსანტ.რუ“ აქვეყნებს გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ბარანკევიჩის ინტერვიუს, რომელიც ყვება: „10 აგვისტო იყო. ჯავაში ჩავედი და ვხედავ ასეთ სურათს: მიწაზე აგდია წელს ზემოთ შიშველი ქართველი ტყვე, ხელები ზურგს უკან ისე მაგრად აქვს შეკრული, რომ კიდურები გალურჯებია. თვალები არ უჩამს, ისე აქვს სახე დასიებული. მას სამხედროები სცემდნენ. მე ვუთხარი: რას აკეთებთ, თქვენ ხომ მთის ხალხი ხართ, ტყვის ცემა დაუშვებელია, მას ხელები აქვს შეკრული. სამხედროები შეცბნენ და ბოდიში მოიხადეს. ვუბრძანე, გამოეძახათ ვინმე, რომ წაეყვანათ ტყვე ქართველი. მას გაუხსნეს ხელები, მაშინვე საიდანღაც გაჩნდა კოკოითი. მიხვდა, რაც მოხდა, მიირბინა ტყვესთან და დაუწყო ფეხებით ცემა.“

2009 წლის იანვარში კი ინტერნეტში გაჩნდა გიორგი ანწუხელიძის სასტიკი წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ელუარდ კოკოევი, ასევე, პირადად იღებდა მონაწილეობას დიდი ლიახვის ხეობაში ქართველების სახლების განადგურებაში. 15 აგვისტოს რუსული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ის ამბობდა: „იქ (დიდი ლიახვის ხეობა), ფაქტობრივად, ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული. ჩვენ იქ არავის შეშვებას არ ვაპირებთ.“

22 აგვისტოს „კომსომოლსკაია პრავდას“ მოჰყავს ვინმე მაიორის სიტყვები: „მოროდიორობას ვებრძვით, ამის იქით ქართული ანკლავია. მებრძოლები იქიდან მოათრევენ ყველაფერს, რის წამოღებაც შეიძლება. მოჰყავთ საქონელიც.“

იმავე გამოცემასთან ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს: „ომი აღარ დაიწყება, ჩვენ ცუდი საქმე გავაკეთეთ. ქართველები აქ ვეღარ დაბრუნდებიან, ჩვენ ყველა მათი სახლი დავწვით.“

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა დაადასტურეს მოწინააღმდეგის მიერ გაუპატიურებისა და ასაკოვანი მშვიდობიანი მოსახლეების ტყვედ აყვანის ფაქტები, რომლებსაც შემდეგ ოს სამხედრო ტყვეებზე ცვლიდნენ.

### შინდისის გმირები

2008 წლის 11 აგვისტოს საღამოს 5 საათზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკან დახევის ბრძანება გასცა. სხვებთან ერთად უკან იხევდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული. სოფელ შინდისთან ისინი უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ რუსულ მოტომსროლელ ასეულთან, რომელიც სადგურის ახლოს იყო ჩასაფრებული. მოწინააღმდეგემ ორჯერ გამოიძახა დახმარება. ქართულ ოცეულს მტერი თითქმის ყველა სახის იარაღიდან ესროდა, მათ შორის ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნებიდან. ჩვიდმეტმა ქართველმა წინააღმდეგობა ბოლომდე გასწია და გმირულად დაიღუპა.

რუსული მოტომსროლელი ასეული სოფელ შინდისში ამ შეტაკებამდე 2 საათით ადრე შევიდა და ძველი რკინიგზის სადგურთან ჩასაფრდნენ. შეიარაღებაში ჰქონდათ: ჯავშანტრანსპორტიორები, ტყვიამფრქვევები და ტანკები, რომლებზეც ქართული დროშები ფრიალებდა. სენაკის ბატალიონს ჩასაფრებულებმა პირველი და ბოლო მანქანა აუფეთქეს და გასასვლელები ჩაუკეტეს. ქართველი მეომრები დაიფანტნენ. ჩასაფრების მორიგი მსხვერპლი მეორე ქვეითი ბრიგადის ოცეული გახდა: ისინი არ გაქცეულან და მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

ქართველებს მხოლოდ ავტომატები და ხელყუმბარები ჰქონდათ, რუსებს – მძიმე ტექნიკაც უმაგრებდა ზურგს. შინდისელები ყვებიან, რომ ქართველებმა უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოლეს: ორმხრივი სროლა საათსა და 20 წუთს გრძელდებოდა. ბოლო 10-15 წუთს მხოლოდ ცალმხრივი სროლა ისმოდა. ქართველებს ტყვიები გაუთავდათ...

უმეტესობა დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, მხოლოდ ერთი სამხედრო მოსამსახურე – ალეკო ონიანი გადარჩენილიყო უვნებლად. მას მუხლზე ესვენა მძიმედ დაჭრილი ნათლული – რომან ზოიძე. ალეკომ დაიყვირა: ვინც ცოცხალი ხართ და გესმით ჩემი, მტერს არ ჩაბარდეთ, ჩემამდე მოდით და თავი ავიფეთქოთ. დაჭრილებმა დაუყვირეს, რომ გაქცეულიყო და ამბავი მაინც გაეტანა. ნათლულიც ამას ეხვეწებოდა... ალეკო ონიანი არ გაქცეულა: ხმამაღლა თქვა, „მამაო, ჩვენო“, დაჭრილებიც აჰყვნენ. გულში ჩაიკრა ნათლული და თავი აიფეთქა.

12 ქართველი სამხედრო ადგილზე დაიღუპა, რამდენიმე უგონოდ მყოფი დაჭრილი შინდისელებმა ტყეში გადამალეს.

რუსი ჯარისკაცი, ვინმე საშა დროზდოვი რუსული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ყვება: „ცხინვალში ვიყავით, როდესაც შეგვატყობინეს, რომ ცხინვალის გასასვლელთან, ერთ-ერთ სოფელში, ჩვენს ბატალიონს დამატებითი რაზმი ესაჭიროებოდა. მივიღეთ ბრძანება და ნახევარ საათში მივედით ადგილზე 70-კაციანი ჯგუფი. რას ვხედავთ – ქართველები ჩვენებს თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ, უკვე ბევრი რუსი ჯარისკაცი იყო დაჭრილი და დაღუპული. მათმა მეთაურმა უთხრა ჩვენს მეთაურს: არ ვიცი, ადამიანები არიან თუ ქაჯები, უკვე ერთი საათია, ასეთ დღეში ვართო. ჩვენ ჩავებით ბრძოლაში, ყველაფერი დამთავრდა და როგორც გავიგეთ 17 კაცი გვებრძოდა.“

***P. S.* ზოგი ლოგინში კვდება, ღრმად მოხუცი და მძიმე ავადმყოფი; ზოგსაც, უბედური შემთხვევა იმსხვერპლებს საკმაოდ ახალგაზრდას; ზოგ ცოცხალს საკუთარი ჩრდილის ეშინია; ვიღაცას ტყვია ზურგში ხვდება; ერთეულები სამშობლოსთვის იღუპებიან... თავგანწირვას აზრი ყოველთვის აქვს, მაშინაც კი, როდესაც არა მხოლოდ ბრძოლას, ომსაც კი აგებ. ოღონდ ისტორია აუცილებლად დაარქმევს თავის სახელს იმ სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაღუპულების უანგარო თავგანწირვა არა სახელმწიფოს, არამედ – საკუთარ სკამებს მოახმარეს!**

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ არის დაინტერესებული რუსეთი აფხაზეთის რკინიგზის გახსნით და როგორ აშანტაჟებენ აფხაზები სომხეთს რკინიგზის თემით

*მას შემდეგ, რაც აფხაზეთში ალექსანდრ ანქვაბი ჩამოაგდეს და მორიგი დე-ფაქტო პრეზიდენტის ასარჩევად ემზადებიან, აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხიც გააქტიურდა. ეს თემა ვიცე-სპიკერმა ვაგარშაკ კოსიანმა გაახმაურა, მას მხარი ეროვნებით სომეხმა დეპუტატებმაც დაუჭირეს და აფხაზ საზოგადოებას ამ თემაზე მსჯელობა შესთავაზეს. გაავრცელეს განცხადებაც, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს (იგულისხმება აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთი) არის ყველაზე მოკლე და იაფი გზა, რომელიც რუსეთს სომხეთთან აკავშირებს, ამასთან, რუსეთი მიიღებს მყარ სატრანსპორტო დერეფანს კავკასიისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ. ეკონომიკურად აფხაზეთის ბიუჯეტი კი – დამატებით შემოსავალს. ჩვენი ქვეყანა, როგორც აღიარებული სახელმწიფო, 10 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაში, გამოიმუშავებს 6 მილიარდ დოლარს ყოველწლიურად, ხოლო აფხაზეთის ჩართვა ტრანსკავკასიურ სატრანსპორტო დერეფანში ხელს შეუწყობს მის ჩართვას ევრაზიულ სივრცეში.“*



**მე მაინც იმედი მაქვს, რომ სომხეთი არ წავა აფხაზეთის აღიარებაზე**

*სომეხი კოლეგების ინიციატივას, სახელდობრ ეთნიკური აფხაზები ფრიად ნეგატიურად გამოეხმაურნენ. მაგალითად, დეპუტატ ბესლან გუბაზის აზრით, უადგილოა იმ რკინიგზის აღდგენაზე საუბარი, რომელმაც სომხეთი და რუსეთი უნდა დააკავშიროს, მანამ, სანამ ოფიციალური ერევანი არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. მეტიც, მან მოუწოდა თანამემამულე ეთნიკურ სომხებს, რომ, თუ ასე წუხან თავიანთი სამშობლო აფხაზეთის ბედზე, აღიარების თხოვნით მეორე სამშობლოს, სომხეთის ხელისუფლებას მიმართონ. დეპუტატი ასლან კობახია (აფხაზეთის გმირის სტატუსის მქონე) დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის რკინიგზის გახსნა აფხაზეთის საქართველოში ინტეგრაციას გამოიწვევს. ზოგადად, აფხაზი პარლამენტარები შიშობენ, რომ ამ საკითხმა შესაძლოა, აფხაზეთის აფხაზებსა და სომხებს შორის განხეთქილების ვაშლის როლი შეასრულოს. რა პერსპექტივა აქვს აფხაზეთის რკინიგზის გახსნას და რას უკავშირდება ამ თემის გააქტიურება, – თავის მოსაზრებას **ნოდარ ნათაძე** გაგვიზიარებს.*

**– როგორ უნდა დაუკავშირდეს აფხაზეთი სომხეთს ჩვენი რკინიგზის გარეშე? და, საერთოდ, რატომ გახდა აქტუალური რკინიგზის თემა და რა ტიპის ვაჭრობაა?**

– პირველი და ყველაზე ძლიერი ფაქტორია პუტინის მდგომარეობა: პუტინი ყველგან აგებს მშრალი ანგარიშით, ერთადერთი მოედანი, სადაც მას შეუძლია, მოიგოს, არის საქართველო, იმიტომ რომ, საქართველო დღეს არის ერთადერთი სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება პუტინის ყურმოჭრილი ყმაა.

**– მშრალი ანგარიშით როგორ აგებს – წაართვა ყირიმი უკრაინას?**

– ყველამ იცის, მათ შორის, პუტინმაც, რომ ეს არ შერჩება. უკრაინას აგებს რუსეთი; ამასთან, აგებს თავის პრესტიჟს და ბევრ რამეს. ამიტომ პუტინი მთელ თავის ძალისხმევას მიმართავს საქართველოში რამე მკაფიო მოგებისთვის. კონკრეტულად და ყველაზე სწრაფად, ეს მოგება წარმოუდგენია, როგორც რკინიგზის გახსნა. ვინც ჩახედულია, იცის, რომ აფხაზებს რკინიგზის გახსნა არ უნდათ. ვინც ამბობს, სომხეთი დავაშანტაჟოთ იმით, რომ აფხაზეთი აღიაროსო, ამას ამბობს იმისთვის, რომ აფხაზების თვალში არ გაიფუჭოს სახელი და არა იმისთვის, რომ რამე რეალურ შედეგს მიაღწიოს. საშიშროება კი არის, იმიტომ რომ, საქართველოს ხელისუფლება, ისევე, როგორ სააკაშვილის ხელისუფლება, მუდამ მომზადებულია, რომ გადამწყვეტ მომენტში შეასრულოს რუსეთის ბრძანება. სომხეთი ამას გააკეთებს თუ არა?! არ ვარ დარწმუნებული, რომ სომხეთი ამას გააკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე საუკუნეში სომხები ცნობილნი არიან თავიანთი პოლიტიკური სიბეცით – სასურველი მიაჩნიათ რეალობად – ძალიან საეჭვოა, ამას დასთანხმდნენ, რადგან ეს ნიშნავს ურთიერთობის გაფუჭებას დასავლეთთან.

**– სიბეცე რატომ იყო სომხეთის გათვლა? სომხეთმა გათვალა რუსეთზე და შეიძინა ახალი ტერიტორია, ჩვენ გავთვალეთ დასავლეთზე და დავკარგეთ ტერიტორიები.**

– ჩვენი ტერიტორიები დაბრუნდება და ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის, რომ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების გზა გადის რუსეთის დამარცხებაზე. რუსეთი გარდაუვლად დამარცხდება, რაც ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებისთვის აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის. მგონია, სომხებიც გათვლიან, რომ გადამწყვეტი ნება, რომელიც განსაზღვრავს სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტის მიმართულებებსა და შედეგებს, იქნება დასავლეთის და არა თურქეთისა თუ საკუთრივ სომხეთის ნება.

**– რუსეთის დამარცხება ნიშნავს, რომ ყარაბაღი უბრუნდება აზერბაიჯანს?**

– მექანიკურად ამას არ ნიშნავს, იმიტომ რომ, სომხების მოკავშირეობა რუსეთთან, არის არა ძალიან დიდი პოლიტიკის, არამედ ლოკალური პოლიტიკის ელემენტი. დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით, სომხეთი რუსეთის ბანაკში არ არის და ვერც იქნება, მაგრამ მე და თქვენ არ ვიცით, როდის ესმის ან არ ესმის ეს სომეხს. მაგრამ, ძირითადად, უნდა ესმოდეს, რომ ამიერკავკასიაში დასავლეთისთვის სომეხი უფრო ბუნებრივი მოკავშირეა, ვიდრე აზერბაიჯანი, იმიტომ რომ, თურქულმოლგმური სამყარო დღეს, თურქეთის ჩათვლით, მაინც პოტენციალურად რუსეთის ბანაკშია და არა – დასავლეთის. ამიტომ მე მაინც იმედი მაქვს, რომ სომხეთი არ წავა აფხაზეთის აღიარებაზე.

**– რომ აღიაროს, საქართველო ბლოკადას გამოუცხადებს. ეს არ არის შემაჩერებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი?**

– თუ საქართველო იქნება გამართული და ნორმალური ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები ეყოლება, შეუძლია, სომხეთი დისციპლინის ჩარჩოებში იყოლიოს. გადამწყვეტ ნებაზე იქნება დამოკიდებული, იყოს თუ არა სომხეთი ბლოკადაში, როგორც რუსეთის პოლიტიკური ნების გამტარებელი.

**– საქართველო, უკრაინა და მოლდოვა აშშ-მ „ნატოს“ წევრობის გარეშე აღიარა თავის მოკავშირეებად. როგორ უთავსდება თქვენ მიერ ნახსენები „ყურმოჭრილი მონობა“ ამ საკითხს?**

– რაც თქვენ ახსენეთ, ეს არის ამერიკის ორიენტაციის გამოთქმა. ამერიკის ორიენტაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების ქცევას, საქართველოს ქცევა კი არ განსაზღვრავს ცალსახად ამერიკის ორიენტაციას. ეს არათანაზომიერი ფაქტორებია, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება, რაც უნდა პრორუსული იყოს გულში, ყოველთვის იძულებულია, დასავლეთის ასეთი მსხვილი ნება შეასრულოს. სააკაშვილი ხომ რუსეთის ყურმოჭრილი ყმა იყო?! ის ასრულებდა დასავლეთის ნებას, მაგრამ მისი აგენტურული მოღვაწეობა იმით გამოიხატებოდა, რომ რაღაცას ტეხავდა რუსეთის სასარგებლოდ. მაგალითს მოგიყვანთ: დასავლეთის ინტერესი იყო და არის, რომ საქართველოში ტრანსპორტი მუშაობდეს დაუბრკოლებლად. ის, რომ მაგისტრალური რკინიგზა სიგრძეზე კვეთს თბილისს, რომელიც ამიერკავკასიის მაგისტრალური ცენტრია, რა თქმა უნდა, ოპტიმალური არ არის, აქედან შემოვიდა შემოვლითი გზის პროექტი. ეს დასავლური პროექტია, დაიწყო ამის გაკეთება სააკაშვილმა, მაგრამ რა მოტეხა რუსეთის სასარგებლოდ? თბილისის ზღვაზე, სადაც უნდა გაიაროს ამ რკინიგზამ, ჩასვა ჩინური ქალაქი და ჩინელი რასაც დაინახავს, რუსებს ყველაფერს შეატყობინებს, ჩინური მოსახლეობა, 50 000 თუ 100 000, იქნება მუდმივად რუსეთის და არა დასავლეთის დასაყრდენი. ასევე, ეს ხელისუფლებაც, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის აი, ამ დიდ ნებას მიჰყვება, მაინც ყოველთვის მოტეხავს რაღაცას რუსეთის სასარგებლოდ.

**– როდესაც პროირანული ორიენტაცია ერეკლემ პრორუსულზე გადაცვალა მეტი დაცულობის მოტივით, მან ერთმნიშვნელოვნად მოიჭრა გზა ყველა დანარჩენი იმპერიისკენ, ერთადერთ ჰეგემონად ოფიციალურად აღიარა რუსეთის იმპერატორი.**

– არითმეტიკული გათვლის საგანია, იყო თუ არა სწორი ერეკლეს ნება. ასწრებდა თუ არა თურქეთი და ირანი იმ რამდენიმე ათეულ წელიწადში, რაც დარჩენილი იყო რუსეთის კავკასიაში შემოსვლამდე და გაბატონებამდე საქართველოს მოსპობას? მრავალი მონაცემია, რომ ასწრებდა, ამიტომ ერეკლემ სწორი ნაბიჯი გადადგა და ამ დროში გადარჩა. სხვათა შორის, გიორგი ავალიშვილმა ერთ-ერთ ფაქტორად დაასახელა ის, რომ ერეკლეს ეგონა, ბატონობის ის ფორმები, რომლებიც არსებობდა აღმოსავლეთში, არის ერთადერთი შესაძლებელი: ხარკს იხდიდა და მიჰყვებოდა ომში. რუსეთის ბატონობა კი ნიშნავდა ჩაჯდომას საქართველოს ცხოვრების ყოველ უჯრედში, ანუ თავისი ტოტალობის ხარისხით შეუდარებლად აღემატებოდა აღმოსავლურ იმპერიებს. ერეკლე ვერ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი შემოვიდოდა საქართველოში და მაშინვე აიღებდა ორიენტაციას ქართველი ერის გენოციდზე.

**– ეს კითხვა იმიტომ დავსვი, რომ რამდენად ეფექტიანია ცალსახად ერთი იმპერიის მხარეს ყოფნა?**

– ახლა შეუდარებლად მეტი შესაძლებლობებია. შესაძლებელია, დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობა და ეს მექანიკურად არ ნიშნავს რუსეთთან ომს. ერთია, რომ რუსეთი დღეს ომის დამწყები აღარ არის და მეორე – არსებულ ურთიერთობის ფორმებს უფრო ფართო სპექტრი აქვს. არის გაერო, მსოფლიოში სავალდებულო ყალბი იდეოლოგია, თითქოს ყველანი დემოკრატები და ანგელოზები ვართ და ვაპირებთ, კანონიერად ვიცხოვროთ. თითქოს ძალა აღარ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ამ ფონზე ყველა მიმართებას მოენახება თავისი შესაბამისი ფორმა: დიდი გავლენა, მცირე გავლენა, მარიონეტული მართვა, რეალური სუვერენიტეტი და ასე შემდეგ. ამას გარდა, მოთამაშე აღარ არის ორი, მოთამაშე ბევრია და ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი: დასავლეთი, ჩინეთი, ისლამის სამყარო, რუსეთი. იგულისხმება, რომ ჩინეთი, ისლამის სამყარო

# რა თანხას ინახავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი ანაბარზე და როგორ დააგროვა ნაღდ ფულად 80 000 აშშ დოლარი

აწ უკვე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი დავით შავლიაშვილი 1984 წლის 14 მარტსაა დაბადებული თბილისში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო და სპეციალობით სამართალმცოდნეა. მისი შრომითი საქმიანობა 2008 წელს იწყება „გლობალავტოსპეცტექნიკაში", თავის მიერვე დაფუძნებულში, სადაც 2010 წლამდე დირექტორადაც მუშაობდა. იმავდროულად, ზუსტად იმავე წლებში, გახლდათ Smart way group-ის დირექტორის მოადგილე და დამფუძნებელიც; 2010 წლის დეკემბრიდან 2011 წლის მარტამდე PHILIPS Lighting-ის გაყიდვების მენეჯმენტში გადაინაცვლა პოლონეთის ქალაქ პილაში, 2011 წლის მარტიდან აგვისტომდე კი ავსტრიაში, კერძოდ, ვენაში, ERCO Lighting-ის გაყიდვების მენეჯმენტში; 2011 წლის იანვარში კიდევ ერთი შპს „კომპიქსი" დააფუძნა, რომლის დირექტორის მოადგილედაც 2012 წლის ივლისამდე იმუშავა; 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე კი დირექტორადაც დაინიშნა. 2012 წლის მაის-სექტემბერში შპს „პარტნიორის" დირექტორის მოადგილეც იყო (დამფუძნებლობასთან ერთად); ხოლო სექტემბრიდან „პარტნიორის" დირექტორიც გახდა. 2012 წლის დეკემბერში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 2013 წლის აპრილამდე იმუშავა. სულ ბოლოს, ინფრასტრუქტურის მინისტრად დანიშვნამდე, ბ-ნი შავლიაშვილი საგზაო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2013 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო როგორც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ. ოჯახის წევრებად მიუთითა: 1982 წელს დაბადებული მეუღლე თათია იოსავა და სამი შვილი – 2003 წელს დაბადებული მარიამი, 2005 წელს დაბადებული ირაკლი და 2013 წელს დაბადებული დემეტრე. იმხანად შავლიაშვილების ოჯახის კუთვნილ ქონებას წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი თბილისში, გოძიაშვილის პირველ შესახვევში (214 კვ. მ. ფართობის), რომელიც თათია იოსავას ეკუთვნოდა. დავით შავლიაშვილს კი „თი ბი სი ბანკის" ანაბარზე ჰქონდა 17 074 აშშ დოლარი; ნაღდ ფულად კი, დეკლარაციის შევსების დროს – 80 000 აშშ დოლარი. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას: დავით შავლიაშვილი, 2012 წლის მონაცემებით, იყო შპს „პარტნიორის" დამფუძნებელი, თუმცა შემოსავალი არ მიუღია, სამაგიეროდ, ამ შპს-ის დირექტორის მოადგილეობამ 2012 წელს 10 000 ლარი მოუტანა, დირექტორობამ კი, იმავე წელს, 30 747 ლარი; ასევე, იყო შპს „გლობალავტოსპეცტექნიკის" დამფუძნებელი და დირექტორი, თუმცა ამ საქმიანობას მისთვის 2012 წელს არანაირი შემოსავალი არ მოუტანია, ისევე, როგორც შპს „სითის" დირექტორობასა და პარტნიორობას. 2012 წლის დეკემბერში დავით შავლიაშვილმა, როგორც ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსმა, 843 ლარი აიღო.



2012 წელს დავით შავლიაშვილს სესხიც აუღია – 19 630 ლარის ოდენობით. შვილების, მარიამისა და ირაკლის სწავლის საფასური კი 2 520 ფუნტი დასჯდომია.

2014 წელსაც იმავე ამპლუაში შეავსო დეკლარაცია. უცვლელია მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა, თუმცა თათია იოსავა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის გარდა ფლობს საცხოვრებელ სახლს კეკელიძის ქუჩაზე (58 კვ. მ. ფართობის) და მიწის ნაკვეთს წყნეთში (1 163 კვ. მ. ფართობის), ოღონდ, ნინო კვარაცხელიასთან ერთად. დავით შავლიაშვილს კვლავ აქვს ანაბარი „თი ბი სი-ში", რომელზეც 17 628 აშშ დოლარი ერიცხება; ასევე, არ შეცვლილა მის ხელთ არსებული ნაღდი ფულის ოდენობაც – მას კვლავ 80 000 აშშ დოლარი აქვს, თუმცა ამჯერად მხოლოდ შპს „სითის" პარტნიორია. რაც შეეხება შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში დავით შავლიაშვილმა, როგორც ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსმა, 16 144 ლარი აიღო; როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ – 41 342 ლარი, შვილების სწავლა კი კვლავაც 2 520 ფუნტი დასჯდომია.

**ნინო ხაჩიძე**

---

და რუსეთი არიან პოტენციალური მოკავშირეები. ის არის ერთი ბანაკი, რომლებსაც გარანტირებული აქვთ დამარცხება გლობალური ომის შემთხვევაში. თუმცა შეიძლება, ჩინეთმა იომოს და ისლამურმა სამყარომ არ იომოს, რუსეთმა შეიძლება, იქითაც იომოს და აქეთაც, თუ დასავლეთმა მიიღო მოკავშირედ, ბევრი შესაძლებლობაა.

**– ყირიმის შემოერთებით არ აჩვენა პუტინმა გამარჯვება თავის მოსახლეობას?**

– აჩვენა კი არა, ტრიუმფით აჩვენა და ამ ვერაგმა დასავლურმა არხებმა აჩვენა ყიჟილხივილიც, რომელიც მოჰყვა ყირიმის შეერთებას. აჩვენეს და კომენტარი იყო ასეთი: 25 წელია, რუსი ხალხი ასეთი ბედნიერი არ ყოფილა, რითაც მოახდინეს იმის ლუსტრაცია, რომ მარტო პუტინი კი არ არის მანიაკი-აგრესორი, ასეა განწყობილი რიგითი ვანკაც. პუტინი და რუსული ელიტა ხედავს, რომ რუსეთი დამარცხებულია, მაგრამ ვანკა ვერ ხედავს, ოღონდ გარდაუვალად დაინახავს. ასე რომ, პუტინს, ყველაზე დიდი ალბათობით, მოაცილებენ: შეიძლება, მოკლან; შეიძლება, ფურთხში დაახრჩონ. იმ მიზეზით, რომ მან პოლიტიკა წააგო და შემდეგი ხელისუფლება გააუქმებს ყირიმის მიერთების მცდარ ნაბიჯს.

**– სანამ ეს მოხდება, აფხაზეთის რკინიგზის გახსნა გამარჯვება რანაირად იქნება? როგორც ირანთან გასასვლელი?**

– არა, ეს არის სომხეთთან სარკინიგზო კავშირი.

**– როგორც თქვენ ამბობთ, ვანკასთვის რა მნიშვნელობა აქვს, ექნება თუ არა სომხეთს პირდაპირი გზა რუსეთთან?**

– სანახაობითი. არის რადიკალური ამოცანა – გავხსნათ რკინიგზა და პუტინი მას გახსნის. ირანთან კავშირი პერსპექტივაში შედის, მაგრამ ეს არ მოხდება.

**– აფხაზების ნების მოტეხას შეძლებს?**

– აფხაზებს ცალსახად არ უნდათ რკინიგზის გახსნა. საერთოდ, აფხაზები სრულას არ ერიდებიან არც ერთმანეთის და არც რუსების მიმართულებით. ამიტომ შესაძლოა, ასეთი ეპიზოდები მოხდეს. ძალის თვალსაზრისით, ამას არანაირი წონა არ ექნება, მაგრამ სიმბოლური წონა ექნება. რუსეთს მრავალ სხვადასხვა პოლიტიკასთან ერთად, აქვს დასჯის პოლიტიკაც: ანქვაბი დასაჯეს იმიტომ, რომ არ დაუთმო აფხაზეთის მიწების მიყიდვა რუსებისთვის.

**ვინც ჩახედულია, იცის, რომ აფხაზებს რკინიგზის გახსნა არ უნდათ. ვინც ამბობს, სომხეთი დაგვაშანტაჟოთ იმით, რომ აფხაზეთი აღიაროსო, ამას ამბობს იმისთვის, რომ აფხაზების თვალში არ გაიფუჭოს სახელი და არა იმისთვის, რომ რამე რეალურ შედეგს მიაღწიოს**

**– და საპასუხოდ, აფხაზები ირჩევენ რაულ ხაჯიმბას, რუსეთის უშიშროების ჩინოსანს?**

– ჯახიმბა არის რიგითი ჩეკისტი და რაღაც წლების განმავლობაში, აფხაზეთის სათავეში იქნება ჩეკისტი, რომელიც შეასრულებს რუსეთის ნებას.

**– პერსპექტივაში ეს ხომ გულისხმობს დაპირისპირებას აფხაზეთის მოსახლეობასა და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის?**

– რა თქმა უნდა, ხაჯიმბა არ არის ისეთი ლიდერი, რომელიც ხალხს უნდა.

**– აფხაზი დეპუტატების ნაწილს მიაჩნია, რომ რკინიგზის გახსნის თემის გაცოცხლება ხინჯს შეიტანს აფხაზეთის აფხაზ და სომეხ მოსახლეობაში.**

– აფხაზეთის სომხები და აფხაზები მეგობრები არ არიან და არც ოდესმე იქნებიან. ასე რომ, ხინჯი ახალი არ არის, უბრალოდ ეს დამატებითი იქნება. რა თქმა უნდა, სომხები მიისწრაფიან, რომ აფხაზეთში მოიპოვონ გაბატონებული მდგომარეობა. აფხაზებს ეს არ უხარიათ და არ გეგმავენ, რომ ეს დაუშვან, მაგრამ გარე ფაქტორებიც არის: რუსული მოსახლეობა გაჩნდა უკვე აფხაზეთში და მრავლდება.

**– რა მიმართულებებით შეუძლია რუსეთს აფხაზეთის სომეხი მოსახლეობის გამოყენება?**

– შეუძლია, დარაზმოს, გაწვრთნას, დააფინანსოს, დააპროპაგანდოს და შექმნას არა ერთი, არამედ – 30 ბაგრამიანის ბატალიონი. შეიძლება, ომი აფხაზეთში აწარმოოს მხოლოდ სომხების ხელით ნებისმიერის წინააღმდეგ – აფხაზების ან აფხაზების და ქართველების.

**– მე უფრო პოლიტიკური თვალსაზრისით გამოყენება ვიგულისხმე.**

– არ არის მაინცდამაინც გამოყენებადი მოსახლეობა. აფხაზეთის სომხები, მაინცდამაინც სახელოვანი მოსახლეობა არ არის და, მაინცდამაინც, არც პრინციპულობით გამოირჩევიან. აფხაზეთის სომხური ეთნოსი პროპაგანდისთვის სათანადო კანდიდატი არ არის.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# რატომ ნიშნავს სქესობრივი აქტი რუსულ ენაში ცემას, ქართულში – ტყვედ აყვანას, ფრანგულში კი – სიყვარულის კეთებას

*შსს-მ სტატისტიკური ინფორმაცია გამოაქვეყნა, რის მიხედვითაც, ჩვენს ქვეყანაში 2007 წლიდან 2014 წლის ივნისამდე 1 102 ძალადობის ფაქტი დაფიქსირებულა, რომლებშიც 2 223 პირი იღებდა მონაწილეობას. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 1 010 ქალი და, სულ რაღაც, 117 მამაკაცი. ოჯახური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფიზიკური ძალადობა – 47,2 პროცენტი, მეორე ადგილს კი ფსიქოლოგიური ძალადობა იკავებს – 42,8 პროცენტიანი მაჩვენებლით. ოჯახური ძალადობის გამო 2014 წლის იანვარ-ივნისში სისხლის სამართლებრივი დევნა 310 პირის მიმართ განხორციელდა, მათგან 289 მამაკაცია, ხოლო 21 – ქალი. მათგან დაზარალებულად ცნობილია 96 მამაკაცი და 372 ქალი. ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი თბილისში ყოფილა. რა პრობლემის არსებობაზე მიუთითებს ზემოხსენებული სტატისტიკა (იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობის რეალური მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნება, რადგან ძალადობის მსხვერპლები, როგორც წესი, ნაკლებად მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს) და როგორ უნდა დავიცვათ თავი როგორც ქალების, ისე მამაკაცების მხრიდან ძალადობისგან, თემას ფისქოლოგ ნოდარ სარჯველაძესთან ერთად განვიხილავთ.*



**ქალსა და მამაკაცს შორის ყოველთვის იყო და არის ომი. მას შემდეგ, რაც ბუნებამ გაყო ერთსქესიანი არსებები ქალად და კაცად. დიალექტიკა კი მოითხოვს ბრძოლას, ამ ორ სქესს შორისაც მუდმივი ბრძოლაა**

**– რაზე მეტყველებს ოჯახური ძალადობის ასეთი მძიმე მაჩვენებელი?**

– ცხადია, საკუთრივ ძალადობის ფაქტი მეტი იქნება, თუმცა ეს ციფრებიც საკმაოდ დიდია. რაღაც ნაწილი, ალბათ, იქნება სუფთა პათოლოგიური ხასიათის: გამომდინარე პათოლოგიური ეჭვიანობიდან თუ ამა თუ იმ ტიპის პათოლოგიური გადახრიდან; გარკვეული ნაწილი სოციოპათიაზე მიანიშნებს. სოციოპათია არ მიიჩნევა დაავადებად, მაგრამ ეს ხასიათობრივი დეფორმაციაა; რაღაც ნაწილმა, სავარაუდოდ, ძალადობა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ჩაიდინა და იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ყოფითი სირთულეების გამო არიან წყობიდან გამოსულები, ჩხუბობენ და ეს სკანდალები შემდეგ იღებს ძალადობრივ ხასიათს. ანუ შედეგია იმ აგრესიისა, რომელსაც საფუძვლად აქვს ყოფითი სირთულეები.

**– შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ოჯახური ძალადობის მაჩვენებელი არის ინდიკატორი ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა? ხელს უწყობს მძიმე სოციალური ფონი ოჯახურ ძალადობას?**

– რატომაც, არა?! საქმე ის არის, რომ საკუთრივ ძალადობა აგრესიის ფორმაა. აგრესიის ქვემდებარე მექანიზმი კი არის ამა თუ იმ საბაზო მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა, ფრუსტრაცია, იმედგაცრუება. წარმოიდგინეთ, ადამიანს არც სამსახური აქვს, არც პერსპექტივა. ფრუსტრირებულია ყველა მიმართულებით: ვერ დასაქმდა, ფული არ აქვს, რის გამოც, შესაძლოა, დაცინვის საგანი გახდა; ამიტომ რცხვენია თავის გამოყოფა და ასე შემდეგ. ამის საფუძველზე აგრესიის მუხტი იზრდება და პატარა ნაპერწკალმა შეიძლება, აგრესიის ხანძარი დაანთოს, როდესაც ასეთი მაღალი დოზით აქვს ადამიანს იმედგაცრუებები და მომატებული ფარული აგრესიის მდგომარეობა.

**– თუმცა აქ ერთი ნიუანსია: ეს ფარული აგრესია თავს იჩენს სუსტის მიმართ, მათზე ძლიერ მამაკაცებთან ეს ნაპერწკალი აგრესიის ხანძარს ვერ ანთებს. ანუ, ვისაც ხელის შემობრუნება შეუძლია მათზე არ ცდილობენ განმუხტვას მოძალადეები, თავისზე სუსტები ურჩევნიათ?**

– ამ შემთხვევაში ისეთ პირებთან კი არ გვაქვს საქმე, რომლებსაც კონსტრუქციული აგრესია აქვთ, როდესაც აგრესია რაღაც პრობლემას წყვეტს, არამედ, ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც სუსტის დაჩაგვრა შეუძლიათ და ჯავრს სხვებზე იყრიან ხოლმე. ასეთებიც იქნებიან იმ სტატისტიკურ მონაცემებში. ეს იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ხშირად სუსტი სქესის წარმომადგენლები, ანუ ქალები მამაკაცებს, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს, სჯობნიან იმ მხრივ, რომ დასაქმებულები არიან და ოჯახში შემომტანი, ანუ მარჩენალი შეიძლება, იყოს ქალი, კაცი კი – სარჩენი. ასეთ ვითარებაში მამაკაცი თითქოს ჯავრს იყრის.

**– საკუთარი უნიათობის გამო?**

– დიახ, ასეთი მომენტიც იქნება, იმიტომ რომ, ასეთ შემთხვევაში, მამაკაცები თავს ცხოვრებისგან დაჩაგრულად მიიჩნევენ. ეს გარეგნულადაა ასეთი კაცი კმაყოფილი იმის გამო, რომ არჩენენ, მაგრამ შინაგანად შესაძლოა, განიცდიდეს, თუ რატომ უნდა იყოს ცოლის სარჩენი და ამ ჯავრს ცოლზე იყრიდეს. განტევების ვაცის მექანიზმი ძალიან გავრცელებულია ჩვენს ყოფიერებაში: როდესაც ერთზე არიან დაბოლმილები და მეორეზე იყრიან ჯავრს. საერთოდ, ჩვენი საზოგადოება არის გულის მოოხებისა და ჯავრის ამოყრის საზოგადოება. სიძულვილის ენაც აქედან მოდის. ხალხი იმითაა კმაყოფილი, რომ სააკაშვილს დააპატიმრებენ. რა თქმა უნდა, კარგია, თუ სამართალი იზეიმებს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი იმაზე კი არ არიან ორიენტირებულები, რომ ამით რაღაც პრობლემა გადაწყდება, არამედ ჯავრის ამოყრაზე. ანუ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირება სხვაა და გულის მოოხებაზე ორიენტირება – სხვა. ჩვენი საზოგადოება გულის მომოხებელი საზოგადოებაა და ესეც აგრესიის თავისებური ფორმაა, რომელიც შემდეგ აგრესიაში გადადის, რადგან ეს ყველაფერი დაკავშირებულია ვერბალურ ძალადობასთან: დედის შეგინება, დაგინება, ლანძღვა და ასე შემდეგ ადვილად გადადის ფიზიკურ ძალადობაში.

**– მიხეილ სააკაშვილი თავის დროზე ძალადობდა როგორც ფიზიკურად, ისე ვერბალურად და იქნებ ახლა საპასუხოდ იმავეს იღებს?**

– ცხადია, თვითონ სააკაშვილმა შექმნა ძალადობის მანქანა: ბიზნესმენებსა თუ საზოგადოებაზე, დევნილებსა თუ ჟურნალისტებზე. თან, ეს ყველაფერი ნაჩვენები იყო, ხალხი ამის მოწმეა და თუ უშუალოდ არ შეხებია, წარამარა ამას ხედავდა ტელევიზიით. ამას გარდა, სააკაშვილის მეტყველების მანერაც აგრესიული ხასიათის იყო. როდესაც აგრესიის ეს მუხტი ზევიდან ქვემოთ მიდის, მასებშიც ტრიალებს. ახლაც იგივე მდგომარეობაა, ბოღმის ნთხევის სიტუაციაში ვართ და დილის 7 საათზე ქუჩაში შეხვდები ადამიანებს, რომლებიც დაბოღმილები გიყვებიან, რა ნახეს წუხელ ტელევიზიით. ანუ თავიდანვე განწყობილები არიან აგრესიისა და ბოღმის ნთხევისთვის, ატმოსფერო დამუხტულია სიძულვილით, ბოღმით და აგრესიით. გავიხსენოთ ვაჟებისთვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმები, ყველა ერთმანეთს ეჭიმება, რაც შემდეგ თავს იჩენს ქალ-ვაჟთა და ოჯახურ ურთიერთობებში.

**– ჩვენი კულტურა ისტორიულად, ტრადიციულად რამდენადაა მიდრეკილი ძალადობისადმი?**

– ძალიან ძნელია ამაზე საუბარი, რადგან კულტურა ხომ ერთ დღეში არ ყალიბდება?! ის შედეგია საუკუნეების, ამიტომ ამაზე საუბარი ძალიან სპეკულაციური იქნება.

**– ჩვენს ლიტერატურას რომ გადავხედოთ, ის ხომ ქმნის სტანდარტებს, სტერეოტიპებს?**

– რა თქმა უნდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართველები გამოირჩეოდნენ ქალ-ვაჟთა და ოჯახში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ძალადობით. მაგალითად, რუსეთში ეს აშკარად ჩანს. რუსულ ენაში ტერმინი, რომელიც სქესობრივ აქტს ნიშნავს, მოდის ტერმინიდან „бить“ ანუ ცემა. სქესობრივი აქტი გაიგივებულია ცემასთან; თუმცა ქართულიც არ არის შორს ამისგან, იგივე სიტყვა ქართულში მოდის ტყვედ აყვანიდან. ანუ სქესობრივი აქტი გაიგივებულია დატყვევებასთან და ქალს კაცი ექცევა, როგორც ტყვეს. ესეც თავისებურ აგრესიაზე მიუთითებს, მაშინ, როდესაც ფრანგულში ეს სიყვარულის კეთებას ნიშნავს. იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა, ამ ურთიერთობაში აგრესიის მუხტი იყოს, რადგან მამაკაცის დამოკიდებულება იყო




ა ქ ც ი ა
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“
უ ფ ა ს ო დ

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის“ მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00; 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.
www.antropos.ge

ძალადობრივი, მოტაცების ფაქტის გათვალისწინებით, რაც ვაჟკაცობად მიიჩნეოდა. მოტაცებაც ძალადობაა, მართალია, სიყვარულის მოტივი ურევია, მაგრამ რა უფლება გაქვს, სხვა ადამიანი დაჩაგრო?! ამდენად, ეტყობა, ძალადობის ფორმები იყო, მაგრამ ქართულ რეალობაში რუსეთის მსგავსად ძალადობა ფაქტად არ არის მოცემული.

**– თუ გულახდილად ვიტყვით, ჩვენი შუშანიკიც საკმაოდ ძალადობს, ვარსქენი შეიძლება, იმსახურებს, მაგრამ შუშანიკიც ძალადობის იმ ფორმებს იყენებს, რაც მის ხელთაა. იმავე „ვეფხისტყაოსანში“ ქალები საკმაოდ კაპასები არიან და არცთუ იშვიათად, ჭკუას არიგებენ კაცებს, რასაც პირადად მე, ძალიან მივესალმები.**

– მაგრამ ოჯახური ძალადობა მაინც სხვა თემაა. ქალსა და მამაკაცს შორის ყოველთვის იყო და არის ომი. მას შემდეგ, რაც ბუნებამ გაყო ერთსქესიანი არსებები ქალად და კაცად, დიალექტიკა კი მოითხოვს ბრძოლას, ამ ორ სქესს შორისაც მუდმივი ბრძოლაა.

**– და ვინც სჯობნის, ის ერევა?**

– ჯერ მატრიარქატი იყო, მაგრამ მამაკაცებმა დაამხეს და პატრიარქატი დაამყარეს. კონკურენცია და ბრძოლა ერთმანეთთან ყოველთვის იყო, მაგრამ ოჯახი მაინც სულ სხვაა. ოჯახში ისინი დაქორწინებულები არიან.

**– ანუ დაზავდნენ?**

– ქორწინება წყვილია და ოჯახი, როდესაც მესამე პოზიციაც ჩნდება – შვილი. რადგან ოჯახურ ძალადობაზე ვლაპარაკობთ, ოჯახი ისეთი ერთეულია, რომელიც ქორწინებაზე მეტია. შედარებით დიდი ხნის შექმნილია და ეს არ არის ქალსა და კაცს შორის ურთიერთობა, ეს არის ოჯახური ურთიერთობა.

**სტერეოტიპია, რომ კაცმა შეიძლება, მეგობრებთან ერთად იქეიფოს; რა კაცია, თუ არ სვამს; შეიძლება, ნაშები ჰყავდეს; რა კაცია, თუ ქალებში არ დადის. ქალისგან კი მოითხოვენ კდემამოსილებასა და პასიურობას**

**– ქალი რა პირობებში ყალიბდება მოძალადეთ. იგივე სქემაა, რაც მამაკაცების შემთხვევაში? ქალი რა ბოლმას ანთხევს?**

– მოძალადე ქალის შემთხვევაშიც, ალბათ, ბევრი რამ იქნება ყოფასთან დაკავშირებული; იმასთან, რომ არსებობს თავდაცვითი აგრესია, რადგან, მას მუდმივი თავდაცვა უწევს, ბოლოს ამოუვა ყელში და ჩაარტყამს ნაჯახს. მეორე მექანიზმი შეიძლება, ის იყოს, რომ, თუ კაცი დაჩაგრულად გრძნობს თავს იმის გამო, რომ არჩენენ, ქალს შესაძლოა, აგრესია გაუჩნდეს იმის გამო, რომ მისი ქმარი ვერ შოულობს ფულს და სამსახურს. ამიტომ ეუბნებოდეს მას, არაფრის მაქნისი ხარო და ეს ვერბალური აგრესია გადავიდეს ფიზიკურში. არიან ფიზიკურად ძლიერი ქალები ან შეიძლება, შვილი მოიხმაროს, გადაიბიროს და გაალახვინოს მამამისი.

**– მოძალადე ქალებისა და მამაკაცების ქცევას საერთო მექანიზმი ჰქონია: კაცი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. რატომ რჩებიან ქალები იქით სარჩენი კაცების ცოლებად, რომელიც, თან, საკაზმად, სცემს კიდეც ან, პირიქით, ცოლი სცემს ქმარს?**

– ეს ნორმატივების ამბავიცაა. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ოჯახი არ უნდა დაინგრეს და ამ თავისი მოთმინებით ინარჩუნებს ოჯახს. თან, ქმრის შიშიც აქვს, თუ გაამჟღავნა და პოლიციაში დარეკა. თან, ოჯახის დანგრევა არ უნდა, ჯობია, მაინც ოჯახი ჰქონდეს. ფიქრობს, ამას რომ გავცილდე, მარტო უარესად ვიქნები ან, რომ გავთხოვდები, იქნებ ის ამაზე უარესი იყოსო. ქალებს აქვთ წარმოდგენა, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია, თუ მისი ქმარი აგრესიულია, ფიქრობს, რომ ყველა კაცი აგრესიულია. ადამიანებზე მსჯელობს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და თუ გამოცდილებაში მწარე ტკივილები აქვს, სამყაროსაც ასე უყურებს. ამიტომ შიშობს, ამას რომ გავცილდე, შეიძლება, უარესს გადავეყაროო. ამას აძლიერებს სტერეოტიპები. საერთოდ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სტერეოტიპებს. მაგალითად, სტერეოტიპია, რომ კაცმა შეიძლება, მეგობრებთან ერთად იქეიფოს; რა კაცია, თუ არ სვამს; შეიძლება, ნაშები ჰყავდეს; რა კაცია, თუ ქალებში არ დადის. ქალისგან კი მოითხოვენ კდემამოსილებასა და პასიურობას. ქალს ნაკლები მოთხოვნილებები უნდა ჰქონდეს, უნდა იჯდეს სახლში, იყოს ქმრის შემყურე და რასაც ქმარი ეტყვის, დაუჯეროს. არ დაკვირვებიხართ, რომ დამჯერეობა ძალიან მნიშვნელოვანია?! ხშირად გაიგონებთ ფრაზას: რატომ არ მიჯერებ, დამჯერე შვილი არ არის, ანუ დამჯერეობა და დამჯერეობის დარღვევა, სტერეოტიპების თვალსაზრისით, ითვლება ცუდ რამედ. მიიჩნევა, რომ რომელიღაც მხარე უნდა დომინირებდეს, ასეთი მხარე არის მამაკაცი, ოჯახის უფროსი, მეორე მხარე კი მას უნდა დაექვემდებაროს. ოჯახის უფროსი – ასეთი სტერეოტიპი მამაკაცს ხელ-ფეხს უხსნის ძალადობისკენ და ამის ძირი შეიძლება, დავინახოთ სტერეოტიპებში და ეს სტერეოტიპები განმტკიცებულია საუკუნეების განმავლობაში. ძნელია ამის აღმოფხვრა ერთ ან ორ დღეში.

**– რა დაამსხვრევს ამ სტერეოტიპებს?**

– შეიძლება, დამსხვრევა არც არის საჭირო, შეცვლა, შერბილება და გამრავალფეროვნება, უფრო მოქნილობა ურთიერთობებში. გავრცელებულია მოსაზრება: გინდა თუ არა, ჩემი აზრი სწორი უნდა იყოს, რადგან მე დომინანტური ვარ. დომინანტობის მოდელი, რომ სამყარო ორად იყოფა, როდესაც ერთი ბატონობს და მეორე დაქვემდებარებულია, არასწორია, მაგრამ მისი დამსხვრევა ძალიან ძნელია. ჯობია, ადამიანები მიიყვანო ფორმულამდე: ამ საკითხში შენ უფრო კომპეტენტური ხარ, ამიტომ შენ გააკეთე, არ ჩაგერევი, ამ საკითხში მე ვერკვევი უკეთ და შენ ნუ ჩაერევი. საერთოდ, მსხვრევა, ნგრევა, ამოძირკვა არაფერს იძლევა. ჩვენთან რამდენი სააკაშვილი და ახალიც არ უნდა დაიჭირო, გგონიათ, ეს აღმოფხვრის ძალადობას?! ახალი მოძალადეები გამოჩნდებიან და არ გაგიკვირდეთ, რომ საქართველოში ახალი დიქტატურა, ერთპიროვნული მმართველობა აღმოცენდეს. ჩვენთან დომინანტობის ეთიკაა და არა თანაბრობის. თანაბრობა ძვალსა და რბილში არ გვაქვს, მაინც ბატონობა-დაქვემდებარების მოდელი გვაქვს გამჯდარი. მაგალითად, თამადობა კარგი ტრადიციაა, მაგრამ ესეც იმის გამოხატულებაა, რომ ერთი მართავს მთელ პროცესს, არადა, ქამასმაა და თითქოს სპონტანური უნდა იყოს. რეალურად კი, თამადა გეტყვის, იცეკვე და უნდა იცეკვო; თამადა იტყვის, რაღაც მოვიწყინეთო და ვილაცეები იმღერებენ. კარგი ტრადიციაა, მაგრამ დომინანტობაზეა აგებული.

**– დასავლეთმა როგორ შეძლო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ყველა დონეზე: ბიზნესშიც, სახელმწიფო-მოქალაქისა და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაშიც? ერთი ტიპის ფეოდალიზმის პერიოდი გავიარეთ, ღირებულებათა სისტემაც ერთი გვაქვს, არადა, ჩვენ ისევ სადო-მაზოხისტური ურთიერთობის დონეზე ვართ.**

– ჩვენ ჩავრჩით ფეოდალურ მენტალიტეტში, იმიტომ რომ, კაპიტალიზმი არ გაგვივლია, სადაც ინდივიდუალიზმი ფასობს. თითოეული ინდივიდი იმიტომაა ღირებული, რომ თავისი აზრი აქვს. ეს ღირსებაა და არა ნაკლი, მაშინ, როდესაც ჩვენთან, თუ განსხვავებული აზრი გაქვს, ცუდი ხარ. დასავლეთმა დროის მეშვეობით დაძლია.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

***კითხვებს პასუხობს „ჰეალაინის“ პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი დეა პაპასკირი.***



**კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა ზაფხულში თმის გადანერგვა?**

**პასუხი:** თმის გადანერგვასა და გადანერგილი თმის ზრდა-განვითარებაზე სეზონურობა არ მოქმედებს. გადანერგილი თმა ზრდას იწყებს თმის ტრანსპლანტაციიდან ორი-ორნახევარი თვის შემდეგ.

ზაფხულის პერიოდში პაციენტთა მომართვიანობა, პირიქით, იზრდება საზაფხულო შვებულებების ხარჯზე. რადგან თმის გადანერგვის შემდგომ პოსტოპერაციული სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან ხანმოკლეა, შესაძლებელია, აქტიური დასვენება ზღვაზე, მთაში და ასე შემდეგ.

**კითხვა: რა საზაფხულო აქციებს სთავაზობს კლინიკა „ჰეალაინი“ თმის გადანერგვის მსურველებს?**

**პასუხი:** როგორც ყოველთვის, კლინიკა „ჰეალაინში“ ახლაც გვაქვს საზაფხულო აქციები, კიდევ უფრო ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი. კერძოდ, კლასიკური, სტრია მეთოდით თმის გადანერგვაზე 10-პროცენტიანი და გრძელი თმის და უნაკერო (FUE) მეთოდით გადანერგვაზე – 20-პროცენტიანი ფასდაკლებაა.

აგრეთვე, გთავაზობთ, გადასახდელი თანხის დაფარვას 0-პროცენტიანი საბანკო განვადებით.

**კითხვა: როგორ უნდა მოვემზადოთ თმის გადანერგვისთვის?**

**პასუხი:** თმის გადანერგვის მოსამზადებელი პერიოდი, ისევე, როგორც პოსტოპერაციული, ძალიან მარტივია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ მომზადებას: პაციენტი უნდა იყოს თავდაბანილი და არ ჰქონდეს მიღებული ალკოჰოლი.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**რამდენიმე წლის წინ სარკის წმიდა გიორგის მონასტრის მოსალოცად ვიყავი. ფეხით ავედით ყინწვისის ეკლესიიდან. დასახმარებლად ერთი მორჩილი ბიჭი ჩამოვიდა მონასტრიდან, რომელმაც ჩვენთვის რამდენჯერმე გამოიარა საკმაოდ რთული და გრძელი გზა. არაერთი სირთულის გადალახვა მოგვიწია... თუმცა, საოცარი იყო ემოციები, რომელიც ტყიდან გამოსვლისას ამ პატარა, კოხტა მონასტრის დანახვისას დაგვეუფლა. სარკის წმიდა გიორგის ხატთან მიახლებისთანავე, გულში უდიდესი იმედი, სიყვარული, სასოება ჩაგვესახა. სარკის წმიდა გიორგის მონასტრის ისტორიაც საოცრად საინტერესოა. იქ ძველად და დღესაც არაერთი სასწაული აღესრულება: სნეულები იკურნებიან, უშვილოებს შვილიერება მიენიჭებათ, ბიჭის მსურველებს კი, ვაჟები უჩნდებათ... პროფესორი, მხატვარი, მრავალი ცნობილი სიმღერისა და მელოდიის ავტორი, დავით გაჩეჩილაძე ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც სარკის წმიდა გიორგისგან არაერთხელ მიუღია შემწეობა და წყალობა. დღეს ის ამ დიდი წმიდანისა და უფლის წყალობით 4 გოგონას შემდეგ, უკვე 2 ვაჟის მამაა.**

# როგორ განკურნა სარკის წმიდა გიორგის ხატმა სიმსივნით დაავადებული ადამიანი და როგორ სწირავენ მას უშვილობისგან განკურნებული მშობლები აკვნებს

**დავით გაჩეჩილაძე:** „ვინც მომისმინა და გაიგო, ის ჩემი მიმდევარი გახდება, ვინც კარგად გაიგო – ის ჩემი მეგობარი“, – ბრძანებს თავად უფალი. ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ეროვნული გმირი, საქართველოს მეოხი და მფარველი, სულმნათი წმიდანი ამბობს: „იმისთვის, რომ დაინახო - უნდა ირწმუნოო”... ჩემს ცხოვრებაშიც სარკის წმიდა გიორგი შვიდი წლის წინ გამოჩნდა. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა მითხრა, რომ არსებობდა სალოცავი – სარკის წმიდა გიორგი, რომელიც უშვილოებსა და ძის მსურველებს შეეწეოდა. იმ დროს 4 ქალიშვილი მყავდა. მაშინვე დიდი სიხარული დამეუფლა, მივხვდი, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი. გვიანი იყო, მაგრამ არანაირ სირთულეს არ შევუშინდი, ჩავაწყვე ავტომობილში სურსათი, ჩავისვი მეგობარი და წავედით. შუაღამეს ავედით, რამდენჯერმე დავასიგნალეთ. მამაოს ყაჩაღები ვეგონეთ. მერე „უფალო შეგვიწყალეს“ ლოცვა წარმოვთქვი ხმამაღლა. მიხვდა, მორწმუნეები ვიყავით, კარი გაგვიღო და მითხრა: ამ ტყეში იმდენი მგელი და დათვია... პეტრესავით უშიშარი ყოფილხარ და პავლესავით – მოწყალე, რამდენი საჩუქარი ამოგვიტანე. იცოდე, ღმერთი ტყუპ ბიჭებს მოგცემსო. შემდეგ შეაღო კარი და შემიშვა მონასტერში. ფაქტია: ახლა უკვე 2 ბიჭი მყავს. მინდა აღვნიშნო, რომ სასწაულს არ ახდენს არც ვერცხლი, არც ფიცარი, არც ოქრო და არც ხატი. სასწაულს მხოლოდ და მხოლოდ უფალი იესო ქრისტე ახდენს, რომელიმე წმიდანის შემწეობით და იმის მიხედვით, ჩვენ რამდენად მზად და გულწრფელები ვართ. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა უნდა. შენი ფიქრები, ოცნებები უნდა დააკონკრეტო, რომ მერე მისი მატერიალიზაცია მოხდეს, უნდა იცოდე, რას ითხოვ ღმერთისგან, სამყაროსგან და მერე ის, თავისთავად გეძლევა.

ადამიანები წმიდანებს ხშირად სხვადასხვა დახმარებას სთხოვენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, წმიდანი სიცოცხლეში რა სასწაულებს ახდენდა ან რა კუთხით მოღვაწეობდა, როგორ ეწამა, გარდაცვალების შემდეგ როგორ შეეწეოდა ადამიანებს. წმიდა გიორგი განსაკუთრებული წმიდანია. მას სხვადასხვა თხოვნით მიმართავენ. სარკის წმიდა გიორგიც სხვადასხვა თხოვნით მოსულ ადამიანებს შეეწევა, რადგან მან თავის სიცოცხლეში უამრავი განსაცდელი, ტკივილი, ტანჯვა დაითმინა. ამიტომაც, მიიჩნევა ის ტყვეთა გამათავისუფლებლად, გლახაკთა ხელისამპყრობელად და სნეულთა მკურნალად. სარკის წმიდა გიორგის კი, ხშირად უშვილოები სთხოვენ შეწევნას და შვილიერება მიემადლებათ, მძიმე სნეულებისგან განკურნებას სთხოვენ და იკურნებიან. პირველად, როდესაც სარკის წმიდა გიორგის ხატი ვნახე, დაზიანებული იყო. შევპირდი: თუ ვაჟი მეყოლება, აუცილებლად შემოგწირავ ორხიდიან მანქანას-მეთქი, რაც შემდეგში ავასრულე და ასევე, ამოვიყვანე ჩემი მეგობარი, რესტავრატორი, ხატმწერი თემურ ჯაფარიძე, რომელმაც უსასყიდლოდ აღადგინა ხატი. ის, ხელში ატატებული, მონასტრის გარშემო სამჯერ შემოვატარეთ, თან წმიდა გიორგის ტროპარს ვგალობდი. როდესაც უფროსი ვაჟი ორი წლის გახდა, მადლობის სათქმელად ავიყვანე. მახსოვს, 30 ივლისი იყო, წმიდა მარინას



ყოფილა შემთხვევა, რომ ურმით მის კარამდე მიყვანილი დავრდომილი, თავისი ფეხით შესულა მონასტრის ეზოში

ხსენების და ჩემი დაბადების დღე. ამ დღეს ვთქვით მადლობა, ვილოცეთ და დავპირდით უფალს, რომ ყველა მომდევნო შვილს ღვთისმოშიშად აღვზრდიდით. ზუსტად ერთი წლის თავზე, ჩემს დაბადების დღეზე, გაჩნდა მეორე ვაჟი, პატარა გიორგი – ასე ამისრულა ღმერთმა ეს თხოვნა. წელს უკვე გიორგი იყო მადლობის სათქმელად ასული. იმედი მაქვს, გაისად კიდევ ერთი ვაჟით გავამდიდრებთ ქართულ გენოფონდს.

**– როგორც მე მახსოვს, წლების წინ სწორედ წმიდა გიორგის საფლავზე დაიწერეთ ჯვარი თქვენს მეუღლეზე, ხათუნა კეთილაძეზე.**

– ეს მოხდა ისრაელში, ქალაქ ლოდში, სადაც წმიდა გიორგის საფლავია. 23 ნოემბერს, გიორგობაზე დავიწერეთ ჯვარი. წინასწარ ვიცოდით, რომ იქაური, ანუ ბერძენი მღვდელმონაზონი არ დაგვწერდა ჯვარს. ეს თავად გვითხრა: ბერი ვარ, ვერ დაგწერთ ჯვარს და იქნებ, ქართველი სასულიერო პირი ჩამოიყვანოთ, იმან დაგწეროთ ჯვარიო. ჩვენთან ერთად წამოსვლა ვთხოვეთ: ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტს, მეუფე თადეოზს (იორამაშვილი), რომელიც საოცარი სულიერების მქონე ადამიანია. მონასტერში მეუფეს დიდი პატივით შეხვდნენ. ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებისას, მან ბერძენ არქიმანდრიტს უთხრა: უკვე ასაკში ვარ, სიარული მიჭირს, მე ლოცვებს წავიკითხავ, შენ მოჰკიდე ამათ ხელი და ღვინო ახმიე ბარძიმიდანო. ამ დროს გაიღო კარი, შემოვიდა რუსეთის დელეგაცია, რომელსაც თან ახლდა სქემარქიმანდრიტი არსენ რომანოვი – რუსეთის სამეფო გვარის შთამომავალი, ბერი, რომელიც იერუსალიმის კიტში ცხოვრობს, მაცხოვრის საფლავიდან 50 მეტრში და ყოველღამე წირავს უკვე 15 წლის განმავლობაში, უდიდესი მადლის მატარებელია. მეუფემ უთხრა: მოდი, მოდი, შენ კიდევ ხელები შეუკარი და საფლავის გარშემო შემოატარეო. ისე მოხდა, რომ სამმა ეკლესიამ დაგვადგა გვირგვინი, სამი ეკლესია მონაწილეობდა ჯვრისწერაში: საქართველოს, საბერძნეთისა და რუსეთის, თან ყველგან უმაღლესი სასულიერო პირები იყვნენ. ამას წინ უძღოდა ასეთი პროცესი: მონასტერში არ იყო გვირგვინები და მეუფე თადეოზის ლოცვა-კურთხევით, წმიდა გიორგის საფლავზე ამოსული ზეთისხილის ხიდან მოვჭერით ტოტები, გავაკეთეთ გვირგვინები, რომელიც თავზე დაგვადგეს. წმიდა მიწაზე არსებული პატარა ფოთოლიც კი დიდი სიწმიდეა და მით უმეტეს, თუ ის წმიდანის საფლავზე ამოსული ხეა – უფრო დიდი სიწმიდე. თან, იკურთხა და ჯვრისწერაში მიიღო მონაწილეობა. დღემდე, ორივე ჩემს საძინებელში, შესასვლელ კართან კიდია. ყოველ ჯერზე, როდესაც ჩემთან გასათხოვარი ან გაუთხოვარი გოგონები მოდიან, მათ თითო ფოთოლს ვაძლევ. ვინც სარწმუნოებით, რწმენით მიიღო, ოჯახიც შექმნა და შვილებიც გაუჩნდათ, რადგან ყველაფერი ჩვენს მიმღეობაზეა დამოკიდებული. წმიდა გიორგის საფლავზე რომ ჩადიხარ, იკეთებ იმ ჯაჭვს, რომელზეც წმიდანი ეწამა და ასევე, მიეახლები წამების იარაღებს. იმ დროს მე შემოსილი ვიყავი ჩოხა-ახალუხით, რომელიც ჯვრისწერისთვის შევიკერე. ჩემი ხანჯალი მივადე წამების იარაღებს და რა თქმა უნდა, მასზეც გარკვეული სიწმიდე გად-

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

მოვიდა. ცოტა ხნის წინ, როდესაც სარკის წმიდა გიორგის მონასტერში ვიყავი, ვილოცე, პარაკლისი გადავახდევინე, ერთი სულიერი აზრი მომივიდა: ხატისთვის შემეწირა ეს ხანჯალი. როდესაც კიოტი გავხსენით, აღმოჩნდა, რომ ხატზე დახატული ხმალი ზუსტად იმ ზომის იყო, რამხელაც ჩემ მიერ შეწირული ხანჯალია. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში გაჩნდა ხანჯლიანი ხატი. თუმცა, საბერძნეთში არსებობს წმიდა გიორგის ხატი, რომელშიც პატარა ხმალი დევს. მას წელიწადში ერთხელ გიორგობაზე გამოაბრძანებენ ხოლმე და სასულიერო პირი შუბის წვერით უკითხავს ადამიანებს „ლახვრის“ ლოცვას და ისინიც კურნებას იღებენ. იმედი მაქვს, ხანჯალი, რომელმაც მოილოცა წმიდა გიორგის საფლავი, შეეხო წამების იარაღებს და დღეს ის სარკის წმიდა გიორგის ხატს ამშვენებს, მომავალში ხალხს გამოადგება და მათ განკურნებაში მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ უფალი სასწაულს იმის მიხედვით ახდენს, ჩვენ რამდენად გულწრფელები და რამდენად სასწაულის მიმღები ვართ.

**– ახლახან სარკის წმიდა გიორგის მონასტრის ტერიტორიაზე ბერების თავის ქალები და ჩონჩხები აღმოაჩინეს...**

– ბოლო პერიოდში მონასტერში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, აშენდა სენაკები, სამრეკლო, გადაიხურა ტაძარი. ასევე, მოწესრიგდა ტაძრამდე მისასვლელი გზა. დაახლოებით ერთი თვის წინ კი, ტაძრის ეზოს მოწესრიგებისას, აღმოაჩინეს 40-მდე ახალი სამარხი, მათ შორის ბერების სხეულის ძვლები და თავის ქალები. ისტორიულად მონასტერი მეჩვიდმეტე საუკუნეშია აგებული, მეცხრამეტე საუკუნეში – აღდგენილი. თუმცა, ეს აღმოჩენები იმაზე მიუთითებს, რომ აქ უფრო ადრეც ყოფილა სამონასტრო კომპლექსი. ანუ, მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში უკვე არსებობდა მონასტრული ცხოვრება.

**– მონასტრის ისტორია კიდევ უფრო ძველი დროიდან იწყება.**

– ეკლესია, რომელშიც ეს ხატია დაბრძანებული, ქარელის რაიონში მდებარეობს. ეკლესიასაც და ხატსაც თავისი საოცარი ლეგენდის შარავანდედი ჰმოსავს. გადმოცემით, ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენთან არის „დედოფლის მინდორი“ და „დასასრულად“ წოდებული ადგილი, რაც წმიდა, შენახულ ადგილს ნიშნავს. იქ გლეხკაცი არც ხნავდა და არც საქონელს უშვებდა. დაცვისა და შეუხებლობის ნიშნად, ამ მდელოს ხნულის შემოვლებით სარყავდნენ. ერთ-ერთი სარყვის დროს დაღლილ გუთნისდედას ჩასძინებია და საკვირველი ჩვენება უხილავს. გამოღვიძებულს არავისთვის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ღვთისაგან მითითებულ ნიშანს ელოდა, რომელსაც ხვნა უნდა შეეფერხებინა. მართლაც, უეცრად, სარყვისას ულღეული შედგა და ადგილიდან აღარ იძვროდა. მეხრეს ხარების გასაფიცხებლად შოლტი გადაუკრავს გუთნის შემაფერხებელ მცენარეთა ფესვების ლანძღვით. მაგრამ, გულწასული მეხრე მაშინვე მიწაზე დაენარცხა და სული განუტევა. ხნულის გათხრისას დიდმოწამე გიორგის ქვაში ნაკვეთი ხატი გამოჩნდა. დღესაც აქ, „დასარყულ“ მინდორზე წმიდა გიორგის ბარელიეფში ნაკვეთი ქვის ხატი დევს, რომლის შესახებაც გუთნისდედას ჩვენებაში ეუწყა, რომ ამოებრძანებინა და გაუხედნავ ხარებზე დაედო. სადაც ხარები დაღლილნი დაწვებოდნენ, იქ აეგოთ დიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესია. ურემზე დაბრძანებული ხატით ხარებმა თრიალეთის ქედს მიაშურეს. ეკლესიისკენ მიმავალი გზის შუაში საჯავარედ წოდებული შესასვენებელი ადგილია. სწორედ აქ შეჩერებულან დაღლილი ხარები, შეუსვენიათ და გზა განუგრძიათ. დღეს აქ მორწმუნენი ჩერდებიან, რომ ძალამოკრებილნი კვლავ შეუდგნენ ეკლესიისკენ მიმავალ აღმართს. ბოლოს ხარები არაქათგამოცლილნი დაწოლილან. ამ ადგილას სამი მონაზონი შეკრებილა, რომელთაც, ღვთის შემწეობით, აუგიათ სარყის, ახლა უკვე სარკის, წმიდა გიორგის ეკლესია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ანუ, წარმართულ პერიოდში, ამ ადგილას ქურუმების ტაძარიც ყოფილა, რომლის ნიშნები ახლაც შემორჩენილია. ანუ, ჯერ კიდევ ძველად, ეზოთერულად, ეს ადგილი კოსმოსთან კავშირის დასამყარებლად მნიშვნელოვანი წერტილი იყო. ის, ვინც ამ გზას ფეხით ან ავტომობილით გაივლის, დარწმუნდება, რომ მართლაც ამაღლებული გზაა და მონასტერში მისვლამდე, ადამიანი სხვანაირად განეწყობა, სიწმიდესთან შესახვედრად ემზადება...



ხატიც, ეკლესიას – ეს არის სარკმელი, რომლითაც უფალს უნდა ვესაუბროთ. პირადად მე, ათეულობით ადამიანი მყავს სარკის წმიდა გიორგის მონასტერში გაგზავნილი, დაიმედებული, როგორც უშვილოები, ასევე ვაჟის მსურველები. პასუხად, ვიცი, 11 შემთხვევა, რომელიც მადლიერებით, განკურნებით დასრულებულა, მათ შორის, ისიც, თუ როგორ გაუჩნდათ 22 წლის შემდეგ, უშვილო ცოლქმარს ტყუპი ბიჭი. ასევე, ასეთი გზით დაბადებული სამი ბავშვის ნათლია გავხდი – მშობლებმა მადლიერების ნიშნად ასე გადაწყვიტეს.

**როდესაც კიოტი გავხსენით, აღმოჩნდა, რომ ხატზე დახატული ხმალი ზუსტად იმ ზომის იყო, რამხელაც ჩემ მიერ შეწირული ხანჯალია. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში გაჩნდა ხანჯლიანი ხატი**

**– ძველადაც ხდებოდა ამ ადგილას სასწაულები?**

– ახლა ტაძრამდე მისასვლელი გზა სოფელ ლეთეთიდან არის, ადრე კი ყინწვისიდან იყო. ამჟამად, ეს გზა არ ფუნქციონირებს და ვეძებთ სახსრებს მის აღსადგენად. ერთხელ სარკის წმიდა გიორგის ეკლესიაში ცხვარი მიუყვანიათ შესაწირად. ტრადიციისამებრ, ცხვარი ტაძრისთვის უნდა შემოეტარებინათ. მაგრამ, ხელიდან დაუსხლტათ და უეცრად, სამი კილომეტრით დაშორებული ყინწვისის ეკლესიისკენ გაიქცა. იმ დღეს ყინწვისობა ყოფილა. დადევნებულებმა საოცრება იხილეს – ცხვარი გზის მიუთითებლად ყინწვისის ეკლესიაში მივიდა, სამჯერ გარშემო შემოუარა და კვლავ სარკის ეკლესიისკენ გამოსწია. ეკლესიის კართან წინა ორი ფეხი მოიდრიკა და დაჩოქილმა თავი მიწას დაადო – ღვთის მსხვერპლის ნიშნად. ამის ხილვით შეძრული ხალხი შემოქმედს განადიდებდა და უფალს მადლობდა, რომელმაც პირუტყვის მიერ განსწავლა მცირედ მორწმუნენი თავმდაბლობასა და ღვთისმორჩილებაში. დღეს მონასტერი ქველმოქმედებას ეწევა. ბერები ეკლესიისთვის შეწირულ ცხვრებს, ბატკნებს ხშირად გასცემენ მშივრებზე, ობლებზე, გაჭირვებულებზე. ამას წინათაც მამაომ გამოგვატანა და ჩავუტანეთ გლდანში არსებულ ინკლუზიურ ბავშვთა სახლს – ეს უფრო მეტად შეიწირება, ვიდრე მათი დაკვლა და ღრეობა. სხვათა შორის, ძველად, ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ღრეობებს აწყობდნენ, თუმცა არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. ვიღაცას წმიდა გიორგისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია. უცბად საშინლად გაწვიმებულა და იმ ადგილას, სადაც ის ადამიანი იდგა, მეხი ჩამოვარდნილა, რომელმაც ხე გააპო შუაზე. ამის ნახვისას, მაშინვე მოუნანიებია და სინანულში ჩავარდნილა.

დღესაც გიორგობას სარკის წმიდა გიორგის ტაძარში უამრავი მომლოცველი მიდის, ზოგი კლდოვან გზას ფეხშიშველა მიუყვება. როგორც ამბობენ, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე ამის გამო გაციებულიყო, ან ფეხი დაზიანებოდა.

სარკის წმინდა გიორგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა, ჩვილთა მფარველი. ძველ დროში მომხდარ სასწაულებს თუ ლეგენდის საბურველი ჰბურავს, არც ჩვენს დროში მომხდარი სასწაულების სიმცირეს უჩივის – დღესაც ნახავთ უამრავ წყვილს, რომელთაც ამ ხატის მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი. მადლიერების ნიშნად, ეს ოჯახები ეკლესიას აკვნებს სწირავდნენ და წლების წინაც, ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. ყოფილა შემთხვევა, რომ ურმით მის კარამდე მიყვანილი დავრდომილი თავისი ფეხით შესულა მონასტრის ეზოში. სარკის წმიდა გიორგის ხატზე შუბია გამოსახული, რომლის წვერთან შეხებისას, არაერთხელ განკურნებულან დაავადებული ადამიანები, მათ შორის, სიმსივნით დაავადებულებიც. ერთ ქალს საშვილოსნოს კიბო ჰქონდა, შვილიერების იმედი კი არა, მისი სიცოცხლეც საფრთხეში იყო. სარკის წმიდა გიორგის მონასტერში სიარულით, აღსარებით, ზიარებით, ის წმიდა გიორგიმ განკურნა. დღეს მას ვაჟი ჰყავს, ღვთისმოშიში დედაა და შვილს ღვთისმოსავად ზრდის...

სარკის წმიდა გიორგის მონასტერი, ეს არის ადგილი, სადაც ღმერთთან ძალიან ახლოს ხარ და კარგად გრძნობ მის არსებობას. მონასტრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი მამა შიო განსწავლული და სულიერი ადამიანია. მონასტრის საძმოც განსაკუთრებული სისპეტაკით გამოირჩევა. იქ მუდმივად გრძნობ, როგორ დადიან შენ გარშემო განღვრთობილი ადამიანები, რომლებიც თითქოს უხილავი ბერებივით დაფრინავენ და ფუტკრებივით დაფუსფუსებენ... ყრმათა მფარველი და უმწეოთა შემწე წმიდა გიორგი ფარავდეს ყველა ბავშვსა და გაჭირვებულს!

**ნათია უტიაშვილი**

**ახალ მთავრობაში დიასპორებთან ურთიერთობის სამინისტროს გელა დუმბაძე უხელმძღვანელებს, რომელსაც ამ სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. როგორც თავად ამბობს, ამ სფეროში უცებ, პარაშუტით არ მოხვედრილა – ის იმ კონცეფციის ავტორია, რომლის საფუძველზეც წლების წინ საქართველოში დიასპორებთან ურთიერთობის სამსახური შეიქმნა. როგორც ყველა გურული, ბატონი გელა ძალიან გახსნილი და კომუნიკაბელური, არაჩინოვნიკური ადამიანია, ნოდარ დუმბაძის ღვიძლი ბიძაშვილი, რომელსაც ბავშვობის წლები გურიაში აქვს გატარებული. არც იუმორთან არის მწყრალად, თუმცა ამაზე და მისი „უჰალსტუხო" პორტრეტის სხვა ისტორიებზე, თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# რატომ ეგონა დიასპორის ახალ მინისტრს სესილია თაყაიშვილი საკუთარი ბებია და როგორ გახდა ის ომამდე ტანკისტი

**გელა დუმბაძე:** პირველი პირის რანგში ჩვეულებრივი განცდა მაქვს. იმის გამო, რომ მინისტრი გავხდი, პიროვნული შეგრძნებები არ შემცვლია. ეს ალბათ, იმის დამსახურებაა, რომ უცებ, პარაშუტით არ ჩამოვფრენილვარ აქ. უკვე 17 წელია, რაც სახელმწიფო სამსახურში ვარ, ჩემი ცხოვრებისეული გზა და სტაჟი, როგორც ჩანს, ლოგიკურად მოვიდა აქამდე. მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ჩემი შრომითი ბიოგრაფიის დიდი ნაწილი საგარეო საქმეთა სამინისტროში გავატარე, სადაც დავიწყე მუშაობა სტაჟიორად და გავიარე ყველა ეტაპი. ვიყავი ინფორმაციის დეპარტამენტის მოადგილე, დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, ვიმუშავე ოთხ საელჩოში – მრჩევლად აზერბაიჯანსა და რუსეთის ფედერაციაში, უფროს მრჩევლად უკრაინაში და ასევე, ვიყავი უფროსი მრჩეველი და ელჩის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში. ზოგიერთ ახალგაზრდა დიპლომატს ურჩევნია არჩევანი ევროპულ, კომფორტულ ქვეყანაზე გააკეთოს, მე სხვა მიდგომა მქონდა – სულ ვფიქრობ, რომ კარგი დიპლომატი უნდა იყოს თავისი ქვეყნის ჯარისკაცი. ის უნდა წავიდეს იქ, სადაც შესაძლოა ნაკლები კომფორტია, მაგრამ – გადაუდებელი ამოცანები. ამიტომაც, სადაც გამიშვეს, მეც იქ წავედი.

**– პროფესიით ხართ ფილოლოგი და ორი წიგნის ავტორი, როგორ მოხვდით დიპლომატიაში?**

– შვიდი წელი ვსწავლობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. რა ამბავია შვიდი წელიო, თუ მკითხავთ, გეტყვით, რომ აქედან ორი წელი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გავატარე. ომამდე ტანკის უფროსი ვიყავი, ეს დამტკიცებულია, დამტკიცება აღარ სჭირდება ***(იცინის).*** როცა პირველად შევხედე ტანკს, ვიფიქრე, ამაზე ხელს ვინ დამაკარებინებს-მეთქი, მაგრამ ერთ თვეში უკვე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე უდაბნოში ვიყავი სწავლებებზე. უნივერსიტეტში სწავლის დროს, ჩამოვაყალიბე ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია და ვიყავი მისი ხელმძღვანელი, ასევე, ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე და აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი დავით გარეჯის აქციაში. ინტენსიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ მერაბ კოსტავას გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში მოვიდა სხვადასხვა ტიპის შემთხვევით ძალები, მივხვდი, ჩემი ადგილი იქ აღარ იყო. წავედი და პლეხანოვზე, „პადვალში" გავხსენი საბავშვო ესთეტიკური საგანმანათლებლო სასწავლებელი და ვიყავი სკოლის დირექტორი. ეს იყო ჩემი ცხოვრების ძალიან საინტერესო პერიოდი. სხვადასხვა სკოლიდან მოსულ ბავშვებში უტარდებოდათ ლექციები იმ დისციპლინებში, რაც მაშინ სასკოლო პროგრამებში არ იყო. ერთი წლის განმავლობაში 16 ექსკურსია გავუკეთე ბავშვებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ეს იყო სახალხო სკოლის ტიპის სასწავლებელი. სამასამდე ბავშვიდან მხოლოდ 65 პროცენტი იხდიდა გადასახადს, ისიც მინიმალურს. ზოგიერთი, გაჭირვებული ოჯახის ბავშვი საერთოდ არაფერს იხდიდა. მერე ამ ქვეყანაში ყველაფერი მოიშალა და იძულებული გავხდი, სკოლა დამეხურა. ფიროსმანის დუქანივით დავხურე სკოლა, ბოლოს უკვე ჩემი ჯიბიდან ვუხდიდი ფულს პედაგოგებს. თუმცა, დღემდე მიმაჩნია, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ძალიან ბედნიერი წლები.



**თუ ვიფიქრებ, რომ ჩემი ცოდნა არავის სჭირდება, დავიხურავ ქუდს, წავალ ჩოხატაურში და თევზს დავიჭერ გუბაზეულში**

**– როგორ „გიპოვათ" ახალმა ხელისუფლებამ? ვინ გაგიწიათ რეკომენდაცია პრემიერთან ან რა გაკავშირებდათ მასთან?**

– ბოლო პერიოდში სულ ვამბობდი, რომ საქართველოში დაბრუნება მინდოდა. ამის შესახებ მივწერე ჩემს მეგობრებს. თბილისში რომ ჩამოვედი, მეორე დღესვე დამიძახეს პრემიერ-მინისტრთან, რომელმაც მინისტრის მოადგილის პოსტი შემომთავაზა. ეს იყო ორი თვის წინ. იქამდე კი ვიცნობდი ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ არანაირი ურთიერთობა არ გვქონია. მე არც მქონია სურვილი ბოლომდე მომეძია „კვალი", თუ პირადად ვინ მიიტანა ჩემი კანდიდატურა პრემიერამდე. იყო სხვადასხვა შემოთავაზება, მაგრამ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ პრემიერმა აქცენტი გააკეთა პროფესიონალიზმზე და არა პარტიულ კუთვნილებაზე, როგორც ეს იყო ადრე. მე შევარდნაძის ხელისუფლების დიპლომატიც ვიყავი, ცხრა მინისტრი მყავს გამოცვლილი საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ არასდროს, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ და არც ვაპირებ, რომ გავხდე.

**– რა შეიცვლება თქვენი მინისტრობის დროს დიასპორებთან ურთიერთობებში?**

– გაძლიერდება დიასპორებთან ყოველდღიური კონტაქტი მათ საჭიროებებსა და სულიერ მდგომარეობებზე. დაგეგმილი გვაქვს ძალიან საინტერესო პროექტები, მათ შორის „ონლაინ-სკოლა". თბილისში იქნება მასწავლებელი, რომელიც ლაივში ჩაუტარებს გაკვეთილებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში ავსტრალიაში, ტაილანდში თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებს, მათ მშობლებსა და ბებია-ბაბუებს. ონლაინ-პროგრამებით უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვი საკუთარი თვალით ნახავს, მაგალითად, როგორ მიმდინარეობს ქართული რთველი, ჩურჩხელების ამოვლება. ჩვენ ვიმუშავებთ აქტიურად როგორც ისტორიული დიასპორის, ასევე, თანამედროვე დიასპორის მიმართულებით. როდესაც სხვა ქვეყანაში ხარ ორი-სამი კვირით, სულ სხვაა და როცა იქ ცხოვრობ, სულ სხვა. ეს არის დიდი ცოდნა. მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი დიასპორის წარმომადგენლების ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები, განცდები. ეს საინტერესოა. ადამიანმა აუცილებლად უნდა იგრძნო, რა არის სამშობლოს ნოსტალგია. საქართველოზე უკეთესი ქვეყანა არსად არაა, ეს არაერთხელ მიგრძნია, თუნდაც უკრაინაში, როცა შორს არ ვიყავი საქართველოდან და სადაც ოთხი წელი ვიცხოვრე.

**– დიპლომატიას ჩამოშორდით, თუ როგორც გურული გენეტიკურად ხართ დიპლომატი?**

– ფრაზა, არ არსებობს ყოფილი დიპლომატი მართალია, ცოტა გაცვდა, მაგრამ ეს ასეა. მე ვრჩები დიპლომატიაში და ამ საქმეშიც. გურულებს ძალიან დიდი დიპლომატია ისედაც გვაქვს. ნოდარ დუმბაძეს აქვს ნათქვამი, ყველაზე დიდი ინტელიგენტი იყო ბაბუაჩემი, რომელიც მაშინაც კი დგებოდა ფეხზე, როცა სახლში მეზობლის სამი წლის ბავშვი შემოდიოდაო. გურულებს გენეტიკურად მოგვდევს რამდენიმე დიპლომატიური თვისება. გურულები ძალიან ჩქარები არიან, დიპლომატიის ერთ-ერთი წესია: „იჩქარე ნელა." მეც ნელა ვჩქარობ, ოღონდ მუდამ ვჩქარობ. ეს დიპლომატიიდანაც მაქვს და გურიიდანაც.

**– დიდ ქართველ მწერალთან ნათესაური კავშირი გაქვთ?**

– კი, ალალი ბიძაშვილები ვართ. მამაჩემი და ნოდარის მამა იყვნენ ძმები. ცნობილი ოლღა იყო ჩემი ბებია, ოღონდ ის გარდაიცვალა ჩემს დაბადებამდე ხუთი წლით ადრე. საკმაოდ დიდხანს სესილია თაყაიშვილი ბებიაჩემი მეგონა. სოფელ ზემობანში გვაქვს აგარაკი, რომელიც დგას მამიდაშვილის სახლთან ერთად ეზოში, რომელიც ითვლება ნოდარ დუმბაძის სახლად. მე თბილისში ვარ დაბადებული, 55-ე სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ ზაფხულს ყოველთვის ვატარებდი სოფელში, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო საზაფხულო „სასიამოვნო გადასახლებები" ***(იცინის).***

**– იუმორი ცნობილი ბიძაშვილის დარი გაქვთ?**

– მისი მსგავსი იუმორი მე მგონი არავის არ აქვს, თუმცა მეც მიყვარს კარგი იუმორი, რომელსაც კარგადაც ვიყენებ დატვირთული გრაფიკის და რთული მდგომარეობის დროსაც კი. რაღაც პერიოდში გავაცნობიერე, რომ დიპლომატია ძალიან ძაბავს ადამიანს, როელსაც აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ერთი პერიოდი

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

*მარიამ და ანა ხარიტონაშვილებს*

მარიამ და ანა, ჩვენო პატარა ანგელოზებო, გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთმა ჯანმრთელობი და ბედნიერება გამყოფოთ თქვენს პატარა დაიკოსთან, ნინოსთან და ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად!

**დათო და იუზა**

# როგორ მოვუაროთ თვალის გარშემო კანს ზაფხულში

ისეთ ცხელ დღეებში, როგორიც ივლისსა და აგვისტოშია, აუცილებლად გვჭირდება კოსმეტოლოგის რჩევები იმისთვის, რომ ფორმაში ვიყოთ. ალბათ, ყველამ იცის თვალების ირგვლივ არსებული კანის სიფაქიზის შესახებ, რადგან ყველაზე ნაკლებ ელასტინს შეიცავს (ცილა, რომელიც ქსოვილების სწრაფი და სრულყოფილი აღდგენისთვის გვესაჭიროება) და, სამწუხაროდ, ორგანიზმსაც ყველაზე მინიმალური რესურსი აქვს თვალების ირგვლივ არსებული კანის საკვებად და დასაცავად. არადა, დღის განმავლობაში საკმაოდ დიდ დატვირთვას უმკლავდება ეს ზონა: ხშირი მიმიკური მოძრაობები, თვალების დახამხამება საშუალოდ 40 000-ჯერ. ამ ზონის დილით და საღამოს სათანადოდ გაწმენდა და დამატენიანებელი საცხის წასმა ნებისმიერი ქალის დღის რუტინის აუცილებელი ნაწილია. თუმცა, მოვლის მოთხოვნები სეზონიდან სეზონამდე იცვლება და გამონაკლისს არც ცხელი თვეები წარმოადგენს – ამ პერიოდის ყველაზე ხშირი პრობლემები სიმშრალე, წვრილი ნაოჭები და თვალის ქვეშ სილურჯეებია, რაც მზეზე დიდხანს და დაუცველად ყოფნის შედეგია. რას გვირჩევენ კოსმეტოლოგები ზაფხულის თვეებში თვალის ზონის მოსავლელად?

1. ყოველდღიურად გამოიყენეთ SPF-ის შემცველი თვალის დამატენიანებელი საცხი, რომელიც კანსაც ატენიანებს და იცავს კიდეც მას. ამდენად, კანი ნაკლებ ძალისხმევას გამოიყენებს რადიაციისგან თავდასაცავად, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტი რესურსი დარჩება საიმისოდ, რომ მოხდეს გარკვეული რაოდენობის სითხის მარაგის ფორმირება და შენარჩუნება.

2. აკონტროლეთ დღის განმავლობაში მიღებული წყლის რაოდენობა. არავითარი დამცავი საცხი არ გიშველით, თუ ორგანიზმს წყლის დეფიციტი გაუჩნდება. მიიღეთ დღის განმავლობაში მინიმუმ 2 ლიტრი წყალი – ეს ნაადრევი დაბერების გარდა თვალის შეშუპებისგანაც კარგად დაგიცავთ.

3. თუ თქვენ ფხვიერ თვალის ჩრდილებს იყენებთ, აუცილებლად უნდა გამოიყენოთ ბაზა ჩრდილის წასმამდე. ასეთი ფხვიერი კოსმეტიკა საერთოდ კანიდან ტენს იღებს, ამიტომაც, თუ მაკიაჟის ბაზას წაისვამთ ქვედა ფენად, ეს ერთგვარ დამცავ საფარს შექმნის.

4. იშვიათად გამოიყენეთ ზაფხულის დღეებში მბზინავი ნაწილაკების შემცველი ჩრდილები. როგორც ირკვევა, ეს ნაწილაკები საკმაოდ აგრესიული შეიძლება იყოს სიცხეში: კანზე დიდი ხნით დატოვების შემთხვევაში, მათ შესაძლოა მიკროდაზიანებები გამოიწვიონ, რომლებიც, თავის მხრივ, კანის გაღიზიანებებში გამოვლინდება.

მოკლედ, მზის წინაშე „მომზადებულები წარსდექით", მიიღეთ დღეში მინიმუმ 2 ლიტრი „ბაკურიანი" და გაითვალისწინეთ კოსმეტოლოგების ზემოთ მითითებული დანარჩენი რჩევებიც.

**ნინო მდივანი**



**ცოტა ხნის წინ საქართველოს უკვე მეხუთედ ესტუმრა ჰოლივუდელი ფოტოგრაფი და კინოდოკუმენტალისტი, რომელმაც თითქმის დაასრულა მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე – „უანგარო მსახურება“, რომელშიც ნაჩვენებია საქართველოს 12 მონასტრის ბერების ყოფა-ცხოვრება. რეჟისორი ამბობს, რომ სჯერა ბედისწერის და სწორედ ბედისწერას მიაწერს თავის პირველ ვიზიტს საქართველოში.**

# გახდება თუ არა „ემის“ მფლობელი ხელოვანის, ჯეიმს ჰიგინსონის სავიზიტო ბარათი ქართველ ბერებზე გადაღებული ფილმი „უანგარო მსახურება“

– მე ვარ ჯეიმს ჰიგინსონი, ფოტოგრაფი და კინორეჟისორი. ვასწავლი ფოტოგრაფიას ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში. საქართველოში უკვე მეხუთედ შედგა ჩემი ვიზიტი. ამჟამად ვიღებ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს ბერების ცხოვრებისა და მონასტრების შესახებ, რომლის სახელწოდებაა „უანგარო მსახურება“, სადაც ძამის ხეობის ათზე მეტი მონასტერი ერთიანდება. ფილმს აქვს მეუფე იობისა და მისი უწმიდესობის კურთხევა.

**– როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება საქართველოსთან?**

– მე მყავდა ქართველი სტუდენტები და, სწორედ მათი დაჟინებული თხოვნით, პირველად სამი წლის წინ ჩამოვედი აქ. ისინი საკმაოდ ხშირად მეუბნებოდნენ, რომ აუცილებლად უნდა ვსტუმრებოდი საქართველოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრს დავკარგავდი. ისე დამაინტრიგებლად მიყვებოდნენ თავიანთი ქვეყნის შესახებ, რომ, არ შემეძლო, ერთხელ მაინც არ ჩამოვსულიყავი. მათ ძალიან უნდოდათ, ჰოლივუდური სტილი და ამერიკული ოპტიმიზმი ჩამომეტანა საქართველოში.

**– რამ მოგხიბლათ პირველ ვიზიტზე ისე, რომ მეორედაც დაბრუნდით საქართველოში და, თანაც, კონკრეტული გეგმით?**

– როდესაც ჩამოვედი, მივხვდი, მართლაც ბევრს დავკარგავდი, რომ არ მენახა თქვენი ქვეყნის ის სილამაზე, რაც ღმერთმა გარგუნათ. მოვიხიბლე ნატურალური ბუნების სიმდიდრით, რომელსაც პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული და რომელიც გულგრილს არ ტოვებს ადამიანს. თუკი ცოცხალი ხარ და თვალდახუჭული არ დადიხარ, აუცილებლად გაგიჩნდება შემოქმედებითი სურვილი, დაწერო ლექსი, დახატო ტილოზე, გადაიღო ფოტო ან ვიდეოკადრებად ასახო შენი თვალით დანახული რეალობა.

**– რატომ მოგინდათ, მაინცდამაინც მონასტრის ბერებზე გადაგეღოთ ფილმი?**

– მე მსურს, მსოფლიოს ვაჩვენო ქართველი ბერების თავდადება და ძამის ხეობის საოცარი სილამაზე. ეს არის რაღაც მისტიკური სამყარო, საოცრად მომნუსხველი, რომელიც გაჯადოებს და ამოუხსნელ გრძნობებს აგღიძრავს; გარდა ამისა, ჩემს თავში მოსულ იდეას, რომლის განხორციელებასაც ვიწყებ, ინტუიციურად, ყოველთვის ღმერთისგან გზავნილად აღვიქვამ და ეს ფილმიც სწორედ ამის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე ვარ, ჩემთვის მთავარი მაინც ღვთის რწმენა და მისი ზოგადი მოწოდებებით ცხოვრებაა და, შემდეგ – დანარჩენი ყველაფერი.

**– როგორც ვიცი, ამ ყველაფერს საკუთარი ფინანსებით აკეთებთ. არ გიჭირთ?**

– პირველ ყოვლისა, ჩემი საქმე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მე არ ვიღებ კომერციულ ფილმს, რომელიც ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ფინანსების უქონლობის გამო, გადაღების პროცესი დროში იწელება. ჩემი გუნდი მულტინაციონალურია და, შესაბამისად, მათ მიერ გაწეული სამსახური ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ცოტა ხნის წინ ჩავერთეთ https://www.indiegogo.com/ არის საიტი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფინანსების აკუმულირება, ანუ, შესაწირის სახით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ერთჯერადად, 10 დოლარიდან 10 000 დოლარამდე თანხა გადარიცხოს და შემომწირავთა სახელზე აღევლინება სამადლობელი ლოცვები, მათი სახელ-გვარები კი ტიტრებშიც მოხვდება; გარკვეული თანხის გადმორიცხვის შემთხვევაში კი პრემიერის ბილეთებს, „დივიდი” დისკს და კიდევ უფრო დიდ საჩუქრებს იღებენ.



**მე მყავდა ქართველი სტუდენტები და, სწორედ მათი დაჟინებული თხოვნით, პირველად სამი წლის წინ ჩამოვედი აქ**

**– გამოდის, რომ ფილმის სახელწოდება – „უანგარო მსახურება“ – სცენარსა და თქვენს ქმედებას აერთიანებს.**

**მს არის რაღაც მისტიკური სამყარო, საოცრად მომნუსხველი, რომელიც გაჯადოებს და ამოუხსნელ გრძნობებს აგღიძრავს**

– პრინციპში, ასეც შეიძლება ითქვას.

**– ეს თქვენი პირველი ფილმია ამ ჟანრში?**

– დიახ, ეს პირველი დოკუმენტური ფილმია ჩემს შემოქმედებაში და განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდები, ვინაიდან, მინდა, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე შესრულდეს.

**– სად და როდის ვიხილავთ ფილმის პრემიერას?**

– პრემიერამდე დიდი დროა, ისევ და ისევ არასაკმარისი ფინანსების გამო, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, მინდა, ყველაფერი პროფესიონალურად, მაღალ დონეზე გაკეთდეს. გადაღებები პრაქტიკულად დასრულებულია, მაგრამ ახლა იწყება ყველაზე რთული შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს მუსიკალურ გახმოვანებას, მონტაჟს, კორექციას, რედაქტირებას და ასე შემდეგ...

**– ფესტივალებზე თუ აპირებთ ფილმის გატანას?**

– რა თქმა უნდა. ჩემი სურვილია, ფილმის პირველი ჩვენება საქართველოში შედგეს და ამის შემდეგ გავიტანოთ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე, რაზეც ჩემი პროდიუსერი უკვე ზრუნავს.

**– თქვენ მიღებული გაქვთ „ემის“ ჯილდო, რომელიც საკმაოდ პრესტიჟულია. იქნებ, ამის შესახებაც გვითხრათ?**

– დიახ, „ემი” ისევე პრესტიჟულია ტელევიზიის დარგში, როგორც „ოსკარი” – კინემატოგრაფიაში. პრინციპში, ამ ჯილდომ ჩემს შემდგომ კარიერაში დიდი როლი ითამაშა და ძალიან დამეხმარა, ასე ვთქვათ, გზა გამიხსნა და დიდი შესაძლებლობები მომცა. მაშინ 29-30 წლის ახალგაზრდა ვიყავი, ვმუშაობდი NBC-ის საბავშვო გადაცემებში, სადაც მყავდა პროფესიონალ შემოქმედთა ძლიერი გუნდი.

**– სხვათა შორის, მე ვნახე თქვენი თანამშრომლობის ნაყოფი ანსამბლ „შავფაროსნებთან“, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავია. როგორ მოხდა თქვენი მათთან დაკავშირება?**

– მე აღტაცებული დავრჩი მათი საბრძოლო ხელოვნებით, ქართული სამოსითა და ტრადიციებით და, გადავწყვიტე, ჩემს ერთ-ერთ ფილმში გადამეღო, რომელზეც „უანგარო მსახურების“ პარალელურად ვმუშაობ. საბრძოლო ხელოვნების სცენების გარდა, გადაღებული მაქვს მათი პორტრეტები – როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე, ჯგუფური.

**– როგორია ჰოლივუდელი ფოტოგრაფის თვალით კადრებად დანახული საქართველო?**

– გულისხმობთ მსგავსებას ამერიკასა და საქართველოს შორის თუ პანორამას?

**– მაგალითად, მე თუ იმავეს მკითხავთ ამერიკაზე, მე ავაწყობ მუქ ტონებში, მაგრამ, მკაფიო ფერებში აჭრელებულ ქაოტურ სურათს.**

– ასეთ შემთხვევაში, ჩემი სურათი იქნებოდა ფერადოვანი და მშვიდი, რომელსაც, რომ შეხედავ, გეგონება, დროა გაჩერებული, არაფერი ხდება და არც გახუნება ემუქრება ამ ფერებს.

**ბესო მახარაშვილი**

# რა განაპირობებს „კამელინის“ საერთაშორისო აღიარებას და როგორ იცავს ის ადამიანის ჯანმრთელობას

*ჩვენი მკითხველი ქართული პრეპარატის – „კამელინის“ სამკურნალო თვისებებს უკვე დიდი ხანია, იცნობს. ბევრ მათგანს საკუთარ თავზე გამოუცდია ამ პრეპარატის გამოყენებით მიღებული განსაცვიფრებელი შედეგები და, ამიტომაც, არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, რომ „კამელინის“ შესახებ სხვებისთვისაც მიგვეწოდებინა ინფორმაცია. როგორც ცნობილია, დღეს უკვე არსებობს „კამელინის“ 5 ფორმა: ინიექცია, კაფსულები, მალამო, სანთლები და სპრეი, რომელთა გამოყენება არა მხოლოდ დაავადებების დროს, არამედ, წელიწადში ორჯერ, პროფილაქტიკის მიზნითაც, ძალიან ბევრ დაავადებას აგაცილებთ თავიდან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა. დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდიან დელეგაციები, რომლებსაც სურთ, საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის – „კამელინის“ დარეგისტრირება და შეტანა და ეს პროცესი დიდი ხანია, დაწყებულია. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ მკითხველს ვესაუბრეთ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ – „კამელინს“ საერთაშორისო ორგანიზაცია BID – Business Initiative Directions-ის მიერ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე ნომინაციაში QUALITY SUMMIT – „ოქროს ჯილდო“ მიენიჭა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს „კამელინის“ ხუთივე ფორმის სანდოობასა და მის მაღალ ხარისხზე, რადგან, ეს კომპანია, გარდა იმისა, რომ ზრუნავს საკუთარი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, მუდმივად ცდილობს ტექნოლოგიების განახლებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. მინდა შევახსენოთ, რომ „კამელინი“ 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი; არის ძლიერი ანტიოქსიდანტი; არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარეც, უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მკურნალობისას მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება.*

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ონკოლოგიური პაციენტები არიან. თუმცა ეს უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ ძალიან კარგი პრეპარატია – ძლიერი იმუნომოდულატორი. ამიტომაც, პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგი საშუალებაა სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად; ანუ, პროფილაქტიკის მიზნით, შეუძლია, ჯანმრთელმა ადამიანმაც ჩაიტაროს წელიწადში ორჯერ მკურნალობის თითო კურსი ისე, რომ გვერდითი მოვლენები არ ექნება. „კამელინის“ ამ თვისებებით განსაკუთრებით იხიბლებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები. ამიტომაც სურთ, რომ მათ ბაზარზე „კამელინი“ შევიდეს არა მხოლოდ დაავადების აღმოფხვრისა და შეჩერების, არამედ, პრევენციის მიზნითაც. როდესაც ადამიანის იმუნიტეტი გამოდის წყობიდან, მას არაფერი სტკივა, არაფერი აწუხებს, მაგრამ, იმუნიტეტის მდგომარეობა განსაზღვრავს კიბოს უჯრედების გაზრდა-განვითარებას და ან შეჩერებას. როდესაც იმუნიტეტი მცირდება, ის კონტროლს კარგავს, ეს უჯრედები კი მრავლდება უსასრულოდ. ასე ყალიბდება პირველი სტადიის კიბო. ჩვეულებრივ შემთხვევაში, როცა იმუნიტეტი მწყობრში აქვს ადამიანს, ეს უჯრედები იზრდება, კვდება და ასე შემდეგ. მაგრამ, როცა იმუნიტეტი მცირდება, უჯრედების ზრდას ხელს ვერ უშლის, უჯრედები არ კვდება, კიბოს უჯრედების მასად ყალიბდება და ჭამს ორგანიზმს. კიბოს პირველი სტადიის ჩამოყალიბებას თითქმის 10-15 წელი სჭირდება. როდესაც ადამიანს იმუნიტეტი აქვს შემცირებული, ამ დროს ძალიან კარგია „კამელინის“ გამოყენება, რომელიც ზრდის იმუნიტეტს და ხელს უშლის დაავადების ჩამოყალიბებას.



**– წელიწადის რომელ დროს არის სასურველი პროფილაქტიკისთვის „კამელინის“ გამოყენება?**

– კარგია გაზაფხულისა და ზამთრის დადგომის დროს, როდესაც ვიტამინების ნაკლებობას განიცდის ადამიანი, იმუნიტეტი თავისთავად ქვეითდება; ასევე, დაავადების გადატანის შემთხვევაში, როდესაც იმუნიტეტი მოშლილია. კარგია, თუ ამ დროს მივიღებთ კაფსულებს – ბრწყინვალე შედეგს მოგვცემს, მალე აღადგენს იმუნიტეტს. მინიმუმ, ერთი კურსი ძალიან კარგია განსაკუთრებით მძიმე, გრიპოზული დაავადების გადატანის შემდეგ. საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1”: ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში; ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლებისა (იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება ხანგრძლივი დროითაც შეიძლება.

*დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ1-ისა” და „კამელინ მ2-ის” გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რაც მიღწეული იყო სხვადასხვა სიმსივნის მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება; ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში – დროებით მოხსნა; სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება; მადისა და ენერგიის მატება; დეპრესიული ფონის მოხსნა; მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ქალბატონს, რომელსაც საბერძნეთში ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. იქვე გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ, წლების განმავლობაში საშინელი ტკივილები აწუხებდა. მოგვიანებით ჩაიტარა „კამელინით“ მკურნალობის 4 კურსი და, როდესაც თბილისში ჩამოსულმა სრუფასოვანი გამოკვლევა გაიკეთა, აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი იყო და სიმსივნე აღარ ჰქონდა.*

პაციენტს კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი – ხორხისზედა და ხორხისწინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნებოდა ცენტრისკენ მდებარე არასწორი, მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30 მილიმეტრი. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა – დაეწყო ყლაპვის პრობლემები, თითოეულ ულუფას სითხის დახმარებით იღებდა. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მკურნალობა „კამელინი მ-1“ – ინიექციითა და „კამელინი-მ2“ – კაფსულებით. ზაფხულში „კამელინ ფლუ“-სპრეი ჯერ არ იყო გამოსული და, შესაბამისად, მას ვერ გამოიყენებდა, ამიტომ ინიექციას იკეთებდა არა მხოლოდ კუნთში, არამედ აზავებდა წყალში და იკეთებდა სავლებებს. 20-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შედეგად სპეციალისტებმა შენიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომის შემცირებით. ექიმები განცვიფრებულები დარჩნენ – სიმსივნური წარმონაქმნის ზომა 15 პროცენტით იყო შემცირებული. აქედან გამომდინარე, პაციენტმა განაგრძო კამელინოთერაპიის კურსი, 27 იანვარს კი კვლავ განმეორებით ჩაიტარა ტომოგრაფიული კვლევა, რომელმაც აჩვენა სიმსივნის სრული გაქრობა.

ერთ-ერთ პაციენტს ოთხი წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი. მან ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, გასცვივდა თმა, იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა მხოლოდ იმის შემდეგ დაიწყო „კამელინ მ-1“ – ინიექციითა და „კამელინ მ-2” – ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა და, ამიტომ, გადაწყვიტა გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალშისაცემი გახდა: ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს იგი პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.

40 წლამდე ასაკის ქალბატონს ათი წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, თუმცა, უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა და ავადმყოფი ველარ დადიოდა, ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლებისგან შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს და დადის.

***P.S.** ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89; 599-58-09-07; 599-23-03-33; 2-98-62-25; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**იურმალაში ჩატარებული კონკურსის, „ახალი ტალღა 2014” გამარჯვებული, 17 წლის ქართველი მომღერალი ნუცა ბუზალაძე, 30 ივლისს, დილის ოთხის ნახევარზე ჩამოფრინდა გრანპრით ხელში, მის პროდიუსერებთან – ლელა წურწუმიასთან, მამულიჩასთან, დედასთან და სოფო ხალვაშთან ერთად სამშობლოში. მას აეროპორტში, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობ-უცნობები, ოვაციებით და ყვავილებით დახვდნენ. მახსოვს, მისი პროდიუსერი, მამულიჩა გვპირდებოდა, აუცილებლად გამარჯვებულები დავბრუნდებითო და საქართველოში ჩამოფრენილმა, პირველივე სიტყვები თქვა: „აი, რაც შეგპირდით, ხომ აგისრულეთ!“. ნუცას ჟურნალი „თბილისელები” ულოცავს გამარჯვებას და უდიდეს წარმატებებს უსურვებს მომავალ შემოქმედებით გზაზე!**

# რატომ ვერ ჩამოიტანა „ახალ ტალღაზე” მოგებული 50 ათასი ევრო საქართველოში ნუცა ბუზალაძემ და რატომ მოუხდა მას ბეწვის ხიდზე გავლა იურმალაში

**ნუცა ბუზალაძე**: იმ სიხარულს, რასაც განვიცდი, საუბრით და ემოციით, ვერ გამოვხატავ. ჯერ 17 წლის ვარ და ვფიქრობ, საკმაოდ დიდი წარმატებაა „ახალი ტალღის” გამარჯვებულის ტიტულის ჩამოტანა ჩემს ქვეყანაში. ვფიქრობ, ეს არა მარტო ჩემი, არამედ, მთელი საქართველოს გამარჯვება და აღიარებაა. სხვათა შორის, სანამ გავფრინდებოდი, უწმინდესმა და უნეტარესმა, ჩვენმა საყვარელმა პატრიარქმა დამლოცა. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. მისი დალოცვა, სცენაზე გამოსვლის წინ, სულ მახსენდებოდა და ვიცოდი, რომ ის დამეხმარებოდა. ყველა კონკურსანტი ძალიან შემიყვარდა, რადგან მათ გარემოცვაში ძალიან კარგი დრო გავატარე. ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, კონკურსის მერე, სასტუმროს ფოიეში დამიჯერეთ, ვიტირე. ვხუმრობ ხოლმე, აწი, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდე, ყველგან მეგობარი დამხვდება-მეთქი *(იცინის).* ყველა ქვეყანაში დაპატიჟებული ვარ.



**მოგებული თანხით სახლი მინდა, ვიყიდო, რადგან არ მაქვს და ნაქირავებში ვცხოვრობ**

**– თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ასეთ კონკურსებზე, კონკურსანტებს შორის კონკურენცია საკმაოდ გამძაფრებული და შესამჩნევია. ხომ მეთანხმები?**

– იცით რა, თავიდან, მართალაც არ იყო კონკურენცია შესამჩნევი, მაგრამ მეორე ტურში რომ გამოიკვეთა სავარაუდო ლიდერები, აი, მაშინ ცოტა კონკურენციაც კი იგრძნობოდა კონკურსანტებს შორის.

**– როდესაც გამარჯვებულად დაგასახელეს და პრიზი გადმოგცა ჟიურის თავმჯდომარე იგორ კრუტოიმ, მიკროფონთან მისულმა ინგლისურად თქვი სამადლობელი სიტყვა. ამბობენ, რუსი ჟიურის წევრები ამ გამოსვლამ კულტურულ შოკში ჩააგდოო. ეს შენც შენიშნე?**

– ჩემს რუსულზე, ძალიან ხალისობდნენ და იცინოდნენ, კონკურსანტები *(იცინის).* რუსული ცუდად ვიცი და ამიტომ, მერჩივნა, ინგლისურ ენაზე მეთქვა მადლობა. ისეთი გახარებული ვიყავი გრანპრით ხელში, რომ ჟიურის წევრების რეაქციას საერთოდ ვერ ვამჩნევდი. იქაური ჟურნალისტები რომ ილებდნენ ჩემგან ინტერვიუს, მამულიჩას იმედი მქონდა *(იცინის).* მესამე ტური რომ ჩატარდა და დაჯამდა ქულები, ვიცოდი, რომ პირველი ადგილის მფლობელი და გამარჯვებული ვიყავი. ისიც ვიცოდი, სცენაზე სიტყვით მომიწევდა გამოსვლა და შემეძლო, რუსულად დამეზეპირებინა ტექსტი, მაგრამ ბუნებრიობა ვარჩიე და, რაც უცბად მომაფიქრდა იმ მომენტში, ის ვთქვი ინგლისურად. დამიჯერეთ, წინასწარ არ გამითვლია, რას ვიტყოდი, გრძნობებს მივყევი და ისე ვისაუბრე. ალექსანდრ რევზინი ძალიან მიყვარს და მას კი გადავუხადე მადლობა რუსულ ენაზე – „სპასიბო”-მეთქი *(იცინის).* მახსოვს, ჩემს უკან რუსი კონკურსანტი გოგონა იდგა და მეუბნებოდა: პო რუსსკი, ნუცა, პო რუსსკი სკაჟიო *(იცინის).* ნიკოლაი ბასკოვისაც დიდი მადლობელი ვარ. სწორედ მან ამოიღო, კონკურსის გახსნის დღეს, 15 ნომერი, რომლითაც გამოვიდოდი და თქვა: მეც თხუთმეტ რიცხვში ვარ დაბადებული, ბედნიერი რიცხვია და წარმატებას მოგიტანსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, მართალი აღმოჩნდა *(იცინის).*

**– ამბობენ, რომ რევზინი საკმაოდ მკაცრი ადამიანია.**

– მკაცრი არის, მაგრამ ყველას უყვარს. უმაღლესი დონის პროფესიონალია და იცის, რასაც აკეთებს. ამიტომაც, ტარდება „ახალი ტალღის” კონკურსი ასეთ მაღალ დონეზე. ათი დღის განმავლობაში, ყოველდღე რეპეტიციას გავდიოდით და რევზინი სულ გვარიგებდა, გვისწორებდა, გვეხმარებოდა. ჩვეულებრივი ფსიქოლოგია, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, როგორ უნდა გასცე და მიიღო ენერგია მაყურებლისგან, როცა სცენაზე დგახარ, როგორ უნდა იმოძრაო და ასე შემდეგ.

**– მერე, იქ მასტერკლასები რუსულ ენაზე რომ ტარდებოდა?**

– რუსულად ყველაფერი მესმის, უბრალოდ, საუბარი მიჭირს. არ დამავიწყდება, ძალიან ვნერვიულობდი, მინდოდა, კარგად გამოვსულიყავი კონკურსზე და სარეპეტიციო დარბაზში ვიტირე. ოღონდ მარტო ვიყავი, არავის დავუნახივარ *(იცინის).* ვფიქრობ, სწორედ რევზინის მასტერკლასების დამსახურებაა, სცენაზე რომ ასე თავდაჯერებულად გამოვედი და მოვიხსენი სტრესი.

**– პირველივე საკონკურსო დღეს, საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა შენმა ნამღერმა. თუმცა, ჟიურის სხვა წევრებისგან განსხვავებით, ფილიპ კირკოროვმა ათი ქულა დაგიწერა. ამის გამო საქართველოდან ბევრმა მოიკითხა მისი დედა სოციალური ქსელით. ამაზე რას იტყვი?**

**ჩემს რუსულზე, ძალიან ხალისობდნენ და იცინოდნენ კონკურსანტები**

– *(იცინის).* დედის მოკითხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არ მწყენია, რადგან შეეძლო, უფრო დაბალი ქულაც დაეწერა. კირკოროვი უკრაინელი პეტრიკის პროდიუსერი იყო და ალბათ, უნდოდა, ჩემი ქულის დაკლებით, მას მიხმარებოდა. როგორც მამულიჩამ მერე მითხრა, სიმღერა რომ დავასრულე, კირკოროვს თერთმეტი ქულის აწევა უნდოდა, ხელში ეჭირა, მაგრამ გადახედა სხვებს და ყველამ რომ უმაღლესი ქულა დააფიქსირა, გადაიფიქრა და „ათიანი” აწია. ვიცოდი, რომ ჩემი პირველი სიმღერით, მაღალ ქულებს ავიღებდი და ამ პირველმა დღემ გადაწყვიტა ჩემი გამარჯვება. უფრო სწორად, პირველი ტური იყო ბეწვის ხიდი, რომელზეც თამამად გავიარე და მეორე ტურმა გამომკვეთა ლიდერად.

**– რაც შეეხება ჩაცმულობას? როგორც ვიცი, კონკურსანტებს შავი ფერის სამოსის ჩაცმა აკრძალული გქონდათ. არადა შავ, გრძელ კაბაში ულამაზესი იყავი. შენთვის გამონაკლისი რატომ დაუშვეს?**

– „ახალი ტალღა” საერთაშორისო კონკურსია, ტარდება ზაფხულში, იურმალაში და მას ესწრება უამრავი მსოფლიოო დონის ვარსკვლავი – რუსი და, არა მარტო. იქ თავისი წესებია და ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კონკურსანტს ეკრძალებოდა შავი ფერის კაბით გამოსვლა. კაბები, რომლებიც მეცვა, იქაური დიზაინერის შეკერილი იყო. უბრალოდ, მესამე ტურის კაბა მქონდა იგივე ფორმის, რომელიც მესამე ტურში მეცვა, ოღონდ, ღია ცისფერი. ლელა რომ ჩამოვიდა, ზუსტად იგივე ფორმის, მაგრამ შავი ფერის კაბა ჩამომიტანა და უფრო მომიხდა. ალექსანდრ რევზინმა რომ მნახა იმ კაბაში, ისე მოეწონა, გამონაკლისი დაუშვა და ლელას თხოვნა გაითვალისწინა. თქვენი ჟურნალის საშუალებით, დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა და ვაღიარო, რომ უდიდესი წვლილი ჩემს გამარჯვებაში ლელას და მამულიჩას გარდა, მიუძღვის რუსა მორჩილაძეს, ნუცა ჯანელიძეს, ნინო ქათამაძეს, მაია კაჭკაჭიშვილს, ბიბი კვაჭაძეს, ზაზა ხუბუკელაშვილს, მაია ყიფიანს, ნინო ბაშარულს, სოფო ხალვაშს, გია მაჭარაშვილს, გია მაზანაშვილს, გიორგი ბახტაძეს, და, კიდევ ბევრს და ბევრს. მიხარია რომ მათი იმედები გავამართლე.

**– სოლიდური, მოგებული პრიზის, 50 ათასი ევროს დახარჯვას როგორ გეგმავ, თუ საიდუმლო არ არის?**

– მართალია, 50 ათასი ევრო მოვიგე, მაგრამ ლატვიის სახელმწიფომ დამიბეგრა 22 პროცენტით და საქართველოში 38 ათასი ევრო ჩამოვიტანე. ამ თანხით სახლი მინდა ვიყიდო, რადგან არ მაქვს და ნაქირავებში ვცხოვრობ. აქ რომ ჩამოვედი, ნამდვილად სასიხარულო სიურპრიზი გამიკეთა „გალფის” კომპანიამ და ათი ათასი დოლარი მაჩუქა. ასევე, როგორც გამარჯვებულს, ერთ-ერთმა გერმანულმა კომპანიამ, იურმალაში, მაჩუქა ოქროს სამაჯური, 18-კარატიანი ბრილიანტის თვლით, რომელიც ექსკლუზიურად დამზადდა გამარჯვებულისთვის, ის მსოფლიოში ერთადერთია და ინგლისურად აწერია „ახალი ტალღა”. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ასაკში, ასეთი ძვირფასი საჩუქრის, დაფასების და გრანპრის მფლობელი გავხდი. ჯერ კიდევ ემოციებში ვარ და ალბათ, დიდხანს გასტანს ეს ეიფორია *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

**სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" უკვე რამდენიმე წელია, მაყურებლის ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს. სერიალის პერსონაჟები ხალხმა შეიყვარა და ყოველთვის დიდი ინტერესით ელის ახალ-ახალი ისტორიის განვითარებას. ცოტნე ცოტაშვილი სწორედ ის პერსონაჟია, რომელიც გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩვენი რესპონდენტი ცოტნეს როლის შემსრულებელი, გიორგი ბახუტაშვილია, რომელიც რეალურ ცხოვრებაში რადიკალურად განსხვავდება მისი პერსონაჟისგან.**

# რატომ ჰქონდა გიორგი ბახუტაშვილს ხანმოკლე თაფლობის თვე და ვისთან ერთად გეგმავს ის ცხელი ზაფხულის გატარებას

**– მას შემდეგ, რაც სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" გამოჩნდი, მაყურებლის საერთო აზრია, რომ სერიალი თქვენმა ოჯახმა გამოაცოცხლა. ეს, ალბათ, მსახიობისთვის ძალიან სასიამოვნოა.**

– თუ ასეა, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

**– მაყურებელმა მიგიღო და შეგიყვარა. როგორი შეგრძნებაა, როცა ამდენ უცნობ ადამიანს უყვარხარ და ქუჩაში სულ გიღიმიან.**

– „ჩემი ცოლის დაქალები" ისეთი პოპულარული სერიალია, ალბათ, რომ არა ჩვენი გმირები, მაინც ეყვარებოდა ხალხს და უყურებდა. თუ ჩვენც რაღაც წვლილი შევიტანეთ, ეს უკვე ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, ქუჩაში რომ გცნობენ. მაგრამ, ადრე ყოველთვის მაწუხებდა ქართველების მოწყენილი სახეები ქუჩაში, ახლა კი, რომ დამინახავენ და იღიმიან, ძალიან მიხარია. გაღიმებული სახეების დანაკლისიც შევივსე.

**– დარწმუნებული ვარ, ძალიან ხშირად, ცოტნესაც გეძახიან და შეიძლება, ბევრმა არც კი იცოდეს, რომ მათ საყვარელ პერსონაჟს რეალურ ცხოვრებაში გიორგი ჰქვია.**

– კი, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა და არაერთხელ.

**– სეზონის ერთ-ერთ ბოლო სერიაში საკმაოდ სახალისო სცენა შესთავაზეთ მაყურებელს. მტკვარში გადახტომას ვგულისხმობ. მართალია, წინა ინტერვიუში მითხარი, რომ ცოტნე ცოტაშვილისნაირი პოლიტიკოსები შენს სიმპათიას რეალურ ცხოვრებაში არ იმსახურებენ, მაგრამ მაინც გკითხავ, პოპულარობის მოსაპოვებლად, მსგავს საქციელს ჩაიდენდი?**

– არავითარ შემთხვევაში. ცხოვრებაში ყველაფერი ყალბი, დადგმული და ნათამაშები მაღიზიანებს. ჩემს საქმეში მსგავსი რამ არც არის საჭირო. თუ სწორი მიდგომა გაქვს საქმის მიმართ, ჯობია, წარმატებას ჯანსაღი შრომით მიაღწიო. ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად და პოპულარობისთვის, გმირობების ჩადენა არ არის საჭირო.

**– მაყურებელი თეატრშიც არ გაკლია. სეზონი დაიხურა?**

– სეზონი უკვე ყველა თეატრში დახურულია და ალბათ, სექტემბრიდან განახლდება.

**– გასტროლი ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?**

– თეატრიდან არაფერი არ არის დაგეგმილი. დატვირთული სამუშაო წლის შემდეგ, უბრალოდ, მეუღლესთან ერთად ვგეგმავ დასასვენებლად წასვლას.

**– დიდი ხანი არ არის, რაც დაოჯახდი. მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ მოგვიყვები შენი ოჯახის შესახებ. ვინ არის შენი მეუღლე?**

– ჩემი მეუღლეა თაკო შოშიაშვილი, პროფესიით ოპერატორი.

**– თაკო, როგორ აფასებს მეუღლის სამსახიობო კარიერას?**

– ძალიან კარგად. ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ და ძირითადად, შემოქმედებითად უყურებს სერიალს, სპექტაკლებსა თუ ფილმებს.

**– გამომდინარე იქიდან, რომ მართლა ძალიან გადატვირთული გრაფიკი გაქვს, ალბათ, დღის განმავლობაში ერთად დიდ ხანს ყოფნას ვერ ახერხებთ. ეს დისკომფორტს არ გიქმნით?**

– იყო ასეთი პერიოდიც, მაგრამ ამას დიდად არ შეუშლია ხელი. ორივემ ვიცოდით, რომ რაღაც პერიოდი ასე იქნებოდა და მერე გაივლიდა. ჯვარი რომ დავიწერეთ, სწორედ მაშინ მომეყარა ძალიან ბევრი საქმე. თუმცა, ამას არანაირი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს ურთიერთობაზე. უბრალოდ, ერთმანეთი მუდმივად გვენატრებოდა.



**ძალიან საინტერესო მოვლენაა: ერთი ადამიანის სიცოცხლე, მეორის ხელშია და მესამე კი – დგახარ და უყურებ ამ ყველაფერს**

**– ალბათ, ამასაც აქვს თავისი ხიბლი.**

– შეიძლება, რაღაც მხრივ სასიამოვნოც არის, მაგრამ, სიმართლე გითრათ, ჩემ გვერდით რომ უფრო დიდხანს ყოფილიყო, მერჩია, რა თქმა უნდა.

**– ფაქტობრივად, საქმემ არ მოგცათ იმის საშუალება, რომ ახალდაქორწინებულებს თაფლობის თვე სხვაგან გაგეტარებინათ.**

– მართალია, ასეთი თაფლობის თვე არ გვქონია. მხოლოდ ორი დღით წავედით ქალაქგარეთ. ჩამოვედით და იმ დღესვე დამეწყო გადაღებები. მას შემდეგაც, ორი დღით თუ მოვახერხებთ სადმე გასვლას, თორემ ხანგრძლივი დასვენება არ გვქონია. თვითონაც სადიპლომოზე მუშაობდა.

**– ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი რომ გყავს, ეს ხომ არ მოქმედებს თქვენს ურთიერთობაზე? ანუ, ეჭვიანობის მომენტი ხომ არ ჰქონია.**

– არა, რა თქმა უნდა, რა სისულელეა. საერთოდ, ეჭვიანობის ცნება არ არსებობს ჩვენთვის. მე და თაკოს ძალიან გულწრფელი ურთიერთობა გვაქვს. ვფიქრობ, საეჭვიანო ნამდვილად არაფერი აქვს, რადგან პოპულარობა თან სდევს იმ საქმეს, რასაც ვაკეთებ.

**– აპირებთ დასასვენებლად წასვლას?**

– კი, აუცილებლად, აგვისტოს შუა რიცხვებში უკვე წავალთ დასასვენებლად. გვინდა ჯერ ზღვაზე, მერე კი მთაში წავიდეთ და მშვიდად დავისვენოთ.

**– ბოლო დროს ახალ პროექტში გამოჩნდი, ძალიან საინტერესო სამედიცინო გადაცემის, „ემერჯენსის" წამყვანი ხარ. სხვადასხვა, ძალიან რთულ ოპერაციას მართლა ესწრები, თუ მხოლოდ წამყვანის ამპლუაში ხარ?**

– ოპერაციებს მართლა ვესწრები.

**– მერე, არ არის ეს მსახიობისთვის რთული?**

– რთული ნამდვილად არის, ძალიან ემოციურია. ძალიან საინტერესო ტიპაჟები არიან – ექიმები, პაციენტები და ასე შემდეგ. ძალიან თანავუგრძნობ მათ და ხანდახან ვერ შევდივარ ოპერაციაზე, გარედან ვადევნებ თვალს. თუ ძალიან მძიმე სიტუაციაა, სტენდაფი ჩამიწერია და ოპერაციაზე არ შევსულვარ. ძალიან მიჭირს, ადვილი ნამდვილად არ არის. უბრალოდ, ძალიან საინტერესო მოვლენაა, როცა ერთი ადამიანის სიცოცხლე, მეორის ხელშია, მესამე კი დგახარ და ამ ყველაფერს უყურებ.

**– რაც შეეხება სერიალს, როდის განახლდება ახალი სეზონი?**

– სექტემბრიდან ან ოქტომბრიდან, ჯერჯერობით, არ ვიცით. სეზონი აუცილებლად განახლდება, უბრალოდ, ჩემი თანამშრომლობა როგორ განახლდება სერიალში, ეს არ ვიცი. საერთოდ, არასდროს ვიცით, მომდევნო სერიაში რა მოხდება. ვნახოთ, იმედი მაქვს, რომ გაგრძელდება.

**– ისეთი პოპულარული პერსონაჟია ცოტნე, რომ დარწმუნებული ვარ, სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" მას ვერ დათმობს. თან, ის პლუსიც გაქვს, რომ მამაკაცი ხარ. ამას იმიტომ ვამბობ, რამდენიმე პერსონაჟი მანდილოსანი იმის გამო გამოეთიშა დროებით სერიალს, რომ ორსულად იყო.**

– იმედია, არ დავფეხმძიმდები.

**მარიკა ხიდურელი**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**



# რატომ არ აპატიებს ქალი ქმარს ღალატს მაშინაც კი, როცა თავადაც უღალატა

**მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, რომ ქალები ზედმეტად ემოციური არსებები არიან და მათ „ცივი“ გონებით გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ. სინამდვილეში, მამაკაცი გაცილებით დიდხანს რჩება ემოციური ზეგავლენის ქვეშ, ქალს კი ბევრად ეადვილება, თავისი მეხსიერებიდან განდევნოს ის, რაც აღარ უნდა, რომ ახსოვდეს. იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ „დაივიწყოს“ „წაშალოს“ თავისი ცხოვრების რომელიმე ფრაგმენტი და ჩვეულ რიტმს, მდგომარეობას დაუბრუნდეს – ფსიქოლოგებისთვის ეს ფენომენი ნაცნობია. ზოგადად, მამაკაცისგან განსხვავებით, ქალმა ზუსტად იცის, რა უნდა კონკრეტულ მომენტში და იშვიათად ყოყმანობს გადაწყვეტილების მიღების დროს.**

მანჩო *(37 წლის)*: ზუსტად ვიცი, რა რეაქციაც ექნებათ მკითხველებს ჩემს გულახდილობაზე, მაგრამ, მე მხოლოდ მეღიმება ამაზე. იმიტომ რომ, ჩვენი საზოგადოება უიმედოდ განაგრძობს სირაქლემას პოზაში ყოფნას და არ სურს, დაინახოს რეალობა. კაცები მუდმივად ღალატობენ ცოლებს და ეს ლამის ნორმაა. ცოლებიც ღალატობენ ქმრებს, რასაც საზოგადოება თითებს შორის ჭუჭრუტანიდან უყურებს.

**– ქალების ღალატი გაცილებით უფრო დამალულია.**

– მერე რა, რომ დამალულია, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს?! ქალები რომ უკეთესად ვფუთავთ ჩვენს ცოდვებს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჭკვიანები ვართ.

**– ღალატიც ჭკვიანურად იციან ქალებმა?**

– არა,. მაგაში ვერ დაგეთანხმებით. ღალატი ვერაფრით ვერ იქნება ჭკვიანური, ის ნებისმიერ შემთხვევაში სტრესი და დიდი ნეგატივია – ამას საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს, მით უმეტეს, რომ საკმაოდ დიდხანს არანაირი სინდისის ქენჯნა არ მაწუხებდა – ვაღიარებ ამას, იმიტომ, რომ ტყუილს აზრი არა აქვს.

**– ღალატის დროს სინდისი, მგონი, არც არავის აწუხებს; ის შემდეგ ჩნდება. ისიც – ყოველთვის არა.**

– ვფიქრობ, რომ ცდებით. სინდისი თუ გაქვს, ის ყოველთვის შეგაწუხებს. უბრალოდ, ზოგჯერ გვიან ამბობს თავის სათქმელს ან ჩვენ არ ვუსმენთ. მე იმაშიც კი დარწმუნებული ვიყავი, რომ სიმართლე ჩემს მხარეზე იყო.

**– როცა ქმარს ღალატობდით?**

– დიახ. ვფიქრობდი, ქმარს კი ვღალატობ, მაგრამ, ასე თუ არ მოვიქცევი, მაშინ, საკუთარ თავს ვუღალატებ-მეთქი, რადგან, იმ კაცის მიმართ გრძნობა მქონდა, თუმცა, ამას სიყვარულს ვერ დავარქმევ.

**– მეგონა, იტყოდით, რომ ქმარს შურისძიების გამო ან რაღაც შემთხვევის, გარემოების გავლენით უღალატეთ.**

– ეს თავის უნიჭოდ მართლება იქნება. მე თავს არ ვიმართლებ, მაგრამ, ვიცი, რომ ძალიან დავაშავე.

**– შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ მიზეზი, რამაც ღალატი გადაგაწყვეტინათ?**

– მიზეზი ბევრია, მაგრამ, დაკონკრეტება გამიჭირდება. ყველაფერი ერთად იყო მიზეზი. ყველაფერში ვგულისხმობ გადაღლილობას, ერთმანეთის მიმართ ინტერესის დაკარგვას, უყურადღებობას, გულგრილობას... ეტყობა, სიყვარული მართლა ცვდება და უფერულდება.

**– თუ აღარც სიყვარულია და აღარც პატივისცემა, მაშინ, რაღა საჭიროა ოჯახი და ურთიერთობა?**

– ურთიერთობა და, მით უმეტეს – ოჯახი, მარტო სიყვარული არ არის. თუმცა, ურთიერთპატივისცემაზე ამას ვერ ვიტყვი. თუ მე ისე აღარ მიყვარს ჩემი ქმარი, როგორც შვიდი წლის წინ მიყვარდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გავეყარო. ოღონდ, მინდა, სწორად გამიგოთ. არსებობს რაღაც კავშირი ცოლსა და ქმარს შორის, რაც სიყვარულზე მეტია, გნებავთ, შეჩვევა დაარქვით ამას. მოკლედ, არ ვიცი... მაგრამ, ფაქტია, რომ მე ქმართან გაშორება არ მინდა. როგორც გინდათ, ისე გამიგეთ. ზუსტად ვიცი, რომ ისიც ამ აზრისაა.

> **ქმარს კი ვღალატობ, მაგრამ, თუ ასე არ მოვიქცევი, მაშინ საკუთარ თავს ვუღალატებ**

**– იმიტომ რომ, არ იცის თქვენი ღალატის შესახებ. ფიქრობთ, რომ გაპატიებთ?**

– არ ვიცი, არ ვაპირებ ამ ექსპერიმენტის ჩატარებას. იმიტომ კი არა, რომ მეშინია, ჩემგან არ წავიდეს; უბრალოდ, რატომ უნდა ვატკინო გული? არ ვარ მართალი? ისე მიყურებთ, აშკარად ფიქრობთ, თუ გულის ტკენა არ უნდოდა, რატომ ღალატობდა საერთოდო. არ არის ასე მარტივად საქმე. რომ ვთქვა, ერთ დღეს გადავწყვიტე და ქმარს ვუღალატე-მეთქი, დამიჯერებთ? ასეთი გადაწყვეტილება, მგონი, საერთოდაც არ არსებობს. ყველაფერი სპონტანურად და, ფაქტობრივად, შემთხვევით ხდება. ჩემს შემთხვევაში, წამოჭრილმა სიტუაციამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ქმრისგან გული მქონდა ნატკენი. არ დავმალავ, ჩვენ შორის ყველაფერი იდეალურად არ იყო – ხშირად ვჩხუბობდით, ვკინკლაობდით. ვბუტებოდი და მერე მენატრებოდა. ვნანობდი ჩემს უხეშად ნათქვამ ყოველ სიტყვას... მჭირდებოდა სითბო და ჩახუტება, რასაც მისგან ველარ ვიღებდი...

**– რომ დალაპარაკებოდით?!**

– ვცით, ერთხელ ვცადე, მაგრამ, მითხრა – რას ბავშვობ. უამრავი საზრუნავი გვაქვს, შენ კი რაღაც სულელური ახირებები გაწუხებსო. ამის შემდეგ მასთან ლაპარაკის სურვილი დავკარგე – დარწმუნებული ვიყავი, რომ მაინც ვერაფერს გამიგებდა. ანუ, ჩემს ცხოვრებაში, ჩემს რეალობაში გაჩნდა სიცარიელე, რომელიც ვიღაცამ შეავსო – ეს ასეა. ცარიელი ადგილი დიდხანს ვერ დარჩება ცარიელი. ყველა კაცმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ მისი ცოლი რობოტი არ არის. არ მიეფერება, საკუთარ ქალობას არ აგრძნობინებს და, რისკი იმისა, რომ ამას ვიღაც სხვა გააკეთებს, ძალიან დიდია.

**– ქმარი არ გეფერებოდათ და ამიტომ უღალატეთ?**

– ძალიანაც ნუ გააუბრალოებთ სიტუაციას. ესეც იყო, დიახ! ადამიანი, მით უმეტეს – ქალი, მანქანა არ არის, მას მოფერება სჭირდება. ცხოველს სჭირდება ალერსი და სითბო, ქალი კი ძალიან ემოციური, მგრძნობიარე არსებაა. ზოგჯერ ჩვენც ვერ ვხვდებით, როგორი დიდი მოთხოვნილება გვაქვს ელემენტარული სითბოს, თანადგომის მიმართ. ვხვდებით ნერვიულები, აგრესიულები, პრეტენზიულები... ვკარგავთ ცხოვრების ხალისს... ყოველდღიური რუტინა ისედაც ძალიან უარყოფითად მოქმედებს ურთიერთობაზე და ის აუცილებლად უნდა განახლდეს, სხვანაირად, ყველაფერი დამატებით ტვირთად იქცევა. მაგრამ, არ გეგონოთ, რომ იდეალური მამაკაცის პოვნა შეიძლება – ასეთები საერთოდ არ არსებობენ. ჭკუა უნდა გეყოს და არ შეიყვარო. მე გადავრჩი, ზღვარზე ვიყავი... ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო ჩვენი ურთიერთობა, ოჯახის დანგრევამდეც მივიდოდი. მაგრამ, ცოლი ჰყოლია, რაც მე გვიან გავიგე. ისეთი უშუალო, ბუნებრივი ურთიერთობა გვქონდა, ვერ წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა, ოჯახი ჰქონოდა.

**– თქვენ ხომ ხვდებოდით ქმრის ჩუმად, ნაკლებად აშავებდით?**

– ვინ ამბობს, რომ ნაკლებად ვაშავებდი, მაგრამ, მაინც არ ვიტყვი, რომ ვნანობ ამ რომანს. მან მე ახალი სუნთქვა გამიხსნა, თუმცა, იყო იმედგაცრუებაც. კიდევ ერთი უცნაურობა შევნიშნე – ჩემმა ქმარმა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი იცოდა და ვერც ვერასდროს გაიგებს, მოულოდნელად დაინ-

# ლია ხუციშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

***ლია ხუციშვილი დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ის ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული და მასზე საოცარ ისტორიებს ყვებიან. ქალბატონი ლიას შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრჯერ დაწერილა, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში, მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. ლია ხუციშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება: გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.***

**– ქალბატონო ლია, რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე. ვკურნავ სხვადასხვა შიშებს, ნევროზს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რასაც რამდენიმე წელია, სხვადასხვა კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. მათი გამოყენების შემდეგ, ადამიანის ცხოვრება თავისუფალი და გახსნილია უკეთესობისკენ. ჩვენ ნეგატიურად დამუხტულ გარემოში გვიწევს ცხოვრება. ამიტომაც, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ წარმატებული მომავალი.

***ლია ხუციშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგიერთები, ვისაც ქალბატონი ლია ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, აქ მადლიერების სათქმელად მოვიდნენ. ზოგიერთი კი აქ პირველადაა, მაგრამ ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს არ მალავს. ჩვენ გავესაუბრეთ ამ ადამიანებს.***

**მერაბ ვ-შვილი** *(67 წლის, თელავი):* ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. შემჭამა ჩემმა ცოლმა, სანამ აქ არ მომიყვანა – ერთი თვეა, დავდივარ, ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა ლიამ გვასწავლა და ჩვენი საქმეები წინ მიდის. ბიჭმა, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული, ცოლი მოიყვანა, გოგონას სამსახურში აიყვანეს, ჩემი და ჩემი ცოლის უცნაური ავადმყოფობებიც უკვალოდ გაქრა. აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი!



**მარინა ლ-ძე** *(38 წლის, თბილისი):* ლია ხუციშვილის შესახებ თქვენი ჟურნალიდან შევიტყვე. მერე რამდენიმე ნაცნობმა მითხრა, ძალიან ძლიერი ნათელმხილველიაო და მაშინვე აქეთ გამოვეშურე. ძალიან მძიმე ფინანსური პრობლემები გვქონდა, ვალებში ვიყავით ჩავარდნილი. იპოთეკარები სახლს მართმევდნენ. ჩემს ძმას ორი ობოლი ჰყავს. უსახლკაროდ ვრჩებოდით, არა და არც მე ვმუშაობდი და არც ჩემი ძმა, რომ ცოტა მაინც შეგვემსუბუქებინა ჩვენი მდგომარეობა. ქალბატონმა ლიამ თბილად მიგვიღო, მოგვცა იშვიათი თილისმები. ერთი თვე დავდიოდით აქ, მერე ჩვენს ცხოვრებაში საოცრება მოხდა. ეს ლიას დამსახურებაა. სახლიც გადავარჩინეთ წართმევას და გაყიდვას, ვალებსაც დავაღწიეთ თავი. იმის მერე ლიაზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ გვყავს. დღეს მეც ვმუშაობ, ჩემმა ძმამაც პატარა ბიზნესი წამოიწყო და ლიას წყალობით, იმ მძიმე პერიოდს საბოლოოდ დავაღწიეთ თავი.

**მაკა მ-ძე** *(28 წლის, გორი):* ქალბატონ ლიასთან ახლობელმა დამაკავშირა. 5 წლის გათხოვილი ვიყავი, როცა მე და ჩემს ქმარს ურთიერთობაში პრობლემები შეგვექმნა. ჩვენი ოჯახი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული, თითქმის კი არა ჩემი ქმარი უკვე სხვა ქალთან ცხოვრობდა. ლია საოცარი სიზუსტით შლის კარტს, ისე დეტალურად გიამბობთ თქვენს წარსულზე, თითქოს ერთად ცხოვრობდით. პირველივე შეხვედრისას მითხრა: შენი ოჯახის დანგრევას შენი მული ცდილობსო. ისიც მითხრა, ორ თვეში ეს ქალი სხვაგან წავა და თავს დაგანებებთო. შევეწინააღმდეგე, ჩემი მული ამას არ გააკეთებს-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი ლიას ნათქვამში. ერთ თვეში ჩემი მული უცხოეთში წავიდა, რასაც საერთოდ არ გეგმავდა. მაშინვე გამახსენდა ლიას სიტყვები. ლიას სეანსების შემდეგ, ჩემი და ჩემი ქმრის ურთიერთობებიც გამოსწორდა. ჩვენი ოჯახი დანგრევას ამ ქალბატონმა გადაარჩინა, რის გამოც მისი ძალიან მადლიერი ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ ლია ხუციშვილზე ძლიერი ნათელმხილველი არ არსებობს.!

***ქალბატონ ლიასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე:***

***5 93 21 52 33; 5 55 97 44 21 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

ყო ჩემ მიმართ ყურადღების გამოჩენა: მირეკავდა დღეში რამდენჯერმე, მიღიმოდა ყველაფერზე, მეკითხებოდა გავლილი დღის ამბებს, მეუბნებოდა კომპლიმენტებს... ანუ, შეიცვალა და მე გარკვეული კითხვები გამიჩნდა. ჯერ ვფიქრობდი, რომ რაღაც იეჭვა და დავიძაბე, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ მა-

## ცოლ-ქმარს შორის რაღაც სიყვარულზე მეტი ცნდება, გნებავთ, შეჩვევა დავარქვათ ამას, მაგრამ, ფაქტია, რომ მისგან წასვლა არ მინდა

სში მხოლოდ ინტუიცია „ამუშავდა“. არ ვიცი, რა იყო ეს. თუმცა, ფაქტია, რომ მე ვკითხე საკუთარ თავს: მინდა ქმრისგან წამოსვლა და ახალი სერიოზული ურთიერთობის დაწყება სხვასთან თუ, აჯობებს, არაფერი შევცვალო-მეთქი.

**– ანუ, სინდისის ქენჯნა არ გქონიათ?**

– თავიდან და მთელი ურთიერთობის განმავლობაში – არა, რადგან, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიღებდი იმას, რაც არ მქონდა და ძალიან მაკლდა. სინდისმა „გაიღვიძა“ მაშინ, როცა ჩემმა საყვარელმა თავის ცოლზე დაიწყო ლაპარაკი. უცებ თქვა: მე უკვე აღარ შემიძლია, ძალიან მიჭირს, ცოლს რომ ვატყუებ და ეს ურთიერთობა უნდა დავასრულოთო... ის უფრო ღირსეული გამოდგა ჩემზე.

**– და, ეს ვერ აიტანეთ?**

– უფრო საკუთარ თავს ვერ ვაპატიე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მკერდში შუბი შემარჭვეს და აღარ გამოიღეს. ფიზიკური ტკივილი ვიგრძენი. მანამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მის ბინაში ვხვდებოდით ერთმანეთს და, იქ ქალის ან ბავშვის არსებობის არანაირი ნიშნები რომ არ შემიმჩნევია, ვერ წარმოვიდგინე, ოჯახი თუ ჰქონდა.

**– რომ გცოდნოდათ ოჯახის შესახებ, მაშინ არ გექნებოდათ მასთან რომანი?**

– ძალიან დავფიქრდებდი. ალბათ, არა. ვერ ვიტან ქალებს, რომლებიც ცოლიან კაცებს ჭკუას ურევენ. მეტსაც გეტყვით: ჩემს ქმარს, ალბათ, ღალატს ვერ ვაპატიებ. მიუხედავად იმისა, რომ მე თავად ვუღალატე. რომ გავიგო, რომ ჩემს ქმარს აქვს ბინა, სადაც მიჰყავს თავისი საყვარელი და იქ მასთან თავდავიწყებას ეძლევა, გავგიჟდები.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**22 წლის ვარ. ორი წელია, მყავს შეყვარებული, ეგრეთ წოდებული „ბოიფრენდი“. მიყვარს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჯერ ოჯახის შესაქმნელად მზად არ ვარ, თუმცა, ჩემი შეყვარებული უკვე მაძალებს. ზეწოლას განვიცდი მშობლებისა და ახლობლების მხრიდანაც – გინდა თუ არა, დაქორწინდითო. ჩემი აზრით, ეს სრულიად გაუაზრებელი ქმედება იქნება. თანაც, ვატყობ, რომ ჩემი შეყვარებული ძალიან ეჭვიანია – იმის გამო, რომ მასზე გათხოვება ჯერ არ მინდა, მისი აზრით, ვიღაც სხვაც მყავს. როგორ გავაგებინო რეალური მიზეზი?**

**გამოხმაურება:** რთული სიტუაციაა და საკმაოდ ბანალურიც. ასე ხშირად ხდება, რადგან, ჩვენ ისევ ვართ სტერეოტიპებისა და ფსევდოტრადიციების ტყვეობაში. გირჩევთ, გადაწყვეტილება თქვენი გონების კარნახით მიიღოთ და არა ვიღაცის მითითებით, ზეწოლითა და თხოვნით.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

**იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც ცხოველები ისე უყვარს, რომ მათზე საუბრისას თვალები უბრწყინდება და არ ბეზრდება საყვარელ არსებებზე ლაპარაკი. სწორედ ასეთია თამარ ივერი. როგორც თავად ამბობს, მას სახლში სამი შვილი ჰყავს: ულამაზესი სისი, გიჟმაჟი გუჩი და არისტოკრატი ჯინა. მართალია, მოუცლელობის გამო გუჩისთან და ჯინასთან განშორება უწევს ხოლმე, მაგრამ სისი უკვე ცხრა წლია, ყველგან დაჰყავს და მის გამო არაერთხელ უნერვიულია.**

# რატომ დააშორა შვილობილები ერთმანეთს თამარ ივერმა და როგორ გახდა ის სამი სხვადასხვა ეროვნების და-ძმის „დედა”

**თამარ ივერი**: ბავშვობიდან სულ მყავდა ცხოველები და ფრინველები. სოფლიდან ხან წიწილებს მოვარბენინებდი, ხან კატის კნუტებს. ისეთი პატარები იყვნენ კნუტები, „პიპეტკებით” ვაჭმევდი რძეს და ისე ვზრდიდი. ზაზუნებიც მყავდა, ბელურებიც.. მოკლედ, რა აღარ მყოლია.

მაგალითად, როცა ნიუ-იორკში „მეტროპოლიტენ ოპერაში” ვმღეროდი, მაშინ წამოვიყვანე ჩემი ცუგა, სისიკა, რომელიც ცხრა წელია, ჩემ გვერდითაა. მეორე ძაღლი მყავს, ჯეკ რასელ ტერიერის ჯიშის, ნამდვილი გიჟი, ფილმ „ნიღაბში” რომ ძაღლია, ზუსტად ისეთია და ნამდვილი გადარეული *(იცინის)*. გუჩი ჰქვია და წარმოშობით ფრანგია. სახე ყავისფერი აქვს, თამბაქოსა და სიგარის ფერის ნაზავი – „ტაბაჩნი” ყავისფერია. უფრო სწორად, კონიაკის ფერის სახე აქვს. „გუჩის” მაღაზიაში რომ შეხვალთ, ამ ფერის არის ყველაფერი, ამ ფირმის სიმბოლოა და ჩემს გუჩისაც ამიტომ დავარქვი ეს სახელი. ერთი ქალისგან ვიყიდე, მაგრამ, ასეთი გიჟმაჟი თუ იქნებოდა, რას წარმოვიდგენდი *(იცინის)*. მესამე მყავს ტაილანდელი ქალბატონი ჯინა – სიამის კატა. ასე რომ, სამი შვილი მყავს, ორი გოგო და ერთი ბიჭი. ერთი შვილი ამერიკელია, მეორე – ფრანგი და მესამე ტაილანდელი *(იცინის)*. ძალიან მიყვარს ცხოველები და ბავშვობიდან ვგიჟდებოდი, როცა ვხედავდი, ვინმე მათ უდიერად ეპყრობოდა, აწვალებდა ან სცემდა. დღესაც ასე ვარ. ალბათ იცით, რომ არის ქვეყნები, სადაც საერთოდ იკრძალება ცხოველის ქურქის ტარება და ბეწვის მოსასხამის ტარებაზეც კი უდიდესი ჯარიმაა.

**– პროფესიიდან გამომდინარე, ბევრ ქვეყანაში გიხდება მოგზაურობა. სადაც მიდიხარ ყველგან თან დაგყავს შენი სამივე შვილობილი თუ დროებით გიწევს ხოლმე მათთან განშორება?**

– სისი სულ ჩემ გვერდითაა; ფანტასტიკური ძაღლია, მშვიდი, ჭკვიანი და ყველგან დამყავს. ჩემოდნის ჩალაგებას რომ ვიწყებ, ის პირველი ხტება მასში. ვხუმრობ ხოლმე, ერთხელაც იქნება, ვერ დავინახავ, ჩავკეტავ და, თვითმფრინავის საბარგულში რომ აღმოჩნდება, მერე ისწავლის ჭკუას-მეთქი. სისიკო მულტიფუნქციურია – დაკეცე, ჩადე ჩანთაში და წადი სადაც გინდა, არ შეგაწუხებს *(იცინის)*. თავისი ჩანთა აქვს, სადაც მაშინ ვსვამ, როცა სადმე მიმყავს და, შეუძლია, 6-7 საათი გასუსული იჯდეს და არ შეგაწუხოს. ერთადერთი წყალი უნდება ხოლმე, თორემ, არც ტუალეტს ითხოვს და არც ამოყვანას. ასე დავფრინავთ მე და სისიკო ერთად მშვიდად და კომფორტულად, როგორც გითხარით, არსებობს ქვეყნები, მაგალითად, შვედეთი, ავსტრალია, იაპონია და ინგლისი, სადაც ძალიან სიმკაცრეა და ცხოველის შეყვანა კი არა, ბეწვის მოსასხამის შეტანაც კი იკრძალება. ეს იმ შემთხვევაში, თუ დროებით ჩადიხარ, მაგრამ, თუ საცხოვრებლად, მაშინ სპეციალური პროცედურები უნდა გაიარო და დაარეგისტრირო შენი ცხოველი. ამიტომ მომიხდა სისისთან დროებით განშორება და მისი დატოვება დედაჩემთან, თორემ, ისე ყველგან ჩემ გვერდითაა. ჯინა დედაჩემთან ცხოვრობს, გუჩი კი ჩემი მეუღლის, რაულის სახლში ცხოვრობს სანზონაში. სამწუხაროდ, და-ძმები ერთად ვერ ცხოვრობენ, გაშვილებულები მყავს, მაგრამ, ერთად რომ შეიყრებიან, უნდა ნახოთ, რა დღეში არიან. ახლა სისი და ჯინა ერთად არიან და ტკბებიან ერთმანეთის სიყვარულით. სისიკო ჩემს ქორწილში უნდა გენახათ, როგორი გადაპრანჭული იყო, გვერდიდან არ მომცილებია, ჩემთან ერთად იჯდა „ლიმუზინში”, თეთრი „ბანწიკით” თავზე *(იცინის)*. ზოგადად, პრანჭიაა და უხდება თავზე ქუდი და „ბანტები”. თან, იცის, რომ ლამაზი და საყვარელია და იფერებს *(იცინის)*.



სამი შვილი მყავს: ორი გოგო და ერთი ბიჭი; ერთი შვილი ამერიკელია, მეორე ფრანგი და მესამე – ტაილანდელი

**– ხშირად წერ სოციალურ ქსელში ცხოველებზე და გამოხატავ მათ მიმართ სიყვარულს. ხოლო, თუ ვინმემ ნაწამები ცხოველის სურათი დადო, ამაზე შენი კომენტარები საკმაოდ მკაცრია.**

– მართალი ხართ, ძალიან მიყვარს ცხოველები და მათზე ხშირად ვწერ ხოლმე სოციალურ ქსელში. ძალიან განვიცდი, როცა ნაწამები ცხოველის ფოტოს ვნახავ და, ამაზე რომ ჩემი აზრი არ გამოვთქვა, გამიჭირდება. წარმოიდგინეთ, როგორი არაადამიანი უნდა იყო, ცხოველი რომ აწამო! ისიც ხომ სულიერია? რადგან ენა არ აქვს, ვერ ლაპარაკობს და ვერ გიჩივლებს, ამის გამო უნდა აწამო და დაასისხლიანო?! პირდაპირ, სიტყვას ვერ ვპოულობ, რაც ასეთ ადამიანს უნდა უწოდო კაცმა.

**სისიკო მულტიფუნქციურია – დაკეცე, ჩადე ჩანთაში და წადი სადაც გინდა, არ შეგაწუხებს**

**– ძალიან მობილიზებული ხარ და საკმაოდ კარგად უვლი შენს ცხოველებს. დავიჯერო, არასდროს გაპარულან სახლიდან და არ დაკარგულან?**

– როგორ არა! ისე მანერვიულა სისიმ, კინაღამ ჭკუიდან გადავედი. პატარა რომ იყო, სახლიდან გამექცა ვენაში. ცენტრალური ქუჩაა, სადაც მანქანების ნაკადი არ წყდება და ისეთი ამბავია, ძაღლს კი არა, ადამიანს უჭირს ერთი მხარიდან მეორე მხარეს გადასვლა. მოკლედ, სისიკომ არც აცია, არც აცხელა და ეს ქუჩა ყელმოღერებულმა გადაჭრა მანქანების გრიალში. ბედისწერა იყო თუ ღმერთის წყალობა, ვერ გეტყვით, მაგრამ, მადლობა უფალს, მშვიდობით გადაკვეთა ეს საგიჟეთი ქუჩა და ცოცხალი გადარჩა, თორემ, რამე რომ დამართნოდა, ხომ გადავირეოდი? ვიღაც ავსტრიელმა გოგონამ დაიჭირა და გადმომიყვანა. ისე ჩავიკარი გულში შეშინებულმა, ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან *(იცინის)*. მაშინ 2-3 თვის იყო, დაგორავდა საყვარლად და, არც კი უფიქრია, რა შეიძლებოდა მოსვლოდა, ახლა კი უკვე დიდი გოგოა და იცის, რომ არ უნდა მანერვიულოს. თან, მაშინ სახლიდან არ გამყავდა, სულ ხელში მეჭირა და, არ იცოდა, თუ არსებობდა ასეთი „ურჩხული” – მანქანა, რომელსაც, შეიძლებოდა, დაერტყა. აი, გუჩი კი ძალიან ცელქია, უყვარს მოძრაობა, სეირნობა, გიჟმაჟობა, თავგადასავლები. თავნებაა და ორჯერ გამექცა ქუჩაში. სახლიდან არ ვუშვებდი მარტო. კერძო სახლი მაქვს, სტუმრები მყავდა და გადი-გამოდიოდნენ. ეტყობა, კარი დარჩათ ღია, გუჩიმაც დრო იხელთა, სტკუცა თავი და გავარდა. სამი დღე ვეძებდით, შევყარეთ მთელი უბანი და, რადგან ვერ ვიპოვეთ, ჩავთვალეთ, რომ დაიკარგა და გამოვიგლოვეთ. მახსოვს, გამოვაკარით კიდეც ქუჩაში გუჩის სურათები წარწერით: „დაიკარგა ძვირად ღირებული ძაღლი, წითელი პლაშჩით!” *(იცინის)*. მეოთხე დღეს ბავშვებმა მოგვიყვანეს – სადღაც უპოვიათ. უნდა გენახათ, ეს ძვირფასი ინგლისური პლაშჩი, რაც ეცვა, როგორი დაფლეთილ-დაფხრეწილი ჰქონდა და მაზუთებ-ბენზინებში იყო ამოგუნგლული. ვერ გეტყვით, იჩხუბა თუ ინერვიულა და იგორავა, მაგრამ, ფაქტია, გაუბედურებული მომიყვანეს.

**– იცი, რა მაინტერესებს? არისტოკრატი ჯინა, გიჟი გუჩი და ჭკვიანი სისი, როგორი და-ძმა არიან, ერთმანეთს როგორ ეგუებიან?**

– გადასარევად. სისი ძალიან მოსიყვარულე ძაღლია, ჯინაც საკმაოდ თბილია და იცის დედმამიშვილობა, მაგრამ, აი, გუჩის ვერ მოვუხერხეთ ვერაფერი და ამიტომაც გავაშვილეთ *(იცინის)*. თუ გაბრაზდა, შეუძლია, დაეტაკოს სისიკოს და გაგლიჯოს. ამიტომ, რადგან, ერთად ვერ რიგდებიან, დავაშორეთ.

**ნონა დათეშიძე**

**ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება რთული პერიოდი, მაგრამ, ნებისმიერ სირთულეს, წინააღმდეგობასა და განსაცდელს ყველა სხვადასხვაგვარად უმკლავდება. რა თქმა უნდა, ამ კუთხით გამონაკლისს არც ნოდიკო ტატიშვილი წარმოადგენს. მის ცხოვრებაშიც არაერთხელ ყოფილა რთული პერიოდები, თუმცა, დღეს, როგორც მის კარიერაში, ასევე, პირად ცხოვრებაში, სიმშვიდეა და ყველაფერი კარგად მიდის.**

# რის გამო სვამდა ნოდიკო ტატიშვილი ფსიქოტროპიულ წამლებს და რა შიშები დასჩემდა მას გარკვეული დროის განმავლობაში

**ნოდიკო ტატიშვილი**: ჩემს ცხოვრებაში ძალიან ხშირად ყოფილა რთული პერიოდები. იმდენად მძიმე პერიოდები გვქონია მეც და ჩემს ოჯახსაც, რომ, შეიძლება, მკითხველისთვის წარმოუდგენელიც კი იყოს. ახლა ეს ყველაფერი დეტალებში რომ გავიხსენო, შეიძლება, ისევ ძალიან ცუდად გავხდე. მქონია ისეთი პერიოდი, როდესაც არაფერი არ მდომებია, არაფრის კეთება, მხოლოდ ჩემს სახლში ყოფნა მინდოდა. ფსიქოლოგისთვისაც მიმიმართავს, რომ ეშველა ჩემთვის და ფსიქოტროპიული წამლებიც დამილევია.

**– ასე რთულად იყო საქმე?**

– კი, ძალიან. თან, მარტოც ვერ ვახერხებდი ამ ყველაფერთან გამკლავებას. როცა ამას ვერ ახერხებ, ფსიქოლოგთან მისვლა ძალიან კარგი საშუალებაა. დაახლოებით ორი-სამი თვე ვიღებდი ფსიქოტროპიულ საშუალებებს, იმისთვის კი არა, რომ კარგად ვყოფილიყავი, უბრალოდ, მეხმარებოდა რაღაცეების გადალახვაში, ბევრი რამისთვის „ლაითად" რომ შემეხედა. მაგრამ, ყველაზე მეტად დამეხმარნენ ის სასულიერო პირები, რომლებთანაც ვმეგობრობ – მათ სულ სხვა კუთხით დამანახვეს ყველაფერი. ამის შემდეგ დავიჯერე, რომ ცუდს ყოველთვის მოსდევს კარგი და, თუ ამ კარგს სწორად გამოიყენებ, მერე ეს კარგი ძალიან დიდხანს გაგრძელდება. განსაცდელების გარეშე კი არ არსებობს ცხოვრება – ეს ყველამ იცის. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი განსაცდელები, რომლებიც კვადრატში იყო აყვანილი, საბოლოოდ კარგად დამთავრდა. მას მერე კიდევ ხდებოდა რაღაცეები, მაგრამ, ისეთი სერიოზული აღარ ყოფილა.

**– რაში დაგეხმარა ამ ყველაფრის გადატანა?**

– თუნდაც იმაში, რომ ამის მერე მიფიქრია: რა უნდა მოხდეს, რომ გამიკვირდეს; რა უნდა გავიგო ისეთი, რომ შოკში ჩავვარდე, განვიცადო? – ასეთი რამ აღარ არსებობს. ზოგჯერ განსაცდელები საჭიროა, აუცილებელი იმისთვის, რომ უკეთ ისწავლო ცხოვრება; როგორ გადალახო ბარიერები ისე, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე დაინახო. იმ დროს გვირაბის ბოლოს საერთოდ ვერ ვხედავდი სინათლეს. ძალიან ბნელოდა და საერთოდ არ ჩანდა სინათლის სხივი. თან, ეს არ გრძელდებოდა ცოტა ხანს. პირადად მე არ მეხებოდა, ჩემს ოჯახს ეხებოდა და ეს კიდევ უფრო რთული იყო ჩემთვის. როცა საკუთარ თავთან მართალი ხარ, არ დაგიმსახურებია ის, რაც შენს ცხოვრებაში ხდება, ვიღაცას უნდა შენი „წამოკიდება", პრობლემების შექმნა, ცუდის გაკეთება, ახლა უკვე ძალიან მარტივია ჩემთვის, ეს ყველაფერი ცალ ყურში შევუშვა და მეორიდან გამოვუშვა. ადრე კი ამას ვერ ვაკეთებდი. მაშინ ყველაზე მძიმე და, თან, იმავდროულად, კარგი ის იყო, რომ შემოქმედებითად ძალიან ვიყავი დატვირთული. ეს რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერავინ და ვერაფერი მიშველიდა. საქმეც მქონდა, სისტემატურად მქონდა წარმატებები და დღემდე გრძელდება ეს გამონათებები.

**– რა მოხდა მაშინ, როდესაც სინათლე დაინახე?**

– სინათლე რომ დავინახე, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ვერ დავიჯერე, მაგრამ, ბოლოს, როცა მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, ჩემს თავს მოვუწყვე დიდი გასეირნება ევროპაში. თან, ჩემი მეგობრები იყვნენ იქ, ჩემი დაბადების დღეც მოდიოდა და, მოკლედ, ორი წლის წინ დაბადების დღე აღვნიშნე რომში. მანამდე ვიყავი ბარსელონაში და სიმართლე რომ გითხრა, იქაც ცოტათი სიზმარში მეგონა თავი: ნუთუ ყველაფერმა გადაიარა?

**– ზოგჯერ საკუთარი თავის განებივრება, საჩუქრების გაკეთება კარგია და აუცილებელიც.**

– კი და, ეს მართლაც ის შემთხვევა იყო, როდესაც წავედი ისე, რომ არ მქონდა არანაირი საქმე. უბრალოდ, შემეძლო მევლო მუზეუმებში, მენახა ღირსშესანიშნაობები, დამესვენა და საკუთარი თავისთვის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ჩამეტარებინა. იქიდან უფრო დამშვიდებული ჩამოვედი, თუმცა, შიშის მომენტი, რომ ვიღაც რაღაცას გართმევს, გედავება – რაღაც პერიოდის განმავლობაში მაინც გამომყვა. დღეს ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და, მივხვდი, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი მაინც ოჯახია, შენი მეგობრები და ის ადამიანები, ვისაც უყვარხარ. არ მინდა, მორალისტი გამოვიდე, მაგრამ, მგონია და მჯერა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, დააფასო ის ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად უყვარხარ და მათი მხრიდან ამას გრძნობ. დიდი ხანია, მივხვდი, რომ, მთავარია, ოჯახის წევრები იყვნენ კარგად, ასევე, შენი გარემოცვა, მეგობრები. ვერც წარმოიდგენ, ზოგჯერ ისეთ ადამიანებზე მიფიქრია ან მინერვიულია, როცა რაღაც პრობლემა ჰქონიათ, რომ არც კი ვიცნობ კარგად. მთავარი მაინც კეთილდღეობაა და, მიხარია, რომ ეს აქვს დღეს ჩემს ოჯახს: კარგად ვართ, ერთად ვართ. ამ ყველაფერს კი ერთვის და თან ცხოვრების აზრს მაძლევს ის, რომ მიხარია ქუჩაში გასვლა და მიხარია, რომ, სადაც არ უნდა წავიდე, საქართველოს ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში, ყველგან სახლში ვგრძნობ თავს. ისეთი სითბოთი მხვდებიან, ვერც წარმომიდგენია, რომ სტუმარი ვარ. ევროპაშიც მაქვს ხოლმე გასტროლები და, თურმე, იქ მცხოვრები ქართველები უფრო მეტად ადევნებენ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ვიდრე ეს ჩვენთან ხდება. ხალხის დადებითი დამოკიდებულება ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო და პრიზია.



**იმ დროს გვირაბის ბოლოს საერთოდ ვერ ვხედავდი სინათლეს, ძალიან ბნელოდა და საერთოდ არ ჩანდა სინათლის სხივი; თან, ეს არ გრძელდებოდა ცოტა ხანს**

**არის რაღაცეები, რაც მინდა, რომ ზუსტად ისე იყოს, როგორც მე მინდა და არა ისე, როგორც უნდა დედას, მამას, დას ან მეგობარს**

**– შენს ოჯახზე, მშობლებზე ყოველთვის დიდი სიყვარულით საუბრობ.**

– გამიმართლა, რომ დედაჩემისა და მამაჩემის შვილი ვარ. ამით ბედნიერი და ამაყი ვარ. საოცარი მშობლები მყავს: თბილები, მოსიყვარულეები, გულისხმიერები. მე და ჩემი და მათ ურთიერთობაზე ხშირად ვიცინით. დაახლოებით 35 წელია, რაც ცოლ-ქმარი არიან და მათი სერიოზული ჩხუბი არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ მათი კინკლაობა, რაც ახლაც ხდება ხოლმე და ძალიან სასაცილოა. თან, ეს ყოფით რაღაცეებზე ხდება, მაგალითად, დედას არ მოეწონება მამას მიტანილი „მალინა" და ამის გამო ხუთი წუთი ჩხუბობენ, ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ კი ერთმანეთს მიუსხდებიან, ჩართავენ ტელევიზორს, სვამენ ყავას და ეხუტებიან, ეფერებიან ერთმანეთს და მე და ჩემი და ამაზე ვიცინით.

**– შენ როგორ ფიქრობ, ასეთივე მოსიყვარულე და გულისხმიერი მეუღლე იქნები?**

– ზუსტად ასეთი ვიქნები, თუმცა, დედაჩემს რომ ჰკითხო, ჩემისთანა ჯიუტი, მომთხოვნი და ფიცხი დედამიწის ზურგზე არავინ უნახავს, მე კი ამას ვერ ვატყობ საკუთარ თავს. ყველას გვაქვს ჩვენი პრინციპები, უბრალოდ, ამ ყველაფერთან ერთად, პედანტი ვარ, გართულება მაქვს რაღაცეებზე, ანუ არის რაღაც, რაც მინდა, რომ ზუსტად ისე იყოს, როგორც მე მინდა და არა ისე, როგორც დედას, მამას, დას ან მეგობარს. დედაჩემი ჩემზე პედანტია და ხანდახან ვეუბნები: დედა, იქნებ, ფსიქოლოგს მიმართო, რომ დაგეხმაროს? ამას იმიტომ ვეუბნები, რომ, რასაც ოჯახში ვერავინ ხედავს, ხედავს დედაჩემი. დღეში რამდენჯერმე ალაგებს სახლს. ბოლო პერიოდში იმდენჯერ ვუყიდე მტვერსასრუტი, აღარც კი მახსოვს – „მატორი" ვერ უძლებს და ეწვება. დილითაც მესმის მტვერსასრუტის ხმა, შუადღითაც, საღამოს და გვიანაც, თუ რამეს შენიშნავს იატაკზე. მტვერსასრუტების კოლექცია გვაქვს სახლში და ახლა დავემუქრე, რომ აღარ ვუყიდი. ჩემს ოთახსაც ხუთასჯერ ალაგებს, პერანგებს ამზადებს, კიდებს. ვეუბნები, დაანებე ამას თავი, მე როგორც დავდე, ისე იყოს-მეთქი, მაგრამ მაინც ჩუმად შედის და ასწორებს.

**– რა უნდა იცოდეს შენმა მომავალმა ცოლმა?**

– უნდა იცოდეს ძალიან გემრიელი კერძების კეთება; სამოსს რაც შეეხება, ყოველთვის უნდა მქონდეს წესრიგში. პრინციპში, ჩემი ბრალიც არის ყველაფერი. დედას ვეუბნები, ეს გამიმზადე კონცერტისთვის-მეთქი, მაგრამ, სანამ სახლიდან გავალ, სხვა რამის ჩაცმა მინდება და მერე ამაზე გვაქვს კამათი – რატომ ადრე არ მითხარიო.

**– თან, შოპოჰოლიკი ხარ.**

– ადრე არ ვიყავი, ახლა ვარ. იმხელა გარდერობი მაქვს, მეორეს ყიდვას ვაპირებ – ერთ კარადაში აღარ ეტევა ჩემი ტანსაცმელი. მაგრამ, ყველაფერი წესრიგშია, შემიძლია, ხელი შევყო და ჩავიცვა.

**– რას აქცევ სამოსის ყიდვისას ყურადღებას?**

– პრაქტიკულობას და ხარისხს. მირჩევნია, უფრო მეტი თანხა გადავიხადო, მაგრამ, ვიცოდე, რომ დიდხანს გამიძლებს, რადგან, ფეხსაცმელს ორ კვირაში ვცვეთ, ტანსაცმელსაც – ძალიან მალე. სცენაზეც მიყვარს უფრო სადა, მაგრამ, ეფექტური და გამორჩეული სამოსის ჩაცმა. შეიძლება, ოტკუტიური არა, მაგრამ კარგი შესახედი იყოს. ბრენდებზე ერთი პერიოდი მქონდა გართულება. როცა ჩემი და ცხოვრობდა ლონდონში, მთელი წელი ვაგროვებდი თანხას, იმ დიდი თანხით ჩავდიოდი და, თუ რომელიმე ბრენდის სახელი მქონდა გაგონილი, იმ მაღაზიაში შევდიოდი, ოღონდ, ხამურად არ ვყიდულობდი, ვარჩევდი.

**– როგორ არის იმ გოგოს ამბავი, მასთან ურთიერთობა რომ გსიამოვნებს?**

– კარგად არის ყველაფერი. პირად ცხოვრებაშიც სიწყნარე, სიმშვიდე და სტაბილურობაა, ისევე, როგორც ყველა მხრივ. შემოქმედების თვალსაზრისითაც ნაყოფიერად დაიწყო ეს წელი – ოქტომბერში ან 5 ნოემბერს, ჩემს დაბადების დღეზე, მეორე ალბომის პრეზენტაციას ვგეგმავ და, შეიძლება, კონცერტიც დავამთხვიო. მანუჩარ მანჯავიძეა ჩემი ახალი ალბომის მუსიკალური დირექტორი და პროდიუსერი, ქართული ტექსტებიც მისი იქნება; ორი უცხოური სიმღერის ტექსტი დამიწერა უცხოელმა ავტორმა. გიორგი კიკალიშვილმა გადაიღო სიმღერაზე ვიდეო, რომელშიც გოგოლა მონაწილეობს – სექტემბერში „რუსთავი 2-ზე" იქნება პრემიერა. კონცერტამდე კი მეორე კლიპის პრეზენტაციასაც ვაპირებ.

**ნათია უტიაშვილი**

**როდესაც ადამიანი ეცემა, ცოდვილი ცხოვრების გზას ადგება, მას ღვთის ხატება უნარჩუნდება, მაგრამ მსგავსება ეკარგება. როგორი ბოროტი და ცოდვილიც არ უნდა იყოს ადამიანი, მას მაინც აქვს თავისუფალი ნება, მარადისობისთვის არის, მაინც ხატებაა ღმერთის, ოღონდ, ჭუჭყში ამოსვრილი და გათელილი. ასეთი ადამიანი შეიძლება მივამსგავსოთ ტალახში ამოსვრილ მარგალიტს, თუ მას ტალახს მოვაშორებთ, ის იგივე ხატება იქნება, რომელიც დაიწყებს განღმრთობას და დაუბრუნდება ღმერთს. ამიტომ გვასწავლის ეკლესია, რომ, რაც დავკარგეთ, ანუ მსგავსება, ეს ჩვენში უნდა აღდგეს ეკლესიური, მისტიკური ცხოვრებით, უფალთან ურთიერთობით. ამ საკითხის, ასევე, სულიწმიდის მადლის შესახებ, გვესაუბარება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# როგორ უნდა აღმოაჩინოს ქრისტიანმა მასზე მოვლენილი სულიწმიდის ნიჭი და როდის მიმართავს ეკლესია სასჯელის უკიდურეს ფორმას, ანათემას

**– ადამიანებს ყველაზე მეტად საკუთარი თავის შემეცნება, ჩვენს ძალებში, შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნება გვიჭირს, რაც არაერთი კომპლექსის გაჩენისა და თავის მხრივ, სხვა ადამიანების, თუნდაც სასულიერო პირების განკითხვის მიზეზი ხდება.**

– ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ადამიანი მოწოდებული იყო საკუთარი თავის შეცნობისკენ. აპოლონ დელფოს ტაძარზე ეწერა სოკრატეს სიტყვები „შეიცან თავი შენი“. ამაში კი ჩვენ დაგვეხმარება გული. ვისაც საკუთარი თავის შეცნობა სურს, მან უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში. თუ მასში არის სულიერი ნაყოფი – სიყვარული, სიხარული, სახიერება, მშვიდობა, თავმდაბლობა, რწმენა, მარხვა და სხვა ნეტარებები და სათნოებები, მაშინ ის იქნება ღმერთთან ახლოს, მაგრამ, თუ ადამიანი საკუთარ გულში აღმოაჩენს არა სიყვარულს, არამედ სიძულვილს; არა სიხარულს, არამედ მწუხარებას; არა რწმენას, არამედ ურწმუნობას; არა სიმდაბლეს, არამედ ამპარტავნებას, მაშინ, ბუნებრივია, უნდა დაიწყოს საკუთარი თავის გამოსწორება. ძალიან ბევრი ფიქრობს, მე ასე ვიქნები და სხვა გააკეთებს ჩემს საქმეს; ეკლესია ილოცებს ჩემზე; ღმერთი განკაცდება, იშვება, ჯვარს ეცვა, აღდგება და ეს ყველაფერი ჩემი ნების გარეშე მოხდებაო. ეს არასწორია, ადამიანი რომ ცხონდეს, რომ გამოსწორდეს, მას სჭირდება პირადი გადაწყვეტილება უფლის წინაშე. მაცხოვარი შეგვაგონებს:

ვისაც სურს, რომ შემომიდგეს მე – უარყოს თავი თვისი, აღიღოს ჯვარი და შემომიდგეს მე. საკუთარი თავის უარყოფა კი ნიშნავს იმას, რომ გავაანალიზოთ, კარგად დავინახოთ ჩვენი დაცემულობა, სისუსტე, ცოდვები, სიბოროტე. თუ ადამიანი გონიერია, ის აუცილებლად დაინახავს ამას და გაუჩნდება სურვილი, რომ დაიწყოს საკუთარი თავის გამოსწორება. სწორედ ამ შემთხვევაში გვჭირდება საკუთარი ნების დამორჩილება უფალთან. როგორც იცით, ეკლესია ყოველთვის ქადაგებს უფლის ნებას – ეს არის ადამიანის ცხონება. მაგრამ, თუ ადამიანის ნება არ არის ცხონება, მაშინ უფალი წყვეტს მოქმედებას და ელოდება მისი ნების დაქვემდებარებას, რის გარეშეც, მაპატიეთ და, შეიძლება, უძლური იყოს. ღმერთი ყოვლად სამართლიანია. თუ ის ადამიანის გადარჩენასა და გამოხსნას მძლავრებითად აღასრულებს, ის უკვე სამართლიანი ველარ იქნება. ხშირად სვამენ ასეთ კითხვას: განა არ შეეძლო ღმერთს, ტანჯვის, ჯვარცმის გარეშე გადაერჩინა ადამიანი, გამოეხსნა ის ცოდვის მონობისგან და აღედგინა? რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ, მაშინ ის უსამართლო იქნებოდა. როგორც წმიდა მამები ამბობენ, სამსჯავროს დღეს ეშმაკი დაუსვამდა კითხვას: მე ადამიანი შევაცდინე, ის ცდუნდა საკუთარი ნებით, თუ შენ ის გამოიხსენი მძლავრებითად, ანუ მისი ნების გარეშე, მაშინ შენ სამართლიანი არ იქნებიო. ამიტომ ღმერთმა ყველაფერი სიცხადეში, სამართლიანობით აღასრულა. რადგან ადამიანი დაეცა, ადამიანივე უნდა აღმდგარიყო. რადგან ადამიანს ადამიანის აღდგომა, განღმრთობა არ შეეძლო, ამიტომ, არაბუნებრივი გზით, სულიწმიდის მადლით, ქალწულის საშოში, დედაკაცის თესლში ჩაისახება ღმერთი, რომ ყოველივე სიმართლე აღესრულოს. მარტო ღმერთს რომ გამოეხსნა ადამიანი, ისიც უსამართლობა იქნებოდა. თუკი ადამიანი დაეცა, ადამიანივე უნდა დაისაჯოს; თუ ადამიანი შეცდა, ადამიანივე უნდა გამოსწორდეს. ამიტომაც, წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი, ძე ღვთისა – იესო ქრისტე – კაც იქმნა. ერთ ჰიპოსტასში ხდება შეხვედრა ღმერთისა და ადამიანისა შეურევნელად. პიროვნება არის იესო ქრისტე, ოღონდ, ძე ღვთისა – ბუნებით სრულყოფილი ადამიანი. ყველაზე დიდი, რაც ღმერთმა ადამიანისთვის გააკეთა, ის არის, რომ მან გამოგვიხსნა და საიდუმლო ადამიანისა სწორედ აქამდე უნდა მივიდეს. როდესაც მივეახლებით უფალს, უნდა ვუთხრათ: ჩვენ, შენი ხატება მოვედით შენთან, მთელი ცხოვრება ვცდილობდით, რომ მოგმსგავსებოდით შენ, ვიყავით მსგავსნი შენნი და არა უმსგავსონი. სწორედ აქედან მომდინარეობს ქართულში დამკვიდრებული სიტყვა – უმსგავსო, რომელსაც იმ ადამიანის მიმართ ვხმარობთ, რომელიც არ მოგვწონს. ადამიანი ან უფალს ემსგავსება, ან იმ არაწმიდა სულს, რომელიც დასაბამია უმსგავსობისა.



საქართველოში 475 წლიდან, ვახტანგ გორგასლის დროიდან, მირონი ეკურთხება, ჩვენი ეკლესია ავტოკეფალიურია და უკვე 16 საუკუნეა, რაც ჩვენთან არის მირონი

**– ჩვენ ხშირად გვისაუბრია აპოკალიფსზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, სანამ აპოკალიფსი დადგება, მანამდე დგება აპოსტასიის, ანუ უსიყვარულობის პერიოდი.**

– ზოგს ჰგონია, რომ პირდაპირ აპოკალიფსში აღმოვჩნდებით, არადა, ჯერ არის აპოსტასია – ღვთისგან განშორება, უსიყვარულობა. ასეთი წინასწარმეტყველებაც არსებობს, რომ ძალიან ბევრს მოუნდება „ივერთა მიწაზე“ შემოსვლა, იმიტომ, რომ ნაკლებად იქნება საქართველოში ბოროტება, ნაკლებად დაიდგამს საქართველოში ტახტს ანტიქრისტე; ანუ, ჩვენს ქვეყანას ნაკლებად შეეხება ის მოვლენები, რომლებიც განვითარდება აპოსტასიის ხანაში. აპოსტასია – ეს არის ღვთისგან განშორების, უსიყვარულობის პერიოდი. ხალხი გაველურდება, გაუცხოვდება, რწმენას დაკარგავს და „გახმება სიყვარული“. ეკლესიას ეროვნება არ გააჩნია.

**– სულიწმიდის მადლი ადამიანს ხშირად ეხმარება, აძლიერებს და განსაცდელების გადალახვაში უწყობს ხელს.**

– შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ ნათლისღების საიდუმლოს შესრულების დროს აღსრულდება ორი საიდუმლო: პირველი – ნათლისღება წყალში, წმიდა სამების სახელზე და მეორე – როცა ემბაზიდან ამოიყვანს ადამიანს მოძღვარი, ამბობს: „ბეჭედი სარწმუნოებისა – მირონი“ და სცხებს მას შუბლზე, თვალებზე, ცხვირზე, პირზე, ყურებზე, ხელებზე, ფეხებზე და ასე შემდეგ. ამ დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანზე მოძღვრის ლოცვა-კურთხევით გადმოდის სულიწმიდის მადლი და მას უხილავად მიენიჭება ესა თუ ის ნიჭი სულისა წმიდისა. როგორც იცით, არსებობს სულიწმიდის ნიჭები და ერთ-ერთი, რომელიც მოციქულებზე პირველად ხილულად გადმოვიდა, იყო ცეცხლოვანი ენების სახით. ამ დროს, ყველაზე მეტად რომელი ნიჭიც სჭირდებოდათ მოციქულებს, ეს იყო ქადაგება სხვადასხვა ენაზე. ამიტომ, სულიწმიდამ ინება უფლის კურთხევით და მოციქულებზე გარდამოვიდა მადლი და ისინი ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე. ყველამ საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს, თუ რა ნიჭით არის დაჯილდოებული, მაგრამ, ჩვენ, ქართველებს მაინცდამაინც გვინდა, რომ განსაკუთრებული ნიჭით ვიყოთ დაჯილდოვებულები. იგივე სიყვარულის, თავმდაბლობის, მორჩილების, მოწყალების, სიკეთის ნიჭიც სრულიად საკმარისია ჩვენთვის.

ეკლესიაში მკაცრი განაჩენის უკიდურესი ფორმაა ანათემა, როდესაც ადამიანი შეგნებულად გმობს წმიდა სამებას, ნათლისღების საიდუმლოს, გმობს სულიწმიდას, იკლავს თავს. ძალიან საინტერესო ადგილია ახალ აღთქმაში: მამისა და ძის უარყოფა ეპატიება ადამიანს, სულიწმიდის უარყოფა კი – არა. იმ შემთხვევაში ადამიანი გმობს სულიწმიდას, როცა არ ცხოვრობს ეკლესიურად; გაჭირვებაში ჩავარდნილები, იმდენად ამპარტავნები არიან, რომ არ მიდიან უფალთან, მოძღვართან, ეკლესიაში. ასეთები დეპრესიაში ვარდებიან, ნევროზი ემართებათ; ღმერთმა ყველა დაიფაროს და, ისინი ცდილობენ საკუთარი თავის განადგურებას, რაც არის სწორედ სულიწმიდის გმობა და, ამიტომაც, ეკლესია არ ლოცულობს მათთვის. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: მე გეტყვით, რომ თქვენ არ ილოცოთ მათთვის, ვინც სულიწმიდის მგმობელია. სულიწმიდის მგმობელები არიან, ასევე, სექტანტები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, იეღოვას მოწმეები. პირდაპირი გაგებით, ასე რომ ვამბობთ, შეიძლება, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ, ისინი თავისდა უნებურად გმობენ ჭეშმარიტებას. მინდა აქვე დავაკონკრეტო, რომ, როდესაც მაცხოვარი დევნის ეშმაკებს, მასზე ამბობენ, რომ ის ბელზებელით, ეშმაკის მთავრით აკეთებს ამასო. მაცხოვარი ბრძანებს: თუ ეშაკი ეშმაკს დევნის, მაშინ, მოსულა მისი აღსასრული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ არ ხარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, არ ხარ მონათლული მართლმადიდებელ ეკლესიაში, სულიწმიდა არ გაქვს და ვერც გექნება. თუ გინდა, რომ გადმოვიდეს შენზე სულიწმიდა, უნდა აღსრულდეს შენზე მირონცხება. საქართველოში 475 წლიდან, ვახტანგ გორგასლის დროიდან, ეკურთხება მირონი, ჩვენი ეკლესია ავტოკეფალიურია და უკვე 16 საუკუნეა, რაც ჩვენთან არის მირონი. ცრუ სწავლება იყო, უმეცრებით ამბობენ, რომ თითქოს მირონი ჩვენთან სომხური ეკლესიიდან შემოდის და შემოდიოდა. არასდროს არ ყოფილა ასე, მანამდე ანტიოქიიდან შემოგვქონდა კეთილსურნელოვანი საშუალებები, მცხეთაში იხარშებოდა მირონი. მირონის კურთხევა კი დადგინდა მოციქულების მიერ, რომლებიც მირონცხებით აღასრულებდნენ სულიწმიდის მადლის მინიჭებას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნათელღებულები ვართ წმიდა სამების სახელზე და მირონცხებულები ვართ, სულიწმიდის ნიჭებით აღსავსე. ერთხელ, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელ ბერ პაისს, როდესაც ათონის მთაზე მასთან მისულა მომლოცველთა ჯგუფი, მათთვის უთხოვია დალოცვა. მომლოცველებს გაჰკვირვებიათ – მამაო, თქვენ უნდა გვლოცავდეთ და ჩვენგან ითხოვთ დალოცვასო? მან კი უპასუხა: შვილო, განა არ იცით, ვინც მონათლულია წმიდა სამების სახელით და მირონცხებული, მას უფლება აქვს, დალოცოს სხვა ადამიანი.

**ნათია უტიაშვილი**

## წმიდა ეპისკოპოს სპირიდონ ტრიმიფუნტელის აღსრულებული სასწაულები

შურის გამო ბოროტმა კაცებმა მღვდელმთავრის ერთ მეგობარს, რომელიც იყო კაცი კეთილმოქმედი, ცილი დასწამეს და საპყრობილეში შეაგდეს; შემდგომ მსაჯულმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. როგორც კი გაიგო წმიდა სპირიდონმა თავისი უდანაშაულო მეგობრის უბედურება, მაშინვე გაეშურა მის გამოსახსნელად. გზაში მას მოდიდებული მდინარე შეხვდა, რომელშიც შეუძლებელი იყო გასვლა, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა მღვდელმთავარი, რომელსაც კეთილი საქმისთვის მიეჩქარებოდა. მას ღრმად სწამდა, რომ ღმერთი ყოვლად ძლიერია, ამიტომ ის ისუ ნავეს მსგავსად, რომელმაც ერთხელ განჰყო იორდანე, მიუბრუნდა მდინარეს და ღვთის სახელით უბრძანა გაჩერება, რომ შეძლებოდა მასში გასვლა და მოესწრო გამოხსნა უდანაშაულოდ დასჯილისა. წყალი მართლაც დაემორჩილა მის სიტყვებს: მდინარე შეჩერდა, გამოჩნდა მშრალი ფსკერი და თვითონაც და მასთან მყოფნიც მეორე ნაპირზე გავიდნენ. მღვდელმთავრის თანამოგზაურნი დაწინაურდნენ და მსაჯულს უამბეს ეს სასწაული. მსაჯულმა მაშინვე გაათავისუფლა შეპყრობილი და მისცა იგი მღვდელმთავარს. ასეთი გულმოწყალე იყო წმიდა სპირიდონი მახლობლისადმი გაჭირვებისა და მწუხარების დროს, მაგრამ, არანაკლებ ძვირფასი იყო მისთვის ისიც, ვინც რაიმე ცოდვაში და ცუდ საქმეში ჩავარდებოდა. სულით და გულით წუხდა ეგეთ კაცზე და ცდილობდა მის მოქცევას ან სიმშვიდით, ან მუქარით და ან სასჯელით.

მიუხედავად იმისა, რომ ის ეპისკოპოსი იყო, მას ჰყავდა ცხვრისა და თხის ჯოგი და თვითონ ადევნებდა თვალყურს. ერთხელ მღვდელმთავართან ერთი კაცი მივიდა და სთხოვა, ასი თხა მიეყიდა მისთვის. მღვდელმთავარმა უთხრა მას, რომ ჯერ გარიგებისამებრ გადმოეთვალა მათი ფასი და მერმე წაეყვანა ნაყიდი თხები. მან გადმოუთვალა 99 თხის ფასი, ერთის დააკლო; იფიქრა, მღვდელმთავარი ამას არ დაუკვირდებაო. როცა ისინი ფარეხში იყვნენ, მღვდელმთავარმა უთხრა მას, წაეყვანა იმდენი თხა, რამდენის ფასიც მან გადმოთვალა. ვაჭარმა გამოარჩია ასი თხა და გამოდევნა ფარეხიდან. ერთი თხა, რომელმაც, თითქოს იცოდა, რომ ის არ იყო ნაყიდი, მაშინვე უკან დაბრუნდა. ვაჭარმა ხელმეორედ გამოდევნა, მაგრამ თხა ისევ უკან დაბრუნდა, მესამედაც კვლავ ისე მოიქცა. შემდეგ ვაჭარმა გაისვა ის მხარზე და წაიყვანა, მაგრამ თხამ მორთო პეტელი, ფეხების ქნევა და რქით რჩოლა, ისე რომ, ყველას უკვირდა ეს ამბავი. მღვდელმთავარი მიხვდა ამის მიზეზს და ჩუმად ჰკითხა მას: „ალბათ, დაგიმალავს შენ მისი ფასი და ის მისთვის გისხლტება ხელიდან და მირბის ფარეხში." ამ სიტყვებით შერცხვენილი ვაჭარი გამოტყდა და შენდობა სთხოვა. ხოლო შემდგომ, რაკი მისცა თხის ფასი, თხა თავისთავად გაჰყვა მას შინ.

## ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის „შენ ხარ ვენახის" ხატის მიერ აღსრულებული სასწაულები

***ხატი დაიწერა 1995 წელს თბილისში და დაბრძანებულია თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ტაძარში (ავლაბარი)***

ჩემი მეგობრის დედას ინსულტის გამო დაემართა სისხლჩაქცევა – ჰემატომა თავის არეში. უმძიმეს მდგომარეობაში მოათავსეს რეანიმაციაში. გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია, თავის ქალის ტრეპანაცია. ასაკოვანია, დაავადებულია ჰიპერტონიით, აღენიშნება სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება, რამაც არაერთხელ შეუქმნა საფრთხე მის ჯანმრთელობას.

ოპერაციის შემდგომი პერიოდი გართულდა. ავადმყოფი ხუთი დღის განმავლობაში კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ექიმების ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. მაშინ მკურნალმა ექიმმა თავისი ავადმყოფი ღვთის ნებას – განგებას მიანდო.

ჩვენი სურვილით, საავადმყოფოში წავაბრძანეთ ხატი „შენ ხარ ვენახი"; დაუბრკოლებლივ დავასვენეთ სასთუმალთან და ავადმყოფს ხელზე გავუკეთეთ ნაკურთხი ჯვარი. რამდენიმე საათის შემდეგ მკურნალმა ექიმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა, კერძოდ, ავადმყოფს გაუჩნდა რეფლექსი და თან გაიღიმა.

მეორე დღიდან ავადმყოფი კონტაქტური გახდა. დაიმედებულმა ოჯახის წევრებმა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში მოსვლის სურვილი გამოთქვეს, მოძღვარს გადაახდევინეს პარაკლისი ღმრთისმშობლის ხატთან „შენ ხარ ვენახი". საავადმყოფოში დაბრუნებულებს ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებული დახვდათ. შვილმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ტაძარში ლოცვის შემდეგ დედა სულ უკეთ და უკეთ ხდებოდა.

ავადმყოფის არაერთმა ახლობელმა აღიარა სასწაულებრივი შემობრუნება. ხანდაზმულმა ექიმმა აღფრთოვანებულმა აღნიშნა: „ალბათ, არსებობს ღმერთი".

ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ ავადმყოფი საავადმყოფოდან გაეწერა ყოველგვარი გართულების გარეშე. მას და მისი ოჯახის წევრებს ეკლესიური ცხოვრების სურვილი გაუჩნდათ. ავადმყოფმა სახლში მკურნალობისას მოძღვარს აღსარება ჩააბარა და ეზიარა. დღესდღეობით მისი მდგომარეობა (ჯანმრთელობა) დამაკმაყოფილებელია. მას და მის მეგობრებს სურვილი აქვთ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მათ ოჯახებში მყოფმა წყვილებმა ერთად დაიწერონ ჯვარი ეკლესიაში.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ტაძრის აღსადგენი მასალა მშენებლებს მივყიდე და არ შევწირე, რასაც განვიცდი. ცოდვა ხომ არ ჩავიდინე ამით?**

**პასუხი:** ასეთი ქმედება ცოდვად არ ჩაგეთვლებათ, რადგან ანგარება არ გამოძრავებთ. როგორც ჩანს, ეს შეჭირვების გამო გააკეთეთ. მოიქეცით ისე, როგორც თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას შეესაბამება.

**კითხვა: გარდა ეკლესიისა, სად შემიძლია, ვიმუშაო სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ?**

**პასუხი:** სასულიერო სასწავლებელი საღვთისმეტყველო განათლებას აძლევს. ღვთისმეტყველების გამოყენება კი უსასრულოდ შეიძლება – სკოლის პედაგოგობით დაწყებული, სამეცნიერო მუშაობით დამთავრებული. შეგიძლიათ, იმუშაოთ ნებისმიერ ადგილას, სადაც საღვთისმეტყველო განათლებაა საჭირო.



**კითხვა: რატომ არ ცნობს ქრისტიანული ეკლესია რეინკარნაციას – ადამიანის ხელმეორედ დაბადებას?**

**პასუხი:** ადამიანი ერთხელ იბადება და არასდროს განმეორდება. ის ღვთის ხატია და, თავის ხატად და მსგავსად, უფალმა მხოლოდ ერთხელ შექმნა. მართალია, ადამიანი გარდაიცვლება, მაგრამ, ის არსებობას არ ამთავრებს. მეორედ მოსვლისას აღდგება თავისივე სხეულით, ისეთივე, როგორიც იყო, მაგრამ, უხრწნელი ხორცით.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ქრისტიანულად ცხოვრობდე, როდესაც არავის ვნებ, მაგრამ ვერც ვერავის ეხმარები?**

**პასუხი:** არ არის საკმარისი სიავისგან განზე დგომა. ქრისტიანმა არა მარტო ავი საქმეები არ უნდა აკეთოს, არამედ, ის აუცილებლად უნდა დაეხმაროს მოყვასს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წამებული ტყვეები

იმ პერიოდში ლონგობარდებს (ძველი გერმანული ტომია) ოთხასი კაცი ჰყავდათ ტყვედ. მათ ჩვეულებად ჰქონდათ, ეშმაკისთვის თხის თავი შეეწირათ მსხვერპლად; მსხვერპლშეწირვისას კი სამსხვერპლოს გარშემო როკავდნენ და უხამს სიმღერებს მღეროდნენ. ამგვარად, თავადაც თაყვანს სცემდნენ თხის თავს და თავიანთ ტყვეებსაც აიძულებდნენ, იგივე მოემოქმედათ. მაგრამ ტყვეების უმეტესმა ნაწილმა უარი თქვა კერპების თაყვანისცემაზე – მათ დროებით სიცოცხლეს ამჯობინეს, სიკვდილით მოეხვეჭათ მარადიული ცხოვრება. არ შეასრულეს უზნეო ბრძანება და, შემოქმედის წინაშე თავის დადრეკას ჩვეულებმა, არ ისურვეს, რომ ქმნილების წინაშე მოეხარათ ქედი. ამან ლონგობარდები ისე განარისხა, რომ ხმლით მოსრეს ყველა ის ტყვე, ვინც მონაწილეობა არ მიიღო უსჯულოებაში.

ამგვარად, მოწამებრივი გვირგვინი მიიღეს მაშინ, როცა, ერთი შეხედვით, ეკლესიის მშვიდობიანობის ხანა იდგა და მრავალი ირჩევდა წუთისოფლის ფართო შარაგზით სვლას. მაშ, განა გასაკვირია, რომ ცხადი დევნის ჟამს, მოწამეები გახდებიან ისინი, ვინც ეკლესიის მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში ყოველწამიერად გვემენ საკუთარ თავს და მოწამეობრივად ირჩევენ ვიწრო ბილიკს. თუმცა, რჩეულთა შესახებ ჩემი (დიაკონი პეტრე, რომელიც ესაუბრება წმიდა გრიგოლ დიალოღოს; მეექვსე საუკუნე) ნათქვამი ყველასთვის საერთო, საზოგადო კანონად არ უნდა მივიღოთ. შესაძლოა, აშკარა დევნის დადგომისას მრავალი იმათგანი, ვინც ეკლესიის მშვიდობიანობის ჟამს არასაიმედო ჩანდა, ღვთის შეწევნით შეძლებს, აიტანოს ტანჯვა-წამება და, პირიქით, ისინი, ვინც ეკლესიის მშვიდობიანობის პერიოდში რწმენაში სიმტკიცეს ამჟღავნებდნენ, შიშის გამო შედრკნენ.

## მონასტრის გადარჩენა

კამპანიის ოლქში ფრანკების ჯარი გადაადგილდებოდა. ჯარისკაცებში გავრცელდა ხმა, რომ, თითქოს, ის მონასტერი, რომელსაც ჰონორატი მართავდა, დიდ საგანძურს ფლობდა.

გამხეცებული ფრანკები ტაძარში შეცვივდნენ, ეძებდნენ და უხმობდნენ იკონომოს (ეკლესიის, მონასტრის მნე) ლიბერტინს. ის კი, ამ დროს, მიწაზე განრთხმული, იქვე ლოცულობდა. ჰოი, საოცრებავ, რამდენი არ ეძებეს ფრანკებმა ლიბერტინი, რამდენს არ ეცადნენ (ზოგჯერ ფეხითაც კი ეხებოდნენ მის სხეულს), მაგრამ, მაინც ვერ შეძლეს მისი შემჩნევა. ამგვარად, მოძალადეთა თვალთაგან ლიბერტინი დაიფარა და ისინი იძულებული გახდნენ, ხელცარიელი წასულიყვნენ მონასტრიდან.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფეხბურთელები

*ახალი საფეხბურთო სეზონიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" ახალი ერა იწყება – ლეგენდარულ კლუბში მთავარ მწვრთნელად არანაკლებ ლეგენდარული ჰოლანდიელი სპეციალისტი, ლუი ვან გაალი დაინიშნა, რომელიც კლუბისთვის წარსული დიდების დაბრუნებას შეეცდება. კლუბში ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, რომლებიც ძველ, ჯერ კიდევ ალექს ფერგიუსონის დროინდელ გვარდიასთან ერთად პრემიერლიგაში საუკეთესო კლუბის ტიტულისთვის იბრძოლებენ. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია, რომ წლევანდელ სეზონს კლუბი რაიან გიგზისა და რიო ფერდინანდის გარეშე დაიწყებს, რაც ერთ დროს წარმოუდგენელი იყო. სანამ ახალი ფეხბურთელები ახალი ტიტულებისთვის იბრძოლებენ, „წითელი ეშმაკების" ლეგენდარული ფეხბურთელები გავიხსენოთ.*

### პიტერ შმეიხელი

დანიელი გოლკიპერი ალექს ფერგიუსონმა 530 ათას ფუნტად იყიდა „ბრონდბიუსგან" და ამ ტრანსფერს მოგვიანებით „საუკუნის გარიგება" ეწოდა. შმეიხელმა უდიდესი წვლილი შეიტანა კლუბის 90-იანი წლების გამარჯვებაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნთან" ლეგენდარულ გამარჯვებაში 1999 წელს. „მანჩესტერის" რიგებში ჩატარებულ 398 მატჩში შმეიხელმა ერთი გოლი გაიტანა.

### რიო ფერდინანდი

ფერდინანდის „ლიდს იუნაიტედისგან" ყიდვა „მანჩესტერს" 30 მილიონი ფუნტი დაუჯდა და მას შემდეგ ის ფერგიუსონის რაზმის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად, ასევე, ბრიტანეთის საუკეთესო ცენტრალურ მცველად იქცა. ახალი სეზონიდან რიო ფერდინანდი „ქუინზ პარკ რეინჯერსში" განაგრძობს კარიერას და მას თავის ყოფილ კლუბთან მოუწევს დაპირისპირება.

### კრიშტიანუ რონალდუ

18 წლის იყო რონალდუ, როდესაც „ოლდ ტრაფორდზე" შეაბიჯა და ფეხი წლების შემდეგ გუნდი მსოფლიო დონის ვარსკვლავის სტატუსით დატოვა. მადეირელი ჭაბუკის ტრანსფერი ლისაბონის „სპორტინგიდან" 12,24 მილიონი ფუნტი დაჯდა და 292 მატჩში მან 118 გოლის გატანა მოახერხა, რაც საუცხოო შედეგია.

### როი კინი

ირლანდიური ფეხბურთის ლეგენდამ, „მანჩესტერის" კაპიტანმა თავგანწირული ქმედებით 1998/99 წლების ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში დაგვამახსოვრა თავი, როდესაც არ შეუშინდა ყვითელ ბარათს, რომელმაც მას ფინალი გამოატოვებინა. 480 მატჩში კინმა 51 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ კინმა კარიერა „მანჩესტერის" რიგებში არ დაასრულა, თუმცა ამაზე მისი უამრავი ქომაგი ოცნებობდა.

### ერიკ კანტონა



ფრანგმა ფეხბურთელმა 30 წლის ასაკში დაასრულა კარიერა და, ბევრის აზრით, სწორედ ის არის „მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი. კანტონაზე საუბარი გაცილებით მეტ ადგილს იმსახურებს, ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ: ნუთუ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც ასეთი სპექტაკლების დადგმა შეეძლო გატანილი გოლების აღნიშვნის დროს?!

### ედვინ ვან დერ საარი

ჰოლანდიელი გოლკიპერი 35 წლის იყო, როდესაც „წითელი ეშმაკების" მაისური მოირგო, ამის შემდეგ მას მეორე სუნთქვა გაეხსნა და პრემიერლიგის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ დასახელდა.

### დევიდ ბექჰემი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელმაც კარიერის გაგრძელება მადრიდის „რეალში" არჩია. ბექჰემმა „მანიუს" რიგებში 399 მატჩი ითამაშა და 87 გოლი გაიტანა. ბექჰემზე საუბარი შორს წაგვიყვანს, იგი „ფერგის ბარტყებიდან" ისედაც ყველაზე ცნობილი და პოპულარულია.

## ებოლას გავრცელების გამო ლიბერია საზღვრებს კეტავს

ლიბერიაში ებოლას ციებ-ცხელებამ უკვე 600 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქვეყნის ხელისუფლებამ საზღვრების ჩაკეტვის ბრძანება გასცა და იმედოვნებს, რომ ამით ვირუსის გავრცელება შეჩერდება. დაავადების შემთხვევები აფრიკის სხვა ქვეყნებში – გვინეასა და სიერა-ლეონეშიც დაფიქსირდა, ასევე, ქალაქ ლაგოსში – აფრიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში, სადაც 21 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. არის ცნობები, რომ ვირუსით დაავადდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი ექიმები.

ებოლას აფეთქება გვინეაში იანვარში დაიწყო და სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ის უკვე გახდა ყველაზე ხანგრძლივი და სიკვდილიანი ეპიდემია აფრიკის ისტორიაში. ადრე რეკორდი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნოდა – 1995 წელს ებოლამ აქ 254 ადამიანი შეიწირა. ყველაზე დამაფიქრებელია ის, რომ არ არსებობს ვაქცინა და სიკვდილიანობა 90 პროცენტს აღწევს. ვირუსი 1976 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მდინარე ებოლას ნაპირზე მდებარე სოფელში წარმოიშვა, მისი სახელიც სწორედ აქედან მოდის.

ებოლას ვირუსი ნაციონალური პრობლემა გახდა როგორც ლიბერიის ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ქვეყანაში აიკრძალა მასობრივი ღონისძიებები, დემონსტრაციები, კომერციული ზეიმები; ტურისტული ორგანიზაციები კი ველური აფრიკის ბუნების მოყვარულებს საშიშროების შესახებ აფრთხილებენ.

## ინდოელმა სტომატოლოგებმა მოზარდს 232 კბილი ამოუღეს

უნიკალური ოპერაცია 17 წლის პაციენტს შვიდი საათის განმავლობაში უტარდებოდა. ექიმები მიიჩნევენ, რომ ეს შემთხვევა „გინესის რეკორდების წიგნშია" შესატანი. კბილების ტკივილით შეწუხებული აშიკ ჰავაი, მას შემდეგ, რაც მშობლიურ სოფელში ვერაფერი გაუგეს, მუმბაის საავადმყოფოში მიიყვანეს. მედიკოსებმა მას განვითარების ნაკლის, ანუ, რთული კომპოზიტური ოდონტომის დიაგნოზი დაუსვეს. ეს ერთგვარი კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რაც რამდენიმე ჩამოყალიბებული ან განუვითარებელი კბილისგან შედგება. სიცოცხლისთვის საშიში არ არის, თუმცა ადამიანს აწუხებს, ხელს უშლის ჭამაში და, შეიძლება, სახის დეფორმაციაც გამოიწვიოს.

ექიმებმა სატეხითა და ჩაქუჩით იმუშავეს და აშიკ ჰავაის 232 დიდი და პატარა კბილი ამოუღეს, რომელთაგან ზოგიერთი ყბასთან იყო შეზრდილი. საბოლოოდ მას 28 კბილი დარჩა. აქამდე ამ იშვიათი დაავადების მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც პაციენტს ზედა ყბიდან 37 კბილი მოაშორეს. ასე რომ, ახალი შემთხვევა მართლაც მსოფლიო რეკორდია.

## ბუფონის მეუღლის მოსაზრებები

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" გოლკიპერის ჩეხმა მეუღლემ, მოდელმა ალენა სერედოვამ განაცხადა, რომ არ სურს თავისი მეუღლე რომელიმე კლუბის მწვრთნელად იხილოს მომავალში. „ვიმედოვნებ, რომ ჯიჯი არ გახდება კლუბის მწვრთნელი, რადგან, ჩვენ ისევ იმ გრაფიკით მოგვიწევს ცხოვრება, როდესაც ჩემს მეუღლეს შაბათ-კვირას ოჯახისთვის არ ეცლება". საინტერესოა, რომ ალენა ჯიჯის იტალიის ნაკრების მწვრთნელის ამპლუაში ყოფნას მიესალმება, რადგან, მისი აზრით, სანაკრებო მწვრთნელებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ ვიდრე კლუბში დასაქმებულ სპეციალისტებს.



## სინტია ფერნანდესის ვნებანი

დიდი ხანია, არგენტინელი სუპერმოდელი სინტია ფერნანდესი პოპულარულია სამშობლოში და ხშირად პრიალა ჟურნალების გარეკანებზეც ჩნდება გულახდილ პოზებში, თუმცა, ერთადერთი რაც მას აკლია მსოფლიოში სახელის გასატანად, რომელიმე ცნობილ ფეხბურთელთან რომანია. ამის გამო სინტია ბოლო დროს ხშირად ჩნდება სტადიონებზე, სადაც სხვადასხვა გუნდის ფეხბურთელებს აკვირდება. რამდენიმე ხნის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სინტიას რომანი ჰქონდა კრისტიან ფაბიანისთან და „სანლორენსოს" ფეხბურთელ ჯონათან ფერარისთან, თუმცა ისინი ნაკლებად ცნობილი სპორტსმენები არიან მსოფლიოში, სინტიას კი რომელიმე სუპერვარსკვლავის გამოჭერა ესაჭიროება, მაგალითად, კარლოს ტევესის, ან, სულაც, ლეო მესის დონის.

## დანიელა ფალკაოზე ოცნებობს



მოდელი და მსახიობი დანიელა ტამაიო კოლუმბიაში ერთ-ერთ ულამაზეს ქალად და ყველაზე პოპულარულ სელებრითად ითვლება. გარდა ამისა, კოლუმბიელების აზრით, სწორედ ის არის ყველაზე სექსუალური კოლუმბიელი პლანეტაზე. როგორც ჩანს, ამ ლამაზმანს ერთი აუხდენელი ოცნება აქვს, რომლის რეალობაში ქცევას იგი, სავარაუდოდ, მოახერხებს კიდეც. საქმე ისაა, რომ დანიელა თანამედროვე კოლუმბიური ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავით, „მონაკოს" შემტევით, რადამელ ფალკაოთია გატაცებული. საინტერესოა, რომ ფალკაო ღრმად მორწმუნე ადამიანია და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან ყოველგვარ კავშირს ერიდება, რაც დანიელას სურვილის ასრულებას ართულებს.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ქალი პრეზიდენტები

*მსოფლიო პოლიტიკაში ქალი პრეზიდენტების რაოდენობა არცთუ დიდია და მათ შორის განსაკუთრებულების შესახებ ჩვენი სტატიიდან შეიტყობთ. ეს ის ქალი პრეზიდენტები არიან, რომლებსაც მსოფლიოში გავლენიან ადამიანებად მიიჩნევენ და მათ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების დროს.*

### კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი – არგენტინის პრეზიდენტი

ამ მშვენიერმა ქალბატონმა პრეზიდენტის პოსტი მას შემდეგ ჩაიბარა, რაც მის მეუღლეს, ნესტორ კირშნერს, კონსტიტუციით დაშვებული უფლებების ვადა ამოეწურა. კრისტინა რიგით მეორე ქალი პრეზიდენტია არგენტინაში და, პირველი, რომელმაც საყოველთაო არჩევნების შედეგად დაიკავა ეს პოსტი. გაპრეზიდენტებამდე კრისტინამ საადვოკატო პრაქტიკა გაიარა, ჩართული იყო პარტიულ მუშაობაში და ორ შვილს ზრდიდა. ცნობილი ფაქტია, რომ არგენტინის პრეზიდენტი ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი პოლიტიკოსია მსოფლიოში. ის უპირატესობას ანიჭებს იტალიურ მოდის სახლებს – „გუჩისა" და „დიორს." არასდროს ჩნდება საზოგადოებაში ერთი და იმავე სამოსით და მუდამ აგვიანებს შეხვედრებზე, რადგან, დროის დიდ ნაწილს სტილისტებთან ატარებს.

### ელენ ჯონსონ-სერლიფი – ლიბერიის პრეზიდენტი

ელენ ჯონსონ-სერლიფი უნიკალური მოვლენაა პოლიტიკაში – ის პირველი ქალია, რომელმაც აფრიკის კონტინენტზე მოახერხა გაპრეზიდენტება. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ელენი სხვადასხვა დროს ლიბერიის ფინანსთა მინისტრი და გაეროს რეგიონული განვითარების აფრიკის ბიუროს ხელმძღვანელი იყო. ხისტი ხასიათისა და პრინციპულობის გამო, ელენს ხშირად ადარებენ „რკინის ლედის" – მარგარეტ ტეტჩერს. საინტერესოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ელენმა მეორე ტურში ხმათა რაოდენობით ექსფეხბურთელს, ყველაზე ცნობილ ლიბერიელ მოთამაშეს, ევროპის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელს, ჯორჯ ვეას აჯობა.

### დალია გრიბაუსკაიტე – ლიტვის პრეზიდენტი

განათლებით ეკონომისტი დალია ლენინგრადში სწავლობდა და „როტ-ფრონტის" ქურქების ფაბრიკაში მუშაობდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ ის ბალტიისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, ხოლო, ლიტვის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ – ევროკომისიის წევრი გახდებოდა.



2008 წელს დალია ლიტვაში „წლის ადამიანად" აღიარეს, ხოლო 2009 წელს პრეზიდენტად აირჩიეს. დალია ნამდვილი პოლიგლოტია და სრულყოფილად ფლობს ლიტვურ, ინგლისურ, რუსულ, პოლონურ და ფრანგულ ენებს. დალია გრიბაუსკაიტე ერთადერთი ქალი პრეზიდენტია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც კარატეში შავი ქამარი აქვს და ერთადერთი გაუთხოვარია პრეზიდენტთა ამ სიიდან.

### დილმა რუსეფი – ბრაზილიის პრეზიდენტი

ბრაზილიელი რევოლუციონერი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი, ბულგარული წარმოშობის დილმა, ემიგრანტ პეტრო რუსეფის ოჯახში დაიბადა. ბულგარელი კომუნისტი, პოლიტიკური რეპრესიების გამო, ბრაზილიაში დასახლდა. 70-იან წლებში დილმა სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა და დაპატიმრებულიც იყო ამის გამო. ამბობენ, ციხეში სამხედროები მას სასტიკად აწამებდნენო. დილმა რუსეფმა ლიმფური ჯირკვლების კიბოც კი დაამარცხა ადრეულ სტადიაზე. თუმცა, ქიმიოთერაპიის გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში პარიკით დადიოდა. დილმა ორჯერ იყო გათხოვილი და ამჟამად ორივე ქმართან გაყრილია. იგი ბრაზილიის ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტია.

# მხოლოდ ფაქტები

* ზღვის ზოგიერთი ძუძუმწოვარი იმდენ ცხიმს იგროვებს, რომ ძნელად ჩადის წყლის სიღრმეში, ამიტომ, წონის კომპენსაციისთვის, ისინი ქვებს ყლაპავენ.

* აინშტაინი თითქმის 5 წლამდე ვერ ლაპარაკობდა და მშობლებს ის გონებრივად ჩამორჩენილი ეგონათ.

* ასკორბინის მჟავა ძუძუმწოვართათვის აუცილებელი C ვიტამინია, რომლის ნაკლებობა იწვევს სურავანდს და დიდი ხნის განმავლობაში მეზღვაურთა მტერი იყო. აღსანიშნავია, რომ ძუძუმწოვართა იმ მცირე ჩამონათვალში, რომელთაც ამ ვიტამინის გამომუშავების უნარი არ აქვთ, შედიან ზღვის გოჭები და პრიმატები.

* 1937 წლის 6 მაისს დაიწვა დირიჟაბლი „გინდერბურგი", რის გამოც, ასობით ამერიკელი, რომლებიც მეორე რეისით უნდა წასულიყვნენ ინგლისში, ვერ მოხვდნენ გეორგ მეექვსის ტახტზე ასვლის ცერემონიალზე.

* ქერებს, საშუალოდ, 150 000 ღერი თმა აქვთ, წაბლისფერთმიანებს – დაახლოებით 100 000.

* ლოგიკურია, რომ რუსული „ვიკიპედიის" რიგით მეორე სტატია რუსეთს ეძღვნება. პირველი სტატიის სათაური კი არის... „სპილო".

* ფსიქიკური აშლილობის მქონე სტუდენტმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, რევოლვერი პირში ჩაიდო და გაისროლა, მაგრამ, ტყვიამ შუბლის არეში გაიარა... სტუდენტი გადარჩა და განიკურნა კიდეც. ეს მოვლენა ნორმან დოიჯმა შეისწავლა, ჩამოაყალიბა, როგორც მკურნალობის მეთოდი და 1949 წელს ამისთვის ნობელის პრემიაც მიიღო.

* ინგლისელი გუტმანის წინადადებით, ოლიმპიური თამაშების ანალოგიურად ტარდება სტოკ-მენდევილის თამაშები, რომელშიც მხოლოდ ინვალიდები მონაწილეობენ.

* პირველი ცდა ხელოვნური ოქროს მიღებისა ალექსანდრიელებმა მესამე საუკუნეში აღწერეს. არგიროპეია (არგირო – ვერცხლი, პეია – ვაკეთებ) ალქიმიური გზით ოქროს მიღების ოთხიდან ერთი სტადია იყო.

* იტალიურ დისკოთეკებზე სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდნენ რობოტი-სტრიპტიზიორები.

* ერთ-ერთმა თევზმა სახელი „ნაპოლეონი" მიიღო თავზე წამონაზარდის გამო, რომელიც იმპერატორის სამკუთხა ქუდს მოგაგონებთ.

* რუსეთში შევარდნებს ნაკურთხ წყალს ასმევდნენ, რომ ეს ფრინველები ულმერთოები არ ყოფილიყვნენ.

# ცნობილი სახეები, რომლებმაც კიბო დაამარცხეს

***მათ ცხოვრებაში გაუმართლათ – არიან წარმატებულები, აქვთ ფული, ხალხის სიყვარული... წესით, ბედნიერები უნდა იყვნენ, მაგრამ, მათაც სტკივათ, ავადდებიან და იბრძვიან სიცოცხლისთვის...***

ჰოლივუდელ დივას, **ანჯელინა ჯოლის**, 2013 წლის მაისში სარძევე ჯირკვლები ამოკვეთეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მკერდის სიმსივნის განვითარების რისკი 87 პროცენტს უახლოვდებოდა. „გადავწყვიტე, ეს რისკი მინიმუმამდე დამეყვანა – დედაჩემი ხომ სწორედ ამ დაავადებით გარდაიცვალა 56 წლის ასაკში".

ამერიკელ მსახიობს, **რობერტ დე ნიროს** 60 წლის ასაკში პროსტატის კიბო აღმოაჩნდა – საბედნიეროდ, ადრეულ სტადიაში. მან რადიკალური პროსტატექტომია – ამ დაავადების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტური ოპერაცია გადაიტანა, სრულიად გამოჯანმრთელდა და 20 ფილმშიც მოასწრო გადაღება.

ავსტრალიელი მომღერალი **კაილი მინოუგი** 2005 წელს ევროპაში საგასტროლო ტურნეში იმყოფებოდა, როდესაც მკერდის კიბოს დიაგნოზი დაუდგინდა. მაშინვე გადადო გასტროლები, გაიკეთა ოპერაცია, ჩაიტარა რვათვიანი ქიმიოთერაპია, გამოჯანმრთელდა და ახლა კონცერტებსაც წარმატებით ატარებს.

რუს ტელეწამყვანს **იური ნიკოლაევს** ნაწლავთა სიმსივნე 2007 წელს აღმოაჩნდა. ოპერაციითა და რამდენიმეწლიანი ბრძოლით საშინელი დაავადება დამარცხდა – დღეს იგი რამდენიმე ტელეგადაცემის წამყვანია.

ამერიკელ მომღერალს და სიმღერების ავტორს, **ანასტეიშას,** უსიამოვნო ფრაზა – „თქვენ კიბო გაქვთ" – 34 წლის ასაკში უთხრეს. მან ორი ოპერაცია გაიკეთა ათწლიანი შუალედით, ორივე ძუძუზე – ცალ-ცალკე. ანასტეიშამ ახალგაზრდა ქალებში კიბოს აღმოჩენისა და მკურნალობის ფონდი დააარსა და აქტიურად განაგრძობს კარიერას.

**ჰიუ ჯეკმანს** ექიმებმა ცხვირზე კანის კიბო – ბაზალოუჯრედული კარცინომა დაუდგინეს. ეს ავთვისებიანი სიმსივნე ნაკლები მეტასტაზირებით გამოირჩევა, თუმცა, ლოკალურად სწრაფმზარდია.

**მაიკლ დუგლასს** ენის ავთვისებიანი სიმსივნე 2010 წელს აღმოაჩნდა. მაშინ ის კაკლისოდენა იყო, მაგრამ, ინტენსიური ქიმიოთერაპიითა და მკურნალობით მსახიობმა კიბო დაამარცხა და თავიდან აიცილა რეალური საშიშროება – ენისა და ქვედა ყბის ამპუტაცია.

2010 წელს ცნობილი სერიალის „დექსტერის" გადაღებები შეწყვეტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა – ამერიკელ მსახიობ **მაიკლ ჰოლსს** ჰოჯკინის ლიმფომის დიაგნოზი დაუსვეს. დღეს ის სრულიად ჯანმრთელია.

ინგლისელი მომღერალი **როდ სტიუარტი** ერთ წელიწადში განიკურნა ფარისებრი ჯირკვლის კიბოსგან. ამის შემდეგ მიუძღვნა მან სიმღერა კანადელ მორბენალ ტერი ფოქსეს, რომელმაც 19 წლის ასაკში სწორედ კიბოს გამო დაკარგა ფეხები, რამდენიმე წლის შემდეგ კი პროთეზებით მოირბინა მთელი ქვეყანა, რათა მოეგროვებინა თანხა ონკოლოგიური კვლევებისთვის.

**სინტია ნიქსონი** სერიალ „სექსი დიდ ქალაქში" მირანდას როლს ასრულებს. 2012 წელს მას მკერდის კიბო აღმოაჩნდა, თუმცა, ხმაურის ატეხა არ ისურვა, ამის შესახებ ჟურნალისტებს მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ გაუმხილა და შესანიშნავად შეასრულა სიმსივნით დაავადებულის როლი.

პლანეტის საუკეთესო ველომრბოლელი „ტურ დე ფრანსეს" შვიდგზის გამარჯვებული, **ლენს არმსტრონგი** არ დანებდა სათესლე პარკების შორს წასულ სიმსივნეს, რომელიც 1996 წელს დაუდგინეს და სარისკო ოპერაციას დათანხმდა. გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ იყო. გამოჯანმრთელების შემდეგ კი დააარსა „ლენს არმსტრონგის ფონდი" – კიბოთი დაავადებულთათვის და, სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდის მიზნით კვლავ ველოსიპედზე დაჯდა.

მომღერალ **ლაიმა ვაიკულეს** კი მკერდის კიბო 1991 წელს დაუდგინეს. გადარჩენის შანსი არც ისე დიდი იყო, თუმცა, ლაიმა კვლავ ფორმაშია.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## თირკმელების დაავადება წნევის მატებას იწვევს

გლომერულონეფრიტი თირკმელების ანთებითი დაავადებაა, რომლის გამომწვევია ინფექცია და ინფექციის ფონზე განვითარებული იმუნური სისტემის დაზიანება. დაავადების გამომწვევი მიზეზი უმეტესად არის სტრეპტოკოკი, რომელიც ნუშისებრ ჯირკვლებში, ანუ ტონზილებშია მოთავსებული; ამიტომ, გლომერულონეფრიტის დაახლოებით 90 პროცენტი ტონზილიტის ფონზე ვითარდება. ეს დაავადება, შესაძლოა, გამოიწვიოს ალერგიამ და ვირუსმა.

ასევე, არსებობს ქრონიკული და მწვავე გლომერულონეფრიტი. მწვავე ფორმა ანგინის ანუ ტონზილიტის გადატანიდან დაახლოებით ათ-თხუთმეტ დღეში ვითარდება. ამ ხნის განმავლობაში, ინფექციის ფონზე, ზიანდება იმუნური სისტემა, რაც დაავადების განვითარების საფუძველი ხდება.

მწვავე ნეფრიტი ინფექციის გადატანიდან ათი დღის შემდეგ იწყება და სამი ძირითადი კლინიკური ნიშანი ახასიათებს: არტერიული წნევის მატება, შარდში ცილის გაჩენა და შეშუპება. შეშუპება თავიდან სახეზე, ქუთუთოებზე ჩნდება; შემდეგ – ქვემო კიდურებზე და მთელ სხეულზეც შეიძლება გავრცელდეს. შარდში, შესაძლოა, იყოს ცილები და ერითროციტები – ასეთია მწვავე გლომერულონეფრიტის ძირითადი კლინიკური სურათი. ქრონიკული გლომერულონეფრიტი ხშირ შემთხვევაში შეუმჩნევლად იწყება და გამოვლინების დროს მას უკვე ქრონიკული ხასიათი აქვს. ახასიათებს არტერიული ჰიპერტენზია, შეშუპება და შარდის შეუკავებლობა. ამ დროს, შესაძლოა, მუცლის ღრუსა და პლევრში სითხეც დაგროვდეს.

მწვავე გლომერულონეფრიტის დროს აუცილებლად უნდა დალიოთ წნევის დამწევი და შარდმდენი საშუალებები, ანტიაგრეგატები. თუ შარდში მომატებულია ცილა და შეშუპებაც აღინიშნება, მაშინ გამოიყენება სტეროიდული მკურნალობა, რაც პრედნიზოლონის ან ციტოსტატიკების გამოყენებას გულისხმობს. ამას კი ექიმი წყვეტს.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დროული მკურნალობა, რომ ადამიანი გართულებების გარეშე გამოჯანმრთელდეს.

თუ დაავადება ქრონიკულ ხასიათს ატარებს, მისი განკურნების შანსი ნაკლებია. მკურნალობის პერიოდში მნიშვნელოვანია დიეტის დაცვა.

ქრონიკული ნეფრიტის დროს დიეტა უნდა იყოს ავადმყოფის ორგანიზმის მდგომარეობასთან შეფარდებული. თუ ავადმყოფს არ აღენიშნება შეშუპება, სისხლში კი არ არის მომატებული აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა, მაშინ კვება არ იზღუდება. ავადმყოფს შეუძლია, ჭამოს ხორცი, რძის ნაწარმი და ასე შემდეგ.

მარილის შეზღუდვა კი ხდება მაშინ, როდესაც ავადმყოფს აღენიშნება შეშუპება. იმ შემთხვევაში, თუ შარდის რაოდენობა შემცირდა, ხოლო სისხლში მოიმატა აზოტის ნარჩენებმა და კრეატინინმა, კვების რაციონში უნდა შეიზღუდოს ცილოვანი ნივთიერებები და სითხის მიღება.

## როგორ შევაჩეროთ დაბერების პროცესი

ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით კი კანისთვის, აუცილებელია ვიტამინები, რომ ის გამოცოცხლდეს და გლუვი გახდეს. ამიტომ, სასურველია, რაციონში შეიტანოთ შემდეგი სახის ვიტამინები და პროდუქტები:

ვიტამინი A ზრუნავს ეპითელიუმის განახლებაზე, საოფლე და ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობაზე; კანს იცავს გამოშრობისა და აქერცვლისგან. ამიტომ, ხშირად მიირთვით რძე, ხაჭო, ყველი, კვერცხი, სტაფილო, პომიდორი, გარგარის ჩირი და წითელი წიწაკა.

ვიტამინი $B_{12}$ აქტიურად არის ჩართული ნახშირწყლოვანი ცვლის პროცესში, ცილებისა და ცხიმების ათვისებასა და ჰემოგლობინის წარმოქმნაში. ამისთვის კი საჭიროა, მიირთვათ რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი, სოკო და საქონლის ღვიძლი.

C ვიტამინის ბუნებრივი ანტიოქსიდანტები, რომლებიც ამცირებს დაბერებისა და ნაოჭების წარმოქმნის პროცესს, განსაკუთრებით უწყობს ხელს კოლაგენის წარმოქმნას. ეს ვიტამინი უზრუნველყოფს კანის სიმკვრივესა და ელასტიკურობას.

ვიტამინი E ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, ებრძვის თავისუფალ რადიკალებს და ანელებს დაბერების პროცესს. ამიტომ, ხშირად მიირთვით მზესუმზირა, სიმინდი, ზეითუნის ზეთი, ასკილის ნაყენი, კვერცხის გული, ბარდა, ლობიო და თხილი.

თუთიაც, ასევე, აფერხებს დაბერების პროცესს, ამკვრივებს კანს, ეხმარება ჭრილობების ადვილად შეხორცებაში და ებრძვის დაავადების წარმომქმნელ და გამომწვევ მიკრობებს. მას დიდი რაოდენობით შეიცავს მიწის თხილი, ნიორი, ნუში, ტკბილი წიწაკა, კომბოსტო და სტაფილო.

## კანის პათოლოგიურ დაავადებებს ვირისტერფას ფოთლების ნაყენი შველის

ვირისტერფას ფოთლები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება პირის ღრუს, ყელის, ხახის ანთების დროს. გარდა ამისა, ეს მცენარე შეიცავს საპონინებსა და ორგანულ მჟავებს, რომლებიც გამოყოფილ სეკრეტს არბილებს და აადვილებს ამოხველებას.

ვირისტერფას ნაყენს აქვს, ასევე, ანტიანთებითი, სუსტი სპაზმოლიტური და მადეზინფიცირებელი მოქმედება. მისგან დამზადებული პრეპარატები ყველაზე მეტად შედეგიანია ლარინგიტის, ანუ ხახის ანთების, ტრაქეის ანთების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოპნევმონიის, ბრონქული ასთმის დროს, ამოსახველებელი მოქმედების მქონე მცენარეულ პრეპარატთან ერთად, თუმცა მისი ცალკე მიღებაც ეფექტს იძლევა.

ვირისტერფას ფოთლებისგან მომზადებულ ნაყენს იყენებენ კომპრესის, სველი ნახვევის ან აბაზანის სახით, ფურუნკულოზის, წვრილი წყლულოვანი დაზიანების, ინფიცირებული ჭრილობისა და კანის სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს.

მისი ნაყენი ასე მზადდება: 1 სადილის კოვზი ფოთოლი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მილილიტრი, ანუ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და მდუღარე წყლის აბაზანაზე გააჩერეთ, დაახლოებით, 15 წუთი. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, გაწურეთ და მიიღეთ თბილი ნაყენი, 1 ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

## მცენარეებით მკურნალობის დროს სიფრთხილე გამოიჩინეთ

სამკურნალო მცენარეებით დღეს ბევრი ცდილობს, ამა თუ იმ დაავადებას შეებრძოლოს, მაგრამ, ამავდროულად, აუცილებელია, სიფრთხილე გამოიჩინოთ, რადგან მათ უკუჩვენებებიც გააჩნია.

*ოხრახუშის* ფესვებისა და ფოთლების ნაყენი რეკომენდებულია ორგანიზმში სითხის შეკავების, ასევე, თირკმელებსა და ნაღველში კენჭების არსებობის დროს. თუმცა, ცისტიტისა და ძლიერი თავის ტკივილისას მისი მიღება კატეგორიულად იკრძალება. ეს არა მარტო ოხრახუშის ნაყენს ეხება, არამედ, მის ცოცხლად ჭამასაც. არ შეიძლება მისი მიღება თირკმელების ანთებისა და ნიკრისის ქარის დროსაც.

*ჭარხლის* წვენი კარგი საშუალებაა ჰიპერტონიის დროს. მისი წვენი სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ მას წყალში გააზავებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მან გამოიწვიოს ხახის დაწვა ან ძარღვების სპაზმები. მისი დიდი რაოდენობით მიღებას კი, შესაძლოა, მოჰყვეს ნაწლავებში დუღილი და ამით დისკომფორტი შეექმნას ადამიანს.

*ჭინჭრის* ღერო, ფოთოლი და გამხმარი თესლი გამოიყენება ავიტამინოზის, ნევროზისა და დიაბეტის დროს, მაგრამ, მისი მიღება კატეგორიულად იკრძალება ორსული ქალებისთვის. ასევე, არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც მომატებული აქვს სისხლის შედედება.

*ასისთავას* ნაყენი აძლიერებს მადას, აუმჯობესებს ნაწლავების პერისტალტიკას, მაგრამ, ეკრძალება მათ, ვისაც გასტრიტი და კუჭის წყლული აწუხებს.

*ალოეს* ფოთლებით დამზადებულ წამლებს სვამენ გულძმარვის დროს, მისი წვენით კი მკურნალობენ ჩირქოვან ჭრილობებს, კანის სხვადასხვა დაავადებას, კუჭ-

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 24 წლის გოგონას ერთი თვეა, აღმოაჩნდა კუჭის წყლული, ასევე, ნაწლავებში ეროზიები და წყლული, ორი კვირის წინ კი ჰქონდა მცირე სისხლდენა. დანიშნული აქვს მკურნალობა. საშიშია თუ არა ეს მდგომარეობა? მომავალში გათხოვების შემდეგ რამეში პრობლემებს ხომ არ შეუქმნის?**

**პასუხი:** საჭიროა მკურნალობის ბოლომდე მიყვანა და პერიოდულად გასტროენტეროლოგის კონსულტაცია. რაც შეეხება ორსულობასა და მშობიარობას, ეს პათოლოგია ამ მხრივ პრობლემებს არ შექმნის.

**კითხვა: მაწუხებს კუჭის ტკივილი – დილით უზმოზე და ცოტა ხანი ჭამის შემდეგაც... იგივე მეორდება საღამოსაც. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** კლინიკური ნიშნები: ტკივილი უზმოზე ან ჭამის შემდეგ, სიმძიმის შეგრძნება, გულძმარვა და სხვა, შესაძლოა, იყოს როგორც გასტრიტის, ისე კუჭის წყლულის (უფრო გამოხატულია, ვიდრე გასტრიტის დროს) მანიშნებელი, ამიტომ, გირჩევთ დროულ ვიზიტს გასტროენტეროლოგთან.

**კითხვა: ჩემს 2 წლის გოგონას დერმატოლოგმა დაუდგინა ატოპიური დერმატიტი. ვმკურნალობ ლოკოიდით, ასევე, დამატენიანებელი საშუალებებით. ცოტა უკეთესობა არის, თუმცა, პროცესი ნელია. რამდენად უსაფრთხოა ლოკოიდის გამოყენება? უკვე ორი კვირაა, შუალედებით ვუსვამ. კიდევ, მაინტერესებს, თუ შეიძლება ბავშვის ზღვაზე წაყვანა?**

**პასუხი:** მკურნალობა უნდა მიიყვანოთ ბოლომდე სანამ სრულად არ ალაგდება პროცესი; ზღვაზე წასვლას არ გირჩევთ.

**კითხვა: მაქვს 8-სანტიმეტრიანი კისტა, შიგთავსი სითხე, შარდის ბუშტისა და საკვერცხეს შორის. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა გარუჯვა?**

**პასუხი:** გარუჯვას ამ შემთხვევაში არ გირჩევთ.

**კითხვა: ვარ 22 წლის გოგონა. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად მიბუჟდება ხელები და ფეხები. საკმარისია, ფეხი ფეხზე გადავიდო, იმწამსვე მეწყება დაბუჟება; ან, ხელს რომ დავეყრდნო, მაშინვე მიბუჟდება ისიც. რატომ?**

**პასუხი:** მიმართეთ ოჯახის ექიმს, გაიკეთეთ სისხლის საერთო ანლიზი და კოაგულოგრამა. შესაძლოა, დაგჭირდეთ ანგიოლოგის კონსულტაციაც.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

ნაწლავის პრობლემებს. თუმცა, ის არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ასევე, ბუასილი ან სიმსივნე აღენიშნება.

*კუნელის* ნაყოფით, ფოთლებითა და ყვავილებით დამზადებულ პრეპარატებს იღებენ ისინი, ვისაც სჭირდება გულის რიტმის მოწესრიგება, გულის არეში ტკივილის მოხსნა, სიმძიმის შეგრძნების გაქრობა, წნევის დაწევა. მაგრამ, არ შეიძლება მათთვის, ვისაც დაბალი წნევა ანუ ჰიპოტონია აწუხებს.

## როგორ გადადის ადამიანიდან ადამიანზე პაპილომა ვირუსი და როდის გარდაიქმნება ის ავთვისებიან სიმსივნედ

სხეულზე გაჩენილი უცნაური წარმონაქმნები, რომლებსაც ზოგი მეჭეჭებს, ზოგი პაპილომებს, ზოგი კი კონდილომებს უწოდებს, ერთი და იგივე დაავადებაა, რომელსაც პაპილომას გამომწვევი ვირუსი იწვევს.

პაპილომა ვირუსი კანის ზედაპირულ ფენაში შეიჭრება და უჯრედების გენურ ტრანსფორმაციას, ანუ გენების შეცვლას იწვევს. ამის შედეგად კი კანზე წარმოიქმნება მცირე ზომის უცხო ქსოვილი.

პაპილომა კეთილთვისებიანი სიმსივნეა. ის, შესაძლოა, წარმოიქმნას პირის ღრუში, ცხვირში, ხახაში, საყლაპავში, ტრაქეასა და ბრონქებში; ასევე, თირკმლის ფიალებში, შარდსაწვეთებსა და საშარდე ბუშტში, საშოსა და საშვილოსნოში.

პაპილომა ერთი ან ორი სანტიმეტრის მკვრივი ან რბილი, ხაოიანი წარმონაქმნია. ის ხშირად მრავლად ვითარდება და ზოგ შემთხვევაში მტკივნეულია. კანზე განვითარებული წარმონაქმნები სხვადასხვა ფერისაა – თეთრი ან ყავისფერი. ლორწოვანზე წარმოქმნილი პაპილომა კი უფერულია.

პაპილომა ვირუსი უშუალო კონტაქტითა და საერთო მოხმარების საგნებით გადადედება. თუ დედას ორსულობისას პაპილომა ვირუსი აქვს, არ არის გამორიცხული, მშობიარობისას შვილსაც გადასცეს.

დაავადების საინკუბაციო პერიოდი, ანუ, დრო ინფექციის შეჭრიდან დაავადების გამოვლინებამდე, რამდენიმე დღიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება. ამიტომ, ზუსტად იმის თქმა და განსაზღვრა, თუ როდის ან ვისგან დასნებოვნდა ადამიანი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ნებისმიერ ადგილას განვითარებული წარმონაქმნი აუცილებლად უნდა განიკურნოს, რადგან, შეიძლება, ის ავთვისებიან სიმსივნედ გარდაიქმნას დროთა განმავლობაში.

პაპილომას მოშორება კარგია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რადგან ამ დროს ჭრილობა დაცულია მზის სხივებისგან. ცხელ სეზონზე კი ოფლი ჭარბად გამოიყოფა, რაც ხელს უწყობს კანზე მიკრობების გამრავლებასა და ჭრილობის დაჩირქებას.

პაპილომას მოშორების სხვადასხვა ხერხი არსებობს: კრიოდესტრუქცია ანუ მოყინვა, პლაზმური კოაგულაცია, მჟავით მოწვა, ელექტროკოაგულაცია ანუ დენით მოშორება, ლაზეროთერაპია და ქირურგიული მეთოდი.



## რა უნდა ჭამოს დიაბეტით დაავადებულმა ადამიანმა

დიაბეტის ერთ-ერთი პირველი ნიშანია წყურვილის მუდმივი შეგრძნება, განსაკუთრებით – ღამის საათებში. ამ დროს ადამიანი ხშირად და ცოტ-ცოტას შარდავს, ხშირ შემთხვევაში უძლიერდება მადა, მაგრამ, გაძლიერებულ მადას თან ახლავს წონაში დაკლება, ზოგჯერ პირის ღრუსა და ცხვირის ლორწოვანი გარსის სიმშრალე, სქესობრივი დაუძლურება ან სასქესო ორგანოების გაღიზიანება.

დიაბეტით დაავადებულებმა მკაცრად უნდა დაიცვან კვების რეჟიმი – უნდა ჭამონ ხშირად და მცირე ულუფებით. საკვების დროულად მიღება ეხმარება ორგანიზმს ინსულინის უკეთესად გამოყოფაში.

ასევე, სასურველია, ახალგამოწურული ხილ-ბოსტნეულის წვენების დალევა. თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთში სტაფილოსა და ვაშლის წვენები, გააზავეთ წყლით და დალიეთ. შეგიძლიათ, გაზგასულ მინერალურ წყალშიც შეურიოთ.

ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად შეიტანეთ ახალი ბოსტნეულის სალათები, რომლებიც უნდა შეაზავოთ ლიმონის წვენით ან მცენარეული ზეთით.

დიაბეტით დაავადებულთა მენიუ აუცილებლად უნდა შეიცავდეს მცენარეული ცილებით მდიდარ პროდუქტებს, ასეთებია: ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი, პარკოსნები. თუ გიყვართ ხორციანი კერძები, ხორცი მოხარშეთ ან მოამზადეთ ორთქლზე.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რატომ აღმოჩნდა მედეა ჯაფარიძის პირველი ქორწინება ხანმოკლე და რა ჯოჯოხეთი გამოიარა მან რეზო თაბუკაშვილთან შეხვედრამდე

*„... ძმის დახვრეტისა და ორი შვილის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემი სულიერად გახდა ავად (ამბობდნენ, მედეას დედა, ვერიჩკა, მედეაზე ლამაზი იყოო, – ავტორი)... მას შემდეგ დედა ქვეცნობიერად თავის ძმასა და შვილებს დაეძებდა. 4 წლიდან მახსოვს, როგორ მომგლეჯდნენ ხოლმე მის კალთას და საავადმყოფოში მიჰყავდათ. დედა პერიოდულად ხდებოდა ავად და ხშირად გვაშორებდნენ ერთმანეთს. ჩემ მეტი აღარავინ ჰყავდა, ამიტომაც მანებივრებდა განსაკუთრებით და უჭირდა ჩემთან დაშორება... ხანდახან საავადმყოფოდან გამოიპარებოდა ღამ-ღამობით და სახეზე დადენილი მისი ცრემლი მაღვიძებდა. საოცრად მიხაროდა მისი დანახვა, ერთმანეთს ჩავეხუტებოდით ხოლმე და ასე ვიძინებდით. შემდეგ კვლავ მოდიოდნენ ვიღაც ადამიანები და ძალით მიჰყავდათ, ამიტომ, ძალიან ნერვიული ვიყავი ბავშვობაში...” როცა ამ ადამიანზე გინდა რაღაც დაწერო, ძალიან ბევრს ფიქრობ, როგორ დაიწყო, რა სიტყვები უფრო მოუხდებოდა და, მაინც ვერ პოულობ ამ სიტყვებს, ისევე, როგორც მსგავს სილამაზეს, რაც მას გააჩნდა. ამიტომ, ვარჩიე, ყველაფერი ისე დავტოვო, როგორც არის. მისი ფოტოები, ეკრანზე გამოჩენილი სახე და ჩანაწერები, ვფიქრობ საკმარისია, რომ ჩვენი მკითხველი აღფრთოვანებული დარჩეს. მედეა ჯაფარიძემ თავისი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები სიკვდილამდე ერთი თვით ადრე თვითონ ჩაწერა დიქტოფონზე და ეს ჩანაწერი მისმა რძალმა, მედეა თაბუკაშვილმა მოგვაწოდა.*





### „მივედი ულრიხთან, ამ სისხლიან კაცთან და გავოგნდი...”

„...ბევრი გოგონა მაშინ გათხოვებაზე ოცნებობდა, რაც ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო. მე სწავლის გაგრძელება მინდოდა, სრულიად ნორჩის, გათხოვება, თანაც, დიდი სიყვარულის გარეშე, თავში აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ, ასე მოხდა. გავთხოვდი შესანიშნავ ქართველ მსახიობზე, გრიშა კოსტავაზე, მერაბ კოსტავას ბიძაზე, პიროვნებაზე, რომელსაც შემდგომი ცხოვრების განმავლობაში უდიდეს პატივს ვცემდი. სხვათა შორის, მერაბს ბევრი საერთო თვისება გააჩნდა ბიძამისთან – ისიც მასავით პატრიოტად და უტეხი პრინციპების პიროვნებად ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ, შევედი მარჯანიშვილის თეატრში უშტატო მსახიობად, ისე, რომ არანაირი თეატრალური განათლება არ მიმიღია. თეატრი სავსე იყო უნიჭიერესი მსახიობებით. პირველ წარმოდგენაში ორი სიტყვა მქონდა სათქმელი – „მარგარიტა გოტიე“. ძალიან ვღელავდი, მგონი, ძილშიც კი ვიმეორებდი ამ ორ სიტყვას... მოხდა უბედურება: გრიშა კოსტავა დააპატიმრეს – მას ძველი ფედერალისტობა გაუხსენეს. საშინლად აწამეს, მაგრამ ვერ გატეხეს და ვერავისზე ათქმევინეს ძვირი. ჩეკისტი დაკითხვის დროს ფეხზე ხიშტს აჭერდა და, როცა პასუხს ვერ იღებდა, სულ უფრო ეყრდნობოდა ხიშტით. აკი ვამბობდი, მერაბი ძალიან ჰგავდა ბიძას. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ვერ აღიარებინეს, მაინც სიკვდილი მიუსაჯეს მას და რამდენიმე მის მეგობარს. ორი დღის გადაყვანილები იყვნენ სიკვდილმისჯილთა საკანში, როცა მე პირველად ჩავჯექი თვითმფრინავში. რვასაათიანი გადაფრენა მელოდა და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წლისა გახლდით, მაინც ძალიან მეშინოდა. აფრენის წინ შესანიშნავმა ქალბატონმა, მარგარიტა მუსხელიშვილმა, ჩვენი დიდი მეცნიერის დამ, გამატანა წერილი ადმირალ ისაკოვთან, თხოვნით, რათა ულრიხს მივეღე. ეს ის ულრიხი გახლდათ, ომის წლებში ყველაზე მეტ ადამიანს რომ გამოუტანა დახვრეტის განაჩენი. ამ ბარათში ქალბატონი მარგარიტა ადმირალ ისაკოვს სთხოვდა, რომ ურიგოდ მიველე, სხვანაირად ექვსი თვე დამჭირდებოდა რიგში დგომა, დრო კი არ ითმენდა. მივედი ულრიხთან, ამ სისხლიან კაცთან და გავოგნდი – დამხვდა მოხუცი, კეთილი კაცი (რასაკვირველია, მხოლოდ გარეგნობას ვგულისხმობ). გრიშა კოსტავა და მისი მეგობრები უკვე მეხუთე დღეა, ელოდნენ დახვრეტას. პასუხი წერილობით მივიღე – სამივე სიკვდილმისჯილს ათი წლის პატიმრობით შეუცვალეს სასჯელი. კოსტავა და მისი მეგობრები თბილისში დააბრუნეს. აქ უკვე დავიწყეთ ბრძოლა, რათა ისინი რუსეთში არ გაესახლებინათ. ყოველი ახალი გამოჩეკილი ჩეკისტი ხელახლა იწყებდა მათი საქმის გადასინჯვას თავის გამოსაჩენად და, ცდილობდა, „საშიში დამნაშავეები“ ქართული კოლონიიდან ციმბირში თუ კალიმაზე გადაესახლებინა. კვლავ და კვლავ მიწევდა სხვადასხვა ინსტანციაში სირბილი და ხვეწნა-მუდარა...





### განუმეორებელი რეზო

...ამ ჯოჯოხეთში გავიდა რამდენიმე წელი და, როცა ყველაფერი მიწყნარდა, მე მომინდა შეწყვეტილი ბავშვობის, ანუ სწავლის გაგრძელება. წავედით მოსკოვში, ჩვენებთან... სამხატვრო თეატრს მივაშურე, რათა, იქნებ, თავისუფალ მსმენელად მიველე. მიმიღეს, ახდა ოცნება – მე სამხატვრო თეატრის კედლები შემომცქეროდნენ. ვცხოვრობ ჩვენებთან, დედაც ხშირად ჩამოდის და სწორედ ამ დროს გავიცანი რეზო. ეს იყო 1947 წლის დასაწყისი. რეზო იქ სწავლობდა დიპლომატიურზე. მან გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე – ბრწყინვალე ლექსებს წერდა და მზეჭაბუკივით ვაჟკაცი იყო, თანაც, მიუჩვეველი ქალებისგან უარის თქმას. რეზო, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, რადგან, მე ისეთი დაცლილი ვიყავი, სწავლის გარდა არაფერი მინდოდა. თან, ვხვდებოდი, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდი გრძნობის წინაშე დამაყენებდა და ინსტინქტურად ვუფრთხოდი მას. სტუდიაში თანდათან დავიმკვიდრე ჩემი ადგილი, სერიოზული როლები შემომთავაზეს... როცა რეზოს უნდა შევხვედროდი და მეამბნა ჩემი წარმატების შესახებ, მოვიდა ტელეგრამა: „დედა ავად გახდა, სასწრაფოდ ჩამოდი!“ ყველაფერი თავზე დამენგრა. სახლში ტირილი არ შემეძლო, არბატზე ჩემი უფროსი მეგობარი ქალი – ფაინა ცხოვრობდა და იქ წავედი, ბოლომდე რომ გამომეტირა ჩემი დამსხვრეული ოცნებები. რეზოს დავურეკე – სახლიდან ვერ დავურეკავდი ჩვენების შიშით. ისიც წამსვე მოვარდა და მაშინ პირველად მოვუყევი ყველაფერი ჩემი მძიმე ბავშვობის, განვლილი წლების, აუხდენელი ოცნებების შესახებ და აქ მოხდა ერთი გადამწყვეტი ამბავი – ჩემი ვაჟკაცი რეზო ატირდა. მაშინ მივხვდი, მას ხელს უკვე ველარ ვკრავდი. უნდა მეშველა ჩემი თავისთვისაც და მისთვისაც. ორ დღეში უკვე თბილისში ვიყავი. მძიმე გულით დავემშვიდობე სამხატვრო თეატრ-სტუდიას...

ერთი თვის განმავლობაში ბნელ ოთახში ვიწექით ორივე, მე და დედა, თურმე, ასეთ ავადმყოფებს სიბნელე ჰყვარებიათ. ამ დროს მიმდინარეობდა „ქეთო და კოტეს“ გადაღებები. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ჩავაბნელებდი დარაბებით ოთახს და ასე ვცხოვრობდით. მხოლოდ რეზოს მონატრება აფერადებდა იმ დროის მონაკვეთს. ნათესავები მირჩევდნენ: დედაშენი საავადმყოფოში დააწვინე და განაგრძე შენი დაწყებული საქმეო. მაგრამ, მე ხომ ვიცოდი, როგორ სძულდა დედას საავადმყოფო; ეს ხომ მე ბავშვობიდანვე ვიცოდი, როცა მის კალთას მგლეჯდნენ და ფსიქიატრიულში მიჰყავდათ. ამიტომ ვერ გავიმეტე და მასთან დავრჩი. რეზოს წერილები თუ მითბობდა სულს: „ჩემო მედიკო, კი არ მაგონდები, მელანდები. რამდენჯერმე გამოვექიდე კიდეც უცნობებს. გელოდი ქუჩაში, მეტროსთან, შენს სტუდიასთან და დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა მეპოვე...შენ წახვედი და ყველაფერი შენთვის დაიტოვე. მე კი ყველაფერი ეს შენში მყვარებია. საშინელებაა ცარიელ ქალაქში ცხოვრება. ისეთი გრძნობაა, თითქოს გაქანებული ვაგონიდან გადმოგაგდეს... რას არ მივცემდი, ერთი წუთით რომ შემახვედრა შენთან, დამაკოცნინა შენი პატარა ხელები...” „...მედიკო, ეს წელიც მოვითმინოთ. დავამთავრებ და ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერს მოვაწყობ, ოღონდ შენ მეყოლე კარგად. წერილების წერას თუ გადაწყვეტ, მომწერე ხოლმე უფრო გარკვევით, უფრო დალაგებულად, ბევრი სიტყვა ვერც ამოვიკითხე, იეროგლიფებია პირდაპირ. სასურველია, წერილი იყოს ნაწერი ერთი სტილით. მომწერე პასუხი. არ მანერვიულო...”



### „ძვირფასი იყო ერთად გატარებული მონატრების ყოველი წუთი”

... ნელა, ძალიან ნელა გაიარა აქ უმძიმესმა ექვსმა თვემ. ათასში ერთხელ გადაღებებზე თუ გავიდოდი. ჩამთავრდა ფილმის ქორწილის სცენის გადაღებაც, დედაც მომჯობინდა და კვლავ მოსკოვში წავედი, ამჯერად დედასთან ერთად – მარტოს ველარ დავტოვებდი. ბიცოლასთან ვერ ვიცხოვრებდი, რადგანაც იმ პერიოდში ისიც ძალიან ცუდად იყო და მათი შეხვედრა ძველ იარას გახსნიდა. ამიტომ, ჩემს მეგობართან, ფაინასთან გავჩერდით არბატზე. გორკის ქუჩაზე იყო ერთი პატარა „კოქტეილ-პოლი“, უკრავდა მუსიკა. ეს მაშინ იშვიათი მოვლ-



# 1996 წელს მესამე მასივში, ნაქირავებ სახლში დატოვებული გოგონას აღმზრდელები მის ბიოლოგიურ დედას საბერძნეთიდან ეძებენ

*47 წლის გოჩა ხელაია ეძებს დაახლოებით 65-70 წლის ლილის და 1996 წლის 19 აგვისტოს დაბადებულ მარიამის ბიოლოგიურ დედას (სახელი და გვარი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებთ ჩვენი შვილის, მარიამის ბიოლოგიურ დედას. მარიამი დაბადებულია 1996 წლის 19 აგვისტოს. ჩვენ მისი არც დაბადების წელი, არც რიცხვი და არც სახელი არ შეგვიცვლია. როგორც ვიცით, ქალს ვისგანაც ვიშვილეთ მარიამი, ლილი ერქვა. მისმა ბიოლოგიურმა დედამ ბავშვი 2 თვის ასაკში მიატოვა. ეს მოხდა მესამე მასივის მესამე კვარტალში, 3ა კორპუსში, ცხრასართულიანი სახლის პირველ სართულზე. ამჟამად მთელი ოჯახი საბერძნეთში ვართ და თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდება. მარიამის ბიოლოგიური დედის პოვნაში შეიძლება დაგვეხმაროს იმ წლებში (ვგულისხმობ 90-იან წლებს) კავშირგაბმულობაში მომუშავე ვინმე ნატო (გვარი არ მახსოვს), რომელმაც მიგვასწავლა ეს მისამართი და სწორედ მისგან გავიგეთ მარიამის შესახებ.

**– მიუხედავად იმისა, რომ მეცხრე წელია, ამ საქმიანობას ვეწევი, პირველად მესმის, რომ აღმზრდელი მშობლები ეძებდნენ ნაშვილების ბიოლოგიურ დედას. მოგვიყევით თქვენი ისტორია.**

– მე და ჩემს მეუღლეს გადაწყვეტილი გვქონდა ბავშვის შვილად აყვანა. იმ დროს მამაჩემი მუშაობდა ისანში, კავშირგაბმულობაში. სწორედ მანდ მუშაობდა, თუ არ ვცდები, კანცელარიაში, ერთი პიროვნება, ვინმე ნატო (გვარს ვერ ვიხსენებ), რომელმაც გვითხრა, რომ მესამე მასივში ერთ ქალს ჰყავს გოგონა, რომლის გაშვილებასაც აპირებსო. გადავწყვიტეთ იმ ბავშვის სანახავად წასვლა და, როდესაც ვნახეთ, მაშინვე მივხვდით, რომ აუცილებლად უნდა გვეშვილა ეს გოგონა. იმ პერიოდისთვის ბავშვი უკვე ორწლინახევრის იყო, მაგრამ, რომ გენახათ, გული დაგეწვებოდათ, ისეთ ყოფაში ჰყავდათ. იმ ქალს, ვინც ბავშვს აშვილებდა, ოჯახი არ ჰქონდა და, როგორც მახსოვს, ეგრეთ წოდებულ „ბუტკაში" მუშაობდა გამყიდველად. ჯიხური კი მეტრო „სამას არაგველთან", რიტუალების სასახლის მახლობლად მდებარეობდა. ბავშვს იქვე სკამზე ეძინა ხოლმე. საშინლად მოუვლელი იყო , მაგრამ, ამასთანავე, ძალიან საყვარელი. იმ ქალს, ვისგანაც ბავშვი ვიშვილეთ, ლილი ერქვა, ეროვნებით, სავარაუდოდ, სომეხი უნდა ყოფილიყო. მისგან გავიგეთ ისტორია ბავშვის დედის შესახებ. თურმე მარიამის დედა ქირით ცხოვრობდა მესამე მასივში, ამ ლილის დასთან, თუ არ ვცდები, დაქალთან ერთად. ბავშვი გააჩინა და, ერთხელ, როცა გოგონა ორი თვის იყო, ლილისთვის უთქვამს, აფთიაქში მივდივარო, სახლიდან გასულა და აღარ დაბრუნებულა. ლილის გოგონა ორწლინახევრამდე გაუზრდია, მაგრამ, როგორც თავად გვითხრა, ბავშვის რჩენის არანაირი საშუალება არ ჰქონდა და ამიტომ მისი გაშვილება უნდოდა, ანუ, საიმედო ხელში გადაცემა. როგორც კი გოგონა ვნახეთ, გადავწყვიტეთ, გვეშვილა. მარიამი ძალიან კარგი ბავშვი იყო და ამჟამადაც ბედნიერები ვართ, რომ შვილად ავიყვანეთ. მიზეზი, რატომაც ვეძებთ მის ბიოლოგიურ დედას, ისაა, რომ ბავშვს არ ჰქონდა დაბადების მოწმობა – მოგეხსენებათ, იმ წლებში რაც ხდებოდა საქართველოში. დედაჩემის მეგობარმა ქალმა გვითხრა, რომ შეეძლო დაბადების მოწმობის „ლევად" გაკეთება – ასე ავცდებოდით სასამართლოებს და ასე შემდეგ. ჩვენც დავთანხმდით. მე მარიამს თავისი დაბადების წელიც და რიცხვიც დავუტოვე. ლილისგან ვიცოდი, რომ ის დაბადებულია 1996 წლის 19 აგვისტოს, ანუ ფერისცვალება დღეს. წლების შემდეგ მაინც გაირკვა, რომ მარიამის დაბადების მოწმობა ყალბია. ჩვენ გვინდა მისი ბიოლოგიური დედის პოვნა, რათა ბავშვი უსაბუთოდ არ იყოს.



**– კიდევ რა იცით მარიამის ბიოლოგიური დედის შესახებ, რა ეროვნებისაა, საიდან იყო, რა მიზეზით ცხოვრობდა ქირით ან სად მუშაობდა იმ წლებში, როცა გოგონა გააჩინა?**

– სამწუხაროდ, მარიამის დედის შესახებ არაფერი არ ვიცით. ლილიმ გვითხრა, რომ მარიამის დედა ქართველია და იმ პერიოდში ის იყო 22-23 წლის – სწორედ ამ ასაკში გაუჩენია ბავშვი. სავარაუდოდ, ის რაიონიდან იყო, მაგრამ, რომელი რაიონიდან, ეს ჩვენთვის უცნობია. თავად ლილი ბოლოს როცა ვნახეთ და ვთხოვდით დაწვრილებით ინფორმაციას, გვითხრა, რომ მეტი არაფერი ვიციო. ძალიან მინდა ვიპოვოთ მარიამის დედა. იმედია, ის ამ სტატიას წაიკითხავს და გულგრილი არ დარჩება. მას შეუძლია, შვილს სიკეთე გაუკეთოს და, იმედია, ამაზე უარს არ იტყვის. ჩვენ არ განვსჯით მას, რადგან, ჩვენთვის უცნობია მისი ამგვარი ქცევის მიზეზი. წარმოუდგენელია, რომ ამდენი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ ეფიქრა, სად არის ან როგორ არის მისი შვილი. თავად მარიამს კი ძალიან აინტერესებს, ჰყავს თუ არა და ან ძმა.

**– ხომ შეიძლება, ამ ისტორიის შესახებ რამე იცოდნენ იმ კორპუსის მაცხოვრებლებმა, საიდანაც მარიამი იშვილეთ?**

– მეც ამის დიდი იმედი მაქვს. როგორც მახსოვს, ის კორპუსი სასწრაფოების კორპუსი იყო – მესამე მასივის მესამე კვარტალი, პირველი სართული. იქ მცხოვრებ ლილის, ალბათ, ვინმე მაინც იცნობს. შეიძლება, ვინმემ მეტი ინფორმაცია იცოდეს, ვიდრე ჩვენ ვიცით და გამოგვეხმაუროს. მარიამის დედის პოვნა ძალიან გვინდა და გვჭირდება. ასევე, დიდი იმედი მაქვს ქალბატონი ნატოსი, რომელმაც მარიამი მიგვასწავლა; შეიძლება, მანაც იცის რამე.

**– თუ იმ ქალს, ლილის, ბავშვი 2 წლამდე ჰყავდა, ესე იგი, ის ექიმთანაც უნდა მიეყვანა აცრებზე და ამას უსაბუთოდ და ბავშვის დაბადების მოწმობის გარეშე როგორ მოახერხებდა?**

– საქმე ისაა, რომ მარიამი პირველად სამი წლის ასაკში ავცერით – პირველად პოლიკლინიკაში სწორედ ამ ასაკის მივიყვანე, რადგან, მანამდე ბავშვისთვის არაფერი ჰქონდათ გაკეთებული. იმ ქალს, ვინც მარიამი მოგვაშვილა, თავადაც უჭირდა და ბავშვსაც ვერ მიხედავდა წესიერად.

**– როგორ ფიქრობთ, თუკი მარიამის დედა წაიკითხავს ამ სტატიას ან გაიგებს, რომ მას ეძებენ, გამოგვეხმაურება?**

– დიდი იმედი მაქვს, რომ გამოგვეხმაურება. ამჟამად მასზეა დამოკიდებული ბავშვის კეთილდღეობა, ანუ, უსაბუთოდ ხომ არ იქნება ადამიანი?! იმედია, ის ამას მიხვდება და გამოგვეხმაურება. ჩვენი მხრიდან კი, ვპირდებით, რომ არანაირ დისკომფორტს არ შევუქმნით. თუკი მისმა ამჟამინდელმა ოჯახმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არაფერი იცის მარიამის შესახებ, ჩვენ ამ ყველაფერს ინკოგნიტოდ დავტოვებთ, ოღონდაც გამოგვეხმაუროს.

**– იმ ქალმა, ლილიმ, ბავშვის გაშვილების სანაცვლოდ თუ მოგთხოვათ რამე?**

– დიახ, ჩვენ გადავეცით მას რაღაც, დაწვრილებით საუბარზე უარს ვამბობთ. მთავარი ისაა, რომ გოგონა საიმედო ხელში მოხვდა. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი, რომ მარიამმა გაიცნოს დედამისი ან ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნახოს იგი. გიგზავნით მარიამის ფოტოსაც. იქნებ ის ჰგავს დედას და ვინმემ მიამსგავსოს თავის ნაცნობს, ნათესავს ან მეზობელს, რომელსაც მსგავსი ისტორია გადახდა თავს.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ენა იყო. ჩასვლისთანავე დავურეკე რეზოს და იქ შევთანხმდით შეხვედრაზე. მაგრამ, ვაი რომ, იმ დღეს მუსიკოსები ისვენებდნენ და ძალიან დაგვწყდა გული. თუმცა, სულ ცოტა ხანში მივხვდით, რომ არავითარი მუსიკა ჩვენ არ გვჭირდებოდა, იმდენად ძვირფასი იყო ერთად გატარებული მონატრების ყოველი წუთი. განაწყენება რომ შევამჩნიე, ავუხსენი რეზოს, თუ რატომ არ ვპასუხობდი მის წერილებს. კვლავ გაგრძელდა სწავლა სამხატვრო სტუდიაში. ერთ-ერთმა სტუდიელმა მითხრა, სად გაქრი, ჩვენ ყველას გვეგონა, მოსკოვში დიდ კარიერას გააკეთებსო. ეს მერეც უკვირდათ ჩემს კოლეგებს, როცა დედას გამო საბოლოოდ დავანებე თავი სწავლას და თბილისში გადავედი საცხოვრებლად. მათთვის სამსახიობო კარიერა ყოველგვარ პირადულზე მაღლა იდგა.



ჩემი მოსკოვში ყოფნისას „ქეთო და კოტეს" პრემიერა შედგა თბილისში. „ქეთო და კოტეს" შემდეგ ჩემმა უსაყვარლესმა ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მეორე დიდი სიყვარული მაჩუქა. რუსთაველზე ვცხოვრობდით, ისეთ ბინაში, „კომუნალკას" რომ ეძახიან. აივანზე ვიყავი გადმომდგარი. ამ დროს ჩაიარეს ბატონმა ვახტანგმა და მისმა მეგობრებმა. როგორც მან მითხრა, სწორედ მაშინ დაებადა აზრი ბატონ ვახტანგს, თეატრში ჯულიეტა მეთამაშა. ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, მეთქვა, რომ ჩვენი პირველი იძულებითი განშორების პერიოდში რეზომ შექსპირის სონეტების დიდი ნაწილი თარგმნა და მე მომიძღვნა. ჯულიეტას როლმა დიდი ბედნიერება მომიტანა. რეზოც ჩამოვიდა პრემიერაზე. სონეტების პირველ წიგნს რეზო თაბუკაშვილმა ყდაზე ასეთი წარწერა გაუკეთა. „ჩემო მედიკო, ამ დიდ წიგნში ყველაფერი შენ გეკუთვნის, ყოველი სტრიქონი შენითაა ნაკარნახევი, მაგრამ არ ვიცი, შენსავით მშვენიერია თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ვცდილობდი, დამემსგავსებინა შენთვის"...

მედეა ჯაფარიძემ და რეზო თაბუკაშვილმა იქორწინეს. 1950 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას. მათ შეეძინათ ვაჟი – ლაშა. მის დაბადებამდე ერთი თვით ადრე კი მედეამ, რვა თვის ორსულმა, სპექტაკლ „ჭრიჭინაში" ითამაშა. მაყურებელი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს ორსულ მსახიობს, რომელიც ხეზე დახტუნავდა და კიბეებზე დაქროდა. მიუხედავად იმისა, რომ მედეას ჭრიჭინა უდიდესი წარმატებით სარგებლობდა, ამ პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმში ეს როლი სხვა მსახიობს მიანდეს – ამით დაიწყო მედეას უიღბლობა კინოში. ეს იყო მისი ერთ-ერთი პირველი დიდი ტკივილი შემოქმედებაში".

**ეკა პატარაია**




**ნებისმიერს შეუძლია, გაიხსენოს თავს გადამხდარი უცნაური ამბები, გაკვირვებას რომ იწვევს და თითქოს რაღაცაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო, ამას ვერ ვაანალიზებთ და ვცდილობთ, ესა თუ ის მოვლენა და ფაქტი, რაიმე კანონზომიერებას მივაწეროთ. მაგრამ, როცა ასეთი დამთხვევები გვაწუხებს და ხშირად გვახსენებს თავს, მერე ვუფიქრდებით და ვცდილობთ, ახსნა მოვუძებნოთ. როგორც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსი, ბატონი გიორგი ამბობს, ადამიანების ცხოვრებაში უამრავი ფაქტი ხდება, რომელიც ერთმანეთს ჰგავს. დამთხვევები კი, უბრალოდ არ ხდება და კანონზომიერებას ექვემდებარება დედამიწის ყველა მცხოვრების რეალურ სამყაროში. ასეთ მოვლენათა წარმოქმნის უნარი კი სამყაროს ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა და დამთხვევები შესაძლოა, დროსა და სივრცეში მოხდეს.**

# ექვემდებარება თუ არა ცხოვრებისეული დამთხვევები კანონზომიერებას და მართალია, რომ ყველას თავისი კონკრეტული თარსი დღე და რიცხვი აქვს

**გიორგი**: მრავალი წელია, რაც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა და მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს, უცნაურ დამთხვევათა საიდუმლო გაიგოს და ახსნას. ზოგი ასეთ ფაქტებს მისტიკურსაც მიაწერს, მაგრამ ეს ტყუილია. ასეთ მოვლენათა წარმოქმნის უნარი სამყაროს ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა და არ არის გამორიცხული, დამთხვევები მოხდეს სივრცესა და დროში.

**– ხშირად, მსგავს რამეებს ყურადღებას არ ვაქცევთ და გამოდის, ამით ვირთულებთ ისედაც დაძაბულ ცხოვრებას?**

– რასაკვირველია, გეთანხმებით და გეტყვით, რომ სწორედ აქ ცდებით. ნებისმიერი ადამიანი უნდა იმახსოვრებდეს იმ დღეს და რიცხვს, როცა რაიმე უცნაური მოხდა მის ცხოვრებაში. არ არის გამორიცხული, ასეთი ფაქტი, კვლავ განმეორდეს და იმ დროსა და სივრცეში დაგაბრუნოთ, როცა ის პირველად მოხდა. თუ კარგად დააკვირდებით და ყურადღებას მიაქცევთ თქვენს ცხოვრებაში არსებულ მისტიკურ დღეებსა და ციფრებს, თავადაც მიხვდებით, რომ ასეთი დამთხვევები არც ისე იშვიათია. ერთი ჩემი მეზობელი, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო, პირად ცხოვრებას ვერ იწყობდა. უფრო სწორად, სამჯერ დაქორწინდა და სამივეჯერ კრახით დასრულდა მისი ქორწინება. მოვიდა ჩემთან, დავსხედით და ვისაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ სამივე ქორწილის თარიღი ერთსა და იმავე დღეს დაემთხვა; სამივე ცოლთან ორ-ორი წელიწადი იცხოვრა და სამივეს სახელი ასო „ნ"-ზე იწყებოდა. აბა, მითხარით, ეს დამთხვევა არ არის? ზოგადად, ეზოთერიკოსები ასეთ დამთხვევებს თანმიმდევრობის კანონს ვუწოდებთ. კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში ხდება მისი სერიული გამეორებები და არ არის გამორიცხული, მთელი ცხოვრება მისი გავლენის ქვეშ იყოთ. ამისგან დაზღვეული არავინაა და ეს, ეგრეთ წოდებული, „სერიული კანონები" ჩვენივე ბედის საფუძველში დევს.

**– ამ, ეგრეთ წოდებულ, „სერიული კანონებისგან" თავდაცვა არ შეგვიძლია?**

– მე, უბრალოდ, ფაქტი და რეალური სახე დაგანახვეთ, ამ ეგრეთ წოდებული ბედის საფუძველში ჩადებული „სერიული კანონისა", თორემ მისი ნეგატიური ზეგავლენისგან თავდაცვა, როგორ არ შეიძლება. მაგალითად, გადახედეთ განვლილ ცხოვრებას: როგორც იტყვიან, დროსა და სივრცეში შეინიშნება ჩვენი არსებობის თანდაყოლილი შეზღუდვები და მას უნდა დავემორჩილოთ. თუ ხვდებით, რომ მაგალითად, ორშაბათობით ან სამშაბათობით, 2, 3, 8 რიცხვში საქმე კარგად არ გამოგდით, ჩხუბი გიწევთ, იქმნება პრობლემები საყვარელ ადამიანთან და ასე შემდეგ, ესე იგი, ამ დღეებსა და რიცხვებში განსაკუთრებულად უნდა დაკვირვებოდით საკუთარ საქციელსა და სიტყვებს. ეს ხომ მარტივია? ხომ გაგიგიათ, ჩვენი წინაპრებისგან, ყველა ადამიანს თავისი თარსი, ნეგატიური რიცხვი და დღე აქვსო. ეს მართლაც ასეა და ამ დღეებსა და რიცხვებში ფრთხილი უნდა იყოთ. ბევრი მეუბნება, ეს რა შუაშია, უბრალოდ, ვისაც ცხოვრებაში არ უმართლებს, ბედიც არ სწყალობსო და მორჩა. ამაშიც გარკვეული კანონზომიერებაა. კერძოდ, ზოგი ადამიანი ქუდბედიანია და ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. მათ ყოველთვის უმართლებთ, ყველა დასახულ მიზანს აღწევენ და ცხოვრებაც მოწყობილი აქვთ. ისინი, უხილავი ძალის მფარველობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ. ისე კი, ყველას შეგვიძლია, ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიოთ. ამაში, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ დაგვეხმარება.

**ნებისმიერი ადამიანი უნდა იმახსოვრებდეს იმ დღესა და რიცხვს, როცა რაიმე უცნაური მოხდა მის ცხოვრებაში და არ არის გამორიცხული ასეთი ფაქტი კვლავ განმეორდეს და იმ დროსა და სივრცეში დაგაბრუნოთ, როცა ის პირველად მოხდა**

**– ამისთვის როგორ მოვიქცეთ, იქნებ ესეც გვითხრათ?**

– დიდი სიამოვნებით. გეტყვით, რომ მთავარია, თქვენს საუბარს ძლიერი ენერგეტიკული ფონი შეუქმნათ. კერძოდ, თუ ადამიანი ემოციის გარეშე ლაპარაკობს, მის სიტყვებს არანაირი ენერგეტიკული ძალა არ აქვს. რაც მეტია ემოციური ფონი, მით უფრო ძლიერია ენერგეტიკულად თქვენი ნათქვამი სიტყვა და მას გარშემო მყოფების დაჯერება, დაფიქრება და მოზიდვა შეუძლია. ანუ, ამ დროს ადვილად ზემოქმედებთ ადამიანებზე. ერთი ნაცნობი მყავს, საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია. ვერ გეტყვით, დიდი ნიჭითა და ცოდნით გამოირჩევა-მეთქი, მაგრამ საქმეშიც უმართლებს და ქვეშევრდომებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან. უბრალოდ, მისი წარმატების მთავარი საფუძველი ის მანერებია, რაც მან კარგად შეისწავლა და „დაამუღამა". არც ფინანსებს უჩივის, საქმეც კარგად აქვს აწყობილი და მის სიტყვასაც ყველა ემორჩილება.

**– იქნებ, ამ წარმატების მიზეზი, მისი დახვეწილი მანერები კი არა, უბრალოდ, ქუდბედიანობა და ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენაა?**

– ამაზეც მიფიქრია, მაგრამ მას პირადად ვიცნობ და ვიცი მისი წარმატების მთავარი საიდუმლო. რასაკვირველია, ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენაც შველის, მაგრამ თუ მხოლოდ ამაზე იფიქრე, ფეხი-ფეხზე გადაიდე და თქვი: ქუდბედიანი დავიბადე და ყველაფერი თავისით მოვაო, ისე დაგენგრევა ცხოვრება, აზრზეც ვერ მოხვალ. ცხოვრებაში მეტად გიმართლებს, თუ ბედნიერ ვარსკვლავზე, ქუდბედიანი დაიბადე, პლუს შრომაც გიყვარს და დახვეწილი მანერებიც გაქვს. ამ დროს შენი ცხოვრება და წარმატება ზენიტშია. დამაჯერებელი და ემოციური საუბრით კი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს. აბა, დაფიქრდით და თავადაც მიხვდებით ჩემი ნათქვამის აზრს. ასე არ არის? მე უბრალოდ, მინდა ადამიანებს ვუთხრა, რომ თუ თქვენი საუბარი ემოციური და დამაჯერებელი არ არის, ამით ვერც გარშემო მყოფებს მოხიბლავთ, ვერც დაიყოლიებთ და ვერც კეთილად განაწყობთ თქვენ მიმართ. ასე რომ, დაუკვირდით საკუთარ მანერებსა და საუბრის ტემბრს. ასე, ბუნებრივად მიიზიდავთ საზოგადოების ნდობას და დაიმსახურებთ სიყვარულს.

**ნონა დათეშიძე**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჟანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

## ხელოვნება – საუბარი

მამაკაცებს მოსწონთ ქალები, რომლებიც ხალისით ებმებიან მათთან საინტერესო საუბარში; იციან, როგორ გააკეთონ ეს და აქვთ მოსმენის კარგი კულტურა. საუბარი მამაკაცთან, რომელსაც სულ სხვანაირი ლოგიკა აქვს და საუბრის თემატიკაც განსხვავებული, ადვილი ნამდვილად არ არის. გასწავლით რამდენიმე ხერხს, რომელიც ამ სირთულეში გაგარკვევთ და დაგახელოვნებთ: გაუწიეთ მსუბუქი მეტოქეობა. ეკამათეთ, ნუ შეგეშინდებათ ამის, მაგრამ, დამაჯერებელი ტონით და მშვიდად, ემოციის, აფეთქებებისა და შეკივლებაგაბუტვის გარეშე. დისპუტისთვის შეარჩიეთ ის თემა, რაშიც კომპეტენტური და გაცნობიერებული ხართ და შესაძლებელი იქნება თქვენი მოსაზრების დაფიქსირება. მაგრამ, ამაშიც ზომიერებაა საჭირო. ნუ ილაპარაკებთ იმაზე, რაც მასზე გაცილებით კარგად იცით და ნებისმიერ შემთხვევაში დაჯაბნით. არ არსებობს მამაკაცი, რომელიც მარცხს მშვიდად შეხვდება და არ დაიბოლმება. შეიძლება, თავი დამცირებულადაც კი იგრძნოს და ისე შემოგწყრეთ, თქვენზე გული აღარასოდეს მოუბრუნდეს. უთხარით, რომ სულაც არ გინდოდათ, კამათში აჰყოლოდით, მაგრამ, გიყვართ მისი არგუმენტების მოსმენა. აგრძნობინეთ თავი გამარჯვებულად და თქვენ მისთვის საუკეთესო მეგობარ-მოსაუბრედ იქცევით. დაუთმეთ კამათში – თქვენ ამით არაფერი დაგაკლდებათ, სულელად ნამდვილად არ ჩაგთვლით – პირიქით, მოეწონება თქვენი გამჭრიახობა და დააფასებს ამას.

## ცხოვრება ცხოვრებისათვის...

ჩვენი ცხოვრება მრავალფეროვანია – სიურპრიზები, მოულოდნელობები, არაპროგნოზირებადი მოვლენები – ეს ყველაფერი ძალიან რთულად გვეჩვენება და ამიტომ ხშირად თავს დათრგუნულად და გამოფიტულად ვგრძნობთ... გვაწუხებს სიცარიელე, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ჩნდება... ვნერვიულობთ, როცა მიზანს ვერ ვაღწევთ, განვიცდით, როცა გეგმები გვენგრევა... შედეგად კი, სულ უფრო ვშორდებით ჩვენს ოცნებას. წვრილმანი, რუტინული ვალდებულებები ქმნიან ილუზიას, რომ ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს და ალმაფრენისთვის სულ უფრო ნაკლები მიზეზი გვრჩება. სინამდვილეში კი ასე არ არის... საკუთარ თავს დღესასწაული თავად უნდა მოუწყო და მისცე უფლება ბედნიერებისა... სიყვარული თავისით იშვიათად მოდის... არც გამოძახებით გესტუმრებათ, მაგრამ, წინაპირობა ნამდვილად შეგიძლიათ, შეუქმნათ... ჯერ ერთი, გამონახეთ დრო დასვენებისთვის – ეს აუცილებელია: მეორეც – არ მისცეთ უფლება წვრილმანებს, დიდი მასშტაბები შეიძინონ და მთლიანად შთანთქონ თქვენი ძვირფასი დრო; ფართოდ გაახილეთ თვალები, დაინახეთ ცხოვრება რეალურ ფერებში და დარწმუნდებით, რომ ის მართლაც მშვენიერია. ნუ იქნებით დამოკიდებული ნურც ტელევიზორზე და ნურც სოციალურ ქსელზე – დაისვენეთ, გაისეირნეთ, გააკეთეთ ის, რისი გაკეთებაც სულ გინდოდათ; არ დაგენანოთ დრო სასიამოვნო წუთებისთვის; ზოგჯერ მაინც იხელმძღვანელეთ პრინციპით: „აქ და ახლა!“ – ასე კონტაქტს ცხოვრებასთან არასოდეს გაწყვეტთ...

## გადარჩენის შანსი

ჩვენ უნდა ვუსმინოთ და დავუჯეროთ ბავშვს, რომელიც ჩვენშიაო – ამბობდა პაულო კოელიო. ჩვენ ხომ ყველანი ერთხელ უკვე ვიყავით ბავშვები, ის ბავშვი არსად წასულა, ისევ ჩვენშია და ყველაფერი ახსოვს, ყველა ჯადოსნური მომენტი ჩვენი ცხოვრებისა, უბრალოდ, უნდა ვაცალოთ, მეხსიერების ზედაპირზე წამოსწიოს ისინი. ჩვენ ხელმეორედ არ ვიბადებით და ცხოვრებას თავიდან ვერ გავივლით, რადგან მხოლოდ ერთი შანსი გვაქვს.

მივცეთ „ბავშვს“ საშუალება, იცელქოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ირგვლივ სიცარიელეს, სიმძიმეს ვგრძნობთ. ეს ბავშვი გეტყვით, რომ დღევანდელი დღე არ ჰგავს გუშინდელს და განსხვავებული იქნება ხვალინდელიც... ამიტომ, თუ დღეს რაღაცამ გული დაგვწყვიტა, ხვალ ყველაფერი კარგად იქნება. მიანიჭეთ სიამოვნება „ბავშვს“, თუნდაც ამისთვის ისე მოიქცეთ, როგორც დიდი ხანია, აღარ მოქცეულხართ და, თუნდაც, სხვის თვალში ეს სისულელედ გამოჩნდეს.

ზედმეტი სიბრძნე მხოლოდ ღმერთების ღიმილს იწვევს. გახსოვდეთ, თუ ჩვენ ვუსმენთ ჩვენს სულში დაბინავებულ „ბავშვს,” თვალები ყოველთვის გვიელავს... და თუ არ დავკარგავთ კონტაქტს ამ ბავშვთან, არ დავკარგავთ კონტაქტს ცხოვრებასთან...

## სიმბოლო ქალის მშვენიერებისა

ქალები გაცილებით უკეთ ხედავენ, გრძნობენ და აღიქვამენ სილამაზეს. კაცებს სილამაზესთან მიმართებაში აბსოლუტურად სხვა კრიტერიუმები გააჩნიათ. როცა მამაკაცი ხედავს რაიმე ლამაზს, ამაზე რეაგირებს მისი ტვინის მხოლოდ მარჯვენა ნახევარსფერო, ქალში კი ასეთ დროს ორივე ნახევარსფერო გააქტიურდება ხოლმე და, შესაბამისად, რეაქციაც უფრო მძაფრი აქვს. გარდა ამისა, ქალები ლამაზ ნივთებს გრძნობენ კიდეც და უდიდეს სიამოვნებას იღებენ, ამიტომაც უჭირთ, მოსწყდნენ მაღაზიის ლამაზად გაფორმებულ ვიტრინას, რაც კაცს საერთოდ არ აღელვებს.

ყველაზე ძველი კომპლიმენტის ავტორი ბერძენი ჰომეროსია. როცა ის „ილიადაში“ ელენეს აღწერდა, მან იდეალური კომპლიმენტის მაგალითით იხელმძღვანელა: „ტროის ბრძენმა უხუცესებმა შეხედეს ელენეს და აღმოხდათ: ო, ო...! ასეთი სილამაზისთვის ღირს ომი“... დღეს ჩვენ არც ვიცით, როგორ გამოიყურებოდა ელენე სინამდვილეში, მაგრამ, ეს კომპლიმენტი საკმაოდ ბევრის მთქმელია. ამ კომპლიმენტის წყალობით, ელენე ისტორიაში შეუდარებელი ქალური სილამაზის სიმბოლოდ დარჩა.

ისწავლეთ ადეკვატური რეაქციის გამოხატვა, როცა გაქებენ... არ არის საჭირო გაწითლება და სისულელეების ლაპარაკი, რომ თქვენ ამას არ იმსახურებთ. მიიღეთ ნებისმიერი კომპლიმენტი ღირსებით და, მადლიერების გამოხატვისას სიტყვაძუნწი იყავით. შეიძლება, თქვენ არ ხართ სიმბოლო ქალის მშვენიერებისა, მაგრამ, აუცილებლად იქნებით რაღაცით გამორჩეული და სხვებისგან განსხვავებული, რაც რომელიმე მამაკაცის ყურადღების მიღმა არ დარჩება.

## საჭირო კომპლიმენტი

გინდათ, სწრაფად გაშინაურდეთ ახალ გარემოში და უცებ შეუყვარდეთ ყველას, ერთი დღის გაცნობილ ადამიანებსაც კი?! ყურადღება მიაქციეთ თქვენს სიტყვებს პირველი შეხვედრისას: იყავით ორიგინალური და მოერიდეთ ბანალურ, ყალბ, არაფრისმთქმელ ფრაზებს. კომპლიმენტი ადამიანს აუცილებლად უნდა უთხრათ, სულერთია, მამაკაცი იქნება ის თუ ქალი, მაგრამ, კომპლიმენტსაც გააჩნია. აუცილებელია, იყოთ ყურადღებიანი. ჯერ დააკვირდით სიტუაციას, რომ რამე უადგილოდ არ წამოგცდეთ. მამაკაცებს სიამოვნებთ, როცა მათ იუმორის გრძნობას, ჩაცმის სტილსა და საუბრის მანერას უქებენ. მაგალითად: „როგორ დამაჯერებლად ლაპარაკობთ“, „კარგად შერჩეული პერანგი (კოსტიუმი) გაცვიათ“, ან – „ჯინსი ძალიან გიხდებათ“. დედებს უხარიათ, როცა მათ ეუბნებიან: „როგორი კარგი, ჭკვიანი და ლამაზი შვილი გყავთ“, „გეტყობათ, რომ კარგი დედა ბრძანდებით“, „თქვენს შვილს გაუმართლა, რომ ასეთი კარგი დედა ჰყავს“... – ასეთი პოზიტიური ფრაზების მოსმენის შემდეგ, ადამიანებს მაშინვე უუმჯობესდებათ ხასიათი. მათი განწყობა კი თქვენ მიმართ დადებითისკენ შეიცვლება და ადვილად დადგება თქვენს მხარეს. ადამიანებს ძალიან ახარებთ იმის გაგება, რომ ისინი „საჭირონი” არიან; თავისუფლდებიან შინაგანი დისკომფორტისგან და უჩნდებათ სტიმული, თავადაც კარგი გაუკეთონ და უთხრან სხვას.

***P. S.* რაც შეეხება თქვენს რეაქციას სხვის შეხედულებაზე თქვენი პიროვნების შესახებ, მეტისმეტად დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამას – ცხოვრებაში ეს ნაკლებად დაგეხმარებათ. დასახული მიზნის რეალობად ქცევასთან ერთად, ისწავლეთ საკუთარი პოზიციის დაცვა და წარმატების მიღწევა.**



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# საზაფხულო ცხოვრების 7 წესი

***წესი პირველი – დაივიწყეთ შავი ფერი!***

შავი ფერი, გარდა იმისა, რომ შთანთქავს (და არა აირეკლავს) მზის სხივებს, აბსოლუტურად არ უხდება ზაფხულს.

***წესი მეორე – ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა***



მოდური ნატურალური გარუჯვის „ფასი“ სერიოზული და საგანგაშოა: კანის ფოტოდაბერება, იმუნიტეტის დაქვეითება, კიბოს წარმოქმნის რისკის გაზრდა. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებლად გამოიყენეთ დამცავი კრემები ან გელები, მინიმუმ 20 ფაქტორით (აუცილებლად ხარისხიანი).

სხვათა შორის, მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ მზის გამოსხივებას ყველაზე კარგად „ფილტრავს“ მუქი ლურჯი და წითელი ფერის სამოსი.

***წესი მესამე – კოსმეტიკის მინიმუმი***

დაუნდობელი მზე მთლიანად „შეჭამს“ ყველაფერ ხელოვნურსა და ზედმეტს, რის შედეგადაც კანი უფრო მეტად ზიანდება. მზეს განსაკუთრებით „უყვარს“ სქელი კონსისტენციის ტონალური კრემები, თვალის „ჩრდილები“ და სქელი მკვებავი კრემები, ამიტომ, აუცილებელია, ისინი შევცვალოთ გელებით, რადგან გელს აქვს მსუბუქი სტრუქტურა, მას ადვილად იწოვს კანი და არ იწვევს არც კანის სიპრიალეს, არც წებოვნების შეგრძნებას და, შესაბამისად, შესანიშნავი საშუალებაა ზაფხულში კანის მოსავლელად.

***წესი მეოთხე – საუკეთესო ნიღბები***

ყველაზე სასარგებლო და შედეგიანი სეზონური კოსმეტიკური პროცედურაა ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის შინაური ნიღბები. კიტრი, პომიდორი, მარწყვი, ყურძენი მდიდარია ხილის მჟავებით, რის გამოც, ყველა ეს პროდუქტი ითვლება კანის საუკეთესო მატონიზებელ საშუალებად, რომლებიც, ამასთანავე, თანაბარს ხდის კანის ფერს და აბაცებს პიგმენტურ ლაქებს.

***წესი მეხუთე – კანიც განიცდის წყურვილს***

სიცხეში ბევრი წყალი რომ უნდა სვათ, ეს აქსიომაა, მაგრამ, კანსაც აქვს წყურვილის შეგრძნება, რასაც მას წყლის დალევით ვერ დაუკმაყოფილებთ. კანის სიმშრალეს იწვევს ეპიდერმისის მიერ ტენიანობის შენარჩუნების უნარის დაქვეითება, რაც ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. კანის „დარწყულება“ შესაძლებელია იმ კოსმეტიკური საშუალებებით, რომლებიც შეიცავს დამატენიანებელ კომპონენტებს, მაგალითად, ალოეს, რომელსაც შეუძლია, მაქსიმალურად დაატენიანოს ეპიდერმისი ყველაზე ღრმა ფენებამდე.

***წესი მეექვსე – კოსმეტოლოგი შვებულებაში გადის***

ზაფხულში კატეგორიულად იკრძალება პილინგები, მეზო- და კანის სხვა თერაპიები, რადგან, სითბური და მზის სხივებით გამოწვეული გადატვირთვა კანს აზიანებს. სახის მარტივმა გაწმენდამაც კი, შესაძლოა, ხანგრძლივი ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. ამიტომ, იხელმძღვანელეთ პრინციპით: „ჯობია ცოტა და ხარისხიანი“, შეარჩიეთ კანის მოვლის ყველაზე მსუბუქი და რბილი საშუალებები და შემოდგომის დადგომამდე (ანუ, აგრილებამდე) საერთოდ ამოიღეთ ხმარებიდან საპონი და სპირტზე დამზადებული ტონიკები და ლოსიონები, რომლებიც აშრობს კანს.

***წესი მეშვიდე – მთელი კოსმეტიკა – მხოლოდ ჰერმეტულად დაცულ შეფუთვაში***

საკმარისია, კრემის ფლაკონში ან ტუბში ბაქტერიამ შეაღწიოს, რომ მისი დადებითი თვისებები, შესაძლოა, საშიში შედეგის მომტანად იქცეს. ამიტომ, თუ კოსმეტიკური საშუალებების ჰერმეტულად შენახვას ვერ ახერხებთ, ზაფხულის განმავლობაში შეიძინეთ ვაკუუმური დოზატორები.

# იბრძოლეთ თავი მსუბუქად!

მართალია, ზაფხული არ არის ცხელი და მძიმე კერძების სეზონი, მაგრამ, მარტო სალათების ჭამა ნამდვილად მობეზრდება ადამიანს. არადა, სიცხის გამო (თუ სახლში ხართ) და, კიდევ, იმის გამო, რომ დასასვენებლად წასულს ნამდვილად არ გაქვთ სურვილი, ეს რამდენიმე დღეც გაზქურასთან გაატაროთ, ცდილობთ, ოფლის ღვრის გარეშე დაიკმაყოფილოთ შიმშილი და წყურვილი ფასტფუდის, კაფე-რესტორნებისა და საცხობების ბურგერებით და ნამცხვრებით (აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ მათი უმრავლესობა საეჭვო „წარმომავლობისაა“); ზედაც კანფეტებს, ნაყინსა და გაზიან ტკბილ სასმელებს აყოლებთ (ძირითადად – გასაგრილებლად). ეს კი, დამეთანხმებით, სულაც არ შეგიწყობთ ხელს წონის დაკლებაში; უფრო მეტიც, უკვე დაკარგულ კილოგრამებს ხელახლა დაგიბრუნებთ და, იმაშიც დაგვეთანხმეთ, რომ, შვებულების დასრულების შემდეგ სამსახურში რომ მიხვალთ და თქვენი კონკურენტი თანამშრომელი ქალი ირონიულად გეტყვით: „ვაიმე, რა კარგად გამოიყურები, როგორ გიხდება გასუქება!“ – მერწმუნეთ, ნამდვილად არ დადგებით კარგ ხასიათზე.



ეს რომ არ მოხდეს, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები.

დავიწყოთ სასმელებით: დღეში მინიმუმ 2 ლიტრი სითხე რომ უნდა დალიოთ, ალბათ, გახსოვთ; ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ამ 2 ლიტრიდან 1,5 მაინც, ჩვეულებრივი სასმელი წყალი უნდა იყოს, მაგრამ, თუ მაინცდამაინც ტკბილი გამაგრილებელი (გაზიანი) სასმელი მოგინდათ, შემოიფარგლეთ დღეში 1 მომცრო ჭიქით და, თან, დალიეთ აუცილებლად ის „კოკა-კოლა“ ან „პეპსი“, რომელსაც აწერია „ლაითი“. მათ შესაცვლელად კი საუკეთესო მეთოდია სახელდახელო უშაქრო კომპოტის მომზადება ნებისმიერი ხილისგან. წვალება არ დაგჭირდებათ, მხოლოდ მოხარშეთ და გააცივეთ; შეგიძლიათ, გაყინოთ კიდეც და გემრიელი ლოლუები მიირთვათ.

ახლა, რაც შეეხება კერძებს.

უკიდურესად შეზღუდეთ: ყველანაირი ბურგერი, სენდვიჩი, ჩიზქეიქი და ყველანაირი ცომეული.

მინიმუმამდე დაიყვანეთ: ტირამისუ, ეკლერი, ბისკვიტი, შოკოლადი.

შეგიძლიათ, თავი გაინებივროთ და შედარებით თამამად წაისუსნოთ ზეფირით, პასტილათი, მარმელადით, სორბეტით, ჟელეთი და პუდინგით. რაც შეეხება კერძებს, მოშიების შემთხვევაში, მიირთვით ხილისა და ბოსტნეულის სალათები, მოხარშული უცხიმო ხორცი და თევზი და ასე შემდეგ, მაგრამ, გახსოვდეთ, „მშრალი“ შიმშილობაც რომ გამოაცხადოთ და წყლის მეტი არაფერი მიირთვათ, შესაძლოა, ცოტა მაინც მოიმატოთ წონაში. ეს საშიშროება რომ აიცილოთ თავიდან, აუცილებელია ვარჯიში, მაგრამ, რადგან სიტყვები „ვარჯიში“ და „დასვენება“ ქართველების ცნობიერებაში არათავსებადი ცნებებია, სიტყვა „ვარჯიში“ შევცვალოთ სხვა პირობითი შესიტყვებებით: ითამაშეთ ჩოგბურთი, ფრენბურთი ან მაგიდის ტენისი; ისეირნეთ ველოსიპედით ან ფეხით დილა-საღამოს, ან, სულაც, ჩართეთ რამე სწრაფი მუსიკა, დაუძახეთ მეზობლებს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს და იცეკვეთ წაქცევამდე – ასეთი სახელდახელოდ მოწყობილი „დისკოთეკები“ თქვენს დასვენებას ხალისსაც შეჰმატებს და, თან, არ მოგცემთ საშუალებას, მოდუნდეთ, წონაში მოიმატოთ და თქვენი თანამშრომელი კონკურენტი ქალები გაახაროთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, სჭირდება თუ არა განსხვავებული მოვლა ცხვირის კანს?**

**პასუხი**: პრინციპში, ცხვირის კანსაც ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორც სახის კანს, ანუ, საჭიროა გაწმენდა, მატონიზებელი საშუალებები, კვება და დატენიანება. მაგრამ, ცხვირის კანი უფრო პრეტენზიულია, რადგან, ის შეიძლება იყოს უფრო ცხიმიანი, უფრო განიერფორებიანი ან უფრო მშრალი, ვიდრე მთლიანად სახის კანი. გარდა ამისა, ცხვირის კანი უფრო ადვილად წითლდება (სიცივეში გასვლისას, ცხელი ან სპირტიანი სასმელების ან ცხარე კერძების მიღების დროს). ამიტომ, შემოიფარგლეთ ანტიბაქტერიული ტონიკით ან ლოსიონით. მოერიდეთ ცხვირზე პუდრის წასმას (სიპრიალის მოსაშორებლად), რადგან, შესაძლოა, ცხვირის კანის ფორებში „გაიჭედოს“ პუდრის ნაწილაკები, რაც საკმაოდ არაესთეტიკურ შედეგს მოგცემთ.

**კითხვა: ძალიან მიყვარს მზის აბაზანების მიღება, მაგრამ, ყოველ ზაფხულს ერთი და იგივე პრობლემა მაქვს – კანი მიწითლდება, მიჩნდება გამონაყარი და მეწყება ქავილი. ექიმმა მითხრა, რომ ეს არის ალერგიული რეაქცია მზეზე. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე პროფილაქტიკა ამის თავიდან ასაცილებლად?**

**პასუხი**: სიწითლე, გამონაყარი და ქავილი არის ფოტომგრძნობელობის გამოვლინება ან მზის სხივებით გამოწვეული დერმატიტი. მისი თავიდან აცილების პროფილაქტიკა არსებობს: ზღვაზე წასვლამდე 1-2 თვით ადრე, უნდა დაიწყოთ სპეციალური „ბადების“ მიღება, რომელთა შემადგენლობაში იქნება პრობიოტიკები, ლიკოპინი და ბეტა-კაროტინი, რაც ძალიან შეამცირებს მზის სხივებით გამოწვეული დერმატიტის წარმოქმნის ალბათობას; ასევე, უნდა გამოიყენოთ SPF-ის მაღალი ინდექსის შემცველი მზისგან დამცავი კრემები. ორივე სახის საშუალების შეძენისას იხელმძღვანელეთ დერმატოლოგის რჩევით.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## ჩემი ქმარი დედისა და დის ჭკუაზე დადის

სანამ ზესო ჩემს ყურადღებას დაიმსახურებდა, კანიდან ძვრებოდა, სიურპრიზებს მიწყობდა, საჩუქრებით მავსებდა, ფანჯრების ქვეშ სანთლებს მინთებდა და ჩემს დაქალებსაც თან ჰყვებოდა. მერე, თავი რომ შემაყვარა, უჩემოდ ფეხს არსად დგამდა და არც მე მიშვებდა სადმე მარტო. ქუჩაშიც, ან ხელგადახვეულები დავდიოდით, ან ხელიხელჩაკიდებულები. სულ იმას ცდილობდა, რამით გავეხარებინე და, მეგონა, რომ მთელი სიცოცხლე ასე ვიქნებოდით. მაგრამ, მას შემდეგ, რაც დავქორწინდით, უფრო სწორად, რაც საქორწინო მოგზაურობიდან დავბრუნდით, აბსოლუტურად შეიცვალა. ძველი თვისებებიდან ერთადერთი ის შემორჩა, რომ მარტო არსად მიშვებს, ისიც იმიტომ, რომ უაზრო ეჭვიანობა დაიწყო. დაქალებიც, რომლებსაც მანამდე ჩემთან დასაახლოებლად იყენებდა, ყველა ჩამომაშორა – არ მომწონს მაგათი ცანცარობა და შენც აგიყოლიებენო. სულ ნახევარი წელია, ცოლ-ქმარი ვართ და აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის მომიტანა ყვავილები, საჩუქრებზე რომ აღარაფერი ვთქვა. სხვათა შორის, ზუსტად ვიცი, რომ მისი ასეთი ცვლილების მიზეზი ჩემი დედამთილი და მული არიან. ორივე ძალიან მალე გაშორდა ქმარს და არც ერთი არ იყო მათგან რომანტიკულ მოპყრობას მიჩვეული და შურდათ, რომ ზესო ასე მექცეოდა. ამიტომაც, ნელ-ნელა დაუწყეს „ბურღვა” და ბოლოს გადაიყვანეს კიდეც თავიანთ ჭკუაზე.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ მე ეს მეჩვენება ან ვუგონებ ჩემს მულსა და დედამთილს იმას, რისი ჩამდენებიც არ არიან, მაგრამ, ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, როგორ „ამუშავებდნენ“ ჩემს ქმარს, ხმას არ ამოვიღებდი მათზე. ხან და ჩაიგდებს ხელში, ხან დედა და ჩასჩიჩინებენ, რომ ცოლი არ უნდა გაათამამოს, ფული არ უნდა დაახარჯოს, არ უნდა გაანებივროს, თორემ მერე მეტს მოსთხოვს და ასე შემდეგ.

ერთხელ, სამსახურიდან სახლში რომ მოვდიოდი, ფეხსაცმელზე ქუსლი მომტყდა და კოჭლობით მივედი სახლში. ზესომ რომ მკითხა, რა გჭირსო და მოტეხილი ქუსლი რომ ვაჩვენე, ეტყობა, კარგ ხასიათზე იყო და მითხრა, ორ დღეში ხელფასი უნდა ავიღო, ერთად წავიდეთ და ახალს გიყიდიო. ნეტავი არ ეთქვა. ვერ წარმოიდგენთ, რა გნიასი ატეხეს მულმა და დედამთილმა. მული პირდაპირ ეცა თავის ძმას და ლამის კივილით უთხრა ჩემზე: ამან იცოდა, რომ მე შემპირდი ფეხსაცმლის ყიდვას და სპეციალურად მოამტვრია ქუსლი თავის ჯღანებს, რომ, მე კი არა, მაგას უყიდოო. მერე დედამისმა „დამოძღვრა”: როცა მამაკაცი ოჯახში პრიორიტეტებს ვერ ანაწილებს და ცოლს დაზე და დედაზე წინ აყენებს, ის სულელია და მალე იწვნევს თავისი საქციელის შედეგებსო. ისეთი დღე დააწიეს, ბოლოს ზესომაც, იმის ნაცვლად, რომ ორივე თავის ადგილზე მოესვა, იყვირა: კარგი, დაწყნარდით, არ ვუყიდი და მთელ ჩემს ხელფასს თქვენ მოგცემთ, ოღონდ თავი დამანებეთო. ეს კიდევ არაფერი. საქორწინო მოგზაურობიდან რომ დავბრუნდით, ორი თვის შემდეგ ზესოს მამამ ჩემი გაცნობა მოინდომა (ქორწილში არ დაუძახეს – ძალიან ვიწრო წრეში ვაკეთებთ და მაგისი ადგილი არ გვაქვსო) და მარტო ჩვენ ორნი დაგვპატიჟა რესტორანში. თავის ქალიშვილსაც კი არ უთხრა, წამოდიო, იმიტომ რომ, იცოდა, რა გიჟიც იყო. ის კი არა, ჩვენც მხოლოდ წინა დღეს დაგვირეკა და თან ძალიან მკაცრად გაგვაფრთხილა, სახლში არაფერი წამოგცდეთო. ძალიან მიკვირს, როგორ მოხდა, რომ ზესომ მართლა არაფერი თქვა. მოკლედ, წავედით და ეს ორი „ჯადოქარი” ცნობისმოყვარეობისგან გულგახეთქილი დავტოვეთ – ვერაფრით ვერ მიხვდნენ, სად მივდიოდით

რესტორანში ჩემი მამამთილი თავის მეორე ცოლთან და ქალიშვილთან (ზესოს ნახევარდასთან) ერთად დაგვხვდა. ყველამ ძალიან თბილად მიგვიღო და საოცრად ლამაზი საღამო გავატარეთ. წამოსვლისას კი უამრავი საჩუქარი მოგვცეს: მე – ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სავსე რამდენიმე პაკი; ზესოს კი – ძვირფასი საათი და უკანასკნელი მოდელის მობილური. ბოლოს ჩემმა მამამთილმა ცალკე გამიყვანა, ჯიბეში ათასი დოლარი ჩამიდო და მითხრა, შენთვის იყიდე, რაც გინდა, ოღონდ ისე, რომ არ გამოაჩინო, თორემ, ის ორი აფთარი აუცილებლად გამოგტყუებსო.

ფული მეორე დღესვე ბანკში შევიტანე და ვინახავ; ზესოსთვისაც კი არ მითქვამს, მაგრამ, საჩუქრებსაც ხომ ვერ დავმალავდით?! რომ გაიგო, იმ ორმა აფთარმა“, სად ვიყავით და ვინ დაგვასაჩუქრა, კინაღამ თავზე გადამახიეს ყველაფერი, ბეჭედი კი რამდენიმე დღეში ჩემი ოთახიდან დამეკარგა.

აი, ასე ვცხოვრობ ჯერჯერობით და, არ ვიცი, როდემდე გავძლებ ამ ჯოჯოხეთში. თუ ჩემი ქმარი გონს არ მოეგო, გული მიგრძნობს, დიდხანს ერთად ყოფნა არ გვიწერია.

**მაკა, 24 წლის.**

## ყველა დედა დედა არ არის

დედაჩემი და მამაჩემი რომ დაქორწინდნენ, ორივეს თითო შვილი ჰყავდა პირველი ქორწინებიდან – 3-3 წლის ბიჭები. ორი წლის მერე მე გავჩნდი; ანუ, მყავს ორი ნახევარძმა: ერთი – მამის მხრიდან, მეორე – დედის მხრიდან.

მამა პირველ ცოლთან გაშორებული იყო, დედა რომ გაიცნო, უფრო სწორად, ცოლმა ბავშვიანად მიატოვა, სხვაზე გათხოვდა და, ამიტომ, შვილი მამასთან იზრდებოდა (ბებია-ბაბუებს არ მისცა); დედაც გაყრილი იყო პირველ ქმართან, რომელსაც უკვე სხვა ოჯახი ჰქონდა და საერთოდ არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. მამამ დედაჩემის შვილიც თავის გვარზე გადაიყვანა და სამივეს ერთნაირად გვზრდიდნენ.

მე ჩემს ძმებზე ხუთი წლით უმცროსი ვიყავი, თან – გოგო და ორივე ძალიან მანებივრებდა. ერთმანეთში ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან, არც კი იცოდნენ, რომ სინამდვილეში ძმები არ იყვნენ. მეც არ ვიცოდი ამის შესახებ, რადგან, არც დედა და არც მამა ერთმანეთისგან არ გვარჩევდნენ.

ჩემს ძმებს ახალი დაწყებული ჰქონდათ მუშაობა, მე რომ სტუდენტი გავხდი. გარეგნობითაც არა მიშავდა, კარგადაც ვსწავლობდი და ორივეს ძალიან ეამაყებოდა, ასეთი და რომ ჰყავდათ. მშობლებს აღარ ჰქონდათ დიდი შემოსავალი და ყველაფერს ჩემი ძმები მიკეთებდნენ. მათი წყალობით, არც ჩაცმა მაკლდა, არც კურორტი, არც სხვა კომფორტი. ისეთი დაძმობა გვქონდა, მთელი სამეზობლო ჩვენზე ლაპარაკობდა.

მეოთხე კურსი რომ დავხურე, გავთხოვდი და ქმართან გადავედი. ჩემი ქმრის ოჯახს არ უჭირდა, მაგრამ ჩემი ძმები მაინც თან მყვებოდნენ. მერე მათაც მოინდომეს დაოჯახება და, რადგან ცალკე ბინის ყიდვა ჯერჯერობით არ შეეძლოთ, მშობლებმა გადაწყვიტეს, ბინა დაეშალათ: ხუთოთახიანი ბინა იყო და ორ ოროთახიან და ერთ ერთოთახიან ბინას აძლევდა ვილაცა, მაგრამ მოულოდნელად მამა გარდაიცვალა და, ეს ყველაფერია, ცხადია, რაღაც დროით გადაიდო. ორი წელი რომ გავიდა, ეს საკითხი ისევ დადგა დღის წესრიგში, მაგრამ, ჩვენს ცხოვრებაში გამოჩნდა ვილაც ქალი, რომელიც ზურას (მამაჩემის მოყოლილ შვილს) ურეკავდა, სამსახურში ხვდებოდა და რაღაც სცენებს უწყობდა. გაირკვა, რომ ეს იყო მამას პირველი ცოლი, რომელსაც მხოლოდ ოცდახუთი წლის შემდეგ გაახსენდა, რომ შვილი ჰყავდა. ის ურეკავდა ზურას და ათასგვარ ტყუილს უყვებოდა მამაზე – თითქოსდა ის სცემდა, ამცირებდა, უწესო ქალები მიჰყავდა სახლში, მერე კი, სულაც გააგდო და ბავშვიც წაართვა. მაშინ გაიგო ზურამ (და ჩვენც) რომ ღვიძლი და-ძმა არ ვიყავით და ძალიან გაუჭირდა ამის გადატანა. სიტუაცია ისე გართულდა, რომ დედაჩემმა სამივე შეგვკრიბა და ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო, რა და როგორ იყო, მერე კი ზურას უთხრა, მე ვერ აგიკრძალავ შენს ბიოლოგიურ დედასთან ურთიერთობას და არც მეწყინება, თუ დაეხმარები, მაგრამ, იცოდე, ფრთხილად იყავი, ცოტა სხვანაირი ქალია (სხვა სიტყვა ვერ აკადრა, რადგან, მაინც ზურას დედა ერქვა) და გონება არ აგირიოსო. დედაჩემს წინასწარმეტყველებისავით გამოუვიდა ეს ნათქვამი: იმ ქალმა ზურას ჯერ თავი შეაცოდა, დაიახლოვა და რამდენჯერმე ფულიც გამოსძალა. მერე, ნელ-ნელა ჩვენ წინააღმდეგ განაწყობდა, ბოლოს კი უთხრა, ის ბინა, რომელშიც ცხოვრობთ, მამაშენის არის, შენს დედინაცვალს არაფერი გააჩნდა და, ის, რაც მხოლოდ შენ გეკუთვნის, ვილაც ნაბიჭვარს (ანუ, დათოს, ჩემს მეორე ძმას) რატომ უნდა გაუყოო. ზურამ, კიდევ კარგი, ეს ყველაფერი მარტო მე მიამბო, თორემ, დათოს რომ გაეგო, შეიძლება, ძალიან ცუდად დასრულებულიყო მათი ურთიერთობა – ის, უბრალოდ, ბინაზეც უარს იტყოდა, ზურას ძმობაზეც და, შეიძლება, მეც დამეკარგა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩემი მშობლების ამაგმა ზურაზე უქმად არ ჩაიარა. ცხადია, ემოციურად ძალიან გაუჭირდა, ლამის 30 წლის ასაკში როცა გაიგო, რომ სულ სხვა ქალი ყოფილა მისი დედა, მაგრამ, დედაჩემისგან გაცემული სითბო და სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სხვათა შორის, დამავიწყდა მეთქვა, რომ დედა ასე გვიფიცებდა ხოლმე: „ზურას გეფიცები და სამივეს გეფიცები“ და ეს ზურას არ დავიწყებია.

საბოლოოდ, გაირკვა, რომ ის ქალი იმიტომ იყო შეჩენილი ზურაზე, რომ იმ ბინის ნაწილზე თვითონაც ჰქონია პრეტენზია. უფრო მეტიც: მის, ვინ იცის, რიგით მერამდენე ქმარს თუ საყვარელს, როცა გაუგია, რომ ბინის დაშლას ვაპირებთ (ეს ამბავი ზურას დედას შეუტყვია და ქმრისთვის მოუყოლია), ცოლს უთხრა, შეიძლება, ამ საქმიდან ცოტა ჩვენც ვიხეიროთო და იმას დაურიგებია, როგორც უნდა მოქცეულიყო (რომ ზურას დაახლოებოდა, მისთვის გული აეჩუყებინა და ასე შემდეგ), თორემ, ის ქალი შვილითა და მისი ბედით არც მანამდე დაინტერესებულა და არც მერე ადარდებდა.

მოკლედ, როცა ზურამ კატეგორიული უარი უთხრა ბინასთან დაკავშირებით, იმ არამზადა ქალმა ნიანგის ცრემლები გადმოყარა და იმას კი მიაღწია, რომ ჩემი ძმა დაითანხმა, თვეში ერთხელ ორასი ლარი მაინც მიეცა – ასე უთხრა, შვილი ვალდებულია, დედას მიხედოს და უპატრონოსო.

დედასაც გააჩნია...

**სალომე, 25 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგვზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ჩვენი საზოგადოება ორად არის გაყოფილი: ერთნი მიიჩნევენ, რომ ქართველებს სერიოზული პრობლემები გვაქვს და თითქმის გადაგვარების გზაზე ვართ შემდგარნი, ხოლო მეორენი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ მაინც ყველაზე მაგრები ვართ და ჩვენნაირი უნიკალური ერი დედამიწაზე მეორე არ არის... რა დავკარგეთ, რა შევიძინეთ ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში და ვდგავართ თუ არა კონკრეტული საფრთხეების წინაშე? იქცა თუ არა სასაცილოდ ფრაზა: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ და რომელი ორგანოს გააქტიურებაა ჩვენისთანა ერისთვის დამღუპველი?**

**„ეროვნება – ქართველი“ ექიმ ლადო კახაძეს მასპინძლობს.**

# რა სასწაული რესურსი დევს ქალში და რომელმა ორგანოებმა გაუცვალეს ერთმანეთს ადგილი ქართველის სხეულში

**ლადო კახაძე**: მე ყველას ვეუბნები: „ქართველებო, გახსოვდეთ, არავისზე უკეთესები ჩვენ არ ვართ, მაგრამ არც ვინმეზე ნაკლებნი ვართ!“ როცა ამას კარგად გავაცნობიერებთ, მივხვდებით, რომ მართლაც გვაქვს ბევრი გამორჩეული, დადებითი ნიშან-თვისება და გენეტიკური ვალდებულებები. თანაც, ძალიან საინტერესო, ჩვენსავით სისხლსავსე სამყაროში გვიწევს ცხოვრება.

**– ეთანხმებით იმას, რომ ქართველები მხოლოდ ჩვენს ცეკვებსა და სადღეგრძელოებში დავრჩით რაინდებად?**

– არ მივესალმები თანამედროვე ცივილიზაციაში ქართველების სადღეგრძელოს მთქმელ ერად ასოცირებას. ამის უტრირება ხდება. თანამედროვე ქართველმა ახალგაზრდებმა სადღეგრძელოს თქმა კი არა, ღვინის დალევაც არ იციან. არც უნდათ. აბა, ვისზეა ლაპარაკი, ჩემს თაობაზე?! თუ, კიდევ უფროსზე, კომუნისტურ რეჟიმს რომ გაუძლო?! ქართველი კაცების ერთმა პროცენტმაღა თუ იცის სადღეგრძელოს თქმა. რაც შეეხება ქართულ ცეკვას – დღეს ახალგაზრდები ტექნიკურად კარგად ცეკვავენ. ვცეკვავდით ჩვენ და ის იყო ცეკვა... ვრჩებით თუ არა რეალურ ცხოვრებაში რაინდებად?! ჩემს გადაცემაში – „კაცია-ადამიანი?!“ – სტუმრად მყავდა ბატონი ომარ მხეიძე. თემა იყო ძალადობა ქალზე. ველაპარაკები კაცს, რომელსაც წლების განმავლობაში ხელისგულზე ჰყავს თავისი მეუღლე; ვცდილობ, ეს პრობლემა გავაანალიზო და, ვერ გაიგო, ვერ წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა, ქალის გვერდზე მყოფს ბილწი სიტყვა ეთქვა, ხელით შეხებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

**– თუმცა, ქალზე ძალადობა დღეს ძალიან აქტუალურ პრობლემად იქცა.**

– ჩემი და მამაჩემის თაობას ეს არესმის. ბაბუაჩემი ხომ საერთოდ ვერ გაიგებდა, რას ნიშნავს ქალზე ძალადობა – ისინი ემორჩილებოდნენ ქალს. ვერ ვიტან ტერმინს – „გენდერული თანასწორობა” და მას კატეგორიული ბრძოლა გამოვუცხადე. გენდერული ბალანსი კიდევ დასაშვებია. რა თქმა უნდა, პოლიტიკაში ქალებმა თავისი ნიშა უნდა შეავსონ, თავისი სიტყვა უნდა თქვან ხელოვნებაში, სპორტში, მედიცინაში, სამხედრო საქმეში, მეცნიერებაში... ამას მხოლოდ მივესალმები... მაგრამ, როგორ შეიძლება, ქალი და მამაკაცი თანასწორები იყვნენ. ქალი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მამაკაცი. თუ ეს ასე არ არის, კაცების ბრალია. გენდერული თანასწორობა რას ნიშნავს, რომ ჩვენ, კაცები, ქალს ვეუბნებით: – ეი, შენ, ჩამოდი ახლა სიმაღლიდან, აიღე ხელში ნიჩაბი, ჩაჯექი ტანკში... მე არ მცალია, მიხედე საქმეს, არჩინე ოჯახი... – კაცია ამ დროს დამნაშავე; და თუ პოლიტიკაა დამნაშავე, მაშინ, პოლიტიკას სქესი კაცის ჰქონია და დამნაშავეა ქალთან. ბიოლოგიურადაც ვერ მივა კაცი ქალთან. როცა ერთნაირი ასაკის, ერთნაირი წონის და ერთნაირ სოციუმში გაზრდილი ქალი და კაცი შოკურ მდგომარეობაში არიან, ქალი გადარჩება, კაცი კი დაიღუპება. ქალი ძალიან ძლიერია. იმიტომ, რომ ქალში უფალმა ჩადო ახალი სიცოცხლის მოვლინების სასწაული რესურსი. ერთ მშობიარობაზე ათი ბავშვიც გაუჩენია ქალს. კაცი გაუძლებს ამას?! ერთი კილო ლობიო რომ შეჭამოს, გაუსკდება მუცელი. კაცის საამაყო თვისება უნდა იყოს ქალის მსახურება. ეს არ იწონება არც ფულით, არც ქონებით... ვინც მოდაში შემოიღო ქალისა და კაცის გათანასწორება, ძალიან დააშავა. სახელმწიფოც ფასდება იმით, როგორ ეპყრობა ორსულ ქალს. თუ ორსული ქალი სახელმწიფოში პრიორიტეტია, მაშინ სახელმწიფო შემდგარა და, მისი ჩონჩხი – კონსტიტუცია – კარგად მუშაობს, ცივილიზაციის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სამშობლო სხვა რამეა... სამშობლოეთი – ის, რაც მშობლებისგან მოგეცა. ეს უფრო სუბსტანციაა... იყო კაცი – ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. კაცობა მარტო შარვლისა და ჩოხის ფორმასავით ტარება არ არის. კაცი არის შინაარსი. ზოგადადაც, ადამიანი მისი შინაარსია და, ასულთა, ქალთა სამყაროზე, რომელიც ჩემთვის სასწაულია, აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. ის, რაც ჩვენ დაგვემართა, მოდის იქიდან, რომ მამაკაცებმა ქალების მიმართ მოწიწება, პატივისცემა დაკარგეს. რა დაგვემართაო, ვკითხულობთ; ის დაგვემართა, რომ ჩემმა თაობამ ნაწილობრივ და მომავალმა თაობამ – უფრო მეტად აბუჩად აიგდო ჩვენი ტრადიციები და ადათ-წესები. ფორმით ტრადიციას არ ვგულისხმობ, შინაარსია მთავარი. ვიღაც ძალიან მონდომებულია, რომ სულში ჩაგვაფურთხოს ქართველებს.



ქალი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მამაკაცი და, თუ ეს ასე არ არის, კაცის ბრალია

## ერთმა ტაბლეტმა ნარკოტიკმა ჩაანაცვლა ყველაფერი: ლამაზი ქალიც, კარგი სუფრაც, კარგი ცეკვაც და ოჯახიც

**– იქნებ, ჩვენ თვითონ ვაკეთებთ ამას?**

– რა თქმა უნდა, ჩვენ შიგნით ხდება ეს ყველაფერი. ცუდად ვიქცევით და, ცუდად რომ იქცევი, ამით სხვის წისქვილზე ასხამ წყალს. მერე ამ ცუდის აფიშირება ხდება. დაიჯერო, ყველა ვედრიდან სვამს ღვინოს? ვინც ამას აკეთებს, ის არის უგვანო, სუფრის წევრობასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. ჯერ სუფრის მიზანი უნდა გააცნობიერო და დააფასო. ქელეხზე რომ ამბობენ, ტრადიციააო... ტრადიციაა მიცვალებულის პატივისცემა და არა სუფრაზე გაძღომა. მე ქელეხებში არ დავდივარ შეგნებულად. ვინ დაამკვიდრა ეს მახინჯი ფსევდოტრადიცია? იმან, ვინც მუცლის ამოსაყორად მიდის იქ. თუ არ მივედით, ქელეხს აღარავინ გადაიხდის. მიიტანე ეკლესიაში სანოვაგე, თქვი ერთი ჭიქით შესანდობარი და ილოცე გარდაცვლილის სულისთვის – ჩვენი წინაპარი ასე იქცეოდა. აიღეთ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები და ნახავთ, რომ ღრეობა ყველას გაკილული აქვს. ადამიანებმა დავკარგეთ უნარი, რომ თვითონ ვიყოთ შემოქმედნი. ერთმა ტაბლეტმა ნარკოტიკმა ჩაანაცვლა ლამაზი ქალიც, კარგი სუფრაც, ცეკვაც, ოჯახიც... ადვილი სამართავია ასეთი ადამიანი – მისცემ ერთ ტაბლეტს და, მორჩა, მეტი აღარაფერი სჭირდება. ღვინის დალევას ნიჭი უნდა, ბატონო. ენის წვერის არის ღვინო, სტომაქისა არა. სიცოცხლე გამოყენებითი ხელოვნებაა. სიცოცხლე თუ არ გამოიყენე, შენი ნაკვალევი არ დატოვე, რა ჯანდაბად გინდა მაშინ, რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე?! ყველა ქართველმა უნდა უწყოდეს, რომ ის ერთხელ მოევლინა ამ სამყაროს, ერთხელ იცხოვრებს, განუმეორებელია და არც მისი ჩამნაცვლებელია ვინმე. ამას თუ გაისიგრძეგანებ, მერე ეროვნებასაც ფასი აქვს, კაცობასაც და ქალობასაც...

ვინც სიცოცხლის ხელოვნებად ქცევა იცის, ანდამატივით არის, ყველას მის გარშემო უნდა ყოფნა. ორი კრიტიკული წერტილი გვაქვს ქართველებს: რელიგია და ოჯახი. იქ გვირტყამენო, ამბობენ. კი არ გვირტყამენ, ჩვენ ვირტყამთ თავში. თუ სხვა გირტყამს, მოარიდე, აბა, რისთვის გაქვს? ვირი რომ ვირია, თუ ერთხელ ტლაპოში გაიარა, მეორედ იქ ფეხს არ დადგამს და, შენ, ადამიანი, ვირზე უკეთესი როგორ არ უნდა იყო?! სიჯიუტით ადგანან უფსკრულის გზას. ყველაზე ცუდი, რაც დაგვემართა, საკუთარი თავის უპატივცემულობაა. გრიგოლ რობაქიძე იყო დიდი ქართველი, იმიტომ, რომ მას გენეტიკური მეხსიერება ჰქონდა. თავისუფალიც იყო და დამოუკიდებელიც. გრიგოლ რობაქიძის აზროვნებაზეა უარი ნათქვამი. სამი რამე გადაგვარჩენს მხოლოდ: რწმენა, წესრიგი და განათლება. უფლის მიერ შექმნილი წესრიგი დაირღვა და ყირაზე დადგა. კუჭი უფრო მაღლა აღმოჩნდა ტვინზე. სტომაქი გადაახტა გულს და ტვინსაც ზემოთ მოექცა – ეს დაღუპავს ცივილიზაციასაც და, ჩვენც, მათ შორის.

**ნინო წულუკიძე**

# როგორ ათამაშებდა სტალინი მოწინააღმდეგე ქვეყნების სპეცსამსახურებს



სტალინის გენიალობის ერთ-ერთი საბუთი მისი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და გლობალური, მასშტაბური აზროვნების უნარი იყო. ეს ადამიანი ყოველთვის წინ უსწრებდა დროს და თავისი უზარმაზარი, მართლაც უსაზღვრო ენერგიის წყალობით, მიჰყავდა ქვეყანა გიგანტური ნაბიჯებით წინ, სულ ახალ-ახალი გამარჯვებისკენ. მას შემდეგ, რაც ლავრენტი ბერიამ ყველა ძალოვანი უწყება გააერთიანა და ჩაიბარა, ისედაც ბრწყინვალედ მომუშავე საგარეო დაზვერვა, კიდევ უფრო გააქტიურდა და ძვირფასი ინფორმაციების მიწოდება გააორმაგა. იმ მოვლენებიდან უკვე ოცდაათ წელზე მეტი (ლაპარაკია 1970 წელზე) გავიდა და ახლა შეიძლება, ბევრს სხვაგვარად მოეჩვენოს ის დღეები. თუმცა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არა სტალინის, ბერიასა და სხვების ნებისყოფა, ჭკუა და გამძლეობა, შესაძლოა, სამხედრო-პოლიტიკური ძალების განლაგება სხვაგვარი, ჩვენთვის არაკეთილსაიმედო ყოფილიყო იმ ვითარებაში. საქმე ისაა, რომ მაშინდელ ატმოსფეროში დიდი ბრიტანეთი ძალზედ რთულ სადაზვერვო-პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა, რომლის საბოლოო მიზანი გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ერთმანეთთან შეჯახება და აქედან გამომდინარე, საკუთარი მიზნების განხორციელება იყო. საამისოდ, ბრიტანეთის დაზვერვა დეზინფორმაციის ფართო კამპანიას ეწეოდა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე გერმანიის მიმართ. სტალინი მშვენივრად ერკვეოდა ჩვენი არაკეთილმოსურნეების მიერ ჩახლართულ კომბინაციებში და ბერიას კონტრზომების შემუშავებისკენ მოუწოდებდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლავრენტი ბერიას ძალისხმევით მოხერხდა ხუთი ბრიტანელის გადმობირება, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ საბჭოთა დაზვერვაზე – ეგრეთ წოდებული კემბრიჯის ხუთეული. მრავალი წლის შემდეგ ეს ადამიანები ბრიტანეთის სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სტრუქტურაში მუშაობდნენ და განსაკუთრებით ძვირფას ინფორმაციებს გვაწვდიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, საბჭოთა დაზვერვა გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობდა ბრიტანეთისა და გერმანიის მიმართულებით. ასეთივე დატვირთვით გამოირჩეოდა ზემოხსენებული ქვეყნების დაზვერვაც ჩვენ მიმართაც. ხაზგასასმელია ისიც, რომ ლავრენტი ბერიას დაწინაურებამ და მის მიერ უმოკლეს დროში გაწეულმა სამუშაომ, სტალინს ლიტვინოვის გადაყენებისა და მის ადგილზე მოლოტოვის დანიშვნის შესაძლებლობა მისცა. როგორც დიპლომატი, ლიტვინოვი მაღალპროფესიულობით გამოირჩეოდა, თუმცა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და, როგორც სტალინი აღნიშნავდა მასზე, „ორგანიზაციული კონტროლის“ უნარი აკლდა. სწორედ ასეთი მიშვებულობის გამო, საბჭოთა საგარეო საქმეთა უწყება უცხოეთისთვის მომუშავე აგენტურული ქსელით გადაიტვირთა და, დიდი ბელადის თქმით, ამ ქსელის დაშლა ლავრენტი ბერიას მოუხდა. საბჭოთა დაზვერვამ ბრიტანეთის დაზვერვაში მომუშავე აგენტისგან მიიღო ზესაიდუმლო ღონისძიებათა გეგმის ასლი, სადაც სხვადასხვა, თანამიმდევრულ პროვოკაციულ-დივერსიული მოქმედებების შედეგად, გერმანია-საბჭოთა კავშირი უნდა დატაკებოდა ერთმანეთს. ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები კი, ყოველნაირად შეუწყობდნენ ხელს ამ ომის, რაც შეიძლება, დიდი ხნით გაჭიანურებას.

– ძალიან ვერაგი, ჩახლართული და მათთვის მომგებიანი გეგმაა, – უთქვამს სტალინს ბერიასთვის, როდესაც მან ზესაიდუმლო გეგმა წარუდგინა დიდ ბელადს.

– დროა, ლიტვინოვის ლობირება მოვახდინოთ და ჩვენს დიპლომატებს მკაცრი, „რკინის სახის“ გავლების ტექნოლოგია შევასწავლოთ, – განავითარა თავისი აზრი სტალინმა და დასძინა:

– ვფიქრობ, დეკანოზოვი გერმანიაში ელჩობასთან ერთად, სახალხო კომისრის მოადგილედ უნდა დაინიშნოს, ხოლო ლიტვინოვის მაგიერ, მოლოტოვი უნდა დავსვათ.

როგორც მოგვიანებით ამ მომენტს პოსკრებიშევი იხსენებდა, სტალინმა პაუზა გააკეთა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა, ჩიბუხი გააბოლა და დააბოლოვა: „ლიტვინოვს ხელი არ ახლოთ, ხოლო ყველა დანარჩენი, ვისაც თუნდაც მიზერული ბრალი მიუძღვის ჩვენი საგარეო პოლიტიკის ჩაფლავების მცდელობაში, გამოავლინეთ და უმკაცრესად დასაჯეთ“. ბერიამ, როგორც ყოველთვის, ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და სულ რაღაც ორ დღეში, რვაასამდე საბჭოთა დიპლომატი და საელჩოს თანამშრომელი დააპატიმრეს. მათ მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში იბარებდნენ და შენობაშივე აპატიმრებდნენ, ბრალს იქვე უყენებდნენ და პირდაპირ „ლუბიანკაზე“ აგზავნიდნენ. თავად ლიტვინოვი მაისის დასაწყისში დაიბარა სტალინმა და შეხვედრაზე, რომელსაც ბერია და მოლოტოვიც ესწრებოდნენ, სასტიკად შეახურა:

– მე არასოდეს ვღალატობ პრინციპებს და მტკიცედ ვდგავარ ჩემს პოზიციებზე, თუმცა შენთან მიმართებაში, ვატყობ, სისუსტე შემპარვია, – აქ სტალინმა გააბოლა, დინჯად გაიარ-გამოიარა და განაგრძო, – მე კარგად მახსოვს შენი თავდადება, თუ გნებავთ, დიპლომატიური სიმამაცეც კი წარსულში, რამაც საკმაოდ დიდი გამარჯვებები მოგვიტანა. ალბათ, ამიტომ არ გაპატიმრებ, თუმცა კი ამას იმსახურებ – ლიტვინოვი ზეწარივით გაფითრებული, გაშეშებული იჯდა, ერთ წერტილში გაშტერებოდა თვალი და სახეზე ოფლის ნაკადულები ჩამოსდიოდა.

– გაიგე, რომ რაინდობისა და კეთილშობილების ხანა წარსულს ჩაბარდა და თუ სიმართლე გინდა, არც კი ყოფილა ოდესმე. რომელ რაინდობაზეა საუბარი, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მტრები ჩასაფრებულან და იმას ცდილობენ, როგორ ამოგვხადონ სული. შენი უწყება უცხოეთის საჯაშუშო ქსელების ფილიალადაა

**ბერიამ, როგორც ყოველთვის, ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და, სულ რაღაც ორ დღეში, რვაასამდე საბჭოთა დიპლომატი და საელჩოს თანამშრომელი დააპატიმრეს**

ქცეული და ნაცვლად იმისა, სწორი კადრები შეარჩიო, ბურჟუებთან გოლფის თამაშით ერთობი. კი, კარგია, დიპლომატიური ეტიკეტი და ისიც მშვენივრად მახსოვს, რა მშვენიერი მანევრით მოიშორე ტროცკი ჩემს სასარგებლოდ, მაგრამ ძველი დამსახურებისთვის ახალი დანაშაულის პატიება, არასწორად მიმაჩნია. თუმცა, ერთადერთ შემთხვევას ვუშვებ, გაპატიებ, არ გაპატიმრებ და მხოლოდ გათავისუფლებ...

ლიტვინოვმა ტროცკისტული ოპოზიციის დამხობაში უდიდესი როლი შეასრულა. სწორედ მან გაახმოვანა დიდი ბელადის სიმართლე საერთაშორისო ასპარეზზე, რაც სტალინმაც არ დაუვიწყა და ამიტომაც დაინდო. დათრგუნულმა ლიტვინოვმა კრემლი დატოვა და სახლში გაემგზავრა. ეს საუბარი 3 მაისს შედგა, 4-ში კი ლიტვინოვი, მოლოტოვს, ბერიას, მალენკოვსა და დეკანოზოვს ეახლა, რათა თანამშრომლებისთვის უწყების ახალი ხელმძღვანელი წარედგინა და მისთვის საქმეები გადაებარებინა. ლიტვინოვის გათავისუფლებას უარყოფითად შეხვდნენ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, ჰიტლერი კი აღტაცებული იყო და საგარეო საქმეთა მინისტრს – რიბენტროპს დიპლომატიური ნიადაგის ზონდაჟი დაავალა საბჭოთა საგარეო უწყების ახალ ხელმძღვანელობასთან. როგორც მოგვიანებით სადაზვერვო ცნობებიდან შევიტყვე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი შეკრიბა და შეშფოთებით ილაპარაკა ამ ცვლილების შესახებ: „სტალინი, – ამბობდა ბრიტანელი პრემიერი, – აშკარად ჰიტლერთან დაახლოებას ცდილობს. თუ ეს ასეა, მაშინ მთელი ჩვენი გეგმები (იგულისხმება ზემოხსენებული სადაზვერვო-დივერსიული გეგმა) წყალში გვეყრება. თუ ისინი „დაძმობილდნენ“, მაშინ მორიგდებიან კიდეც და არაა გამორიცხული, ერთობლივი ძალებითაც შეგვავიწროვონ“.

ბრიტანელების შეშფოთება, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა, რადგან სტალინი ბრწყინვალედ გრძნობდა, საიდან უბერავდა ქარი. უბრალოდ, ის ამ სტიქიის უკან შეტრიალებას ცდილობდა. ჰიტლერის ბრძანების საფუძველზე, რიბენტროპმა გრაფ შულენბერგს (გერმანიის ელჩი მოსკოვში) დაავალა მოლოტოვთან შეხვედრა და სტალინის აზრის გაგება გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების შესახებ. აშკარა იყო, რომ ჰიტლერი რაღაცას შეეშფოთებინა და სიტუაციაში გარკვევას ცდილობდა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა დაზვერვის მიერ ოსტატურად შედგენილი დეზინფორმაცია, რომელშიც ბრიტანული წყაროებიც იყვნენ ჩართული, ჰიტლერს საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის საიდუმლო კავშირის დამყარებაზე აუწყებდნენ, რაც გერმანელ დიქტატორს არანაირად არ აწყობდა.

– სტალინი ეშმაკურ მანევრს მიმართავს, – ამბობდა ფიურერი ერთ-ერთ თათბირზე, – პრობრიტანელი ლიტვინოვის გათავისუფლებით, მას ჩვენი ყურადღების მოდუნება სურს და ბრიტანელებთან ერთად ჩვენთან საომრად ემზადება.

სინამდვილეში კი, სტალინს დროის მოგება უნდოდა და ასეთი „უტკა“ იმიტომ შეუცურა ფაშისტებს, რომ ბრიტანეთის ვერაგობაში დარწმუნებულიყვნენ და ჩვენზე თავდასხმაზე აღარ ეფიქრათ. ანუ, საბჭოთა დაზვერვამ იგივე ოპერაცია ჩაატარა, რასაც ბრიტანელები ცდილობდნენ, ოღონდ, მათგან განსხვავებით, წარმატებულად და რაც მთავარია, გერმანია წამოეგო ანკესზე.

ჰიტლერი, რომელიც ჩვენი დაზვერვის მიერ ჩატარებული რამდენიმე ოპერაციის შემდეგ, ჩვენს სამხედრო სიძლიერეში დარწმუნდა (ლაპარაკია ჩვენი ჯარების სიძლიერის გადაჭარბებულ პოტენციალზე, რომელიც სხვადასხვა საშუალებით შეუცურეს გერმანულ დაზვერვას), შეეცადა, ჩვენთან „დამეგობრებას“ და დიპლომატიური ურთიერთობები გააძლიერა. მოგვიანებით, ჩვენმა ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, ჰიტლერს ომი 4 წლით, ან თუნდაც 2 წლით ადრე, ესე იგი 1937 ან 1939 წელს რომ დაეწყო, შედარებით წარმატებულად წარმართავდაო. არადა, ის, რაც ყველაზე მეტად გვაწყობდა, ანუ დროის მოგება, შემოგვთავაზა თავად ჰიტლერმა. 20 მაისს, შულენბერგი შეხვდა მოლოტოვს და მის ერთ-ერთ მოადგილეს, პოტიომკინს. ამ შეხვედრაზე გერმანიის ელჩმა ზოგადად მეგობრობაზე ისაუბრა და მხოლოდ შეხვედრის დასასრულს ჩააგდო სიტყვა მეგობრული ხელშეკრულების დადების შესახებ. გერმანელი დიპლომატის გაცილებისთანავე, მოლოტოვი სტალინს ეახლა და მოახსენა: კობა, მგონი, ისინი წამოეგნენ, გრაფი ჩვენ შორის მეგობრობაზე ჭიკჭიკებდა (ასეთი სტილით ხშირად საუბრობდნენ ხოლმე სტალინი და მოლოტოვი ერთმანეთში) და აშკარაა, რომ იგი ამას საკუთ-

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# ეძიე კაცი

***მამაკაცები ამბობენ, რომ ჭეშმარიტი ქალი აღარ არსებობს ბუნებაში. ქალები კი, გათხოვილებიც, განათხოვრებიც და გაუთხოვრებიც, მდიდრებიც და ღარიბებიც, ლამაზებიც და ულამაზოებიც, ინტელექტუალებიც და არაინტელექტუალებიც, სიცოცხლის ბოლომდე არიან ნამდვილი მამაკაცის ძიებაში, ისეთის, რომლის გვერდითაც ჭეშმარიტ ქალად იგრძნობენ თავს, მაგრამ, ისე მიდიან ცხოვრების ფინიშამდე, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ასეთებს ვერ პოულობენ და, მარტოდ დარჩენილები, ვეღარ ახდენენ იმ ქალურობის რეალიზებას, რითაც ისინი უხვად დააჯილდოვა ღმერთმა; და რადგან ეს თვითრეალიზაცია ვერ ხერხდება, ამიტომაც, თანდათან უხეშდებიან, კარგავენ რომანტიკულობას, სინაზეს, სინატიფეს და, შედეგად, ხდებიან პრაგმატულები, ანგარიშიანები და, ხშირად, ანგარებიანიც...***

***კაცები კი ისევ ჭეშმარიტ ქალს ეძებენ და არ იციან (ან, არ აწყობთ, იცოდნენ), რომ ნებისმიერი ჩვეულებრივი ქალის ოცნების ქალად ქცევა მხოლოდ მათზეა დამოკიდებული – მთავარია, მოინდომონ.***

***„ეძიე ქალი!“ – თქვეს იმედდაკარგულმა ფრანგებმა. არანაკლებ იმედდაკარგული ქართველი (და, ალბათ, არა მარტო ქართველი) ქალები ხმამაღლა აცხადებენ: „ეძიე კაცი!..“***

* * *

მიამ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, თან, საშინლად უბრუოდა თავი. ჯერ მაგარი ყავა მოიხარშა და დალია, შემდეგ სამი ღერი სიგარეტი ზედიზედ მოწია, მაგრამ გუნება ვერ გამოიკეთა. ბავშვები დედამისთან ჰყავდა გაგზავნილი და, გადაწყვიტა, ამ ერთხელ მაინც, ეს შაბათ-კვირა მთლიანად საკუთარი თავისთვის დაეთმო, მაგრამ, ისეთ მოთენთილობას გრძნობდა, განძრევა ეზარებოდა. ცივი ხშაპი რომ მიიღო, მხოლოდ ამის შემდეგ გაუარა თავის ტკივილმა და ოდნავ გამოუსწორდა ხასიათი.



დღეს დაქალები ქეთასთან იკრიბებოდნენ და ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა, მაგრამ, მანამდე დედასთან უნდა გაევლო და ბავშვებისთვის დაეხედა.

თმა ფენით გაიშრო, სპორტულად ჩაიცვა და მანქანის გასაღები აიღო. ის იყო, უნდა გასულიყო, რომ სახლის ტელეფონზე ზარი გაისმა. უკმაყოფილო სახით აიღო ყურმილი და მაშინვე ინანა.

– მია, მე ვარ, – გაისმა ყურმილში.

ბესო ურეკავდა, პირველი ქმარი. მია ხმით მიხვდა, რომ, როგორც ყოველთვის, ბესო ახლაც კაიფში იყო.

– რა გინდა? – ჰკითხა უხეშად.

– თორმეტი ლარი მჭირდება. გეხვეწები, მასესხე და ზეგ დილას მოგიტან, – ამოიკნავლა ბესომ.

მია ისე გაბრაზდა, მთელ სხეულზე კანი აეწვა.

– არ მოგცემ! – უყვირა მთელი ხმით, – რამდენჯერ გითხარი, აღარ დამირეკო-მეთქი? საერთოდ დაივიწყე, რომ ოდესღაც მიცნობდი, გაიგე? როგორ არ გრცხვენია, ახალგაზრდა კაცი ასე რომ გამათხოვრდი?

– მია, გემუდარები, რა, უარი არ მითხრა, შენს იქით გზა არა მაქვს... – ყოფილი ქმრის გასაცოდავებულმა ხმამ ქალი უფრო გააღიზიანა და უცბად რაღაცნაირი ზიზღნარევი სიბრალული იგრძნო მის მიმართ. პასუხი რომ ვეღარ გასცა, ყურმილი გაუთიშა და გაცოფებულმა მაშინვე ყოფილ მამამთილს დაურეკა.

– ბატონო გურამ, მია ვარ, გამარჯობა, – ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

– გისმენ, – ცივად უპასუხა კაცმა.

– ბატონო გურამ, ძალიან გთხოვთ, მიხედეთ თქვენს შვილს. ან კლინიკაში დააწვინეთ, ან თვითონ აძლიეთ ნარკოტიკის ფული, მე კი თავი დამანებოს, მეყო, რაც გამიმწარა ახალგაზრდობა!.. – მიას ძალიან არ უნდოდა, რომ სისუსტე გამოეჩინა, მაგრამ, თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი აუვარდა.

– მერე, ვისი ბრალია, ჩემი შვილი ამ დღეში რომ ჩავარდა? – გესლიანი ხმით ჰკითხა ყოფილმა მამამთილმა.

მია ისე გააგიჟა ამ სიტყვებმა, ლამის ტანსაცმლიდან ამოხტა:

– მე მაბრალებთ რამეს?! თქვენ და თქვენს ცოლს რომ შვილებისთვის არასდროს გეცალათ და ორივე რომ განარკომანდა, ჩემი ბრალია?! არ გრცხვენიათ, ამას რომ კადრულობთ?

– შენ შენს მორალს მიხედე, შე ძუკნა და აქ დარეკვა აღარ გაბედო, თორემ, ბავშვს ჩვენ წავიყვანთ, შენ კი დედობის უფლებას ჩამოგართმევს სასამართლო! – ხრინწიანი ხმით დაემუქრა კაცი.

– რომელ ბავშვს, რვა წელია, რომ არ გინახავთ და არ მოგიკითხავთ? – იკივლა მიამ. ის უკვე ველარ აკონტროლებდა თავს და სიბრაზისა და შეურაცხყოფისგან მთლიანად კანკალებდა, – აი, რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ბატონო მორალისტო, ეს სულაც არ არის თქვენი საქმე და, თუ გზასაცდენილი ქალების გამოსწორება დაისახეთ მიზნად, გირჩევნიათ, თქვენი ძვირფასი მეუღლითა და ქალიშვილით დაიწყოთ, საერთო საყვარლები რომ ჰყავთ! – მიახალა მიამ.

– მე შენ მოგ... – შეაგინა ყოფილმა მამამთილმა, მაგრამ, მიამ ყურმილი დაუკიდა და ტელეფონი შტეფსელიდან გამორთო.

ფეხები ისე უკანკალებდა, სამზარეულომდე ძლივს მივიდა. კარადიდან კორვალოლი გამოიღო, ჭიქაში ჩაიწვეთა და დალია, მერე ერთი ჭიქა ცივი წყალი დააყოლა და სახეზეც შეისხა. ცახცახმა ოდნავ რომ გაუარა, ბინის გასაღები ამოიღო ჯიბიდან და გასასვლელისკენ ბარბაცით წავიდა. კარი ძლივს გააღო და, გადააბიჯა თუ არა ზღურბლს, იგრძნო, რომ ფეხი რაღაც რბილ მასაში ჩადგა. დაიხედა და, ისედაც გაცოფებულმა, დაინახა, რომ ძაღლის თუ კატის განავლის საკმაოდ მოზრდილ გროვაში ედგა ფეხი. ეს უკვე ბოლო წვეთი იყო. ჭკუიდან გადასულმა, მთელი ძალით გამოიჯახუნა კარი და სირბილით აუყვა კიბეებს; ერთი სართულით ზემოთ, თავისი ბინის თავზე, მეზობლის კარს მიადგა და მთელი ძალით დააბრახუნა. არავინ რომ არ გამოვიდა, ზარის ღილაკს მიაჭირა თითი და მანამდე არ აუშვა, სანამ კარი არ გაიღო. ზღურბლთან ბინის პატრონი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული შინაბერა, ქალბატონი ლამარა იდგა წარბაწეული და მიას დამცინავი მზერით შესცქეროდა, მის ფეხებთან კი უამრავი ძაღლი და კატა დაბორიალობდა, რომლებიც ქალს ფეხებზე ეხახუნებოდნენ და სხვადასხვა ხმაზე წკავკნავებდნენ და კნაოდნენ.

– რა არის ეს? – გაიღო თუ არა კარი, მაშინვე იყვირა მიამ და მეზობელს დასვრილი ფეხსაცმელი მიუშვირა.

– განავალი, – ოლიმპიური სიმშვიდით მიუგო შინაბერამ.

მია დააბნია მისმა მშვიდმა ცინიზმმა და რამდენიმე წამს ხმა ვერ ამოიღო.

– ამის დასადგენად მოხვედით? – დასცინა ლამარამ და მია ხელახლა აფეთქდა:

– მე იმის დასადგენად მოვედი, ქალბატონო ლამარა, რომ, გავარკვიო, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს! ან მოუარეთ ამ თქვენს ნაზიჭვარ ცხოველებს, ან წაიყვანეთ სადმე და მოასვენეთ მეზობლები! – იყვირა მიამ, – თქვენ გამო რატომ უნდა ვიშალო ნერვები ყოველდღე?

– შენ თუ ნერვები არ გივარგა, რა ჩემი ბრალია? თანაც, დამიმტკიცე, რომ ეგ განავალი ჩემი ცხოველებისაა და მერე გამ-

იმართე ისტერიკა, – ისევ მშვიდად უპასუხა ლამარამ.

– როგორ დაგიმტკიცოთ, ანალიზი გავუკეთო? – გადაირია მია, – ყველა სართული და ეზო თქვენი მობინადრეების ფეკალიებით რომ არის მოფენილი, მთელმა კორპუსმა იცის და თქვენ ახლა გესმით პირველად?!

– ჩემო კარგო, ყველა ისე ცხოვრობს, როგორც თვითონ უნდა და, არავის აქვს უფლება, სხვის ცხოვრებაში ჩაერიოს. აი, მაგალითად, მე ხომ არასდროს მოვსულვარ შენთან და არ მითქვამს, ორ ქმარს რომ გაეყარე და ამის შემდეგ ნაირ-ნაირ კაცებს იცვლი, კულტურულად რომ ვთქვათ, ამას ამორალობა ჰქვია-მეთქი?!

მია ყურებს არ უჯერებდა. ყველანაირ პასუხს მოელოდა, გარდა იმისა, რაც მოისმინა. ისევ უმტყუნა ნერვებმა: ჯერ დემონსტრაციულად შეაწმინდა დასვრილი ფეხსაცმელი ლამარას კართან დაგებულ ტილოს, მერე თვალებში შეხედა და ძალიან გესლიანი ხმით უთხრა:

– ჯერ ერთი, სოფლის პატიოსნებავ, არანაირ კაცებს არ ვიცვლი და, ასეც რომ იყოს, ამით თქვენ არ შეგაწუხებდით; მეორეც, იმიტომ არ მოსულხართ და არ წაგიკითხავთ მორალი, რომ გშურთ...

– მაინც, ვისი მშურს? – წამოენთო ქალბატონი ლამარა.

– ყველა ქალის, ვისაც კი ქმარი ან საყვარელი ჰყოლია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი – ჩემი, – ნიშნის მოგებით უპასუხა მიამ.

– შენი რა უნდა მშურდეს? შენნაირი ცხოვრება რომ მდომოდა, შენზე უკეთესი ქმრები და შენზე მეტი საყვარელი მეყოლებოდა, მაგრამ, მე სხვანაირად გამზარდეს მშობლებმა. შენ რომ გაქვს, მასეთ ცხოვრებას ჩემი მარტოობა მირჩევნია. დიახაც, მეამაყება, რომ ჯერ კაცს არ უკოცნია ჩემთვის და უმწიკვლო მივდივარ უფალთან! – ლამარამ ამაყად ასწია თავი და ჯიქურ შეხედა მიას, მაგრამ მიამ მაშინვე დაიჭირა სინანულის ნაპერწკალი, რომელიც ხანდაზმული შინაბერას თვალებიდან წამიერად გამოკრთა და შეუბრალებლად მიახალა:

– მაშ, მტყუანს, რაც არ გირჩევნიათ! გეამაყებათ კი არა, მთელ დარჩენილ სიცოცხლეს უსიტყვოდ დათმობდით კაცის ერთი მოფერების, თუნდაც თავზე ხელის გადასმის სანაცვლოდ, მაგრამ, ხვიშტი, ვერ მოგართვეს! ახალგაზრდობისას არ მოგკარებია თუნდაც ყველაზე არარაობა მამაკაცი და, ახლა ვის რა ეშმაკად უნდიხარ?! – უკვე „შენობით" მიმართა მიამ, – გირჩევნია კი არა, ნანობ და, თანაც როგორ, მაგრამ, რაღა დროს! თუმცა, ისიც საკითხავია, მართალს ამბობ თუ არა. როცა ქალი ყველას თავის უმწიკვლობას უმტკიცებს, ის უფრო საფიქრებელია, რომ ამით თავისი საეჭვო წარსულის დამალვა უნდა!

– ჩემთვის ჯერ არც ერთ კაცს არ უკოცნია!.. – ნიკაპი აუკანკალდა შინაბერას.

მიას უცბად შეეცოდა ეს უბედური ქალი, მაგრამ, მაინც არ დაინდო:

– ჰოდა, ელოდე, აწი რომ გაკოცებს! რომც გამოჩნდეს ასეთი იდიოტი, კატებისა და ძაღლების განავლის სუნით აქოთებულს ვინ მოგეკარება?!

გაფითრებულმა ლამარამ ნელა მიხურა კარი, მია კი სირბილით დაეშვა კიბეზე, ისევ თავის ბინაში შევარდა, ფეხსაცმელი გამოიცვალა, დასვრილი კი პარკში ჩადო და აივანზე გაიტანა, – რომ დავბრუნდები, მაშინ გავრეცხავ, – ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე ერთი დიდი პარკი აიღო, რომ კართან დაგებული დასვრილი ტილო ჩაედო და ბუნკერში გადაედო.

საქმეს რომ მიუჯდა, ისე ძალიან აღარ კანკალებდა, მაგრამ, ლამარასთან ჩხუბმა გაცილებით უფრო დიდი უსიამოვნების შეგრძნება დაუტოვა, ვიდრე ყოფილ ქმართან და მამამთილთან ლაპარაკმა. მიხვდა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან ცუდად მოიქცა, რომ არ ეკადრებოდა, ისე, მაგრამ, უკვე ვეღარაფერს შეცვლიდა. საათს დახედა და გაუკვირდა – საკმაოდ დიდი დრო იყო გასული. საათ-ნახევარში ქეთასთან უნდა მისულიყო, მანამდე კი ბავშვების ნახვა უნდა მოესწრო. სუპერმარკეტში ხილისა და ნაყინის ჩათვლით ყველაფერი იყიდა და მანქანა თავისი მშობლების სადარბაზოს მიაყენა. ბინაში რომ შევიდა, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ დედამ საყვედურები დააყარა:

– დახოცეს ერთმანეთი და ახლა ორივე დასჯილი მყავს. პატარა მაინც, საშინელი ეგოისტი და თავნებაა, ძმას არაფერს უთმობს, ეს კი იმის ბრალია, რომ შვილებისთვის არასდროს გცალია, შენი პირადი ცხოვრებით ისე ხარ დაკავებული...

– დედა! – იყვირა მიამ, – შენ მაინც დამანებე თავი! რა გინდა, გული გამიხეთქო? რას ვაკლებ ჩემს შვილებს? ძალიან კარგად იცი, რომ მაგათი მამები ერთი თეთრითაც არ მეხმარებიან, ამიტომ, წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ არც მაგათ და არც თქვენ არაფერი მოგაკლდეთ, მეტი რა ვქნა?

– რა ქნა და, ყოველ შაბათ-კვირას ბებია-ბაბუას კი არ უნდა უგზავნო შვილები, მათთან უნდა იყო, სადმე წაიყვანო, ესაუბრო...

– ამ ორ დღეს ნუ დამაყვედრი, ძალიან გთხოვ. თანაც, თუ ასე ძალიან წუხდებით, აღარ მოგიყვან ხოლმე და დაგასვენებთ ჩვენგან, – ეწყინა მიას და წამოდგა, – მაგრამ, რადგან ახლა უკვე აქ არიან, ამ ერთხელაც დავტოვებ და ამ საღამოს ან ხვალ დილით წავიყვან.

– მე საწყენად არ მითქვამს, – შეწუხდა დედა.

– მაგრამ, მაინც ასე გამოგივიდა, – არ დამალა მიამ.

– კარგი, მაპატიე. ამაღამ არ წაიყვანო ბავშვები, თორემ, მამაშენი მომკლავს, იცოდე.

– მამა სად არის?

– სიგარეტის საყიდლად გავიდა მაღაზიაში, მალე მოვა.

– ვერ დაველოდები, ძალიან მეჩქარება. ხვალ ვნახავ. ბავშვები სად არიან?

– დასჯილები არიან და არ დაენახვო, თორემ, ყველაფერი წყალში ჩამეყრება.

– კარგი, ბავშვებსაც ხვალ ვნახავ, – მია კარისკენ წავიდა.

– არ მაპატიე? – მუდარით სავსე თვალებით შეხედა დედამ.

– გაპატიე, ნუ ნერვიულობ, – გაუღიმა მიამ, ლოყაზე აკოცა და გავიდა.

***

დაქალების „სხოდკაზე" ყოველთვის სალომე აგვიანებდა ხოლმე, ამჯერად კი მიამ დააგვიანა, თანაც, თითქმის ერთი საათით.

კარგა ხანს რეკა ზარი, სანამ კარს გაუღებდნენ.

„უკვე როლებში არიან შეჭრილები და ზარის ხმა აღარ ესმით", – მიხვდა მია და ახლა მაგრად დააკაკუნა. კარი თემომ გაუღო, ქეთას ქმარმა და მაშინვე შენიშვნა მისცა:

– რა იყო, გოგო, რა ბრახუნი ატეხე, მოსაკლავად მოგდევენ?

– დროზე გაგეღო და არ ავტეხდი, – იქით შეუტია მასპინძელს, – მოვკვდი სირბილით, მაგრამ, მაინც დამაგვიანდა და რა გაუძლებს ახლა ამათ საყვედურებს. რაღაც სერიოზული მიზეზი უნდა მოვიგონო, თორემ, შემჭამენ.

– დროზე გამოსულიყავი სახლიდან და აღარც სირბილი მოგიწევდა და აღარც ტყუილი მიზეზის გამოგონება, – თემოს უყვარდა მიას გაბრაზება, ძალიან ართობდა მისი აჟიტირებული და ემოციებით დატვირთული პასუხები.

– შენღა მაკლიხარ! – დაუტატანა მიამ მეგობრის ქმარს და იდაყვით გასწია გვერდზე, – გამატარე და ნერვებს ნუ მიშლი, ისედაც ნაჩხუბარი და ნერვებმოთხრილი მოვედი!

– ვის ეჩხუბე, შენს მორიგ ბებერ თაყვანისმცემელს თუ ვინმე შინაბერა რესპონდენტს?

– თემიკო, ნუ მიჩხიკინებ, თორემ, მთელ ბრაზს შენზე გადმოვანთხევ და მერე აღარ გეწყინოს.

– ესე იგი, გამოვიცანი, – სიცილით განაგრძო თემომ.

– რა უნდა გელაპარაკო, შენც ისეთივე დეგენერატი ხარ, როგორც შენი მოდგმის ყველა დანარჩენი წარმომადგენელი, რომლებსაც აბსოლუტურად შეუფერებლად მაღალფარდოვანი სახელი – მამაკაცი ჰქვიათ, – დაგესლა მასპინძელი და ქაქანით შევარდა ოთახში, სადაც მის გარდა თითქმის ყველას მოეყარა თავი.

– ახლა არაფერი მკითხოთ და არაფერი მითხრათ, თორემ, ისე ვარ გულგასიებული, ბუშტივით გავსკდები, – თქვა ქაქანით, თხელი პიჯაკი გაიხადა და მისთვის განკუთვნილ ცარიელ სავარძელში ჩაეხეთქა, მერე ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და მაშინვე გააბოლა.

– რა მოგივიდა, ცოფიანი ძაღლი გამოგეკიდა? ასეთი შეშლილი სახით ჯერ არ მინახავხარ, ხომ მშვიდობაა? – ჰკითხა ქეთამ.

– ისე, რა. გეხვეწებით, ჯერ სული მომათქმევინეთ, მერე მოგიყვებით, რატომ დამაგვიანდა და რატომ ვარ ასე გაგიჟებული, მერე კი, თუ არ დაგეზარებათ, ყველამ ცალ-ცალკე გააკეთეთ კომენტა-



რი და, თუ გინდათ, დამტუქსეთ კიდეც, თუკი ჩათვლით, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. თანახმა ხართ?

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და თავი დაუქნიეს.

ისინი ათნი იყვნენ: სამი – გათხოვილი, რომლებსაც ქმრები ჯერ კიდევ სახლში ჰყავდათ; ორი – გაუთხოვარი, ანუ შინაბერა, ოთხი – ქმართან გაყრილი, რომლებიც მარტო, ყოფილი ქმრების გარეშე ზრდიდნენ შვილებს და, ერთიც ქვრივი – კატო, რომელიც ძალიან პატარა გათხოვდა სიყვარულით, ძალიან ადრე დაქვრივდა და, თითქმის ხუთი წელი ხდებოდა, ვერც შავები გაახდევინეს და ვერც კაცისკენ გაახედეს თუნდაც ფლირტის დონეზე.

დაქვრივების შემდეგ კატოს ერთი ღამეც აღარ გაუთევია მშობლების სახლში, დედამთილთან დარჩა საცხოვრებლად და მასთან ერთად ზრდიდა ტყუპ ქალ-ვაჟს. ქმრის სიკვდილამდე მიას შემდეგ ყველაზე ხალისიანი და ყველაზე მხიარული კატო, დაქვრივების შემდეგ თითქოს ერთ დღეში მოხუცდა. ცხადია, გარეგნობითაც შეიცვალა, მაგრამ, დედას და დედამთილს ყველაზე მეტად ის აღელვებდათ, რომ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ, საერთოდ დაკარგა ცხოვრების ინტერესი. ათი უბედნიერესი წელი გაატარა ქმართან ერთად და, მისი სიკვდილის შემდეგ, რაღაც პერიოდის განმავლობაში, შვილებიც კი აღარ ახსენდებოდა – იწვა ქმრის საწოლზე თვალებგაშტერებული და არავის დანახვა და არაფრის გაგონება არ უნდოდა.

თავიდან ხუთნი მეგობრობდნენ – ქეთა, მირანდა და მია თანაკლასელები იყვნენ; ნათია და რუსა – მეზობლები; სტუდენტობის დროს კი თითოსგან თითო დაქალი შემოუერთდა „სასტავს“ და საბოლოოდ ისეთი მტკიცე და მყარი სამეგობრო შეიკრა, რომ ერთი სერიოზული უსიამოვნებაც კი არასდროს მოსვლიათ ერთმანეთში.

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, გათხოვილები – ქეთა, მირანდა და ნათია – უფრო პრაგმატულები იყვნენ; გაუთხოვრები – რუსა და სოფო – ოპტიმისტები და მეოცნებეები; განათხოვრები – მია, სალომე, ელისო და ლიკა – პესიმისტები და, ამავდროულად, ცინიკოსები, ოღონდ, მათი ცინიზმი ძირითადად მამაკაცების, არცთუ იშვიათად კი – ჩვენი დედაქალაქის მეტ-ნაკლებად ყველა ფენის საზოგადოებისადმი იყო მიმართული და ხშირად ცუდად შენიღბულ აგრესიაში გადადიოდა; კატო კი წარსული ცხოვრების რომანტიკაში იყო ჩარჩენილი, ოღონდ, თანდათან, სულ უფრო მეტად ამჟღავნებდა იმედგაცრუებას ერთ დროს ყველაზე ახლობელი ადამიანების მიმართ.

მიუხედავად აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათებისა და ცხოვრებაზე შეხედულებისა, ერთად გატარებულ წლებთან ერთად, მათ აერთიანებდა ორი რამ: თითქმის ერთი და იგივე სოციალური ფენა და ლიტერატურული გემოვნება. ამიტომ, ყოველი თვის პირველ შაბათს დათქმული შეხვედრები, რომლებსაც რიგრიგობით თითოეული მათგანის სახლში აწყობდნენ (ამ შეხვედრებს „სხოდკები“ დაარქვეს), იწყებოდა წამოჭრილ თემაზე საუბრით, გადადიოდა, ზოგადად, უვნებელ ჭორაობაში, გრძელდებოდა საკმაოდ ფიცხი კამათით და მთავრდებოდა ცოტათი ირონიული, ცოტათი სევდიანი, მაგრამ, საკმაოდ კრიტიკული და მძაფრი, ხშირად კი ფილოსოფიური კომენტარებით. სხვათა შორის, ქეთასა და მირანდას ქმრები, რომლებიც ერთმანეთთან მეგობრობდნენ და შეხუმრებულები იყვნენ გოგოებთან, ხშირად ესწრებოდნენ ხოლმე ამ „სხოდკებს“ (რა თქმა უნდა, ქალების ნებართვით) და ყოველთვის აქტიურად ებმებოდნენ მათ კამათში. ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა „სხოდკები“ ქეთასთან ან მირანდასთან იკრიბებოდა, რადგან, ისინი ერთ სადარბაზოში ცხოვრობდნენ.

– ამჯერად რა ჩაიდინე? – შემწყნარებლური ღიმილით ჰკითხა ქეთამ, – იმედია, ძნელად გამოსასწორებელი არ გაგიხდება.

– არც ვაპირებ! – წამოიძახა გამწარებით მიამ, – მეტი საქმე არა მაქვს, იმ ბებერ იდიოტკას ბოდიშები ვუხადო! – მერე გოგოებს გადახედა და შეწუხებულმა იკითხა: – კატო სად არის?

– დღეს ვერ მოვა, თიკუნა ჰყავს გაციებული, – აუხსნა ქეთამ.

– თვითონ როგორ არის, ისევ ხომ არ...

– არა, ნუ გეშინია, თვითონ არა უშავს, ნელ-ნელა ცოცხლდება, – სევდიანად გაიღიმა ქეთამ.

– აღარ არის დრო? უკვე ხუთი წელი გავიდა. ყველაფერი მესმის, მაგრამ, ასეც არ შეიძლება. სხვა თუ არაფერი, ბავშვები არიან ცოდოები! – აღშფოთდა მია.

– კარგი, გვეყოფა კატოზე ლაპარაკი, რას ამბობდი, ვინ იდიოტკას არ მოუხდი ბოდიშს? – დაინტერესდა ელისო.

– ვის და, მეზობელს, ჩემ ზემოთ რომ ცხოვრობს. ერთი ბებერი სტარაია დევაა, უკაცობით გაბოროტებული და, სხვა საქმე რომ არ აქვს, შვიდ კატას და ოთხ ძაღლს უვლის. უვლის კი არა, უბრალოდ, თავის სახლში აცხოვრებს, თორემ, რომ უვლიდეს, რა გვიჭირს მეზობლებს. მთელი სადარბაზო რომ ყარს, ამაზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ, ეს ამდენი ცხოველი თავის ნებაზე რომ დასეირნობს და, როგორც წესი, ყველამ ჩემს კართან რომ უნდა მოისაქმოს, ამაზე ვგიჟდები. თითქოს ვიღაცამ სპეციალურად ამეცადინა, რომ ერთი სანტიმეტრით არ გადააცილონ ჩემს ფეხის ტილოს. დიდხანს ვიკავე თავი, არაფერს ვეუბნებოდი ამ ტუტუც ქალს, მაგრამ, ამ დილით სახლიდან რომ გამოვედი, ვერ დავინახე და პირდაპირ ქაქში ჩავდგი ფეხი. ისედაც ცუდ ხასიათზე ვიყავი და მთლად შევიშალე. ავედი და ვუთხარი, გარეთ აღარ გამოუშვათ ეგ თქვენი ნაბიჭვარი ცხოველები, თორემ, გიჩივლებთ და მთელი სადარბაზო გვერდში დამიდგება-მეთქი, იმან კი... – მია სიბრაზისგან გაფითრდა და ტუჩები აუკანკალდა.

– ვატყობ, რომ შენი გაგიჟება არ გასჭირვებია, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა სოფომ, რომელსაც გულზე მოხვდა მიას სიტყვები – ჩემი მეზობელი უკაცობით გაგიჟებული „სტარაია დევააო“ – და, ცოტა ნაწყენი კილოთი დაამატა: – მაგრამ, ჩემი აზრით, შინაბერობა არაფერ შუაშია. უკაცობა ცუდ ადამიანობას სულაც არ ნიშნავს.

მია მიხვდა, რომ ცუდად გამოუვიდა თავის გაუთხოვარ დაქალებთან და ძალიან შეწუხდა. ის იყო, უნდა ეთქვა, შენი წყენინება არ მინდოდაო, რომ ოთახის კარს თემო მოადგა:

– გოგოებო, ჩვენც შემოგიერთდებით, რა, თორემ, ვსხედვართ მე და ივიკო იმ პატარა სამზარეულოში მოწყენილები, ვსვამთ კონიაკს და ერთმანეთს საცოდავად შევყურებთ, აქ კი რა საქმეები ირჩევა...

– ქეთა, გააჩუმე ეს შენი დებილი ქმარი, თორემ, ჩემი ხელით დაქვრივდები, იცოდე! – იყვირა მიამ.

– რა გაყვირებს, გოგო, მაინც მოდის სამზარეულომდე თქვენი ხმა და, არ ჯობია, ბარემ აქ დავსხდეთ? – წამოეშველა თემოს ივიკო და ცოლს მიმართა: – მირანდა, ჩემო სიხარულო, მიშუამდგომლე, რა, შენს დაქალებთან!

მირანდამ გოგოებს გადახედა და ღიმილით თქვა:

– მაინც არ მოგვეშვებიან, ამიტომ, ჩემი აზრით, ჩათრევას ჩაყოლა ჯობია.

გოგოებმა თავის დაქნევით გამოხატეს თანხმობა, მხოლოდ მია უყურებდა კაცებს გამანადგურებელი მზერით.

– შემოდით, ჯანდაბას თქვენი თავი! – დანებდა ბოლოს ისიც და თავის მეგობრებს მიმართა: – იცით, რა არის სასაცილო? აი, ესენი, – მიამ ჯერ დაქალების ქმრებისკენ გაიშვირა ცერი თითი, მერე კი დააკონკრეტა: – არა, მარტო ესენი კი არა, ზოგადად, მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ქალებს რომ უძახიან ჭორიკნებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რისი გამოსახულება დაგიცავთ ბოროტი ადამიანების უარყოფითი ენერგიების ზემოქმედებისგან და რა დაბლოკავს ბინაში ნეგატიური ძალების შემოდინებას

***სახლი არა მარტო ჩვენი საცხოვრებელი, არამედ, ერთგვარი წინასწარმეტყველური მინიშნებების საშუალებაცაა. მინიშნებები კი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. არსებობს ისეთი ატრიბუტიკა, რომელიც ბინაში აუცილებლად უნდა გქონდეთ, რათა თქვენი ცხოვრება უფრო მეტად ნაყოფიერი, წარმატებული და იღბლიანი გახადოთ. მაგალითად:***

**ჩინური დრაკონი** ქმნის ისეთ კოსმიურ ენერგიებს, რომლებსაც ჩვენს ოჯახსა და სამსახურში წარმატება მოაქვს. დრაკონისა და მოძრავი წყლის ერთობლიობა კი უფრო მეტად აძლიერებს ენერგიების შემოდინებას, რაც წარმატებების მიღწევაში გვეხმარება. ასეთი მოძრავი წყლის მოწყობილობები ბაზრობაზე ან ჩინურ მაღაზიებში შეგიძლიათ, შეიძინოთ. თუ მას ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში დადგამთ, კარიერულ წინსვლაში შეგეწყობათ ხელი; ხოლო, თუ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა გინდათ, ასეთი ატრიბუტიკა, ჯობია, სამხრეთ-აღმოსავლეთით მოათავსოთ.

**კრისტალის ბურთულა** ერთ-ერთი მძლავრი აქტივიზატორი და წარმატებების მომტანი ატრიბუტია შემოქმედებითი ადამიანებისთვის. თუ კომუნიკაციის სფეროში გიჭირთ, ვერ ახერხებთ თანამოაზრეების დაჯერებას თქვენი აზრების სისწორეში და გიძნელდებათ საერთო ენის გამონახვა კოლეგებთან, შეიძინეთ კრისტალის ბურთულა და დადეთ თქვენს სამუშაო მაგიდაზე. ის, გარდა წარმატებებისა, სიმდიდრესაც გპირდებათ და თქვენი ავტორიტეტიც საგრძნობლად ამაღლდება.

თუ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, კარიერაში არ გიმართლებთ, სასწრაფოდ შეიძინეთ **თევზებიანი აკვარიუმი**, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ აკვარიუმი სასტუმრო ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა დადგათ – მასში კი რვა ოქროსფერი და ერთი ვერცხლისფერი თევზი უნდა დაცურავდეს. სამუშაო მაგიდაზე კი თევზის ფორმის სტატუეტი დადგით. ეს სიმდიდრისა და ავტორიტეტის მოხვეჭაში შეგიწყობთ ხელს.

ეგრეთ წოდებული **ამეთვისტოს ხე** ძლიერი სტიმულატორია კოლეგებთან და საქმიან პარტნიორებთან საერთო ენის გამოსანახავად და ერთობლივი ნაყოფიერი სამუშაოს წარმოებისთვის. შეიძინეთ და დადგით ის სამუშაო მაგიდაზე და დარწმუნებული იყავით, რომ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებებს ადვილად მიაღწევთ, ასცდებით უთანხმოებებსა და გაუგებრობებს კარიერაში.

**ფაიფურის ან თიხისგან დამზადებული გომბეშოს** გამოსახულება დადეთ შემოსასვლელი კარის მარცხნივ. ის დაგიცავთ ბოროტი ადამიანების უარყოფითი ენერგიების ზემოქმედებისგან და ბინაში არ შემოუშვებს ნეგატიურ ძალებს.

საფულეში ატარეთ წითელი ძაფით შეკრული **სამი ჩინური მონეტა**, რომ თქვენს ბიზნესში ხელი მოგემართოთ და პრობლემები არ შეგექმნათ. ეს მონეტები ჩინურ მაღაზიაში შეიძინეთ. ასევე, შეგიძლიათ, ისინი დაკიდოთ მაღაზიის შესასვლელ კარზე, რომ თქვენს ბიზნესს საფრთხე არ შეექმნას და ბევრი კლიენტი მიიზიდოთ.

**კუ-დრაკონის** გამოსახულება მეტ გამბედაობასა და სითამამეს შეგმატებთ. თქვენს სამუშაო მაგიდაზე დადგით სტატუეტი მისი გამოსახულებით და ჩათვალეთ, რომ კოლეგები და ხელმძღვანელობა თქვენს სამუშაოს წუნს ვერ დაუდებენ. ის დაგეხმარებათ, თქვენი შრომა დამსახურებულად დაფასდეს და, შესაბამისად, ეს მატერიალურადაც დადებითად აისახოს თქვენს შემოსავალზე.

მითიური **ჩინური მარტორქა**, რომელიც ცხენი-დრაკონის სახელითაა ცნობილი, კოსმოსიდან კოსმიურ დადებით ენერგიებს იზიდავს და წარმატება მოაქვს მათთვის, ვინც პოლიტიკასა და სამხედრო სფეროში მუშაობს. ის განსაკუთრებულად კარგია აქტიური და საკუთარ ძალებში დარწმუნებული ადამიანებისთვის.

**მამალი**, რომელსაც ფერადი ბიბილო აქვს და ფაიფურისგანაა დამზადებული, დაგიცავთ ინტრიგებისა და ფარული მტრების შემოტევებისგან. დადგით ის ოფისში ან სახლში ისეთ ადგილას, რომ ადვილად დასანახი და თვალშისაცემი იყოს. ეს სტატუეტი თქვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. შეიძინეთ ის და ნახავთ, როგორ დაიწყებს სიტუაცია ყოველდღიურად, ნელნელა გამოსწორებას.

ზოგადად, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს დაკვირვება ბევრ რამეზე მიგანიშნებთ. მაგალითად, თუ იატაკი უმიზეზოდ აიყარა, დროზე ადრე გაფუჭდა, ამოიბურცა და სიარულის დროს ჭრიალი ისმის, ეს იმის მანიშნებელია, რომ თქვენ არასწორი წესით ცხოვრობთ და რაღაც უნდა შეცვალოთ; ანუ, იატაკი გკარნახობთ, რომ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებებით გამოასწოროთ შექმნილი სიტუაცია.

# როდის ჯობია ხილისა და ბოსტნეულის ზამთრისთვის შენახვა და როდის უნდა შეიკავოთ თავი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან

***სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგიის ცოდნა და მთვარის ფაზების მხრივ, რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, ადამიანს ეხმარება სწორად დაგეგმოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, წინასწარ განსაზღროს სასიკეთო ან უარყოფითი პერიოდები ამა თუ იმ კონკრეტულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ჩვენი წინაპრები, სწორედ მთვარის ფაზების მიხედვით ადგენდნენ, თუ როდის მოეხნათ მიწა, დაეთესათ მცენარეები, დაერგოთ ხეები, აელოთ და დაებინავებინათ მოსავალი.***

***სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგია, დაგეხმარებათ და ხელს შეგიწყობთ, სწორად დაგეგმოთ ის საქმიანობა, რომლისგანაც მომავალში სარგებელს ელით. აქვე, გთავაზობთ, აგვისტოს პროგნოზს, თუ რომელ დღეს არის კარგი მსგავსი სამუშაოების ჩატარება.***

**4 აგვისტო** – კარგია ლობიოს, თივის აღება-დაბინავება. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას და მორწყვას.

**5 აგვისტო** – კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, ბალახის მოცელვა, თივის შენახვა, მიწის დამუშავება, ხეებზე გამხმარი ტოტების შეჭრა და გადაბელვა. ასევე, კომპოტების, მურაბებისა და წვენების დამზადება ზამთრისთვის.

**7 აგვისტო** – კარგია მიწათმოქმედება, მოერიდეთ მცენარეების დარგვას, ხეების მოჭრას. კარგია, ხილის დაკრეფა და ზამთრისთვის შენახვა.

**8 აგვისტო** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, ხეების გადაბელვა, ბოსტნეულის ამოღება მიწიდან, საწებლებისა და წვენების გაკეთება და ზამთრისთვის შენახვა.

**10 აგვისტო** – დღეს სავსემთვარეობაა, მოერიდეთ მიწის სასუქებით განოყიერებას, ხეების დარგვას, ხილის კრეფა-შენახვსა, თივის აგროვებას, კარტოფილის თესვას.

**11 აგვისტო** – მოერიდეთ მიწის დამუშავებას, ხეხილის დარგვას, მცენარეების მოჭრას, ხილის კრეფას, ბოსტნეულის აღებას და ზამთრის მარაგის შენახვას.

**12 აგვისტო** – კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, კომპოტების, წვენებისა და მურაბების დამზადება.

**14 აგვისტო** – კარგია ხეების დარგვა, რადგან მალე გაიზრდება და ნაყოფსაც ადრე გამოიღებს.

**15 აგვისტო** – მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, მორწყვას, მიწის განოყიერებას სასუქით, ბალახის ცელვას და ზამთრისთვის შენახვას. ასევე, ზამთრისთვის ხილის, კომპოტებისა და მურაბების დამზადებას და მწნილის ჩადებას.

**17 აგვისტო** – კარგია მცენარეების დარგვა, გადარგვა, მორწყვა, ბალახის მოთიბვა ზამთრისთვის შესანახად. ასევე, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების მოხუფვა და შენახვა.

**18 აგვისტო** – მოერიდეთ მიწის სამუშაოებს და ზამთრისთვის მარაგის შენახვას.

**20 აგვისტო** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, გადაბელვა, მიწის განაყოფიერება-გაფხვიერება.

**23 აგვისტო** – კარგია მცენარეების დარგვა, გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა და დაჩირვა, მურაბებისა და კომპოტების დამზადება.

**25 აგვისტო** – დღეს ახალმთვარეობაა, ამიტომ, ნუ დარგავთ ყვავილებს, მოერიდეთ ხეების ჭრას, გადაბელვას და მიწიდან ბოსტნეულის ამოღებას. კომპოტების, მურაბებისა და წვენების დამზადება-შენახვას.

**27 აგვისტო** – არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის და ბოსტნეულის კრეფა და ზამთრისთვის შენახვა. ასევე, თივის მოგროვება.

**30 აგვისტო** – კარგია ზამთრისთვის პროდუქტების მოხუფვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის აღება-დაბინავება და მიწათმოქმედება.

## ორშაბათი 4 აგვისტო

**08.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა** **18.00** **კალათბურთი**. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (პ/რ) შესვენებისას: **19.00** "მოამბე" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.00** მხ/ფ **"სიყვარულით გაბრუებული"** **00.35** მხ/ფ **"ფანტოცი სამოთხეში"** **02.10** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"სილა"** **1** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45**სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"20 წუთი"** **8** სერ. **23.00** სერ. **"კენედები"** **5** სერ. **00.00** მხ/ფ **"მებრძოლი"** **02.05** მხ/ფ **"ლამაზმანი და მაწანწალა"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ.

**06.10** ქვიშით ნაამბობი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"ლუკას სახარება"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.05** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **13.35** კონცერტი -ანს. "მძლევარი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** სპექტაკლი - **"ბედი ქართლისა"** **16.05** დ/ფ "დავით გარეჯი" **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"დიმიტრი II"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.20** განთიადის სიუჟეტი **21.25** პატერიკი **21.30** სახლი ღვთისა **21.45** დ/ფ "მამა პაისი" **22.25** დ/ფ "ოვალური ბურთი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "იალაღობა აჭარაში" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00, 2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.03** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.50** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება.

## სამშაბათი 5 აგვისტო

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა** **18.30** "ჩემი წიგნი" **22.00** მხ/ფ **"ჯეინ ეარი"** **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ **"ფანტოცის დაბრუნება"**.

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"სილა"** **2** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"20 წუთი"** **9** სერ. **23.00** სერ. **"კენედები"** **00.00** მხ/ფ **"ძმები"** (ნ.პორტმანი) **01.55** მხ/ფ **"მებრძოლი"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **3-4** სერ. **00.00** სოციალური ცელი **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I ნაწ. **07.10** სპექტაკლი - **"ბედი ქართლისა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ოვალური ბურთი" **11.05** დ/ფ "იალაღობა აჭარაში" **11.35** პატერიკი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"დიმიტრი II"** I ნაწ. **13.20** კონცერტი - ელისო ბოლქვაძე **14.30** ქვიშით ნაამბობი **14.40** დ/ფ "მამა პაისი" **15.05** ტელეზღაპარი **15.25** დ/ფ "ლადო ასათიანი" **16.20** კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალი **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მოკ./ფ. **"ჰობოი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - მანანა ანუა "იური ანუა" **23.45** სიახლენის სიუჟეტი **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.03** **სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.50** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "ID"(გამ) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**4–10 აგვისტო**

*დარბაზი 1*

14.00, 17.20, 19.50, 22.30 - **„გალაქტიკის მცველები"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ.;*

*დარბაზი 2*

20.15, 22.30 - **„ზღვარი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 25წთ.;*

*დარბაზი 3*

14.00, 17.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

19.45, 22.30 - **„განკითხვის ღამე: ანარქია"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

*დარბაზი 4*

14.15, 17.15, 20.00, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;*

*დარბაზი 5*

14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„ჰერკულესი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

14.00, 20.00, 22.30 - **„განკითხვის ღამე: ანარქია"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

17.15 - **„ჰერკულესი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 2*

14.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

16.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;*

19.30, 22.30 - **„ნაბიჯით წინ"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 15წთ.;*

*დარბაზი 3*

14.30, 22.30 - **„ჰერკულესი"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

17.30 - **„ნაბიჯით წინ"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 15წთ.;*

20.00 - **„ჰერკულესი"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.



# ღორის არომატული ნეკნები







**საჭირო ინგრედიენტები:** კილო-ნახევარი ღორის ნეკნები, 2 ცალი ვაშლი (გოლდენი კარგია), 2 ცალი თეთრი ხახვი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 5 კბილი ნიორი, 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, შავი პილპილი, ცოტა მარილი, 5 მარცვალი მრგვალი სურნელოვანი პილპილი, 80 მილილიტრი ზეთი.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ მარინადი: ერთმანეთში შეურიეთ მდოგვი, მაიონეზი, წვრილად დაჭრილი ნიორი და ლიმონის წვენი, მოასხით დაჭრილ ნეკნებს და გააჩერეთ 1 საათის განმავლობაში. შემდეგ ნეკნები ამოიღეთ, ოდნავ დაწურეთ და შებრაწეთ ზეთში. მოათავსეთ ცეცხლგამძლე ჭურჭელში. დაასხით დარჩენილი მარინადი და იმდენი წყალი, რომ ნახევრამდე დაიფაროს. მოაყარეთ სურნელოვანი პილპილის მარცვლები, დაახურეთ თავსახური და შუშეთ დაბალ ცეცხლზე 50 წუთის განმავლობაში, შემდეგ მოხადეთ თავსახური და შუშეთ წყლის სრულ ამოშრობამდე. მოაყარეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი და ცოტა მოშუშეთ. ვაშლი გათალეთ, კუბიკებად დაჭერით, მოასხით ლიმონის წვენი და ჩაუმატეთ ნეკნებს ხახვთან ერთად. ამოურიეთ. დაასხით ნახევარი ჭიქა წყალი. დაახურეთ თავსახური და კიდევ შუშეთ 8-10 წუთი. შეაზავეთ მარილითა და შავი პილპილით და მზად არის.

# მექსიკური სალათა





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი კვერცხი, 300 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 თავი წითელი ხახვი, 1 კონა მწვანე სალათა, 100 გრამი ძირიანი ნიახური, მარილი – გემოვნებით, 3 სადილის კოვზი ძმარი, 3 სადილის კოვზი ზეთი. შეგიძლიათ, ძმარი ლიმონის წვენით შეცვალოთ.

**მომზადების წესი:** კვერცხი მაგრად მოხარშეთ, გააცივეთ, გაფცქვენით და გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, ან დაჭერით წვრილად. ფილე ხარშეთ 20-25 წუთის განმავლობაში, გააცივეთ და დაჭერით წვრილ, გრძელ ნაჭრებად. ბულგარული წიწაკა დაჭერით ჩხირებად, ხახვი – თხელ ნახევარრგოლებად, ხოლო ნიახური – ძალიან წვრილად. სალათა გარეცხვის შემდეგ შეაშრეთ და ხელით დაანაწევრეთ. ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ, მოათავსეთ ღრმა თასში, მოასხით ზეთი და ძმარი და შეაზავეთ მარილით.

*კარტოფილი რომ არ „ამოვიდეს“, ჩადეთ ტომარაში.

# ბადრიჯანი ფარშით



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ბადრიჯანი (მომცრო ზომის), 5 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 2 თავი ხახვი, 500 გრამი საქონლის ხორცის ფარში, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, მარილი, მწვანილი (თქვენი გემოვნებით), ცოტა ზეთი, 30 გრამი კარაქი, შავი პილპილი.



**მომზადების წესი:** ერთი თავი ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად. ბადრიჯანი გათალეთ ისე, რომ კანი ზოლებად დარჩეს. თასში ჩაასხით წყალი, გახსენით მასში მარილი და ჩააწყვეთ ბადრიჯნები. ხუთი წუთის შემდეგ შეწვით მთელ-მთელი ბადრიჯანი და ბულგარული წიწაკა სრულ დარბილებამდე. ცალკე ტაფაზე საშუალო სიძლიერის ცეცხლზე, ერთად მოშუშეთ ხახვი და ფარში 15 წუთის განმავლობაში. უყავით ტომატ-პასტა, მარილი და პილპილი გემოვნებით. მეორე ხახვიც დაჭერით ძალიან წვრილად და მოშუშეთ კარაქში (არ დაწვათ). შემდეგ დაუმატეთ კანგაცლილი და წვრილად დაჭრილი პომიდორი, ურიეთ სამი წუთის განმავლობაში და შეაზავეთ მარილითა და წვრილად დაჭრილი მწვანილით. შემწვარ ბადრიჯანს გვერდით გაუკეთეთ „ჯიბე" – ჩანაჭრები და ამოავსეთ ფარშით. მოათავსეთ ფორმაზე და გვერდით მოუწყვეთ ბულგარული წიწაკა. ბოლოს მოასხით პომიდვრიანი და ხახვიანი სოუსი, კიდევ მოაყარეთ მწვანილი და აცხვეთ აირღუმელში 20 წუთის განმავლობაში, 180 გრადუსზე. ძალიან მოგეწონებათ.

# ქათმის სატენი ფენოვან ხვეულებში



**საჭირო ინგრედიენტები:** 135 გრამი გაყინული ფენოვანი ცომი, 250-300 გრამი ქათმის ფილე, 50-70 გრამი კარაქი, 3-4 სადილის კოვზი მდნარი ყველი, 1-2 ჩაის კოვზი პირშუშხა, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, ოხრახუში – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ოდნავ მარილიანი ფენოვანი ცომი გააბრტყელეთ და დაჭერით საშუალო სისქის გრძელ ნაჭრებად (10-12 ცალი მაინც უნდა გამოვიდეს). თუ სპეციალური ფორმები არ გაქვთ, რომლებზეც ცომს გადაახვევთ და მიიღებთ „მილაკის" ფორმის ხვეულებს, შეგიძლიათ, ხელითაც მიაღებინოთ ცომს სასურველი ფორმა (უმჯობესია, ხვეულები მომცრო ზომის იყოს) და გამოაცხვეთ აირღუმელში 190 გრადუსზე. ოქროსფერი უნდა გახდეს.

ფილე მოხარშეთ და გააცივეთ. დაუმატეთ დარბილებული კარაქი, მდნარი ყველი, პირშუშხა, მარილი, პილპილი და ყველაფერი ერთად დააბლენდერეთ. ამ მზა სატენით ამოავსეთ გამომცხვარი „მილაკები". გამოიყენეთ საკონდიტრო ტომსიკები), დააწყვეთ ლანგარზე და მორთეთ ოხრახუშის ფოთლებით.



* გაყინულ ხორცს გალღობისას დაასხით ძმარი. ამით ხორცი უფრო რბილი გახდება და მალეც გალღვება.

# ქათამი გარგარითა და ბრინჯით – ქეთი ორჯონიკიძისგან




*რომ გითხრათ, კარგი კულინარი ვარ-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა, რასაც ვაკეთებ, გემრიელი გამომდის. მართალია, იშვიათად მიწევს საჭმელების კეთება, მაგრამ, ვინც ჩემი მომზადებული კერძი გასინჯა, ყველა ამბობს, კარგი ხელი გაქვსო. ეს კერძი, რომელსაც ჟურნალ „თბილისელების" მკითხველს ვთავაზობ, ჩემი საყვარელი კერძია, რომლის გაკეთებაც საკმაოდ მარტივია და, თან – გემრიელი.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 60 გრამი ბრინჯი, 20 გრამი გარგარის დარბილებული ჩირი, 1 კბილი ნიორი, 3 ძირი მწვანე ხახვი, 250 გრამი ქათმის ფილე, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 მილილიტრი ვაშლის წვენი, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 4 სადილის კოვზი წვრილად დაკეპილი ქინძი, დაფქული წიწაკა და მარილი გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ბრინჯი მოხარშეთ მარილიან წყალში და დაწურეთ. ნიორი დაკეპეთ, გარგარის ჩირი წვრილად დაჭერით, ხახვი – თხლად. ქათმის ფილე დაჭერით სასურველი ზომის ნაჭრებად და გაცხელებულ ზეთში შებრაწეთ. მოაყარეთ მარილი, ნიორი, გარგარი და ხახვი და მსუბუქად მოშუშეთ. დაასხით ვაშლის წვენი. დაუმატეთ ბრინჯი, სოიის სოუსი, დაფქული წიწაკა, ქინძი და ამოურიეთ. საკმაოდ მარტივად მოსამზადებელი კერძია, გემრიელი და, თან, დიდ დროსაც არ წაგართმევთ. ასე რომ, გირჩევთ, გასინჯოთ!



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ღორის ნეკნები ფორთოხლის მარინადში

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ღორის ნეკნები, 3 მსხვილი ფორთოხალი, 3 თავი ხახვი, დაფქული პილპილი, მარილი, ძირა, პაპრიკა გემოვნებით, ზეთი მოსაშუშად.

**მომზადების წესი:** ნეკნები და ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი 10 წუთის განმავლობაში მოშუშეთ ზეთში, ნელ ცეცხლზე. დაასხით ფორთოხლის წვენი, მოაყარეთ 1 ფორთოხლის ცედრა, მოაყარეთ სანელებლები, ქვაბს დაახურეთ და ნელ ცეცხლზე შუშეთ დაახლოებით 50-60 წუთის განმავლობაში. თუ ფორთოხლის წვენი ამოშრა, პერიოდულად, ცოტ-ცოტა წყალი ჩაუმატეთ. კერძი სუფრასთან მიიტანეთ ცხელი, ფორთოხლის ნაჭრებთან ერთად.



# ქათმის მკერდი ანანასითა და კარით



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ქათმის მკერდი, 2 ცალი დაკონსერვებული ანანასის რგოლი, 50 გრამი ყველი, 4 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი ზეთი, კარი, პაპრიკა და მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის მკერდი ოთხ თხელ ფირფიტად გაჭერით და მსუბუქად დაბეგვეთ. მოაყარეთ სანელებლები, მარილი და მოათასეთ ცხიმწასმულ ფორმაში. ანანასის ნაჭრები სიბრტყეზე გაჭერით და ქათმის ნაჭრებზე დააწყვეთ. მოასხით მაიონეზი და მოაყარეთ გახეხილი ყველი. 30 წუთით შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## „ჯადოსნური“ მაგიდა

ხელმარჯვე მამაკაცი ამ ორიგინალურ და მრავალფუნქციურ მაგიდას საკმაოდ ადვილად დაამზადებს. დაგჭირდებათ ხილის შესანახი ოთხი ყუთი. თხელი ფანერის ფირფიტა, ოთხი „ფეხი“ – ბორბალი და ცოტა ავეჯის ლაკი.

წვალებად ნამდვილად ღირს.

ჯერ კარგად გალაქეთ ყუთები და აცადეთ, გაშრეს. შემდეგ ლაკი წაუსვით ფანერასაც. ის ზუსტად იმ ზომის უნდა იყოს, რამხელაც ერთმანეთზე მიდგმული ყუთების ზედაპირი. სურათების მიხედვით შეაერთეთ ყუთები ერთმანეთს და ძირზე დააკარით ფანერა. დაამაგრეთ ბორბლები. გადმოატრიალეთ და შუაგულში არსებული სიცარიელე ამოავსეთ წვრილი ქვებით – მასზე ქოთნით ლამაზ დეკორატიულ ყვავილს დადებთ.

## საყვავილე

შეგიძლიათ, საკუთარი ხელით გააკეთოთ ძალიან ლამაზი, ორიგინალური საყვავილე. ამისთვის ჩიპსის მუყაოს კოლოფი გამოგადგებათ. კიდევ, დაგჭირდებათ წებო, წვრილი კენჭები ან ნიჟარები. კოლოფს წაუსვით წებო და სათითაოდ დაამაგრეთ მასზე კენჭები და ნიჟარები – სულ ეს არის. წებო რომ გაშრება, საყვავილეც მზად არის.

* ღვინის ნარჩენები შეგიძლიათ, ყინულის ფორმებად გაყინოთ, შემდეგ კი სუპებსა და კერძებს დაამატოთ.





42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 6 აგვისტო

**08.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა 18.30** "ჩემი წიგნი" **22.00** მხ/ფ "**ლეონი**" (ლ.ბესონი) **00.20** მხ/ფ "**ფანტოცი 2000: კლონირება**".

**06.45** სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**სილა**" 3 სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" 10 სერ. **23.00** სერ. "**კენედები**" 7 სერ. **00.00** მხ/ფ "**დაბრუნება**" **02.10** მხ/ფ "**ძმები**" (ნ.პორტმანი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **5-6** სერ. **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.45** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. "**პოზორი**" **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** კონცერტი - ანს."შავნაბადა" **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** დ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" **16.50** კვირიაკე **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**დიმიტრი II**" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** განთიადის სიუჟეტი **23.25** დ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00, 2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.03** **სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## ხუთშაბათი 7 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **14.00** "გურმანია" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა** **18.30** "ჩემი წიგნი" **20.55** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა: "**ჩიხურა**" – "**ნეფთჩი**" /**ბაქო**/ (პ/რ) **23.00** მხ/ფ "**დასაწყისი**" **01.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

**06.45** სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**სილა**" 4 სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** სერ. "**კენედები**" 8 სერ. **00.00** მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" **01.50** მხ/ფ "**დაბრუნება**".

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** პროფილი დასკვნითი **23.30** თომას ფილმი "აგვისტოს ომი" **1** სერ. **00.30** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 7 სერ. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.45** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" III ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ჩვენი ფონდი მ. ნინიძე "ილია მართალი" **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი II**" II ნაწ. **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი - საოპერო მუსიკის საღამო **15.05** ტელეზღაპარი **15.25** ირაო **16.00** დ/ფ "მესაზღვრე ბერები" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** დ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** განთიადის სიუჟეტი **21.35** დ/ფ "კაპელანი" **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" **00.35** განთიადის სიუჟეტი "ნიქოზი" **01.00** მხ/ფ "**ამაღლება**" **02.15** ირაო.

**7.00, 2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.03** **სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.50** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## პარასკევი 8 აგვისტო

**08.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** მხ/ფ "**ბორსალინო და კომპანია**" (ა.დელონი) **15.30** "შემოძახილი" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა** **18.30** "ჩემი წიგნი" **21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **22.00** მხ/ფ "**დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე**" **00.10** მხ/ფ "**სამეფო სასახლე**".

**06.45** სერ. "**შურისმაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.00** ქრონიკა **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**სილა**" 5 სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** მხ/ფ "**ხელოვნების სახელით**" (კ.ფორლანი) **01.20** მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" **03.00** მხ/ფ "**ცეცხლოვანი ველი**" (ტიტ.).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" - დასკვნითი **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**". **20.50** ეროვნული ლატარია **22.00**

ქერის უბანი - დასკვნითი **22.30** თომას ფილმი "აგვისტოს ომი" **2** სერ. **23.30** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **8-9** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.40** მხ/ფ "**ამაღლება**" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **12.55** დ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო" **13.15** კონცერტი -საგალობლების საღამო **15.05** ტელეზღაპარი **15.25** დ/ფ "კაპელანი" **15.55** დ/ფ "გზა"I ნაწ. **16.55** კვირიაკე **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ცარიელია სახლი" **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.55** მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**".

**7.00, 2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.45** "ყოველ-დღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკ-დოტები) **10.03, 11.03 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.03 სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სე-რიალი "დიდებული საუკუნე"** **0.50 სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## შ ა ბ ა თ ი 9 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "ფერების სამყარო" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვა-რულის საიდუმლოებები**" **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა 17.55 ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატის გახსნის I მატჩი (პ/რ) **21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** ქართ. მხ/ფ "**ისინი**" **00.50** მხ/ფ "**დათქმული დრო**" **02.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი". **08.00** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა**" **10.15** ეკოვიზია **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** ორი ვარსკვლავი **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**ბრიუგეში ჩარჩენილი**" (რ.ფაინსი) **01.45** მხ/ფ "**ხელმწიფის სახელით**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. - კომედია **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** თომას ფილმი "აგვისტოს ომი" **1** სერ. **16.30** ქ.მხ/ფ. "**მამლუქი**" **18.45** "ექიმები" - დაწყება **19.45** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **22.00** დ/ფ "ზოგი რამ საქართველოს შესახებ" **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.00** გააცინე და მოიგე (ძველი) **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "გზა"I ნაწ. **07.00** დ/ფ "ცარიელია სახლი" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი - მეუფე დანიელი -ცირა ყურაშვილი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **13.30** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ვერდის რექვიემი **16.45** დ/ფ "გზა" II ნაწ. **18.10** დ/ფ "მეომრები" **18.35** ქვიშით ნაამბობი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** კვირიაკეს სიუჟეტი **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** დ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ახალმოწამე" გრიგოლ ფერაძე **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**გვირაბი**" I ნაწ.

**7.00, 0.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20, 0.15** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **9.30** იუმორისტული შოუ -"4X4" **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30** NX სპიკერი **18.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **19.00** სერიალი "**ქუზეი და გუნეი**" **21.45** სერიალი "**დიდებული საუკუნე** (I სეზონი) **1.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში/(გამ.) **1.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **2.00** ახალი ამბები **2.15** გადაცემა "ფული და სურვილები **2.40** TV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა).

## კ ვ ი რ ა 10 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვა-რულის საიდუმლოებები**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა 18.55 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **საქართველო – ჩეხეთი** (პ/რ) **22.00** კონცერტი: ნანა ცინცაძის შემოქმედებითი საღამო **23.30** მხ/ფ "**სიყვარულის ზღვა**"(ალ პაჩინო) **01.30** დ/ფ "ფერების სამყარო".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე**" **10.50, 16.50** SV - მარკეტი **11.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ (გ/ჩ) **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **14.30** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **5** სერ. **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** იუმორინა **00.15** მხ/ფ "**ძარცვა ფრანგულად**" **02.00** მხ/ფ "**ბრიუგეში ჩარჩენილი**" (რ.ფაინსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 02.00** კურიერი **12.30** ქერის უბანი (**1** აგვ. I **8** აგვ. გ/ჩ) **13.00** თომას ფილმი "აგვისტოს ომი" **2** სერ. **14.00** სოციალური ცელი **5** აგვ. **15.30** პროფილი **7** აგვ. გ/ჩ დასკვნითი **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** დ/ფ "რუსულის გაკვეთილები" **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **12-13** **00.00, 02.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "გზა" II ნაწ. **07.00** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** კვირიაკეს სიუჟეტი **09.05** "განთიადი" **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** დ/ფ "ახალმოწამე" გრიგოლ ფერაძე **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**კუკარაჩა**" **13.35** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარე-ბის განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**ფესვები**" **21.30** განთიადის სიუჟეტი **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**გვირაბი**" II ნაწ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20, 0.55** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **9.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **10.00** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **10.30** სამედიცინო გადა-ცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 2.40** გადაცემა "ID" **15.30** NX სპიკერი **17.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) **18.40 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **0.15** შეჯიბრი კიგბოქსინგში **2.15** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.).

### ვერძი

გამოიყენეთ ძველი კავშირები და დაამყარეთ ახალი კონტაქტები. გაითვალისწინეთ სხვისი აზრი. ეცადეთ, არ დაიწყოთ საქმის გარჩევა საყვარელ ადამიანთან. ახლობლებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობა თქვენს შინაგან განწყობას გააუმჯობესებს.

### კურო

ამ დროს თქვენი სამომავლო მოქმედებები დამოკიდებული იქნება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაზე. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა სიმშვიდის შეგრძნებას შეგმატებთ. ფინანსური საკითხების გადაწყვეტა დამატებით ხარჯებს დაუკავშირდება. შინაგანი წონასწორობის აღდგენისთვის კარგია ახლო ნათესავებთან კონტაქტი.

### ტყუპები

მოგიწევთ, იყოთ დამოკიდებული სხვა ადამიანებსა და გარემოებებზე, რაც თქვენს თავდაჯერებულობას დააქვეითებს. მთავარია, არ აჰყვეთ მელანქოლიას და მოუსმინეთ უფროსების რჩევებს. წარმატებას მოგიტანთ საქმის მიმართ კონსერვატორული მიდგომა. საყვარელ ადამიანთან უსიამოვნება ხანმოკლე აღმოჩნდება, ქალაქგარეთ გასვლა კი სასიკეთოდ აისახება თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.

### კირჩხიბი

გაიზრდება თქვენი ორგანიზატორული თვისებები, რის გამოც მოიმატებს შემოსავალი. სასიყვარულო კავშირები ფარული გახდება. თავს ენერგიულად იგრძნობთ, მოიმატებს გონებამახვილობაც. მოგინდებათ მეტ ხალხთან ურთიერთობა. გაიზრდება გადაადგილებებისა და ინფორმაციის მიღების სურვილი.

### ლომი

თქვენ წინაშე ბევრი პერსპექტივა გადაიშლება, თუმცა საქმეების უმეტესობა ორაზროვან სიტუაციებში აღმოჩნდება. კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნეთ საქმიან ურთიერთობებში. კარგია მოგზაურობა და დასვენება, მით უმეტეს, საყვარელ ადამიანებთან ერთად.

### ქალწული

მოგინდებათ ბევრ ხალხთან ურთიერთობა, თუმცა, ცხოვრების სტილისა და რიტმის ცვლილება პრობლემებს შეგიქმნით როგორც ოჯახის წევრებთან, ისე საყვარელ ადამიანთან ურთიერთობებში. რეალურად შეაფასეთ თქვენი ფინანსური მდგომარეობა და ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. შეამცირეთ გადაადგილებები და ერიდეთ ინტრიგებსა და რისკს.

### სასწორი

კარგი დროა გავლენიან ხალხთან ურთიერთობისთვის და პროფესიული მიღწევების გასაუმჯობესებლად. ოჯახური ურთიერთობების გამწვავებას ფარული სასიყვარულო ურთიერთობის გამოაშკარავება გამოიწვევს. ახალი კონტაქტები და ინფორმაცია საქმის წარმართვაში დაგეხმარებათ. ფრთხილად იყავით მოგზაურობის დროს.

### მორიელი

კარგი ფსიქოემოციური მდგომარეობა და ფინანსური სიმშვიდე დაგეხმარებათ ცხოვრების ოპტიმისტურად შეფასებასა და მომავალი წარმატების ინტუიციურად შეგრძნებაში. კარგი დროა სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. დააკვირდით განგების მინიშნებებს. არ ვარგა მოგზაურობა, ამიტომ, დროებით თავი შეიკავეთ.

### მშვილდოსანი

ეცადეთ, არ აჰყვეთ გრძნობებსა და სტრესებს. მოიმატებს ინტუიცია და, როგორც საქმიანი, ისე სასიყვარულო პარტნიორები თქვენ ვერაფერს დაგიმალავენ. სასურველია, ხშირად დაისვენოთ. რაც შეიძლება წინდახედულად, მორალის დაცვით და ფრთხილად იმოქმედეთ, რათა ეს არ გახდეს საზოგადოების განხილვის საკითხი.

### თხის რქა

მოსალოდნელია როგორც ძლიერი მტრების, ასევე, საუკეთესო საქმიანი პარტნიორების გამოჩენა. მიუხედავად ამისა, ჯობია, ნაკლებად იმპულსურად იმოქმედოთ და არ აჰყვეთ ეჭვებსა და დეპრესიას. მოგინდებათ სასიყვარულო კავშირის დაწყება. რაც მეტ თაყვანისმცემელს შეიძენთ, მით უკეთ იგრძნობთ თავს.

### მერწყული

სიამოვნებით გაუწევთ დახმარებას გარშემო მყოფებს და თავდაუზოგავად იშრომებთ მიზნის მისაღწევად. მთავარია, არ იკამათოთ. შორეული მოგზაურობა, განსაკუთრებით კი – საქმიანი, ბევრ შთაბეჭდილებასა და ახალ პარტნიორულ ურთიერთობას გპირდებათ როგორც საქმიან, ასევე, სასიყვარულო სფეროში.

### თევზები

სიყვარული და რომანტიკა თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა, საყვარელი ადამიანი კი უამრავ სითბოს და სიყვარულს გაჩუქებთ. ეს კარგი დროა სახლის გასალამაზებლად. ახალი კავშირები და საზოგადოებრივი საქმეები თქვენი პოპულარობის საწინდარი გახდება. თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ბევრი საქმის გაკეთებას მოასწრებთ. ჯობია, მოგზაურობა დროებით გადადოთ.

**ახალმთვარეობა – 25 აგვისტო, 14 სთ: 30 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

ადამიანებში გამახვილდება ეჭვიანობა, პირველობის სურვილი. მოერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებებს, სადაზღვევო კომპანიებთან კონტაქტს, საფინანსო გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სასიყვარულო შეხვედრებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა ან ქალცედონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმეები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა, ტექნიკის შეძენა, სასიყვარულო ურთიერთობები. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, აქატი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი

კარგია მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ ყავისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი მწვანე ან ყვითელი იასპი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ოპალი ან ზურმუხტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია თმის შეჭრა, საბანკო-საფინანსო ოპერაციები. სუსტდება კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ნაწლავთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირხჩიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

იყავით მეტად თავდაჭერილი და აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, მწვანე ან ყვითელი იასპი ან მალაქიტი. არავის მოუყვეთ თქვენი სიზმარი. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სამეცნიერო კვლევა, საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, თმის შეჭრა. სუსტდება ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავთა სისტემა, ყელი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### პარასკევი

გამოავლინეთ ნებისყოფა, ორგანიზატორული ნიჭი, სამართლიანობა. იყავით მეტად კონტაქტური. აკონტროლეთ სურვილები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი ან ფირუზი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, აპარატურის შეძენა. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის, მშვილდოსნებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბეისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი

მოერიდეთ კამათსა და ძალადობას. იყავით მებრძოლი სულისკვეთების და ოპტიმისტი. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან აკვამარინი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება, შემოქმედებითი მუშაობა, მეგობრული კონტაქტები. სუსტდება თირკმელები, კანი, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა, მოჭარბებულია კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს უსიამოვნებებს, ცდუნებებსა და შეცდომებს. ამიტომ, იყავით ფრთხილად და შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმეებით. ნუ იტყვით ტყუილს, რადგან ეს ძვირად დაგიჯდებათ. იყავით სამართლიანი, აკონტროლეთ სიტყვები და აზრები. აღებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულეთ. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, მწვანე ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, ამეთვისტო, ჰელიოტროპი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. კარგია გეგმების დასახვა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ბერუჩაშვილი – ბერუჩევი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბერუა**. ამ საკუთარი სახელიდან ბევრი ქართული გვარსახელია ნაწარმოები.

ამავე ფუძით ნაწარმოები გვარებია **ბერუაშვილი** და **ბერუკაშვილი**.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ, ბევრი ქართული გვარის დაბოლოება შეიცვალა, ანუ, „შვილისა“ და „ძეს“ ადგილი „ოვმა“ და „იევმა“ დაიკავა.

ანალოგიური რამ მოხდა **ბერუჩაშვილთან** დაკავშირებითაც. ეს გვარი **ბერუჩევის** სახითაც გვხვდება, რაც ქართული სინამდვილისთვის მიუღებელია. ამ გვარის წარმომადგენლები ქართველები არიან და, შეუძლიათ, აღიდგინონ მამაპაპური გვარი – **ბერუჩაშვილი**.

საქართველოში 290 **ბერუჩაშვილი** ცხოვრობს: გორში – 30, ონში – 27, თბილისში – 5. არიან სხვაგანაც.

43 **ბერუჩევი**: ონში – 18, ქუთაისში – 11, ჭიათურაში – 5. არიან სხვაგანაც.

**ღრუბელაშვილი-ღრუბელაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ღრუბელა.**

1721 წელს მოიხსენიება ბეჟანა ბაბუნაშვილის ყმა – ბერუა **ღრუბელაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარი **ღრუბელაძე**.

საქართველოში 93 **ღრუბელაშვილი** ცხოვრობს: სამტრედიაში – 34, თბილისში – 33. საგარეჯოში – 7. არიან სხვაგანაც.

57 **ღრუბელაძე**.

**ყელბერაშვილი**

გვარის ფუძეა მეტსახელი **ყელბერა.**

გადმოცემით, ეს სახელი შეურქმევიათ კაცისთვის, რომელსაც ყელზე ჩიყვის ამონაზარდი ჰქონია. მისი გვარი კი მაისურაძე ყოფილა.

1721 წელს ლოუბანში მოიხსენიება იასე სოლოღაშვილის ყმა – იესე **ყელბერაშვილი**.

„1818 წელს ლოუბნელი ბეჟანა **ყელბერაშვილი** ნათლავს ვაჟიშვილს, გლახას. მიმრქმელი იყო ნინია გერმანოზიშვილის მეუღლე – მარიამი“.

საქართველოში 345 **ყელბერაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 176, თეთრი წყაროში – 130, რუსთავში – 22. არიან სხვაგანაც.

**ჭვინტიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჭვინტია**.

„ერტისელმა **ჭვინტიაშვილმა** 1820 წელს იქორწინა კუმისელი იმერლის, კილოსანის ბერის ასულ ნინოზე. თავსმდებნი ყოფილან კეთილშობილნი: ფრანგისტან თურქესტანოვი და ერტისში მცხოვრები პეტრე ყორღელიძე“.

საქართველოში 25 **ჭვინტიაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 13, თბილისში – 2, მარნეულში – 2. არიან სხვაგანაც.

**ღონენაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ღონენა.**

დიდ დალეთში მოიხსენიება რევაზა ციციშვილის ყმა გიორგი **ღონენაშვილი**.

საქართველოში 38 **ღონენაშვილი** ცხოვრობს. გორში 13, თბილისში 11, რუსთავში 2. არიან სხვაგანაც.

**ლარაძე**

გვარის ფუძეა სიტყვა **ლარი**, რომელიც ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება.

„**ლარაძე** – ციციშვილთა აზნაურიშვილი. შაჰნავაზმა იმერეთში გადახვეწილ ციცი ციციშვილს დაბრუნების პირობა მისცა“.

აზნაურიშვილი **ლარაძე** მოიხსენიება საციციანოს ყმების ნუსხაში; ხვედურეთში მას ორი კომლი ყმა ჰყავდა, ლუოვისხევში – შვიდი, ბისში – სამი, თხილნარში – ოთხი, იფუნევში კი – ერთი.

1721 წლის აღწერით, პაატა **ლარაძე** იყო მებატონე. მას ყმები ჰყავდა ყარაბულაღში.

სწორედ პაატა **ლარაძისგან** მომდინარეობს გვარი პაატაშვილი, ზურაბ **ლარაძისგან** – ზურაბიშვილი, ბიძინა **ლარაძისგან** – ბიძინაშვილი.

ამავე ძირისაა გვარი **ლარაშვილი**.




საქართველოში 46 **ლარაძე** ცხოვრობს: თბილისში – 41, ყვარელში – 5.

**ნაცარიშვილი**

გვარის ფუძეა სიტყვა **ნაცარი**. ონის რაიონის სოფელ გლოლაში დაფიქსირებულია საკუთარი სახელი **ნაცარა**. ამ ფუძიდანაა წარმოშობილი გვარი – **ნაცარაშვილი**.

გვარმოდენილობით ამ ორ გვარს – **ნაცარაშვილსა** და **ნაცარიშვილს** საერთო არაფერი აქვს.

**ნაცარიშვილი**, ცხოვრებისეული პირობების გამო, ხელოვნურადაა გამოგონილი და ამ გვარს დადიანების ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოსთან მივყავართ.

აჭარის მიდამოებში, კერძოდ კი, ქობულეთის მაღალმთიან სოფელ ხინოში, საუკუნეების წინათ სამეგრელოდან დადიანები გადასახლებულან. გვარში დღემდეა შემორჩენილი გადმოცემა: ჯემალ დადიანმა ხუნდებით წამებას ვერ გაუძლო, ტყეში გადაიკარგა და სოფელ ხინოდან 80 კილომეტრზე იპოვეს ნაცარში ამოგანგლული. მას ალამბარელებმა (სოფელია) ჯერ **ნაცარა** შეარქვეს, ხოლო, როცა ოჯახი შექმნა, დადიანის **ნაცარიშვილად** მონათლეს. ასე რომ, სწორედ დადიანის გვარმა დაუდო სათავე **ნაცარიშვილის** გვარს. ამ მცირერიცხოვანი გვარის წინაპრები დადიანები იყვნენ.

საქართველოში 37 **ნაცარიშვილი** ცხოვრობს: ქობულეთში – 22, თბილისში – 10, ბათუმში – 5.

**ბასიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბასილი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და სამეფოს ნიშნავს. ასევე, გვხვდება საკუთარი სახელი **ბასი**, რომელიც ძველი ქართული წყაროების ეთნონიმს – **ბასს, ბესს** უკავშირდება.

საკუთარი სახელი **ბასია** გვხვდება რაჭაში, სოფელ ჭიორაში, ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში.

ამავე ძირისაა გვარები: **ბასიაშვილი, ბასიკაშვილი, ბასილაშვილი, ბასელაშვილი, ბასიშვილი** და **ბასილია**.

საქართველოში 533 **ბასიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 382, კასპში – 98, რუსთავში – 30. არიან სხვაგანაც.

**ნანავა**

1904 წელს ნაესაკაოში მცხოვრები **ნანავები** აზნაურები იყვნენ.

გვარის ფუძეა **ნანა**, რომელსაც რამდენიმე სახის დატვირთვა აქვს. საბასთან ეს არის საამო, სანდომი – **ნანა (ნანინა)**, ბავშვის მოსაფერებელი სახელია და შესაძლოა, ის ბოლომდე შერჩეს ადამიანს. აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცის საკუთარ სახელად მოიხსენიება: **ნანაია, ნანე, ნანი, ნანია, ნანო, ნანობა.** დასავლეთ საქართველოში მამაკაცის სახელებად დაფიქსირებულია **ნანაია, ნანეტა, ნანი, ნანო, ნანუჩა, ნანია, ნანილა** და სხვა. ასევე, ქალთა სახელებია: **ნანა, ნანაი, ნანალუ, ნანამზე, ნანატა, ნანატრი, ნანალო, ნანზი, ნანსი** და სხვა.

საკუთარი სახელიდან **ნანა**, ნაწარმოებია ქართული გვარები: **ნანავა, ნანაშვილი, ნანაძე, ნანდოშვილი, ნანეიშვილი, ნანეტაშვილი, ნანიაშვილი (ნანიევი), ნანიტაშვილი, ნანიშვილი, ნანობაშვილი, ნანოშვილი, ნანუაშვილი.**

**ნანაშვილი, ნანიაშვილი, ნანეიშვილი, ნანავა** – სადადიანო აზნაური, ანუ აზნაურული საგვარეულოებია.

**სანანაო** არის უბნები ახალ აბასთუმანსა და ყულშკარში. **ნანანუ** კი, ტყეა უფალკარში.

საქართველოში 1 612 **ნანავა** ცხოვრობს. ზუგდიდში – 572, მარტვილში – 367, თბილისში – 161, არიან სხვაგანაც.

**კოკოზაშვილი-კოკოზოვი**

**კოკოზა** საკუთარი სახელია, ის დასდებია საფუძვლად **კოკოზაურ-კოკოზაშვილთა** გვარს. „1634-1653 წლებში გარდატენში მცხოვრები **კოკოზაურის** მამული ნოდარ ციციშვილმა დაანება გორელ ადიბეგ და გაბრიელ ანდრონიკაშვილებს“.

„გარდატენში მცხოვრები **კოკოზაშვილის** მამული ჯავახიშვილის ასულ მარიხმა მიჰყიდა გორელ მანდატურთუხუცესს, თაყა ანდრონიკაშვილს“ (1634-1653 წლები).

**კოკოზოვები** ყოფილი **კოკოზაშვილები** არიან.

გვხვდება გვარი **კოკოზასშვილი, კოკოზაური.**

საქართველოში 453 **კოკოზაშვილი** ცხოვრობს. ქარელში – 152, თბილისში – 98, თიანეთში – 85, არიან სხვაგანაც.

35 – **კოკოზოვი**: წალკაში – 31, თბილისში – 4.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# არავითარი ეჭვები

*გეშინიათ, რომ რაღაც არ გამოვა?! თავს ნუ გაიწვალებთ და ნუ დააფრთხობთ წარმატებას. ტესტი დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, თუ რა გაკლიათ თქვენი გეგმების შესასრულებლად. უპასუხეთ შეკითხვებს „კი“ ან „არა“ და ყოველი დადებითი პასუხისთვის დაიწერეთ 1 ქულა.*



**1. როცა საქმეს ხელს ვკიდებ, ყოველთვის წარმატების იმედი მაქვს.**

**2. შემოქმედებითად აქტიური ვარ.**

**3. ყოველთვის ვარ სიახლეების ინიციატორი.**

**4. როცა საპასუხისმგებლო დავალებას მაძლევენ, უარის თქმის მიზეზს ვეძებ.**

**5. ზოგჯერ არარეალურ და რთულ დავალებებს ვიღებ საკუთარ თავზე.**

**6. წინააღმდეგობები და დაბრკოლებები ვერ მაშინებს. მიყვარს მათი გადალახვა.**

**7. როცა რაღაც არ გამოდის, ყოველი ნაბიჯის გაანალიზებას ვცდილობ.**

**8. ჩემი შედეგები დამოკიდებულია მთლიანად ჩემს მიზანდასახულობაზე და არა სიტუაციის ანალიზზე.**

**9. რთული დავალებების შესრულების დროს ჩემი შედეგი უარესდება და ვნერვიულობ.**

**10. ძალიან ჯიუტი ვარ მიზნის მიღწევაში.**

**11. ჩვევად მაქვს მომავალი პერსპექტივებისა და მოქმედებების დაგეგმვა.**

**12. თუ ვრისკავ – ყოველთვის ჭკუით და არა აზარტის გავლენით.**

**13. არც ისეთი მიზანდასახული ვარ. ხშირად ვკარგავ შინაგან კონტროლს.**

**14. მირჩევნია, საშუალო სირთულის სიძნელეებს გავუმკლავდე. ძალიან რეალისტი ვარ.**

**15. წარუმატებლობის შემთხვევაში, დიდი ხნით ვკარგავ აზარტსა და შემართებას.**

**16. დიდი წარმატების შემდეგ ყოველთვის ვაკეთებ ფასეულობების გადაფასებას.**

**17. მხოლოდ უახლოესი დღეებისა და მომავლის ქმედებებს ვგეგმავ.**

**18. მოკლე დროში გაცილებით უკეთ ვართმევ საქმეს თავს.**

**19. წარუმატებლობა არ არის ის მიზეზი, რაც დასახულ მიზანზე ხელს ამაღებინებს.**

**20. მირჩევნია, თავად გადავწყვიტო, რა უნდა ვაკეთო.**

### დათვალეთ ქულები და ნახეთ შედეგი:

*13 ქულამდე: შეგიძლიათ, მარცხშიც დაინახოთ პოზიტივი და ეს ძალიან კარგია. კონსტრუქციული და რაციონალური ხართ. აქტიურობისას იმედს არ კარგავთ, ზუსტად იცით თქვენი შესაძლებლობები და არც მიზანდასახულობა გაკლიათ.*

*14-20 ქულა: წარუმატებლობა საკუთარი თავის მიმართ ნეგატიურად განგაწყობთ. გეშინიათ მარცხის და ამან, შეიძლება, პანიკაში ჩაგაგდოთ. როცა იწყებთ რაღაც საქმეს, თავიდანვე გეშინიათ, რომ ის არ გამოვა. ამ შიშებისგან უნდა გათავისუფლდეთ, თორემ, არანაირი მოტივაცია არ გიშველით.*

## საფრთხე კოსმოსიდან



ყველამ ვიცით ნოსტრადამუსის, ვანგას და მესინგის შესახებ, მაგრამ მხოლოდ მკვლევრებისთვის არის ცნობილი გამაოგნებელი – კოლბრინის მანუსკრიპტის შინაარსი. ქრისტეშობამდე 1 500 წლის წინ ნაწინასწარმეტყველები ფაქტებიდან, რომელიც კაცობრიობის მომავალს ეხებოდა, ჩვენს დრომდეც კი – უმრავლესობა ახდა.

ვის მიერ არის ეს მანუსკრიპტი დაწერილი, დღეს ამისი თქმა ძნელია. ვარაუდობენ, რომ მისი ავტორები ეგვიპტელი ასტროლოგები და სწავლულები იყვნენ. ჩვენამდე მისმა 11-მა ფრაგმენტმა მოაღწია, პირველი წინასწარმეტყველება წარღვნის შესახებაა, რომელიც მოხსენიებულია, როგორც ღვთის სასჯელი და ბუნებრივი კატასტროფაც. მანუსკრიპტმა ბევრი იმოგზაურა და ბოლოს ლეგენდარული მეფის, არტურის წყალობით ინგლისში, გლასტონბერის სააბატოში აღმოჩნდა. მანუსკრიპტში ასევე, ნაწინასწარმეტყველებია ბიბლიის დაწერა და მიწაზე ღმერთის მოსვლის ამბავი. იქ წერია: „ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის სიტყვა“ – ანუ, საუბარია სახარებაზე. გაგიკვირდებათ, მაგრამ ერთი თავი ჩვენს რეალობას ეხება. ვციტირებთ სიტყვასიტყვით: „იქნება დიადი სამეფოების დაცემა... ადამიანები ჩიტებივით იფრენენ ცაში და თევზებივით იცურებენ ზღვაში. მამაკაცები ერთმანეთს სიყვარულზე დაელაპარაკებიან. აღზევდება ორპირობა, სიცრუე, პირმოთნეობა, მლიქვნელობა, ტყუილი მართალში აირევა... ქალები იქნებიან კაცებივით და კაცები კი ქალებივით ჩაიცვამენ. ადამიანი ვნების სათამაშოდ იქცევა. ბევრი ენა დავიწყებას მიეცემა. მაღალი წაეკიდება დაბალს, აღმოსავლეთი – დასავლეთს, ჩრდილოეთი – სამხრეთს, სინათლე – სიბნელეს... ძმა მოკლავს ძმას, ქმარი – ცოლს... მამაკაცები დაკარგავენ საკუთარი თავის რწმენას და ეჭვებში იცხოვრებენ. ერთნი მოიხვეჭენ დიდ სიმდიდრეს, სულით კი გაღარიბდებიან და დაიქუხებს ციდან, რომ შიშით იკანკალონ ადამიანებმა... მაშინ გაჩნდება ყალბი მხსნელი. მოტყუვდებიან ადამიანები... დადგება საათი განადგურებისა... მიწას წყალი დაფარავს...“ – წინასწარმეტყველების ფინალური ნაწილი შეიძლება მეორედ მოსვლად განვიხილოთ... არავის გაშინებთ, მაგრამ უცნაურია, როგორ რეალურად არის ასახული ჩვენი დღევანდელი ყოფა უხსოვარი დროის, საიდუმლოებით მოცულ მანუსკრიპტში...

## ყველაზე სახელგანთქმული სტატუეტი...

ეს ბერძნული ნიკეაა – ყველაზე სახელგანთქმული სტატუეტი, რომელიც 1863 წელს, ბერძნულ კუნძულზე – სამოფრაკიაზე გათხრებისას აღმოაჩინა მოყვარულმა მკვლევარმა და საფრანგეთის კონსულმა საბერძნეთში შარლ შამპუაზომ.

„ნიკეა – სამოფრაკიელი“...

ლეგენდის თანახმად, ოლიმპიელ ღმერთებს ძალიან უყვარდათ, პატარა, გორაკებიანი კუნძული – სამოფრაკია. ისინი აქ ხშირად ჩამოფრინდებოდნენ ხოლმე, რომ ღვთაებრივი საქმეებისგან დაესვენათ. განსაკუთრებით შეუყვარდა ეს კუნძული გამარჯვების ღვთაებას – ნიკეას, რომელიც, საბოლოოდ, კუნძულზე დასახლდა.

1863 წელს ელინური კულტურის შედევრი ძლივს ამოთხარეს მიწიდან. მისი სიმაღლე იყო 3 მეტრი და 28 სანტიმეტრი. ქანდაკება ლუვრში წაიღეს და მასზე 21 წლის განმავლობაში დიდი რუდუნებით მუშაობდნენ საუკეთესო ფრანგი რესტავრატორები. მხოლოდ 1884 წელს იხილა საზოგადოებამ ფრთოსანი ქალღმერთის – ნიკეას ულამაზესი ქანდაკება თავის გარეშე და ერთი მოტეხილი ფრთით.

ისტორიკოსებისთვის ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში როდოსელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს სირიის მეფე ანტიოქ მესამე. ამის აღსანიშნავად, სამოფრაკიელებმა აღმართეს ნიკეას ქანდაკება ძველი წელთაღრიცხვით 241-187 წლებში. ქანდაკება კლდეზე, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დადგეს, კვარცხლბეკად კი საომარი ხომალდის ქვისგან გამოთლილი კიჩო გაუკეთეს.

ქალის შთამბეჭდავი სხეული თითქოს ღრუბლებში აჭრას ლამობს. მთლიანად წინ არის გადახრილი, ფრთები გაშლილი აქვს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქარს ეგებება. ქანდაკება მთლიანად მარმარილოსგან არის გამოკვეთილი. გამარჯვების ქალღმერთი ნიკეა დღესაც ამაყად დგას გალერეის კიბეზე, ლუვრში.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-30(709)

კოტემ ჯერ წყლის დგაფუნი გაიგონა, მერე ქალების კისკისიც მოესმა. ცოლის ხმა იცნო, მაგრამ, ის ვერ გაარკვია, მასთან ერთად რამდენი ქალი იცინოდა.

„რა ენაღვლება, ამოუყრია დაქალები და ერთობა... ქმარი ფეხებზე ჰკიდია, საერთოდ არ ფიქრობს, სად დავდივარ და რას ვაკეთებ, თითქოს არც ვარსებობ... მარტო მაშინ



ვახსენდები, როცა ფული სჭირდება...“ – ჩაილაპარაკა და მაშინვე უკუაგდო იმაზე ფიქრი, რომ ლენუკას გულგრილობაში მასაც მიუძღვოდა ლომის წილი

აუზთან შეზლონგზე თიკო იწვა. მზის სათვალე ეკეთა და მაღალი ჭიქიდან წვენს წრუპავდა. იქვე, მაგიდაზე სუშის ცარიელი კოლოფები ეყარა უწესრიგოდ. ლენუკა წყალში იყო, მის ლაჟვარდოვან ზედაპირზე იწვა და ბედნიერი, ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანის იერი ჰქონდა. ქალებს კოტეს მოსვლა მანამდე არ შეუმჩნევიათ, სანამ ახლოს არ მივიდა და თიკოს გვერდით შეზლონგზე არ ჩამოჯდა:

– ერთობით, არა?! აი, თურმე, რა საქმე გქონდა.

თიკო შეკრთა, სათვალე მოიხსნა და კაცს შიშით შეხედა. კოტეს გაეცინა.

– რა დაფეთებული მიყურებ, ლენუკამ შეგაშინა?

– კარგი რა, ხომ იცი, შენი ცოლის ამბავი. მაგისი გაგიჟება გინდა? გეხვეწები, ცოტა ფრთხილად იყავი, რამე არ იეჭვოს.

– ჰმ, გითხარი, ცოტა შორს დაიჭირე თავი ლენუკასგან-მეთქი, მაგრამ შენ ვერ გაიგე. საყვარელიც გინდა და დაქალიც. ერთიერთს უნდა შეელიო.

– ნუ ლაპარაკობ ასე, ხომ იცი ჩემი დამოკიდებულება ლენუკას მიმართ.

– ჰა, ჰა, ჰა, ნუ მაცინებ... უცნაური დამოკიდებულება გაქვს, ღმერთმანი. ისიც არ მითხრა, რომ გიყვარს და პატივს სცემ.

– დიახ, რატომ გიკვირს? კაცებს ასეთი რამეები არ გესმით.

– ჰო, რა თქმა უნდა... ან, როგორ უნდა გავიგოთ. უცებ წარმოვიდგინე, მე რომ ემეგობრობდე კაცთან და იმან ლენუკა ჩაიწვინოს ლოგინში... მოვკლავდი ორივეს.

– გირჩევნია, გაჩუმდე, აქეთ იყურება.

ლენუკა წყლიდან ამოვიდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გარუჯულ სხეულზე, წვეთები უბრწყინავდა და კოტეს ძალიან სექსუალურად მოეჩვენა. დიდი ხანია, ცოლის მიმართ ისეთი ლტოლვა არ უგრძნია, სერიოზულად გაბრაზდა თიკოზე, რომელიც იმ მომენტისთვის მხოლოდ ხელის შემშლელი იყო.

– კოტიკ, საყვარელო, როგორ მოხდა, რომ ამოხვედი? – ლენუკა შეზლონგზე ჩამოუჯდა ქმარს და ზურგზე მიეხუტა: – მოგენატრე?!

თიკოზე და, ზოგადად, სიტუაციაზე გაბრაზებულმა კოტემ უხეშად უბიძგა ცოლს.

– ნუ მასველებ, იქით დაჯექი! – შეუღრინა გაღიზიანებული ტონით.

– არ მიკბინო და აღარ ვჩივი, – ტუჩი აიბზუა ლენუკამ, – ყველაფრის ხალისს დაუკარგავ ადამიანს. ძლივს შენი მოფერება მომინდა და ლამის შეზლონგიდან გადამაგდე. მერე კიდევ გწყინს, რომ შენთან დალაპარაკება არ მინდა.

– იმავეს თქმა შემიძლია შენზეც. იშვიათი ნიჭი გაქვს, ნერვები მოუშალო კაცს.

– ვაიმე, რა გინდა, ვერ გავიგე. ძალიან კარგად ვიყავით და შენც შეგეძლო, სახლში მარტო, მშვიდად ყოფილიყავი. რისთვის ამოხვედი?

– შენთან ყოფნა მომინდა, სხვა რისთვის ამოვიდოდი, სახლის დასალაგებლად ხომ არა?!

ლენუკამ უნდობლად შეხედა კაცს.

– რა ვიცი, რა ვიცი...

კოტე გაცხარდა:

– რა უნდა გელაპარაკო, სულელი ხარ! ხედავ აქ ჩემ გარდა ვინმეს? ჰო, საყვარელი ამოვიყვანე და საბარგულში მყავს ჩამალული... სახლში მივედი, მარიკამ მითხრა, რომ დარეკე და უთხარი, კოჯორში ვრჩებიო, მეც წამოვედი, საჭმელიც არ მიჭამია. რად გინდოდა, ეს რომ მოგყავდა? – ანიშნა თიკოზე, – ხელს რომ გვიშლის ვერ ხვდები?

– რა უცნაური ტიპი ხარ. რა ვიცოდი, თუ ამოხვიდოდი? საყიდლებზე გამყვა, დავცხა, დავიღალეთ და აუზში გაგრილება გადავწყვიტეთ.

რატომ არ დამირეკე?

– შენ რატომ არ დამირეკე? – კითხვა შეუბრუნა ცოლმა, – მე ტყუილად მაბრალებ... გშია?

– დავუშვათ, მშია... რას შემომთავაზებ? სუში გიჭამიათ უკვე.

– მაცივარში გაყინული პიცაა და ახლავე შევაგდებ „მიკროვალნოვკაში“.

– მიდი... ამას რომ უთხრა, სახლში წავიდეს? ტაქსის გამოვუძახებ... – ხმადაბლა უთხრა კოტემ.

– ჩუ, გაიგონებს, სირცხვილია.

– გაიგონოს მერე! სირცხვილი ისაა, ჩემს ცოლთან რომ მინდა განმარტოება და მურმანის ეკალივით არის გამოჩხერილი.

– ვაიმე, გაიგონებს-მეთქი! – წარბი ასწია ლენუკამ, – წავალ, პიცას გავაცხელებ. თიკო, მოგშივდა?

– არა. მე უნდა წავიდე. ახლა გამახსენდა, გადაუდებელი საქმე მაქვს და თბილისში უნდა ჩავიდე. თქვენ დარჩით, – თიკო ადგა და თავისი ნივთები მოხვეტა.

ლენუკა შეწუხდა:

– როგორ წახვალ? გინდა, ჩემი მანქანა წაიყვანე?

– რისთვის? ახლავე ტაქსის გამოვუძახებ, – კოტემ მობილური აიღო და დარეკა: – ტაქსის გამოძახება გვინდა კოჯორში... ოც წუთში აქ იქნება? ძალიან კარგი... დიახ, ამ ნომერზე დარეკეთ... ესეც ასე, ოც წუთში აქ იქნება...

– ჩავიცვამ, – თიკო სახლში შევიდა. ლენუკამ გახედა და ქმარს მიუბრუნდა:

– გაიგონა ამან ყველაფერი და იმიტომ მიდის, თორემ, დარჩენას აპირებდა. ცუდად გამოგივიდა.

კოტემ მხრები აიჩეჩა.

– მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა. ტაქსის ფულს მივცემ და ეგ არის... ისე, იქნებ მართლა აქვს საქმე, შენ რა იცი?!

ლენუკამ ამოიოხრა.

– ვიღაცა ჰყავს, იცოდი?

– არა, საიდან? – არ შეიმჩნია კოტემ, – ვინ?

– არ მითხრა. ფულიანია ვიღაც, მეტი არაფერი ვიცი... ფაქტია, ცოლად არ მიჰყვება. შეიძლება, ცოლიც კი ჰყავს.

– ოჰო, ლენუკა, შენ რომ არ გევასება ისეთი ქალები, ცოლიან კაცებთან რომ დადიან?! – გაეხუმრა კოტე.

– შენი ირონია უადგილოა. მთავარია, ჩემს ქმართან არ დადის. ნუ, თუ გავიგე, რომ ცოლიანი კაცის საყვარელია, ვეტყვი ჩემს




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**☎: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

სათქმელს, მაგრამ, დაქალთან ურთიერთობას არ გავიფუჭებ.

კოტემ მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი:

– ანუ, მთავარია, შენსას არ შეეხოს და სხვისი გაუბედურება ფეხებზე გკიდია, ხომ?

– კოტე, გეყოფა, არც შენ გაწუხებს კაცობრიობის პრობლემები. ჩუმად იყავი, მოდის უკვე.

კოტემ საფულიდან ოცლარიანი ამოიღო და თიკოს გაუწოდა.

– გამომართვი და ტაქსიში გადაიხადე.

– არ მინდა, ფული მეც მაქვს, – იუარა თიკომ, კაცს წყრომით შეხედა, ლენუკას აკოცა და უკანმოუხედავად გაიხურა ჭიშკარი.

– ეწყინა, – ჩაილაპარაკა ლენუკამ.

– არა უშავს. მთავარია, შენგან არ სწყენია, და მე როგორმე გადავიტან ამას, – ჩაიცინა კოტემ.

– რა საზიზღარი ხარ. გავაცხელო პიცა?

– რა დროს პიცაა, მოდი აქ! – კოტემ ცოლს წელზე შემოხვია ხელები და მკერდზე დააცხრა.

– გაგიჟდი? ტანის გამშრალება მაინც მაცალე, რა გჭირს დღეს? – გაეცინა ლენუკას, მაგრამ ქმრისთვის წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. თმაში შეუცურა გრძელი, მოვლილი, ძვირფასი ბეჭდებით დახუნძლული თითები და თვალები მინაბა.

– რა მჭირს და მინდიხარ... ოღონდ აღარაფერი თქვა, საერთოდ გაჩუმდი და მომეცი საშუალება, სიამოვნება მივიღოთ...

***

სანდრომ შეწუხებულმა შეხედა ასლუკუნებულ გოგოს და ხელსახოცი გაუწოდა.

– სილვია, ძალიან გთხოვ... ვერ ვიტან ქალის ცრემლებს, მით უფრო, რომ სატირალიც არაფერია... მე ხომ არაფერს დაგპირებივარ...

გოგომ ხელსახოცი ბრაზით დაჭმუჭნა და იყვირა:

– დამპირებიხარ? რას უნდა დამპირებოდი? ერთად ვიყავით, მშვენიერი სექსი გვქონდა, ახლა მოდიხარ და მეუბნები, ველარ შეგხვდებიო, თან, მიზეზის ახსნაც არ გინდა... გამაგებინე, რა მოხდა, აღარ გინდივარ?

– რა შუაშია, აღარ მინდიხარ... უბრალოდ, სწავლას მინდა მივხედო, ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ ამისთვის ჩამოვედი... მამაჩემმა დამირეკა და მეჩხუბა. პრინციპში, მართალია. ორი საგანი საერთოდ ჩაუბარებელი დამრჩა... ან გამრიცხავენ, ან ისეთ ჯარიმას დამაკისრებენ, მშობლები გამიგიჟდებიან. დრო მჭირდება, გესმის? სახლში უნდა ჩავიკეტო და ვიმეცადინო.

სილვიამ დამცინავად შეხედა ბიჭს და ცრემლნარევი სიცილი აუტყდა:

– მატყუებ და ეგ კიდევ უარესია. პირდაპირ რატომ არ მეუბნები, რომ სხვა გოგო გყავს? გამბედაობა არ გყოფნის? ასეთი ლაჩარი ხარ? მე კი სხვანაირი მეგონე და ამიტომაც მომეწონე. იცოდე, ასე მშრალად ვერ გამოძვრები.

სანდრო შეცბა და სცადა, აწიოკებული გოგო როგორმე დაემშვიდებინა:

– საიდან მოიტანე, რომ სხვა მყავს? რა სისულელეა, არავის არ ვხვდები, მართლა. ქალებმა რატომ იცით ასე – საკმარისია, კაცმა გითხრათ, ცოტა ხანს ვერ შეგხვდებიო და მაშინვე იმას ფიქრობთ, რომ სხვა გაიჩინა... სილვია, ძალიან კარგი გოგო ხარ და კიდევ უფრო კარგი იქნები, თუ ახლა გამიგებ. შენთან ნორმალური ურთიერთობა მინდა. არ შეიძლება, მეგობრებად დავრჩეთ?



სილვიამ ხელი ხელს შემოჰკრა და თვალები ავად აუელვარდა:

– ანუ, იდიოტი ვარ – შენი სიტყვები ამას ნიშნავდა... წუთის წინ მეუბნებოდი, ცოტა ხანს ვერ შეგხვდებიო და ახლა მეუბნები, კარგი იქნება, თუ მეგობრებად დავრჩებითო...

– სილვია, მომისმინე...

– არა, არ მოგისმენ, ისედაც ყველაფერი გასაგებია და გეტყვი, რომ საზიზღარი, უსინდისო კაცი ხარ. თუ გგონია, შენზე დარდით თავს მოვიკლავ და გამოგეტირები, ძალიან ცდები. ერთი ჩვეულებრივი, სულმდაბალი არარაობა ხარ, რომელიც არც ერთი ქალის ცრემლად არ ღირს.

– მეც სწორედ მაგის თქმა მინდა, რომ არ ვღირვარ ცრემლებად.

– მართლა? როგორი იშვიათი გულახდილობაა... იცი, რას გეტყვი? მე იმას ვერ ვიტან, რომ მატყუებ – თვალებში მიყურებ და ცდილობ, გამასულელო...

– არ გატყუებ, გეფიცები. მართლა, ძალიან ბევრი საქმე მაქვს...

– ფეხებზე მკიდია, საქმე გაქვს თუ არა. არ გაპატიებ, ჩემს ასე მასხრად აგდებას... ვნახოთ, თუ მართლა არავინ გყავს, იქნებ შევძლო მომავალში შენთან ურთიერთობა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია – ოდესმე შენც აუცილებლად აღმოჩნდები ჩემს მდგომარეობაში.

– სილვია...

– კარგად ბრძანდებოდე, შენი დანახვა აღარ მინდა! არც შენმა გამოსირებულმა ძმაკაცმა დამირეკოს, გააფრთხილე. დარწმუნებული ვარ, იმან დაგარიგა, როგორ უნდა გელაპარაკა ჩემთან...

– სილვია... მე შენთვის ერთხელაც არ მითქვამს, რომ მიყვარხარ! – შეწუხებული სანდრო გოგოს შეჩერებას შეეცადა, მაგრამ, სილვიამ უხეშად ჰკრა ხელი.

– „არ მითქვამს, რომ მიყვარხარ!" – გამოაჯავრა ტუჩების დამანჭვით, – არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი... მაგრამ აქამდე ჩემს ყველა შეყვარებულს მე ვტოვებდი... შენ კიდევ ინანებ ამას... – ამ სიტყვებით სილვიამ მაგიდაზე მდგარ ჭიქას ხელი დაავლო, იატაკს გამეტებით დაანარცხა და ბარიდან უკანმოუხედავად გავარდა...

სანდრომ შემცბარმა მიმოიხედა – ბარში მყოფთა უმრავლესობა მას უყურებდა. უხერხულობის დასაფარავად ჩაიმუხლა და ჭიქის ნამსხვრევების აკრეფა დაიწყო...

– ქარიშხალი დაგატყდა თავს?

სანდრომ თავი ასწია – ტომასი იდგა და დამცინავად იღიმებოდა.

– შენლა მაკლდი, – ჩაილაპარაკა სანდრომ.

– რა იყო, ჭიქა დაგაფშვნა თავზე?

– რა გაცინებს... იცი, რა ამბავი ატეხა? შეურაცხადივით მოიქცა. ჭიქა დაანარცხა იატაკზე და მთელი ხმით ყვიროდა. ვერაფრით ვერ დავამშვიდე. სხვათა შორის, შენზე თქვა, გამოსირებულიაო.

– აუჰ, მოვკვდები ნერვიულობით. ის უფრო საინტერესოა, შენზე რა თქვა.

სანდრომ ხელი ჩაიქნია:

– რა მნიშვნელობა აქვს? ვერაფერი გავაგებინე.

– ვერ გაიგებდა, რა თქმა უნდა. ხომ გეუბნებოდი, ყველა ქალი ქალია-მეთქი? ნუ გგონია, რომ ამით დამთავრდა ყველაფერი. ეგ დამსხვრეული ჭიქა მონაგონი იქნება, თუ სილვიამ დიანასთან ერთად დაგინახა.

სანდრომ ამოიოხრა:

– აბა, რა ვქნა? სულ რომ არ დავლაპარაკებოდი, უარესი იქნებოდა.

– მაინც, რა უთხარი?

– ცოტა დრო მჭირდება, სწავლას უნდა მივხედო-მეთქი და, გადაირია, რას მასულელებო.

– მართალია, ეგ რამ გათქმევინა?! – ხელები გაშალა ტომასმა.

– აბა, ის მეთქვა, დიანას რომ ვხვდები?

– არა, მაგას ვინ გეუბნება. ისე უნდა მოქცეულიყავი, რომ თავად წასულიყო შენგან.

– ბრძენი ხარ, ტომას, ბრძენი... შენ, რა თქმა უნდა, ასე მოიქცეოდი.

– რა თქმა უნდა... სილვია ლამაზია და, შესაბამისად, პატივმოყვარეც, შენ კი ისე მოექეცი, როგორც მობეზრებულ ნივთს...

– რა სისულელეა... სილვიას მიმართ პატივისცემის განცდა კი არ დამიკარგავს.

– ეგ საერთოდ არ აინტერესებს სილვიას, ფეხებზე ჰკიდია, რას განიცდი. მან იცის, რომ გვერდზე მოისროლე – აღარ გჭირდება... მიკვირს, ეგ ჭიქა საერთოდ თავში რომ არ ჩაგარტყა.

სანდრომ ნაძალადევად გაიღიმა:

– არა უშავს, გაუვლის...

ტომასმა ეჭვით გადააქნია თავი:

– იმედი კარგი რამეა, მაგრამ... წარმოდგენაც არ მინდა, რას იზამს სილვია, შენი და დიანას ურთიერთობის ამბავს თუ გაიგებს.

– ჰო, მაგაში გეთანხმები. იმიტომაც მინდა, მალე წავიდე აქედან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა**: **ვერაფრით ვერ გავზარდე კალათეა. მაინტერესებს მიზეზი ან მირჩიეთ, რა პირობები შევუქმნა, რომ გაიზარდოს?**

**პასუხი:** კალათეა უნდა მოარიდოთ ორპირ ქარს. ამ მცენარეს არ მოსწონს სიცხე და სიმშრალე. თუ მზის გულს მოარიდებთ და ფესვებს ხშირად დაუტენიანებთ, კალათეა მშვენივრად გაიზრდება და პრობლემებს აღარ შეგიქმნით. სიხასხასის შესანარჩუნებლად ხშირად გაუწმინდეთ ფოთლები. წმენდისას გაითვალისწინეთ, რომ მცენარე უნდა ამოაყირავოთ და ფოთლები წყლიან ჯამში გაავლოთ.

**კითხვა**: **რომელ მცენარეს მირჩევთ ჩაბნელებულ ადგილას დასადგმელად?**

**პასუხი:** ერთი შეხედვით, შეიძლება, შეუძლებელი გეჩვენოთ ისეთი მცენარის პოვნა, რომელიც ბინის იმ მონაკვეთში გაიხარებს, სადაც განათება სუსტია ან სულ არ არის, მაგალითად, კიბის ქვეშ ან ჰოლში. ზოგიერთი დიდი და მუქი ფოთლების მქონე მცენარე მიჩვეულია ბუნებაში მაღალ მეზობლებთან ცხოვრებას, ამიტომ, ის მშვენივრად ერგება ოთახის ჩაბნელებულ კუთხეებს. ასეთი მცენარეებია: დრაცენა, ასპიდისტრა, ადიანტუმი და მონსტერა.

**კითხვა**: **როდის და რისთვის არის საჭირო ნერტერას დანამვა?**

**პასუხი:** დანამვა საჭიროა მცენარის ნაყოფის განვითარებამდე – ეს ტენს უფრო მოუმატებს, რაც ხელს შეუწყობს ნერტერას ყვავილობასა და კენკრის სწრაფად დამწიფებას. ყვავილობის პერიოდშიც, განსაკუთრებით კი – ზაფხულში, მცენარის ნიადაგი ტენიანი უნდა იყოს.

**კითხვა**: **იოლად იტანს თუ არა მანდევილა სიმშრალეს?**

**პასუხი:** მანდევილას ნიადაგი არასდროს მშრალი არ უნდა იყოს, ამიტომ, ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ. მას მიწა ყოველდღიურად უნდა შეუმოწმოთ, რომ არ გამოუშრეს. მართალია, ზამთარში იშვიათად სჭირდება მორწყვა, მაგრამ ნიადაგი ამ დროსაც არ უნდა იყოს მშრალი. ტენი მანდევილას მარადმწვანე ფოთლების შენარჩუნებაში უწყობს ხელს.

**კითხვა**: **ფინიკის პალმაზე ჩრდილი ცუდად ხომ არ მოქმედებს? ვამჩნევ, რომ კარგად ვერ ხარობს.**

**პასუხი**: თუ თქვენ ჩრდილში გიდგათ ფინიკის პალმა, ის მართლაც, ვერ გაიხარებს. მისი გამძლე ფოთლები მზეს იტანს, მაგრამ ჩრდილს – ვერა, ამიტომ, კარგად განათებულ ადგილას უნდა დადგათ. გირჩევთ, ფინიკის პალმა ზამთრის ბაღში გადაიტანოთ.

**კითხვა**: **იქნებ ამიხსნათ, როგორ მოვუმატო მცენარეებს ტენიანობა და რომელი მიიჩნევა ყველაზე ტენიან ადგილად?**

**პასუხი:** საერთოდ, ტენიანობა ჰაერში წყლის შემცველობას ნიშნავს. ყველა მცენარეს იმდენი ტენი სჭირდება, რამდენსაც ის ბუნებრივ პირობებშია მიჩვეული. ტროპიკული ტყეების მცენარეს სიმშრალეში ფოთლები გაუხმება, ხოლო მშრალი კლიმატის მოყვარული მცენარე ზედმეტად ტენიან გარემოში დალპება. ოთახის მცენარეების უმეტესობა „ამტანია" და მათთვის ტენიანობის მომატება მხოლოდ მაშინ დაგჭირდებათ, როცა ცხელა. სააბაზანო ყველაზე ტენიანი ადგილია მაღალი ტენიანობის მოყვარული მცენარეებისთვის. ასევე, ტენიანობის მოსამატებლად, გირჩევთ, რამდენიმე მცენარე ჯგუფურად დადგათ – ასე მათ გარშემო შედარებით მაღალი ტენიანობა შეიქმნება, რადგან მცენარე ბუნებრივად აორთქლებს წყალს. აორთქლებით ტენიანობის გასაზრდელად ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით. ამ შემთხვევაში კარგია თუ კენჭების ფენა მცენარის სიგანეს გაუტოლდება. გაითვალისწინეთ, რომ წყალი კენჭებს არ უნდა ფარავდეს. ტენიანობას დანამვაც ზრდის, მაგრამ ამ გზით შედეგს რომ მიაღწიოთ, მცენარე დღეში რამდენჯერმე უნდა დანამოთ წყლით.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობთ, შეუძლია თუ არა, კერძო პიროვნებას დამოუკიდებლად ამოიღოს და რეალიზება გაუკეთოს ტბაში ჩაძირულ ჯართს, რომელიც დიდი ხანია, ჩაძირულია და არავის საკუთრებას არ წარმოადგენს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ამგვარი მოქმედების უფლება არ აქვს არც კერძო და არც იურიდიულ პირს, თუ მან, თავდაპირველად, არ აიღო საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და შიგა წყლებში ჩაძირული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯართისა და ფერადი ლითონის ამოღების ლიცენზია.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ უარი მეთქვა გარკვეული საქმიანობისთვის ლიცენზიის მოცემაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობას ვაკმაყოფილებ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება, საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება, გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში თანამდებობის პირთან ან სასამართლოში. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ, უარის თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

**კითხვა**: **დავკარგე სალიცენზიო მოწმობა. გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ არა, სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა გახდეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველი და როგორ მოვიქცე მოცემულ შემთხვევაში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში, ლიცენზიის გამცემი გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს და შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში. სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, გამოკითხვის ოქმის შედგენისას რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს პირის გამოკითხვის ოქმი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ გამოკითხვის ოქმში უნდა აისახოს გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, მის მიერ მიცემული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი.

# შეიძლება თუ არა ამორტიზატორების დატენვა

***ამორტიზაცია – დეტალი, რომელიც გზის საფართან, რაც შეიძლება, რბილად შეხებას უზრუნველყოფს. ამორტიზატორებთან დაკავშირებით, უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომელზეც ვრცლად მევლუდ მელაძე ისაუბრებს:*** დრო გადის, უამრავი რამ იცვლება და შესაბამისად, განსხვავებულია ავტომობილებისადმი მიდგომაც დეტალების შეცვლასთან, აღდგენებთან დაკავშირებით. ავტომობილის დეტალების გაფუჭების ციკლი კი იგივე რჩება, მით უმეტეს, თუ სავალ ნაწილშია განთავსებული. ამ შემთხვევაში, ავიღოთ უშუალოდ ამორტიზატორი. ამორტიზატორი, საბურავის შემდეგ, მნიშვნელობით პირველია. საბურავი არის ის, რაც ეხება ზედაპირს, ხოლო ამორტიზატორი – ზედაპირზე კარგ შეხებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზატორი გამოსულია მწყობრიდან, ავტომობილი კარგავს მანევრს, მით უმეტეს, თუ გზის ზედაპირი არ არის იდეალური – კატასტროფა ხდება ცუდ ზედაპირზე. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ იმდენი და იმდენნაირი ავტომობილი დადის ჩვენს ქვეყანაში, რომ კონკრეტულად, მისი ამორტიზატორი ხშირად რთული საშოვნელია. ამ შემთხვევაში, ამორტიზატორის შესაცვლელად მოგიწევთ, შეკვეთა ან „იბეი-დან" გამოწერა. თუ ოდნავ არაორდინარული, განსაკუთრებული მოდელი გყავთ, თუნდაც ძველი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ამორტიზატორის შეცვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ხშირად ვამბობ და ახლაც გავიმეორებ, ყოველდღიური მოხმარებისთვის შეიძინეთ ისეთი ავტომობილი, რომელიც ყველაზე მეტია შემოსული და მისი ნაწილები იოლად ხელმისაწვდომია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– და თუ ვერ ვიშოვეთ ახალი ამორტიზატორი, რა ვქნათ?**

– მაშინ მისი აღდგენა მოგიწევთ. ნებისმიერი ტიპის ამორტიზატორის აღდგენაა შესაძლებელი, თუმცა ძალიან ცოტა ხელოსანს შეუძლია საქართველოში ამის კარგად გაკეთება. ბევრი ხელოსანი იბრალებს, რომ ამორტიზატორს ხარისხიანად აღადგენს, მაგრამ რეალურად, ასე არ არის. მით უფრო, რომ აღსადგენად ისეთ დეტალებს იყენებენ, რაც იოლად ხელმისაწვდომია და შეიძლება, თქვენს ამორტიზატორზე საერთოდ არც მიდიოდეს. თავიდანვე უნდა იცოდეთ, რომ ნებისმიერი აღდგენილი ამორტიზატორი, ვერასდროს იმუშავებს ისე, როგორც ორიგინალი. კატასტროფაა, თუ ერთი ამორტიზატორი აღდგენილია და მეორე – ორიგინალი, მათი შესაბამისობაში მოყვანა, შეუძლებელია. დატენილი ამორტიზატორი, მით უმეტეს, თუ ჩქარა სიარული გვიყვარს, დამატებით საფრთხეს ქმნის. თუ მაინც გიწევთ ამორტიზატორის აღდგენა, მაშინ უმჯობესია, ორი წინა, ან ორი უკანა ერთდროულად მაინც აღადგინოთ. ვერც ისინი იქნება ერთნაირი, მაგრამ შედარებით უფრო უკეთ მოერგება ერთმანეთს, ვიდრე დატენილი და ორიგინალი. ამ დროს ავტომობილი უფრო კარგი სამართავია. არ გაგიკვირდეთ, თუ აღდგენილი ამორტიზატორის შემთხვევაში, ავტომობილი საერთოდ სხვანაირია – უფრო ხისტი ან შეიძლება, უფრო რბილიც, სხვანაირად უხვევს. ეს პირდაპირ უკავშირდება ამორტიზატორებს. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხელოსანი აღადგენს მას. ამიტომ, რისკის გაწევას, გირჩევნიათ, თუნდაც იაფიანი, დაბალი ხარისხის, მაგრამ ქარხნული ამორტიზატორი შეიძინოთ. ამ დეტალში, როგორც მინიმუმ, ის ქარხნული სტანდარტები მაინც იქნება გათვალისწინებული, რომელიც კონკრეტულად მოდელს სჭირდება. ძალიან ბევრი გათვლაა საჭირო, რომ ამორტიზატორი, ზუსტად მოერგოს ავტომობილს, ზამბარების, ავტომობილის სიმძიმისა და სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიდან გამომდინარე. მწარმოებელი დაიცავს ქარხნულ პარამეტრებს, რასაც ვერც ერთი, ძალიან მაგარი ხელოსანიც კი, ვერ დაიცავს ამორტიზატორის დატენისას.

**– შეიძლება, ამორტიზატორის რამდენჯერმე დატენა?**

– შეიძლება, მაგრამ მისი რეგულირება უფრო და უფრო გართულდება. ძალიან ძნელი იქნება იმის მიღება, რაც საბოლოოდ, ავტომობილში გჭირდებათ. ნამდვილ სპორტულ ავტომობილში ასეთი რამ დასაშვებია, რადგან არც სერვისის მექანიკოსს და არც პილოტს, არ ეზარებათ მისი რამდენჯერმე მოხსნა და სპორტსმენზე მორგება. მაგრამ, თუ მძღოლი გამოუცდელია, ვერაფრით მიუთითებს, რა სჭირდება ამ ამორტიზატორს – დარბილება, გაუხეშება, ზიგზაგის სხვანაირად აღქმა... რომც მიუთითოთ, ძალიან ცოტა ხელოსანი შეძლებს თქვენი „კაპრიზების" დაკმაყოფილებას. ერთი სიტყვით, ეცადეთ, რაც შეიძლება, ნაკლებად შეცვალოთ ამორტიზატორი. რაც შეეხება ნახმარი ამორტიზატორის შეძენას, ის საკმაოდ მარტივად ისინჯება – ჩაწიეთ ბოლომდე და შეეცადეთ, ძალიან მკვეთრად ამოსწიოთ უკანვე. ამოწევისას, ის უნდა შეფერხდეს. ანუ, ქვემოთ ჩაწევა გაცილებით იოლად უნდა ხერხდებოდეს, ვიდრე ზემოთ ამოწევა. თუ პირიქით ხდება, ან ერთნაირად ჩადის და ამოდის – ეს ნიშნავს, რომ ის არ ვარგა. თუ დაყენებისას სითხემ გამოჟონა, ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ამორტიზატორი კარგია.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რა ინფექციაა გავრცელებული წელიწადის ამ დროს?**

**პასუხი:** ზაფხულის პერიოდში აქტიურდება კუჭ-ნაწლავის ინფექციები, განსაკუთრებით ენტეროვირუსები, რადგან ხშირია საკვებით მოწამვლა, რაც ვირუსული ინფექციების განვითარების პროვოცირებას ახდენს. ამ პერიოდისთვის, ასევე აქტიურდება სხვა ინფექციებიც. ამიტომ, აუცილებლად უნდა აცრათ თქვენი ოთხფეხა მეგობრები ვირუსული და ბაქტერიული ეტიოლოგიის დაავადების საწინაღმდეგო ვაქცინით. სასურველია, გამოიყენოთ მსოფლიო წამყვანი ბრენდების მიერ მოწოდებული ვაქცინები.

**კითხვა: თუ შეიძლება, მითხარით, ზაფხულის პერიოდში, კვებასთან დაკავშირებით თუ უნდა შევცვალოთ რამე?**

**პასუხი:** ამ პერიოდისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვებას. რაც მთავარია, საკვები ახალი უნდა იყოს, რადგან სიცხეში ადვილად ფუჭდება. სასურველია, ცხოველს მისცეთ ნაკლებად ცხიმიანი საკვები. ამ პერიოდში ზოგიერთი ძაღლი ნაკლებს ჭამს, რაც ნორმალურია და ნუ შეგეშინდებათ, რადგან სიცხეში ორგანიზმი ნაკლებ ენერგიას მოიხმარს, მოძრაობაც შეზღუდულია. ძაღლს უჭირს სითბოს გაცემა და ამიტომ ნაკლებს მოძრაობს და შესაბამისად, ნაკლებ ენერგიასაც მოიხმარს. გამომდინარე აქედან, საკვებიც ნაკლები სჭირდება. ნახარშები და მალფუჭებადი პროდუქტები სიცხეში განსაკუთრებით უნდა შეზღუდოთ, რომ თავიდან აიცილოთ საკვებისმიერი ინტოქსიკაციები.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ხშირად იფხანს სხეულს. დავათვალიერე და რწყილები არ ჰყავს. რისი მიზეზი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** ქავილი არ არის აუცილებელი, რწყილების და ზოგადად, ექტოპარაზიტების მიერ იყოს გამოწვეული. ქავილი შეიძლება, სხვადასხვა დაავადების სიმპტომიც იყოს. იმისთვის, რომ გაარკვიოთ, რა არის ქავილის მიზეზი, დაუყონებლივ უნდა მიიყვანოთ ძაღლი ვეტერინართან, რომელიც აუცილებლად გაარკვევს ქავილის მიზეზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას, მოგცემთ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას.

**კითხა: ქალაქიდან ვაპირებთ მთელი ოჯახი გასვლას და ძაღლიც უნდა წავიყვანოთ. გზას დაახლოებით, 5 საათი სჭირდება. რას მირჩევთ, როგორ ვამგზავროთ ცხოველი, დისკომფორტი რომ არ შეექმნას?**

**პასუხი:** მგზავრობა დისკომფორტს უქმნის ცხოველებს, რადგან ძაღლებიც განიცდიან ტრანსპორტის დაავადებას. მგზავრობის დროს, სასურველია, ძაღლი მშიერი იყოს და გზაში წყალი აუცილებლად დაალევინოთ. ასევე, რამდენიმე ადგილას შეაჩერეთ მანქანა და დაასვენეთ ძაღლი. სასურველია, ცხოველი მგზავრობის დროს ისე მოათავსოთ, რომ თავისუფლად გრძნობდეს თავს – ხედავდეს გზას, საითაც მიემგზავრებით. ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, რომ მანქანის ფანჯრიდან შემოსული ქარის ნაკადი პირდაპირ ცხოველს არ ურტყამდეს. ამან შეიძლება, სხვადასხვა გართულება გამოიწვიოს. მაგალითად, გაციება, ყურის ანთება, კონიუქტივიტი და ასე შემდეგ.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №29-30(709)**

ამ ტიტანი კაცის სიტყვები, რომლებიც მაშინ დაუჯერებლად მეჩვენებოდა, სრული სიმართლე აღმოჩნდა. რაღაც „წვრილ-წვრილი“, დამღლელი პროცედურების შემდეგ, როცა პირველად გაყინულ წყალში ჩავედი, აუტანელი სიცივის შეგრძნება დამეუფლა. მერე ტკივილი და ჩხვლეტა ვიგრძენი მთელ სხეულში. ცოტა ხანში ძილი მომერია და გულისცემა და სუნთქვა შემინელდა. ცხვირპირზე მაშინვე სასუნთქი მომაკრეს, რომლითაც შედარებით თბილ ჟანგბადს ვსუნთქავდი. პირველმა პროცედურამ მხოლოდ 3 წუთს გასტანა, რადგან ვიგრძენი, როგორ მეწყებოდა სიცივისმიერი ნარკოზის მდგომარეობა... მაგრამ ორთვიანი ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ ჩემმა რეკორდმა 20 წუთი შეადგინა.

– საკმარისია! – გადაწყვიტა ჩემმა მწვრთნელმა ნიკოლასმა, თუმცა კვირაში ერთხელ ყინულოვანი აბაზანები მაინც დამინიშნა. რაც მთავარია, როცა აუზიდან ამოვდიოდი, მთელი სხეული მართლაც მიხურდა, თითქოს ფინურ აბანოში მოვხვედრილიყავი... ამიტომ ნიკოლასის ძალიან მადლობელი ვარ, რომ სიცივის შეგრძნება შარშანდელი თოვლივით გამიქრა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თბილი შხაპი ნაზი ქალბატონების საქმეა და მამაკაცები მხოლოდ ცივზე ცივ წყალში უნდა ბანაობდნენ.

***

რუსეთის ცის ბაცმა მზემ ჩემს საძინებელში ჩამოიხედა. მთელი ღამე მკვდარივით მეძინა და დილის 10 საათი იქნებოდა, საწოლიდან რომ წამოვდექი. სააბაზანოდან სამზარეულოსკენ ავიღე გეზი. როგორც მიხაილმა მითხრა, ყველაფერი ადგილზე დამხვდა... ჩაიდანი გაზქურაზე დავდგი, თუმცა კოლუმბიური ყავის კოლოფსაც მოვკარი თვალი, მაგრამ ყავადანისკენ არც კი გამიხედავს...პურის ნაჭერი ჩამოვჭერი, რუსული მოყვითალო კარაქი გადავუსვი დანით და შვეიცარიული ყველის დიდი ნაჭერი დავადე. მსუყე საუზმეს ბავშვობიდან მიმაჩვია დედამ. ის-ის იყო, მოზრდილი ბუტერბროდი პირისკენ გავიქანე, რომ კარზე მელოდიური ზარი დაირეკა. უსიამოვნოდ დავიჯღანე, ნეტავ, ვინ უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე და კარისკენ გავემართე. გზაში გამახსენდა, მიხაილმა რომ მითხრა, ხვალ „კოსმოპოისკის“ თანამშრომელი ნასტია კოვალენკო გეწვევაო, მაგრამ სათვალთვალო ჭრილში მაინც გავიხადე – კარს მიღმა ქალის ნაზ პროფილს მოვკარი თვალი.

– ანასტასია კოვალენკო ვარ, – გაისმა მაღალი, წკრიალა ხმა, როცა საკეტი გავწიე და კარი ფართოდ გავაღე.

ჩემ წინ არცთუ გემოვნებით ჩაცმული, მაგრამ საკმაოდ ლამაზი ქალი იდგა... 26-საც არ მისცემდი; შავი თმა მხრებამდე სცემდა, შავი თვალებით დაკვირვებით შემათვალიერა და, სანამ ვიტყოდი – მობრძანდი-მეთქი, უკვე ნაბიჯი გადმოდგა.

– ალექსანდრ ორლოვი, – გავუღიმე და დაველოდე, როდის გამომიწვდიდა ხელს.

– რუსს არც ისე ძალიან ჰგავხართ, – გაეღიმა ნასტიას.

– არც თქვენ.

– მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, – როგორც იქნა, ხელი გამომიწოდა.

– მე უფრო მოხარული ვარ, – ვუთხარი და გავიფიქრე, – „ეს სახე სადღაც მინახავს!“

– სახლში არ შემიშვებთ, – ღიმილით ამომხედა ნასტიამ.

– სახლშიც და გულშიც, – გავეხუმრე და გვერდით ჩავიწიე.

– ჩვენ შორის ფლირტი არ შეიძლება! – თითი მაღლა შემართა ნასტიამ და ჩემს გასაკვირად პირდაპირ მისაღებისკენ გაემართა, ისე, თითქოს იმ ბინაში პირველად არ იყო. ჩანთა მხრიდან მოიხსნა, იატაკზე დადო და სავარძელში მოკალათდა.

– ჯერ არ მელოდით, – ოდნავ დამაბნია მისმა მხიარულმა საქციელმა, – ალბათ, არ გისაუზმიათ...

ეს-ესაა, ვაპირებდი...

– ჰოო? მაშინვე წამოდგა და ღიმილით მომაჩერდა. – მაშინ ერთად ვისაუზმოთ! რა გაქვთ?

– არ ვიცი... – უარესად დავიბენი, – მაცივარი კარგად არ დამითვალიერებია... რამეს მოვძებნი.

– არა, თქვენ – არა, მე „მოვძებნი“, – მითხრა ირონიით და სამზარეულოსკენ გაემართა.

„ეს აქ პირველად არ არის“, – გამკრა გულში და უსიტყვოდ ავედევნე. ნასტიამ მაღალი, ორკამერიანი მაცივრის ორივე კარი გამოაღო.

– ნახეთ, რამდენი დასახელების პროდუქტია! თქვენ კი „უნიჭო“ ბუტერბროდი მოგიმზადებიათ, – გვერდულად გადახედა ჩემს კულინარიულ „შედევრს“, მერე მაცივრიდან პროდუქტი გამოალაგა და გაზქურა ჩართო. ისე შეუდგა საქმეს, თითქოს იმ ბინაში დიასახლისი ყოფილიყო. ცოტა ხანში მაგიდაზე ბრინჯის ომლეტი, შემწვარი თევზი და ორი სახის სოუსი ეწყო.



– თურმე საუზმე შესანიშნავი საშუალება ყოფილა ახალ თანამშრომლებთან და კომპანიებთან მეგობრული კავშირის დასამყარებლად, – ვთქვი და კონიაკის ჭიქებს წავეტანე.

– თუმცა, საუზმეზე ალკოჰოლიან სასმელს არავის სთავაზობენ, – თვალით ჭიქებისკენ მიმანიშნა.

– რა თქმა უნდა, რა საჭიროა, როცა მთელი დღე წინ არის...

– გაჩუმდით და მიირთვით! – „მიბრძანა“ და თევზის ფილე გადმომიღო თეფშზე. მივხვდი, რომ ნასტია მე „მომამაგრეს“, როგორც ცოლი ან საყვარელი... ეს კი შესანიღბავად იყო საჭირო. კითხვა თავში აღარ დამეტია და ვკითხე კიდეც.

– თქვენ ჩემი ცოლი იქნებით, საყვარელი თუ...

– თუ! – მიპასუხა ლაკონურად და დააყოლა. – ჩვენ ახლო მეგობრები ვიქნებით.

– ანუ?!

– ანუ თქვენი გერლფრენდი ვიქნები, – კვლავ დააკონკრეტა, – მაგრამ – სხვების თვალში! ჩვენ ორ შორის კი მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა უნდა იყოს. გასაგებია?

– აბსოლუტურად! – დავეთანხმე და მუშტრის თვალით ავათვალიერე, – ესე იგი, გემოვნება მქონია. მე კი თავიდან მეგონა, რომ ჩემს შეფად მოგამაგრეს. თუმცა, არც ეს იქნებოდა ურიგო.

ნასტიამ წინიდან თეფში ამაცალა და მაგიდის ალაგებას შეუდგა. მერე სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

– დავალება მაქვს, „სახალხო ტაძარში“ თქვენს „ადაპტაციას“ შევუწყო ხელი.

– გასაგებია. მაშ ასე, გისმენ – დღეს რა გეგმები გვაქვს?

– დღეს სიტუაცია უნდა შეისწავლოთ.

– როგორ?

– საღამოს წვეულებაზე ვარ დაპატიჟებული. იქ, როგორც ჩემი მეგობარი, რომელიც ინტერნეტით გავიცანი, ისე უნდა წარგადგინოთ.

– რადგან ასეა, დროა, შენობით მომმართოთ. აქ თუ არ გავარჯიშდი, შესაძლოა, იმ წვეულებაზეც წამოგცდეს „თქვენო“ და იმწამსვე გავიშიფრებით.

– კარგი, ალექსანდრ, – გაეღიმა ნასტიას.

– ესე იგი, იმ წვეულებაზე შემიძლია, უფრო „შინაურულად“ მოგექცე? – თვალები მოვწკურე და ნასტიას გადავხედე, – იმედი მაქვს, შენც„ თბილად“ მომეპყრობი.

– ძალიან გულმავიწყი ყოფილხარ! ხომ გითხარი, ჩვენ შორის ფლირტი დაუშვებელია-მეთქი!

– ასეთი ინსტრუქცია არ მიმიღია, – ოდნავ ვიწყინე და სერიოზული სახით დავაყოლე: – მაგრამ, თუ ასე გინდა, ასე იყოს!

– ახლა ხომ მიიღე „ასეთი ინსტრუქცი-

ია“! – გაიღიმა, რათა ოდნავ შეერბილებინა მკაცრი სიტყვები.

– დიახ!

– ჰოდა, დამშვიდდი.

დამშვიდდი – ადვილი სათქმელია... ასეთი ლამაზი ქალი შეუგზავნო იმ მამაკაცს ბინაში, რომელსაც ერთწლიანი წვრთნისა და სამხედრო წესების ვარჯიშების მეტი არაფერი გაუკეთებია! მაგრამ, რას ვიზამდი, ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც მეკადრებოდა და ჩემი სამხრეთული ტემპერამენტი მომეთოკა, რომელსაც ჩრდილოპოლარულ წრესთან გატარებულმა ცივმა ზამთარმაც ვერაფერი დააკლო. ამიტომ, სერიოზული გამომეტყველება მივიღე და ნასტიას ვკითხე.

– ახლა საქმეზე გადავიდეთ: რა ჯურის საზოგადოება დაგვხვდება იმ წვეულებაზე და რა სტილის სამოსი უნდა ჩავიცვა.

ნასტიას ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაუკრთა თეთრყირმიზ სახეზე, თუმცა შეეცადა, თვითონაც სერიოზული ყოფილიყო.

– ეს ჩვეულებრივი რუსული „ტუსოვკაა“, რომელზეც ჩვენი სამიზნის – „სახალხო ტაძრის“ „წითელი კარავის“ 15-კაციანი ელიტჯგუფის ერთ-ერთი წევრიც იქნება. მასთან ახლო ურთიერთობაში შესვლა და ამ სექტაში, მერე კი – „წითელ კარავში“ მოხვედრაა ჩვენი უპირველესი მიზანი პირველ ეტაპზე. ახლა ჩაცმის სტილს რაც შეეხება – დრესკოდი არ არსებობს, რაც გნებავს, ის ჩაიცვი, ოღონდ არც ძალიან ექსტრავაგანტურად და არც – ძველმოდურად. სიტყვა „ქსტრავაგანტურზე“ გამეცინა, რადგან ასე ჩაცმულ მამაკაცს ისე ვუყურებდი, როგორც ფერადი ბუმბულით მორთულ ჯორს.

– ესე იგი, უნდა ჩავიცვა ისე, როგორც ინგლისიდან ჩამოსულმა ეროვნებით რუსმა, რომელსაც ჭიპი აქვს მოჭრილი ლონდონში.

– დიახ, სწორედ ასე.

– კარგი. ვიცი, რაც უნდა მოვირგო – თანამედროვეობის კლასიკა!

– ესე იგი, შევთანხმდით!

– რა თქმა უნდა!

– საქმე და მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა!

– ვნახოთ! – მაინც ვერ შევიკავე თავი და ამით ნასტიას ზომიერად მწყრალი გამოხედვა დავიმსახურე. ამიტომ, ორივე ხელი დანებების ნიშნად ავწიე და სწრაფად დავაყოლე, – ვიხუმრე!

***

საღამო ოდნავ გრილი იყო. მოსკოვური. ბინდი ჩამოსწოლოდა ქალაქს. გამიჭირდა მანქანებით გადატვირთულ და ჩემთვის აბსოლუტურად უცხო ქუჩებსა და პროსპექტებზე მანქანით მოძრაობა. საღამოს 9 საათი იქნებოდა, როცა მიხაილის დატოვებული „ჯიპი“ ნასტიას მითითებით ერთ-ერთ კლუბთან შევაჩერე და გასაღები იქვე მდგომ სადგომის ფორმიან ბიჭს მივაწოდე. ის მაშინვე საჭეს მიუჯდა და მიჯრით მიწყობილი მანქანების რიგისკენ გააგორა ჩემი შავი „ნისანი“. ნასტია, რომელიც სულაც არ ჰგავდა იმ უბრალოდ ჩაცმულ ქალიშვილს, ამ დილით რომ „კოსმოპოისკის“ თანამშრომლად გამეცნო, თავდაჯერებულად გაემართა შესასვლელისკენ. მეც უკან მივყევი. „არა, ეს სახე ძალიან მეცნობა, მაგრამ საიდან?“ – კვლავ მეხსიერება დავძაბე, მაგრამ უშედეგოდ.

საკმაოდ დიდი შესასვლელიდან პირდაპირ აგუგუნებულ დარბაზში მოვხვდით. მაშინვე თვალში მომხვდა იქ მყოფი საზოგადოების სიჭრელე და მათი გადაჭარბებულად ეიფორიული განწყობა. ალბათ, მთელ იმ „ანტურაჟში“ მე და ნასტია თეთრი ყვავებივით მოვჩანდით.

– ნასტია! – მხიარული სახით გამოემართა ჩვენკენ არცთუ ახალგაზრდა და არცთუ ლამაზი ქალი, რომელსაც ასაკით მასზე ბევრად უმცროსი კაცი გამოჰყვა გვერდით, თითქოს მისი პირადი მცველი ყოფილიყო.

– ვერა ობრაზცოვა! – წარმომიდგინა ნასტიამ ქალბატონი და ახლა იმას მიუბრუნდა:

– ალექსანდრ ორლოვი, ჩემი მეგობარი.

ვერამ თავიდან ფეხებამდე მოურიდებლად ამათვალ-ჩამათვალიერა და, როცა მისმა „ყმაწვილმა“ ხელი ჩამომართვა და მორიდებულად ჩაილაპარაკა: სერგეი მირონოვიო, ნასტიას მიუბრუნდა.

– შენი მეგობარი მოსკოველი არ ჩანს, არა?!

– არა... ის ახლახან ჩამოვიდა ლონდონიდან. წარმოშობით რუსია, მაგრამ აქაურობას ცუდად იცნობს.

– დიახ, მაშინვე მივხვდი, მკვეთრად გამოხატული ინგლისური აქცენტი აქვს, – ამ სიტყვებით ვერა ობრაზცოვა ბარისკენ გაგვიძღვა.

– ვინ არის ეს ქალი? – ვკითხე ნასტიას, როცა პირველი ყლუპი კოქტეილი მოვსვი და ვერას ჩემთვის არცთუ სასიამოვნო მზერა ავიცილე.

– ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერი, რუსული მოდის სამყაროში ერთ-ერთი ცნობილი სახეა.

– მერედა ჩვენ მასთან რა გვესაქმება, – ვიკითხე და შუბლშეჭმუხვნით გადავხედე კლუბის თუ ბარის ექსტრათანამედროვედ ჩაცმულ საზოგადოებას, რომელიც ისევე მომწონდა, როგორც წითელ-ყვითელი საღებავებით შეღებილი თხების არვე.

ნასტიამ მხარი გამკრა და მივხვდი, ჩუმად უნდა ვყოფილიყავი, რადგან, ვერა ჩვენკენ მთელი ტანით შემობრუნდა და უფრომე მკითხა:

– აქაურობა მოგწონთ?

– დიახ, – წარმოვთქვი თავაზიანობის გამო და კლუბის კიბორჩხალისფრად შეღებილი კედლები შევათვალიერე, – მაგრამ განათება უფრო ლოკალური და ხშირი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა.

– სანამ ამ კლუბს ვიყიდდი, აქაურობა სულ სხვანაირი იყო. წარმოიდგინეთ, ერთი მოსაწყენი სალონური კლუბი, ოთხკუთხა მაგიდებითა და შუაში ჩამოკიდებული დიდი ჭაღით. თანაც, ამას თუ დავამატებთ იმ უნიჭო მუსიკოსებს, რომლებიც აქ უკრავდნენ, ეს მე-20 საუკუნის ჩამორჩენილი სალონი გახლდათ... ახლა კი მოსკოვური ღამის „ტუსოვკების“ ერთ-ერთი ცენტრია, – ჩამოარაკრაკა ვერამ და თავის ჩუმ მხლებელს ამაყად გადახედა. – აი, ჩვენი სერგეიც ცდილობდა, ვიოლინოზე დაეკრა ამ სალონში... ახლა კი ამ კლუბის მენეჯერია. არა, სერგეი?!

ახალგაზრდამ ოდნავშესამჩნევად დაუქნია თავი და ჩემს ორაზროვან გამოხედვას მზერა აარიდა. მსუბუქი აგრესია ვიგრძენი ამ ქალის მიმართ და ძალიან მადლობელი დავრჩი, როცა მისი უსიამოვნო პერსონისგან ახლად გამოჩენილმა სტუმარმა მიხსნა, რომლისკენაც ეს უკანასკნელი გაემართა. ნასტიამ ჩამჩურჩულა, – აი, ისიც!

– ვინ? – ჩავეკითხე და ახალმოსული კარგად შევათვალიერე. ეს იყო არცთუ თხელი აღნაგობის, უფრო პირიქით – მრგვალნაკვთებიანი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბრჭყვიალა, ვერცხლისფერი სირმებით გაწყობილი შავი კაბა ეცვა და თმა კეფაზე მრგვლად დაემაგრებინა. ჩემს მამაკაცურ მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ამ უცნობი ქალბატონის მაღალი თეძოები, თხელი ფეხები და ცხენივით ოვალური გავა-წელი, რომელზეც კაბა მჭიდროდ შემოტმასნოდა. მაგრამ სულ ეს იყო მთელი მისი „ავლადიდება“, თუ არ ჩავთვლით დიდრონ, ჭრელ თვალებს.

– ვარვარა ანტონოვნა! – ტუჩები ყურთან ახლოს მომიტანა ნასტიამ, – „სახალხო ტაძრის“ დამფუძნებელი, ვლად რიმსკის პირადი მცველის, კაბანის საყვარელი. სწორედ ის არის დღეს ჩვენი სამიზნე.

როცა ნასტიამ „წითელი კარავის“ შეფი ახსენა, მივხვდი, რომ ჩემი მოსკოვური ავანტიურა დაიწყო.

– კარგი, გასაგებია! – მეც ხმადაბლა ვუთხარი და თვალთვალი განვაგრძე.

– ახლა ვერასთან მივალ, რომ ვარვარა ანტონოვნა გამცანოს... მერე მე მას შენს თავს წარვუდგენ...

– არ არის საჭირო, – თავდაჯერებული მამაკაცის მზერით გადავხედე ნასტიას და ხელით ვანიშნე, ჩემგან შორს დაეჭირა თავი.

ნასტია მიმიხვდა.

– ხომ არ რისკავ? – მაინც მკითხა.

– ცოტათი! მაგრამ ვიცი, რასაც ვაკეთებ!

ნასტია წამოდგა და საპირფარეშოსკენ გაემართა, რომელიც ბარის დიდი შემოსასვლელის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა და შესვლისთანავე რატომღაც თვალში მომხვდა.

ვერამ, როგორც ვვარაუდობდი, ახალმოსული პირდაპირ ბარისკენ წამოიყვანა და ჩემგან შორიახლო, მაღალ, ერთფეხა სკამზე ჩამოსხდნენ. თვალი არ მომიშორებია რაღაცაზე ჩუმად მოსაუბრე ქალებისთვის. როგორც იქნა, კაბანის საყვარელმა აღმოაჩინა დაჟინებულმზერიანი მამაკაცი. ვერამ მის მრავალმნიშვნელოვან გამოხედვას თვალი გამოაყოლა და, როცა დამინახა, რაც შეეძლო მომხიბვლელად გამიღიმა. მივუხვდი და მაშინვე მათკენ გადავჯექი.

– ლონდონელი რუსი, ალექსანდრ ორლოვი, გაიცანი, ვარვარა... ეს კი ვარვარა ანტონოვნაა.

ოდნავ წამოვიწიე და ზომიერად ჩამრგვალებულ ქალბატონს ხელი ჩამოვართვი. მა-



რთლა ლონდონელი ფრანტი რომ ვყოფილიყავი, იქნებ კიდევაც წამოვმდგარიყავი ფეხზე და ხელზე ნაზად მეკოცნა... მაგრამ, მოგეხსენებათ, ძნელია ქართველი კაცის „გაწვრთნა“, მით უმეტეს მაშინ, როცა ვარვარასნაირ კეკლუც ცირკის ცხენებს ველური მუსტანგები ურჩევნიათ ხოლმე.

– ლონდონი... საოცარი ქალაქია! ვესტმინსტერის სააბატო, ბიგ-ბენი, მდინარე ტემზას ხიდები... – ვარვარა ანტონოვნა მთელი ტანით შემობრუნდა ჩემკენ.

– თქვენ ნამყოფი ხართ ლონდონში? – ინგლისურად ვკითხე და, როცა პასუხად მივიღე – ნოუ! ნოუ! – ცოტა მომეშვა. საუბარი კვლავ ინგლისურ აქცენტიანი რუსულით გავაგრძელე, რომლის დაუფლებაც ყველაზე ძალიან გამიჭირდა იქ, ლონდონში, სადაც ბოლო ერთი თვე გავატარე მოსკოვში ჩამოსვლამდე.

– რას მიირთმევთ, დამებო? მე გაგიმასპინძლდებით! – ვთქვი და ბარმენს ვანიშნე, მოგვახლოვებოდა.

– ძალიან ორიგინალურია და სასიამოვნოც, როცა ჩემს საკუთარ ბარში სიმპათიური მამაკაცი მიმასპინძლდება, – ჩაილაპარაკა ვერამ, – ყველამ იცის, რომ მაგარი, სპირტიანი სასმელი მიყვარს, მაგალითად, ინგლისური ჯინი... ტონიკის გარეშე.

– ინსტინქტურად მისი მენეჯერი, სერგეი მოვძებნე თვალებით... რომელიღაც მაგიდასთან იჯდა მარტო და ჩაფიქრებული ჩაჰყურებდა თავის თითქმის ცარიელ ჭიქას.

– მე კი პირიქით, შამპანური და ესპანური ტკბილი ღვინოები მირჩევნია, – წაიკეკლუცა ვარვარამ და მივხვდი, რომ ჩემი ფლირტი წარმატებული იქნებოდა.

– გაიგონე?! – მივმართე დაყუდებულ ბარმენს, რომელიც მაშინვე გაემართა დავალების შესასრულებლად. მე კი სიტყვა დავაწიე: – ერთი ჭიქა „კრემლოვსკაია“ დაამატე.

– ლონდონელი „მისტერებისთვის“ არადამახასიათებელი მიმართვა გაქვთ, – მორიდებულად წარმოთქვა ვარვარამ, როცა ბარმენმა ჩემი მბრძანებლური ტონით ნათქვამი მოისმინა და თავი დამიქნია.

გამეღიმა, რადგან მივხვდი, რომ ვარვარას მოვეწონე და იმასაც მივხვდი, როგორ უნდა დამეჭირა თავი, რომ ამ გრძნობას ფრთები გაეშალა.

– როცა ირგვლივ მოსაწყენი თავაზიანობისა და დაღმლელი ეტიკეტისკან გატანჯული ადამიანები გახვევია, ცდილობ, რამე არაორდინარული გააკეთო.

– მაინც რა? – ახლა ვერა ობრაზცოვა მომეხახუნა მხარზე.

– მაინც ის, რომ შეხვიდე „რომელიმე“ არალეგალურ კლუბში, რომელსაც ერქმევა „რომელიმე“ უხეში სახელი, მაგალითად, „ძირს თავაზიანობა!“ ან „გაურანდავი მუშტი“...

– ახლა არ თქვათ, რომ თქვენ „რომელიმე“ ამ კლუბის წევრი ხართ! – ვარვარამ პორტვეინი ბაგესთან მიიტანა და თვალები ოდნავ მოწკურა.

– დიახ, არის ასეთი... „ლონდონელი ჩხუბისთავები“, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლავთ თქვენი მონამორჩილი, – მივუგე და თვალი თვალში ისე გავუყარე, რომ ოდნავი სინდისის ქენჯნა არ მიგრძნია, რადგან მართლაც ვიყავი სხვა, არალეგალური ჯგუფის წევრი.

– მერედა რას აკეთებთ იმ კლუბში?

– ვჩხუბობთ... წესების გარეშე.

– მართლა?! ერთმანეთთან ჩხუბობთ? – გაუკვირდა ორივე ქალბატონს და გულში გამეღიმა, რადგან ისეთი სახეები ჰქონდათ, მგონი, ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ.

– თქვენი იმედი მქონდეს, რომ არ გამთქვამთ? – ვკითხე ხმადაბლა და ისეთი იდუმალი სახე მივიღე, ორივემ მაშინვე თავი დამიქნია.

– რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!

– მოკლედ, ჩვენი კლუბი ინგლისური, მოსაწყენი, ნისლიანი საღამოების ერთ-ერთი გამახალისებელი გახლავთ.

– როგორ?!

ვარვარას ვატყობდი, რომ ჩემი უცნაური პერსონით უფრო და უფრო ინტერესდებოდა.

– როცა რამე ცერემონიალი ტარდება, მაგალითად, პრინცის ჯვრისწერა, ქორწილი, დედოფლის დაბადების დღე, ან თუნდაც, რამე მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებული საზეიმო აღლუმი... ეს ყველაფერი ისეთი ინგლისური სიზუსტით, წინასწარ დადგმული ჟესტებითა და ფრაზებით მიმდინარეობს და აღესრულება, რომ საშინლად მოსაბეზრებელია. ამ დროს კი ჩნდება ერთ-ერთი ჩვენი თანაკლუბელი... დედოფლის კორტეჟის ცხენოსანს სადავეში მისწვდება და ცხენიდან ჩამოაგდებს... ან ქვის სტელასავით უძრავად მდგომ და მანეკენივით გამოჭიმულ წითელმუნდირიან ჯარისკაცს პანლურს ამოჰკრავს... შეიძლება, იქ მყოფ ვინმე ლორდს, პერს ან სერს ცხვირ-პირში მუშტიც უთავაზოს. მერე შეიქმნება ერთი აურზაური, გაწევ-გამოწევა, ჩოჩქოლი, რომელსაც არასდროს უჩვენებენ ტელევიზიით. სამაგიეროდ, იქ დამსწრე საზოგადოება გვარიანად ერთობა, – ლაპარაკში გართულმა, თვალი მოვკარი, როგორ დაბრუნდა ნასტია დარბაზში და, როცა აკიკისებული ვერა და ვარვარა დაინახა, გაკვირვებული მზერა მესროლა და განმარტოებულ მაგიდასთან დაჯდა.

„ჭკვიანი გოგო ხარ, ნასტია“, – გავიფიქრე და „გოგოების“ გართობა განვაგრძე:

– თუმცა, მთელი ეს აურზაური კლუბს ძვირი უჯდება. იმ ჩხუბისთავს, რომელიც ასეთ დავიდარაბას იწვევს, იჭერენ და საკმაოდ დიდი თანხის გადახდა გვიწევს, რათა გისოსებისგან ვიხსნათ.

ვერა და ვარვარა გულიანად იცინოდნენ, მე კი გულში ნასიამოვნები დავრჩი, ასე უბრალო, ინგლისური შავი იუმორით რომ გავამხიარულე დამები.

– თქვენ თუ ჩაგიდენიათ მსგავსი რამ? – მკითხა ახლა ვერამ.

– დიახ, რაღაც ამდაგვარი...

– მაგალითად?

– მხოლოდ ერთ შემთხვევას მოგიყვებით: ერთ-ერთი ჩვენი კლუბელისთვის, რომელიც უიმედო სიყვარულით იტანჯებოდა, ეკლესიიდან პატარძალი გავიტაცეთ.

– როგორ?! – გაუკვირდათ ქალბატონებს.

– როგორ და, მოძღვარს ჯვრისწერის ცერემონიალი დამთავრებული არ ჰქონდა, ეკლესიაში შევიჭრით და პატარძალი საქმროს გვერდიდან „ავწაპნეთ“.

– მერე, მერე?! – ქალების მხიარულება ცნობისმოყვარეობამ შეცვალა.

– მერე ის, რომ მოვგვარეთ ის გაჭირვეულებული ლამაზმანი ჩვენს ჩხუბისთავს... პირდაპირ სასტუმროს ნომერში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა და ისეთი მხიარული საღამო მოვუწყვეთ, ისე ვაქეთ ჩვენი თანაკლუბელი, თანაც, შამპანურების ბათქაბუთქის თანხლებით, რომ ერთ საათში საპატარძლოს თავდავიწყებით შეუყვარდა და ამ ჩვენ მიერ მოწყობილ ბაქანალიაში თავით გადაეშვა – თეთრი კაბა ტანზე შემოიძარცვა, რადგან ცეკვაში ხელს უშლიდა, და შამპანურითა და ახალი სიყვარულით შეზარხოშებული, „ფოქსტროტს“ და „კანკანს“ ერთმანეთში ურევდა.

ნასტია კვლავ გაოცებულ მზერას აპარებს ჩემკენ და სიცილით ათახთახებული ქალბატონებისკენ, მერე დგება და ჩვენკენ მოემართება.

– ალექს! – ეჭვიან გამომეტყველებას იღებს და მხარზე მხვევს მკლავს, – მეგონა, მარტო ჩემი გამხიარულება შეგეძლო...

– კარგი, ნასტია, ნუ ეჭვიანობ! ალექსანდრე შესანიშნავი თანამოსაუბრეა, – მეგობრულად გაუღიმა ვერამ და სწრაფად დაამატა: – ჰო, მართლა, გაიცანი, ეს ვარვარა ანტონოვნაა...

სახელისა და გვარის მეტი არაფერი უთქვამს, უხერხულად დუმდა და კვლავ ჩემკენ მომართა მზერა.

ნასტიამ ოდნავ მიბიძგა, თითქოს რაღაცაზე მიმანიშნა, ვარვარას ხელი ჩამოართვა და მოიბოდიშა.

– უკაცრავად, მაგრამ ვერა ორი წუთით უნდა წაგართვათ:

ვერა უხალისოდ წამოდგა და ნასტიას გაჰყვა. მე კი უცბად ჩავწვდი სიტუაციას და მარტო დარჩენილ ვარვარას გადავულაპარაკე.

– ვერა წარმატებული ქალია. საინტერესოა, როგორ ასწრებს ამდენს – დიზაინერია და თანაც, ამ საინტერესო კლუბის მეპატრონე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ძვირფასეულობის სიყვარულით

## ნიკოლას კარტერი

ცნობილ დეტექტივ ნიკ კარტერთან ორნი მივიდნენ – ახალგაზრდა კაცი და ხანში შესული, ჩასუქებული მამაკაცი. ეს უკანასკნელი მას მისტერ ფერისად გაეცნო. საკმაოდ ცნობილ საიუველირო ფირმას ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდა კაციც ფერისი იყო – უფროსი ფერისის ძმისშვილი და ფირმის სალაროს უფროსი. ორივე შეშფოთებული ჩანდა.

– დელიკატური საქმე გვაქვს, – თქვა უფროსმა ფერისმა, – თქვენი დახმარება გვჭირდება. პროფესიული რჩევა... გვინდა, რომ ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოლაპარაკებას დაესწროთ.

– ვერ გავიგე? – მხრები აიჩეჩა ნიკმა, – მოხვედით ჩემთან და მეუბნებით, რომ გამოსაძიებელი არაფერია. მხოლოდ რაღაც საუბარს უნდა დავესწრო? მისამართი ხომ არ შეგეშალათ, ბატონებო?

უფროსმა ფერისმა თავი გადააქნია.

– არა. სწორედ თქვენი რეპუტაციაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ალბათ, გსმენიათ მისტერ დიკინსონის შესახებ. ძალიან მდიდარი ადამიანი და ჩვენი პარტნიორია. იშვიათი ნივთების მაღაზია აქვს და, როცა ჩვენთან რაიმე განსაკუთრებული გამოჩნდება, მაშინვე მას ვუგზავნით. მისთვის ეს მაღაზია მხოლოდ ჰობია, მაგრამ ჩვენთვის დიკინსონის პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც, სკანდალი მაქსიმალურად უნდა გამოვრიცხოთ. ეს ჩვენს ბიზნესს ძალიან აზიანებს.

დეტექტივმა მხრები აიჩეჩა.

– ვერაფერი გავიგე. მე რაში დაგჭირდით?

– ახლავე, ახლავე მოგახსენებთ. გამოცოცხლდა უფროსი ფერისი. დიკინსონს ჰყავს ცოლი, ახალშერთული და ძალიან ლამაზი. ის ქმარზე ბევრად უმცროსია. ბოლო სამი თვის განმავლობაში მისის დიკინსონი რამდენჯერმე იყო ჩვენთან და შვიდი ათასი დოლარის სამკაული შეიძინა. პირველი ვიზიტისას არაფერი მომხდარა. მეორედ რომ იყო ქალბატონი ჩვენთან, ო... უნდა ნახოთ, როგორი ლამაზია... შევამჩნიეთ, რომ მისი წასვლის შემდეგ, მსხვილი ბრილიანტი გაუჩინარდა. მთელი სალონი გადავქექეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. მაინც ვერ მივიტანეთ მისის დიკინსონზე ეჭვი. როგორ ვაკადრებდით...

– იმიტომ, რომ ძალიან ლამაზია? – ირონიულად ჰკითხა დეტექტივმა.

ახალგაზრდა ფერისი გაწითლდა და უხერხულად შეიშმუშნა.

– თუნდაც, – თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ასეთი ქალბატონები წყვეტენ ჩვენი ბიზნესის ბედს. საკმარისია, ერთმა მათგანმა მაინც უარყოფითად ილაპარაკოს, რომ წასულია საქმე, მერე ვინმეს დამნაშავეობა-უდანაშაულობის მტკიცებას აზრი აღარ აქვს. ხვდებით, ხომ რასაც ვგულისხმობ? გავჩუმდებოდით მისტერ დიკინსონის ხათრით, საქმე ერთი ბრილიანტით რომ დამთავრებულიყო... მესამედ რომ მოვიდა, ძვირფასი საათი შეიძინა...

– უკაცრავად, როგორ იხდიდა, ქეშით? – შეაწყვეტინა დეტექტივმა, თან ფურცელზე რაღაცას ინიშნავდა.

– ჩეკებით, მისტერ კარტერ. თავისი ქმრის ხელმოწერილი ჩეკებით. სწორედ ამიტომ, არ შემპარვია ეჭვი, რომ საქმე ნამდვილად მისის დიკინსონთან მქონდა, – ოხვრით წარმოთქვა უფროსმა იუველირმა, – მოკლედ, საათში ათას ექვსასი დოლარი გადაიხადა. სამაგიეროდ, ხელს გააყოლა ორმოც ათას დოლარად ღირებული ყელსაბამი. ეს უკვე მეტისმეტია, მისტერ ნიკ. ასეთ ზარალს ჩვენი ფირმაც კი ვერ გაუძლებს. დავასკვენით, რომ ქალბატონს კლეპტომანია სჭირს, თორემ რაში დასჭირდებოდა ქურდობა, როცა ქმარი ყველა სურვილს უსრულებს.

– ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიძიო ეს საქმე თუ არა? – აღშფოთდა დეტექტივი.

ბიძამ და ძმისშვილმა ერთმანეთს გადახედესდა თითქმის ერთხმად წამოიყვირეს.

– ჩვენ გვინდა, როცა მისტერ დიკინსონს დაველაპარაკებით და ავუხსნით სიტუაციას, ჩვენ გვერდით იყოთ. დარწმუნებული ვართ, თავადაც მოერიდება სკანდალს, ნაქურდალს აგვინაზღაურებს და ამით მორჩება ეს ამბავი. ჩვენ უკვე ზომებს მივიღებთ, რომ მისის დიკინსონისგან თავი დავიცვათ. პრინციპში, თვითონაც აღარ მოვა, ქმარი არ მისცემს ამის საშუალებას.

ნიკ კარტერმა ირონიულად გაიღიმა.

– ძვირფასეულობის გასაღების შესანიშნავი სქემა მოგიფიქრებიათ. რეალურად რა ღირს ის ყელსაბამი? ალბათ, ოცი ათას დოლარადაც დიდი სიხარულით გაყიდით, ხომ ასეა?! მისტერ დიკინსონი ზარალს აანაზღაურებს და თქვენც კმაყოფილი დარჩებით.

ორივე იუველირი შეურაცხყოფილი სახით წამოხტა.

– როგორ გეკადრებათ. ამას რატომ გვეუბნებით?! ჩვენ წესიერი ხალხი ვართ... კლიენტის რეპუტაციიდან გამომდინარეც არ გვინდა სკანდალი. გამოძიება ხმაურის გარეშე არ ჩაივლის. ჩვენი საქმიანობა მეტად ფაქიზია. ვერ უძლებს რყევებს...

– ანუ, თქვენ ყელსაბამის დაბრუნება არ გინდათ, რადგან დარწმუნებული ხართ, რომ დიკინსონი ზარალს აგინაზღაურებთ?

უფროსმა იუველირმა სწრაფად დაუქნია თავი.

– ბატონებო, ამ საქმეში ბევრი გაურკვევლობაა. მე კი პროფესიონალი გახლავართ.

– ჩვენ ვიცით ეს, მისტერ ნიკ. გადაგიხდით ისე, როგორც პროფესიონალს შეეფერება, ოღონდ წამობრძანდით და ჩვენს საუბარს დაესწარით.

– მოვდივარ. მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმემ დამაინტერესა, – მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა დეტექტივმა.

მისტერ დიკინსონი სამოცი წლის იყო, მაგრამ ორმოცდახუთ წელზე მეტს ვერაფრით მისცემდით, ძალიან სოლიდური და დახვეწილი გარეგნობა ჰქონდა, ნამდვილი ჯენტლმენის. ის თავაზიანად მიესალმა სტუმრებს და სავარძლები შესთავაზა. მერე კონკრეტულად, უფროს იუველირს მიმართა.

– რამე საინტერესო მომიტანეთ, ფერის? ეს ბატონი ვინ არის?

– მე მისტერ კარტერი ვარ, კერძო დეტექტივი. ალბათ, გსმენიათ ჩემ შესახებ.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, ჯერ ვერ ვხვდები, რატომ შეწუხდით.

– მე მოგახსენებთ, – სწრაფად თქვა მისტერ ფერისმა, – მისტერ კარტერი ჩვენ მოვიწვიეთ. საქმე დელიკატურია. ჩვენი ერთი დიდად პატივსაცემი კლიენტის მეუღლე ავად არის. ძალიან ავად. მას კლეპტომანია სჭირს, ანუ, შეუცნობლად იპარავს ძვირფას ნივთებს... უკვე სამი შემთხვევა გვქონდა ასეთი. მოვედით იმიტომ, რომ მის მეუღლეს ვკითხოთ რჩევა, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში... – იუველირმა გაჭირვებით წარმოთქვა ეს სიტყვები.

მისტერ დიკინსონი ერთიანად გაწითლდა და თვალები რისხვით აენთო.

– თქვენ ნაძირალა ხართ, მისტერ ფერის.... როგორ გაბედეთ აქ მოსვლა და ამის თქმა?! ჩემს ცოლს ქურდობაში ადანაშაულებთ, ქურდობაში!

– დამშვიდდით, მისტერ დიკინსონ, – საუბარში ჩაერთო დეტექტივი, – მე მაქვს ერთი წინადადება – სთხოვეთ თქვენს მეუღლეს, აქ მოვიდეს და ნახავთ, როგორი ნათელი მოეფინება ყველაფერს. დამიჯერეთ, გთხოვთ.

უცებ უმცროსი ფერისი ცარცივით გათეთრდა და ტუჩები გაულურჯდა. კარტერმა შეხედა და გაიცინა. მისტერ დიკინსონმა ცოლს დაურეკა და სანამ ქალი მოვიდოდა, ოთახში საკმაოდ უცნაური სიტუაცია გამეფდა. დიკინსონი იუველირს უბღვერდა. კარტერი იღიმებოდა, ხოლო უმცროსი ფერისი მახეში გამომწყვდეული თაგვივით აცეცებდა თვალებს. კარი გაიღო და კაბინეტში ელეგანტური ქალბატონი შემოვიდა:

– მოდი, ელინორ, ამ ბატონებს შენი გაცნობა უნდათ...

სანამ ქალი რამეს ეტყოდა, უფროსი იუველირი შეშლილივით წამოხტა.

– ეს არის თქვენი მეუღლე? შეუძლებელია!

– როგორ ფიქრობთ, საკუთარ ცოლს ველარ ვცნობ? – ირონიულად ჰკითხა დიკინსონმა.

– ღმერთო, ვერაფერი გავიგე...

– სამაგიეროდ, მე გავიგე, – მოზეიმე ხმით განაცხადა კარტერმა და თითი უმცროსი ფერისისკენ გაიშვირა, – აი, ვინ იცის ყველაფერი და ვინ გაგძარცვათ, ბატონო ჩემო. თქვენმა საკუთარმა ძმისშვილმა. მაშინვე ვიეჭვე, რომ საქმეში შინაურის ხელი ერია. მას საყვარელი ჰყავს, ლამაზი და სწორედ ის გაასაღა მისტერ დიკინსონად. ამისთვის კი ძველი, გაყალბებული ჩეკები გამოიყენა. მერე კი დაგარწმუნათ, რომ დიკინსონისთვის მისი ცოლის კლეპტომანიის შესახებ გეთქვათ... მან ჩემი პროფესიონალიზმი ვერ გაითვალისწინა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-30(709)

– ძია ასთამურ! – ქუჩიდან მამაკაცმა დაიძახა.

ასთამურ შამბა გარეთ გავიდა და ორიოდე წუთის შემდეგ ნესტორ პესკასელთან ერთად დაბრუნდა უკან.

– სალამო მშვიდობისა, მერაბ, – კაპიტანმა მაიორს ხელი ჩამოართვა, – ბოდიში, რომ დილით ხეირიანად ვერ დაგელაპარაკე. პოლკოვნიკმა მიხმო და არ მეცალა. მთელი დღეა, აქეთ-იქით დავრბივარ. იმ ნაძირალა ტარკილს დავეძებ. იცი, ხომ ჩოჩიანი და საცოდავი ტიტე ერთი იარაღიდან რომ არიან მოკლულები?

– ვიცი. გულბათ მარგიანმა მითხრა. ჯონდო სარიას გამოუთქვამს ეს ვარაუდი, – მიუგო მერაბმა.

– ჯონდოს სიტყვას წყალი არ გაუვა. სუპერია, სუპერი! არ არსებობს, შეცდეს. რასაც იტყვის, ასპროცენტიანია.

– გულბათმაც მასე მითხრა.

– არც გულბათი გაჩერებულა მთელი დღე და თხუთმეტი წუთის წინ წავიდა სახლში. მთელი აფხაზეთი გადავკეტეთ. ჩვენი ტერიტორიიდან გასვლას ვერ მოასწრებდა. უთუოდ სადმე ახლო-მახლო იქნება. აუცილებლად ვიპოვით. მთელი აგენტურული ქსელი ავამოქმედეთ და ჩავავლებთ.

– რა ვერსიაზე მუშაობთ? – ჰკითხა მერაბმა პესკასელს.

– შურისძიების ვერსიაზე. ტარკილი და კალანდია კლასელები იყვნენ და ბავშვობიდან მტრობდნენ ერთმანეთს. ორივეს დინარა მჟავია უყვარდა. დინარამ კი ტიტე აირჩია. ცოლად გაჰყვა. ტარკილმა ეს ვერ აიტანა და მოკლა.

– დავუშვათ, ასეა. რუბენ ჩოჩიანს რაღას ერჩოდა? ან რა საერთო ჰქონდა იმ ბანდიტთან? შენ თვითონ არ მითხარი, მანქანით კატაობის გარდა არაფერში გვყოლია შემჩნეულიო?! – უთხრა მერაბმა პესკასელს.

– სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ვცდებოდი. კარგად ვერ გავშიფრე ის ნაძირალა და მამა აბრაამის ბატკანი მეგონა.

– იქნებ ახლა ცდები?

– არ მგონია, მერაბ. ჯონდო სარია ამბობს, – ტიტეს ტანმორჩილმა ესროლაო. თან, შურისძიება საკმაოდ ამყარებს ჩვენს ვერსიას. გარდა ამისა, ტარკილი მიმალვაშია და ჯერჯერობით არ ჩანს.

– იქნებ არაა მიმალვაში?

– აბა, სად უნდა იყოს? – გაოცდა პესკასელი.

– მკვდარი. უფრო სწორად, მოკლული.

– მოკლული? – გაიმეორა კაპიტანმა.

– ჰო. მოკლული. რატომ გამორიცხავ იმას, რომ ამ საქმეში შეიძლება, მესამე პირიც ფიგურირებდეს. უხილავი არსება, ვისაც გამოძიების ცრუ კვალზე გაშვება სურს.

– გამორიცხული, რა თქმა უნდა, არაფერია. სიმართლე გითხრა, ასეთი რამ თავში არც მომსვლია და არა მგონია, ასე იყოს. თუმცა, ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს და უნდა გადავამოწმოთ, – თქვა კაპიტანმა, შემდეგ პაუზა გააკეთა. ჩაფიქრდა და მერაბს ჰკითხა:

– რას ფიქრობ შენ. მაინც ვინ შეიძლება, იყოს ის უხილავი მესამე და რა მიზნები ამოძრავებს?

– მაგაზე ახლა ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, თუ ის მესამე არსებობს და არ ვცდები, მაშინ ის ძალიან საშიში და ვერაგი ადამიანია. რაც მალე გავშიფრავთ, მით უკეთესი.

– გეთანხმები. თუ ის ფანტომი არსებობს, მაშინ, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავავლოთ. შენი მოსაზრება ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ამ შემთხვევაში, ჩვენს სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა მოგვიწევს. ხვალ დილითვე მოვახსენებ პოლკოვნიკს შენს მოსაზრებას და შევეცდები, კორექტივები შევატანინო გეგმაში. თუმცა, ამის გაკეთება არცთუ ისე ადვილი იქნება.

– უფრო მარტივად რომ იმოქმედო?

– რას მთავაზობ?

– სულაც არ არის გეგმის შეცვლა აუცილებელი და პოლკოვნიკსაც ნუ ჩააყენებ საქმის კურსში. შეიძლება, ვცდები და რა საჭიროა ზედმეტი აჟიოტაჟი. უბრალოდ, ხუთ-ექვს კაცს დაავალე, რომ ტარკილის ნაცნობმეგობრები და მისი თანამშრომლები დაიარონ. გამოიკითხონ, თუ ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, ვის ხვდებოდა, რას ლაპარაკობდა, როგორ იქცეოდა. ერთი სიტყვით, ინფორმაცია შეაკრებინე და საერთო სურათი რომ გექნება, თუ მართლა არსებობს ის მესამე, უხილავი პიროვნება, მასზე გასვლა ბევრად გაგიადვილდება. გაგრა პატარა ქალაქია და ძალიან ეშმაკ და ვერაგ ბოროტმოქმედსაც კი გაუჭირდება სრული კონსპირაციის შენარჩუნება. მართალია, შენს ბიჭებს ბევრი ოფლის დაღვრა მოუწევთ, მაგრამ „ჩიტი ბრდღვნად ღირს“.



– ღირს. ნამდვილად ღირს, – გაეცინა პესკასელს, – კარგი აზრი მომაწოდე. ხვალვე შევქმნი მუშა ჯგუფს და ამ მიმართულებით ავამოქმედებ. მადლობელი ვარ, მერაბ. შენ ნამდვილი პროფესიონალი ხარ. ტყუილად კი არ მოგანიჭეს რიგგარეშე ჩინი.

მერაბმა იმის თქმა დააპირა, ხვალ დილით სკალებზე მივდივარ, რომ ტარკილის გვამი მოვძებნო ზღვაშიო, მაგრამ ბოლო მომენტში თავი შეიკავა. პესკასელს კი უთხრა:

– წარმატებას გისურვებ. მე თუ რამეში დაგჭირდი, არ მოგერიდოს, მითხარი და რითაც შემეძლება, დაგეხმარები.

– შენ უკვე დამეხმარე, მერაბ. არც შემდგომში ვიტყვი ამაზე უარს. ერთ დიდ საქმეს ვემსახურებით და რა დროს მორიდებაა. ჩვენ ირგვლივ უამრავი ნაძირალაა და ჩვენი წმინდა ვალია, საზოგადოება მათგან დავიცვათ... წავედი ახლა. ცოტა მაინც დავისვენო, რომ დილიდანვე შევუდგე საქმეს. კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას. ნახვამდის, – თქვა პესკასელმა.

პესკასელი წავიდა და ასთამური და მერაბი დასაძინებლად დაწვნენ.

დილით, პირველად ასთამურს გაეღვიძა. შემდეგ მერაბიც გაალვიძა. სწრაფად ადგნენ. თავი მოიწესრიგეს. მსუბუქად ისაუზმეს. საჭირო აღჭურვილობა ზურგჩანთაში ჩააწყვეს და სახლიდან გავიდნენ.

ექვსის ნახევარზე „პრიჩალზე” მივიდნენ. სლავა ბაბახანიდი კატერებს ამოწმებდა და ახალმოსულების დანახვაზე მათ შესახვედრად გაემართა. ჯერ ასთამურს ჩამოართვა ხელი, შემდეგ მერაბს და მეტყევეს ჰკითხა:

– ხომ მშვიდობაა, ასთამურ? ასე დილაადრიან საით გაგიწევიათ?

– სლავკა, ეს კაცი მაიორი მერაბ გამრეკელია და შენთან საქმე აქვს, – უთხრა ასთამურმა ბაბახანიდს.

– ის მილიციელი ხომ არაა, შენ რომ გადაარჩინე?

– კი. ისაა.

ძველმა მეზღვაურმა კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი მერაბს და უთხრა:

– თქვენს ვაჟკაცობაზე მთელი გაგრა ლაპარაკობს. მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. რით შემიძლია გემსახუროთ?

– ბატონო სლავა, თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს, – უთხრა გამრეკელმა ბაბახანიდს.

– მკითხეთ. გისმენთ.

– ბატონო სლავა, ვიტალი ტარკილს იცნობთ?

– ვიტიას? ვიტიას როგორ არ ვიცნობ. რა მოხდა, დააშავა რამე? – თქვა კატერების გამქირავებელმა და ასთამურს შეხედა.

– არა. უბრალოდ, რაღაცის გარკვევა მინდა, – უთხრა მერაბმა ბაბახანიდს.

– კი, ბატონო, გავარკვიოთ.

– ბატონო სლავა, ხუთი დღის წინ ტარკილს თქვენ მიაქირავეთ კატერი?

– კი. აი, ის, – ბაბახანიდმა ცისფერი კატ-

ერისკენ გაიშვირა ხელი, რომელსაც გვერდებზე რუსულად ეწერა: „სვეტლანა".

– რომელი, სვეტლანა რომ აწერია? – დააზუსტა მერაბმა.

– კი. სვეტლანა. ეს კატერი საუკეთესოა და ჩემი ცოლის სახელი დავარქვი, – თქვა ძველმა მეზღვაურმა, – ეეჰ, სვეტლანა, სვეტლანა... ჩემს ხუთ ცოლს შორის სვეტლანა ყველას სჯობდა.

ბაბახანიდის სიტყვებზე ასთამურს გაეცინა. მერაბმა კი ძველ მეზღვაურს ჰკითხა:

– კატერი მარტომ იქირავა?

– კი. მარტომ.

– ხომ არ უთქვამს, რაში სჭირდებოდა?

– სკალებზე ბადეების ჩასაყრელად. ვიტია ხშირად დადის ხოლმე იქ. ღამით ბადეს ჩააგდებს და დილისთვის ბლომად თევზი გამოაქვს. მეც მიტოვებს. მსხვილ-მსხვილი, ჯიშიანი თევზი იცის იქ და ისეთი გემრიელია, თითებს ჩაიკვნეტ.

– მარტო ყრის ბადეს?

– მარტო როგორ ჩაყრის? – გაეცინა ბაბახანიდს, – ჟორა ჩურკინთან ერთად თევზაობს. ერთი-ორჯერ მეც გავყევი.

– ჟორა ჩურკინი ვინ არის?

– ვიტიას თანამშრომელია. მექანიკოსი. ისიც სარემონტოში მუშაობს. ნადავლს რესტორნებში აბარებენ და ფულს შუაზე იყოფენ.

– ესე იგი, იმ დღეს ჩურკინი არ ახლდა?

– ალბათ, ახლდა. უბრალოდ, მე არ მინახავს. მოგვიანებით მოვიდოდა. მაგ დროს მე ჩემს დასთან ვიყავი წასული სოფელში. შვილიშვილის დაბადების დღე ჰქონდა და დამპატიჟა. უკან მეორე საღამოს დავბრუნდი.

– კატერი სად იყო?

– თავის ადგილზე მიბმული დამხვდა. ცოტა არ იყოს, ნაწყენიც კი დავრჩი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ცარიელი იყო. ხომ გითხარით, რომ ვიტია ყოველთვის მიტოვებს ხოლმე თევზს და ამჯერად არაფერი დაუტოვებია. ისიც კი ვიფიქრე, ცარიელი ხომ არ დაბრუნდა, ან რიბნადზორმა ხომ არ ჩაავლო-მეთქი, მაგრამ გამორიცხულია, სკალებზე ბადეს თევზი არ მოჰყვეს. რიბნადზორს რომ დაეჭირა, მაშინ კატერსაც ჩამოართმევდნენ. უბრალოდ, არ დამიტოვა. ეტყობა, ყელში ამოუვიდა ჩემი პატივისცემა.

– გასაგებია. მეტი შეკითხვა არ მაქვს, – თქვა მერაბმა და ასთამურს შეხედა.

მეტყევემ კი ძველ მეზღვაურს უთხრა:

– სლავკა, შენთან ერთი თხოვნა გვაქვს და უნდა დაგვეხმარო.

– ჩემი თავი გენაცვალოთ. თუ შემიძლია, უარს როგორ გეტყვით.

– მე და მერაბი სკალებზე უნდა წავიდეთ და წამოგვყვები?

– ბადე უნდა ჩააგდოთ?

– არა. მერაბმა სკალებთან უნდა ჩაყვინთოს. ჩვენ კი მას დაველოდოთ.

– რამე დაკარგეთ?

– ჯერ არ ვიცით. ფსკერი უნდა გამოვიკვლიოთ, – უთხრა მერაბმა ბაბახანიდს.

– კი, ბატონო, წავიდეთ. „სვეტლანას" გამოვიყვან.

– მარტო ერთი კატერი შეიძლება, არ გვეყოს და მეორეც დაგვჭირდეს, – უთხრა მერაბმა.

– ორი იყოს. თქვენ „სვეტლანათი" წადით, მე კი „ირათი" გამოგყვებით, – თქვა გაოცებულმა ბაბახანიდმა, რომელსაც ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა.



– ოღონდ შენთან კიდევ ერთი თხოვნა გვაქვს, – უთხრა ძველ მეზღვაურს ასთამურმა.

– რა თხოვნა, მესამე კატერიც გჭირდებათ? – სიტყვა გააწყვეტინა მეტყევეს დაბნეულმა ბაბახანიდმა.

– არა, ორიც საკმარისია. უბრალოდ, თუ სკალებზე ვერაფერი აღმოაჩინეთ, ამ ამბის შესახებ სიტყვაც არავისთან დაძრა.

– ხმას არ ამოვიღებ და თევზივით პირში წყალს დავიგუბებ, – მიუგო ასთამურს ბაბახანიდმა და ტუჩებზე ხელის გული მიიფარა.

„სვეტლანა" და „ირა" ზღვაში გავიდნენ. ათიოდე წუთის შემდეგ კი „სკალებთან" ჩაუშვეს ღუზები. ასთამურმა მერაბს აკვალანგი მოარგო. დაწვრილებით აუხსნა, თუ როგორ ემოქმედა წყალქვეშ და გამრეკელმა ზღვაში ჩაყვინთა.

– ასთამურ! თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რა ხდება და აქ, რას ეძებთ? – ჰკითხა მეტყევეს ძველმა მეზღვაურმა.

– მოითმინე და ყველაფერს გაიგებ, – მიუგო ბაბახანიდს გოლიათმა და წყალს ჩახედა, რომლის ზედაპირზეც ბუშტულები ამოდიოდა.

მერაბი ნელ-ნელა დაეშვა ფსკერზე და „სკალების" დათვალიერებას შეუდგა. ირგვლივ უამრავი სხვადასხვა ზომის თევზი დაცურავდა. მერაბის მიახლოებისას კი აქეთ-იქით იფანტებოდნენ, შემდეგ ისევ ჯგუფდებოდნენ.

მაიორმა ათი წუთი იცურა, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს მიაგნო. კონუსისებურ კლდეს რომ მიუახლოვდა, მოზრდილი თევზების დიდ ჯგუფს მოკრა თვალი. ახლოს მივიდა, მაგრამ თევზები არ გაფანტულან. კიდევ უფრო ახლოს მიცურდა და დაინახა, რომ თევზები რაღაცას გამალებით წიწკნიდნენ.

გამრეკელმა ფოლადის წვეტიანი ჯოხი მოიმარჯვა. პირდაპირ თევზებზე წავიდა და რომ გაფანტა, ნაპრალში გაჩხერილი ადამიანის ფიგურას მოჰკრა თვალი. ორივე ფეხზე მას თოკით ორი ცალი გირი ჰქონდა გამობმული. სახე და ხელის მტევნები შეჭმული ჰქონდა.

მერაბმა წელზე ჩამოკიდებული თოკი გაშალა და ერთი წვერი გირებს გამოაბა, მეორე მაგრად ჩაბღუჯა მარჯვენა ხელით და ზედაპირზე სწრაფად აცურდა. წყლიდან რომ ამოყვინთა, თოკი კატერს მიაბა. შემდეგ ასთამურის დახმარებით კატერზე აძვრა და ნიღაბი და სასუნთქი მილი მოიხსნა.

– რა ქენი, იპოვე? – ჰკითხა ასთამურმა მერაბს.

– ვიპოვე. კონუსისებურ კლდეშია გაჩხერილი, გირებს თოკის წვერი გამოვაბი, – თქვა მერაბმა და ბაბახანიდს უთხრა:

– ბატონო სლავა უნდა დაგვეხმაროთ.

– კი ბატონო, რა უნდა ვქნა?

– ნაპირზე უნდა გახვიდეთ. გაგრის მილიციაში დარეკოთ ჩემი სახელით, რომ სოხუმში მილიციის სამმართველოში ნესტორ პესკარელს დაურეკონ და უთხრან, გაგრის სკალების ფსკერზე ვიტალი ტარკილის გვამია აღმოჩენილიო. დაიმახსოვრეთ? – უთხრა მერაბმა ბაბახანიდს.

– რა თქმა უნდა, დავიმახსოვრე. უნდა ვუთხრა, რომ გაგრის სკალების ფსკერზე ვიტალი ტარკილის გვამია აღმოჩენილი, – გაიმეორა ბაბახანიდმა და წასვლას აპირებდა. უცებ შეცბა, თვალები გაუფართოვდა და მერაბს ჰკითხა?

– ვიტია ტარკილი მოკლეს?

– დიახ. მისი გვამია ფსკერზე. იჩქარეთ, ბატონო სლავა, თორემ თევზები ჯიჯგნიან, – მიუგო მაიორმა ბაბახანიდს.

ერთი საათის შემდეგ, „სკალებთან" თხუთმეტიოდე სხვადასხვა ზომის კატერი მიცურდა. მათში ისხდნენ მყვინთავები, მილიციელები და ექსპერტ-კრიმინალები. ერთ-ერთი პირველი იქ ნესტორ პესკასელი და ჯონდო


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



სარია მიცურდნენ. კაპიტანმა გაოცებული მზერა მიაპყრო მაიორს და ჰკითხა?

– გამაგებინე, მერაბ, რა ხდება? დამირეკეს და მითხრეს, ვიტალი ტარკილის გვამი აღმოაჩინესო. მართალია?

– სკალების ფსკერზე გვამი ვიპოვე და ჩემი ვარაუდით, ტარკილი უნდა იყოს. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ და ჯერ ამოიღონ, – უთხრა მერაბმა კაპიტანს და ჯონდო სარიას მიაპყრო მზერა, რომელიც მარდად ირგებდა აკვალანგის მოწყობილობას და ჩასაყვინთად ემზადებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ხუთმა აკვალანგისტმა და ჯონდო სარიამ, წყლიდან ვიტალი ტარკილის გვამი ამოიტანეს. ფეხებზე მას მსხვილი კაპრონის თოკი ჰქონდა შემოჭერილი. თოკს კი ორი ცალი თექვსმეტკილოგრამიანი გირი ება. ხელის მტევნები და სახე შეჭმული ჰქონდა. მაგრამ, სარიამ დამაჯერებლად განაცხადა:

– ვიტია ტარკილია. წყალი არ გაუვა. მისი სხეულია ეს.

– კი. ეგაა, – დაადასტურა პესკასელმაც. შემდეგ თავი გააქნია. მხრები აიჩეჩა და მოღიმარი სახით უთხრა გამრეკელს:

– კი მაგრამ, მერაბ, როგორ მიაგენი?

– თავიდანვე ხომ გეუბნებოდი, რომ ტარკილი ჩოჩიანს ვერ მოკლავდა-მეთქი. ბოლომდე ამ ვერსიას გავყევი. ძია ასთამურიც დამეხმარა და მივაგენი, – მიუგო მერაბმა.

– ესე იგი, წუხელ უკვე გადაწყვეტილი გქონდა აქ წამოსვლა და დამიმალე... – ნაწყენი ტონით თქვა პესკასელმა, – არ მენდობი, მერაბ?

– არა. რას ამბობ? უბრალოდ, თავი შევიკავე წინასწარი განცხადებისგან. ხომ შეიძლება, შევმცდარიყავი და მაშინ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, – უთხრა მერაბმა.

– პრინციპში, მართალი ხარ. მეც სწორედ მასე მოვიქცეოდი. გადახტი და ჰოპლაცე მერე დაიძახე. გილოცავ გადახტომას. ახლა კი ჩემს კატერში გადმოხტი. სოხუმში უნდა წამომყვე. სამმართველოს უფროსი გელოდება და პირადად ჩააბარე პატაკი, – გაუღიმა პესკასელმა მერაბს.

შუადღე სრულდებოდა, ნესტორ პესკასელი და მერაბ გამრეკელი სოხუმის მილიციის სამმართველოს უფროსის კაბინეტში რომ შევიდნენ. პოლკოვნიკი დაბღვერილი დახვდა მათ. დაჯდომა არ შეუთავაზებია და მერაბს პირქუშად უთხრა:

– მომახსენეთ, მაიორო, რა ხდება.

მერაბმა პოლკოვნიკს დაწვრილებით და თანმიმდევრულად მოუყვა ყველაფერი და დადუმდა.

სამმართველოს უფროსმა მერაბ გამრეკელი აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ მცირე პაუზა გააკეთა და მკაცრი ტონით თქვა:

– მე დიდად ვაფასებ თქვენს ვაჟკაცობას და პროფესიონალიზმს. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რბილად რომ ვთქვათ, არაკოლეგიალურად მოიქეცით. სულ მცირე, საქმის კურსში მაინც უნდა ჩაგეყენებინეთ, რასაც აპირებდით და ეს მოქმედება ჩვენს ზურგს უკან არ უნდა ჩაგეტარებინათ. დანაშაული ჩვენს ტერიტორიაზეა ჩადენილი. ჩვენ ვიძიებთ და ასე თვითნებურად არ უნდა მოქცეულიყავით. მომავალში გაითვალისწინეთ, ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით.

– გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო, – გამოეჯგიმა გამრეკელი სამმართველოს უფროსს. შემდეგ შეტრიალდა და მხედრული ნაბიჯით დატოვა კაბინეტი.

– კაპიტანო პესკასელო, დარჩით! – უბრძანა პოლკოვნიკმა კაპიტანს.

მერაბ გამრეკელი არ იყო ჩვეული მსგავს „შეხურებებს“ და პოლკოვნიკის სიტყვები არ ესიამოვნა. ის დინჯი, ღირსეული ნაბიჯებით გავიდა მილიციის სამმართველოს შენობიდან და გზას გაუყვა. ორასიოდე მეტრი რომ გაიარა, პესკასელის ხმა შემოესმა. შეტრიალდა და კაპიტანს დაელოდა.

– სად წახვედი, მერაბ, რატომ არ დამელოდე? – მსუბუქად უსაყვედურა კაპიტარმა მაიორს.

– უნდა დაგლოდებოდი?

– ჰო. საქმე მაქვს. ხომ შევთანხმდით, ერთად ვიმუშაოთო?

– პოლკოვნიკი რომ გაგვიბრაზდეს? – ირონიით თქვა გამრეკელმა.

– კარგი რა, მერაბ. რა ბავშვივით იბუტები. პოლკოვნიკი ცუდი კაცი არაა. გეთანხმები, რომ ცოტა გადაამეტა, მაგრამ ახლა შენი თავი წარმოიდგინე მის ადგილზე?

– დავუშვათ, მის ადგილზე ვარ და მერე?

– რა და, არც შენ გესიამოვნებოდა უცხო პირის ასეთი აქტიურობა, თანაც ყველას ზურგსუკან.

– წუხელ არ ამბობდი, ჩვენი საზოგადოება ნაძირლებისგან უნდა დავიცვათო და უცხო, შინაური აქ რა შუაშია? მთავარი ხომ დანაშაულის გახსნაა. პირობითად, ამას უცხო გააკეთებს თუ შინაური, რა მნიშვნელობა აქვს?

– გეთანხმები, ჩემო მერაბ და ნუ ცხარობ. მე, უბრალოდ, არ მინდა, რომ ჩვენ შორის შავმა კატამ გაიაროს, – თქვა პესკასელმა და დააზუსტა, – ჩვენში მე, ნესტორს და მერაბს კი არ ვგულისხმობ, არამედ თბილისსა და რეგიონს. ამ შემთხვევაში, აფხაზეთს. თუ რამე გეწყინება, ყველას მაგივრად, მე გიხდი ბოდიშს.

– აქ საბოდიშო არაფერია. მით უმეტეს, შენ რატომ იხდი ბოდიშს. მოვრჩეთ ამაზე. ჩათვალე, რომ კონფლიქტი ამოწურულია.

– ძალიან კარგი, – პესკასელმა ხელი ჩამოართვა მერაბს და უთხრა:

– ხვალ საღამოს ჩემს ოჯახში გეპატიჟები. ხუთ საათზე ძია ასთამურთან გამოგივლი და მზად იყავი. ახლა კი ნახვამდის.

– კარგი. მზად ვიქნები. ნახვამდის, – მიუგო მერაბმა კაპიტანს და გზა განაგრძო.

მეორე დღეს ნესტორ პესკასელმა ზუსტად ხუთ საათზე მიაკითხა მერაბს. მაიორი რომ კაპიტნის გვერდით მოკალათდა, ნესტორმა უთხრა:

– ამ დილით თბილისიდან ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხი მოვიდა.

– მერე? – იკითხა მერაბმა.

– მერე ის, რომ რუბენ ჩოჩიანი და ტიტე კალანდია სერგი შამბას ტაბელური იარაღიდან არიან მოკლულები.

– რას ამბობ?

– კი. მასეა. წყალი არ გაუვა ექსპერტიზის დასკვნას.

– რა გამოდის აქედან. ისევ ის მილიციელთა მკვლელი ბანდიტები გამოჩნდნენ?

– კი. ისევ ისინი გამოჩნდნენ. ორი წელი გავიდა და კვლავ გამოყვეს თავი.

– ესე იგი, სერგის მკვლელობის გახსნის შანსიც გაიზარდა.

– თუ ვინმე მათგანს ჩავავლეთ, კი. ტარკილი უკვე გამოირიცხა. ის თვითონაა მოკლული და როგორც მირჩიე, ის ფანტომი უნდა ვეძიოთ.

– რა ქენი, შეკრიბე მუშა ჯგუფი?

– შევკრიბე და დავალებებიც მივეცი, უკვე მუშაობენ და უახლოეს დღეებში პირველ შედეგებსაც ველოდები. იმედია, რომ იმ ფანტომზე გასვლას მოვახერხებთ.

– ეგ ფანტომი რიგითი ბანდიტი არ არის, – თქვა მერაბმა, – მას სხვაგვარი მიდგომა სჭირდება და, არ გამოვრიცხავ, რომ სულ სხვაგანაა საძებარი.

– არარიგითობასა და სხვაგან ძებნაში რას გულისხმობ?

– მარტივად აგიხსნი: წარმოიდგინე ჭადრაკის დაფა, რომელზეც ფიგურებია დალაგებული და მათ ვიღაც გადაადგილებს. ჩვენ ამ ფიგურებში ვეძებთ ფანტომს და სწორედ ამაში ვცდებით. ფანტომი ერთ-ერთი ფიგურა კი არაა, არამედ, დაფის მიღმა მყოფი მოთამაშე.

– საკმაოდ ჭკვიანური მოსაზრებაა, – ღიმილით თავი გააქნია პესკასელმა და მანქანას სიჩქარე გამოუცვალა, – მაგრამ, სად ბუდობს ის ნაძირალა და ვინ არის? აი, ამ კითხვებზე თუ ვიპოვით პასუხს, მაშინ მასაც უფრო ადვილად მოვიხელთებთ.

– თუ ჩემი ვერსია სწორია, მაშინ ის ფანტომი ერთ-ერთი ჩვენგანია და ჩვენ შორის ბუდობს.

პესკასელმა ჯერ მანქანის სვლა შეანელა. შემდეგ ტრასის პირას გააჩერა, გამრეკელს გაოცებული მზერა შეავლო და ჰკითხა:

– შენი აზრით, ეს ფანტომი მილიციელია?

– მილიციელი თუ არა, ჩვენგან არც ისე შორს მდგომია.

პესკასელმა ტუჩები დაბრიცა, თავი გააქნია და მერაბს ჰკითხა:

– რატომ ფიქრობ ასე?

– თუნდაც იმიტომ, რომ სერგი შამბას მკვლელები ასე სწრაფად და იდუმალად გაუჩინარდნენ. ხომ ფაქტია და ამას შენც ადასტურებ, რომ მკვლელობიდან ნახევარ საათში ისინი აფხაზეთიდან ვერანაირად ვერ გააღწევდნენ?

– კი ასეა.

– ჰოდა, ისინი ან მანამდე გაიყვანა ვიღაცამ სამშვიდობოზე, სანამ გზებს ჩაკეტავდნენ, ან საიმედოდ გადამალა და შემდეგ გაიყვანა. ას-

ეთი რამ კი, დიდი ალბათობით, მილიციელს ან მილიციის ოპერატიულ საქმიანობაში ღრმად ჩახედულ ადამიანს შეეძლო.

– სხვას არა?

– პრინციპში, სხვასაც, მაგრამ, თუ დანაშაულის სურათს აღვადგენთ, სხვა გამორიცხული უნდა იყოს.

– საინტერესოა... განაგრძე, მერაბ, მთელი გულისყურით გისმენ, – პესკასელი საჭეს მიეყრდნო და სმენად იქცა.

– დავიწყოთ იმით, რომ მე შენს ვერსიას სრულად ვიზიარებ.

– რა ვერსიას?

– რას და, სერგის მკვლელებს აგრბას გატაცებული მანქანა საქმისთვის – სავარაუდოდ, საყაჩაღოდ უნდოდათ, უფრო სწორად კი, ყაჩაღობის შემდეგ გასაქცევად სჭირდებოდათ.

– კი ბატონო. შემდეგ?

– შენ ხომ მითხარი, რომ აგრბამ მინიმუმ ერთი საათის შემდეგ შეიტყო საკუთარი მანქანის გატაცების შესახებ და მაშინვე მილიციაში განაცხადა?

– დიახ. სერგის მკვლელობას რომ ვიძიებდი, აგრბა ორჯერ დავკითხე და ყველაფერი წუთობრივი სიზუსტით დავადგინე. აგრბამ ზუსტად ერთი საათის შემდეგ შეიტყო საკუთარი მანქანის გატაცების შესახებ. ათ წუთში გუდაუთის მილიციაში მივიდა და განაცხადა; კიდევ თხუთმეტი წუთის შემდეგ კი გატაცებული მანქანის მონაცემები აფხაზეთის ყველა „გაიშნიკმა" იცოდა და, ასევე, სამძებროს ყველა ოპერატიულმა მუშაკმაც, – დაუდასტურა პესკასელმა მერაბს.

– ანუ, გამტაცებლებს საკმაოზე მეტი დრო ჰქონდათ, რომ აგრბას მწვანე „ჟიგული" სოხუმში დაუბრკოლებლად ჩაეყვანათ – ხომ ასეა?

– კი, ასეა.

– შემდეგ მათ ეს მანქანა საიდუმლოდ გადამალეს და, ტოტალური ძებნის მიუხედავად, „ჟიგული" ვერ იპოვეს.

– სწორია.

– ესე იგი, მათ ამაში ვიღაც დაეხმარა. იმ ვიღაცამ კი კარგად იცოდა, სად არ მოძებნიდა გატაცებულ მანქანას მილიცია.

– ლოგიკურია. შემდეგ?

– გულბათ მარგიანისგან შევიტყვე, რომ სერგის მკვლელები იმ ღამეს იმ გზით გადაადგილდებოდნენ, სადაც მილიცია არ პატრულირებდა.

– სამწუხაროდ, ასეა.

– აქედან დასკვნა: ბოროტმოქმედებს ამ მარშრუტით გადაადგილება იმან ურჩია, ვინც ზუსტად იცოდა, რომ ისინი იქ მილიციას არ გადაეყრებოდნენ. უბრალოდ, საბედისწერო დამთხვევა მოხდა. ესე იგი, აქედან რა გამოდის?

– რა და, ის, რომ მარშრუტი მათ, სავარაუდოდ, მილიციელმა შეურჩია, – თქვა პესკასელმა. შუბლში ხელი იტკიცა და დაამატა: – იმ არეულობაში ეს აზრადაც კი არ მომსვლია. აქეთ სერგი იყო ასე სასტიკად მოკლული, იქით გულბათი იმყოფებოდა სიგიჟის ზღვარზე. სამი თვის შემდეგ თბილისმა წაიღო სულაც ეს საქმე. კრეტინები ვართ, კრეტინები! „მე ჩემი მილიცია მიცავს" – აი, პროპაგანდის ბრმა შედეგი. მაშინ რომ მინიშნებითაც კი ეთქვა ვინმეს ამ საშინელებაში მილიციელის სავარაუდო მონაწილეობაზე, გამოძიებას ხომ სულ სხვაგვარად წავიყვანდი? ახლა კი ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია და, როგორ გინდა, იმ გარეწარს მიაგნო?

– ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, – თქვა მერაბმა და დაამატა: – მეტსაც გეტყვი. ბანდიტების მფარველმა მათ არა მარტო უსაფრთხო მარშრუტი შეურჩია, არამედ, ბოროტმოქმედებს აზღვევდა და სადღაც შორიახლოსაც იმყოფებოდა. იმასაც კი არ გამოვრიცხავ, რომ ის ფანტომი სერგის მკვლელობას შეესწრო და მკვლელებს გაქცევასა და მიმალვაში დაეხმარა.



– რატომ გგონია?

– ერთადერთი რამის გამო: შენთან შეხვედრისა და ტიტე კალანდიას მკვლელობის შემდეგ დაწვრილებით შევისწავლე სერგის მკვლელების გადაადგილების მარშრუტი. გატაცებული „ფიატი" შემთხვევის ადგილიდან ერთ კილომეტრში, ფაქტობრივად, ჩიხში იქნა მიგდებული. თუ მკვლელებს „ფიატით" გაქცევა სურდათ, მაშინ ისინი საპირისპირო მიმართულებით იმოძრავებდნენ. მით უმეტეს, რომ იმ მიდამოებში მიმართულების ოთხი მაჩვენებელი – დიდი ზომის აბრები დგას. ვფიქრობ, ბანდიტები და მათი მფარველი, ფანტომის ჩანაფიქრისამებრ, სუბტროპიკული ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთან შეგნებულად, მილიციის კვალის ასაბნევად მივიდნენ და სერგის მანქანა დააგდეს. შემდეგ კი იმ ფანტომის მანქანით სრულიად საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდნენ და მის მიერ შერჩეულ სამალავში, ან, სულაც, მის სახლში დაიმალნენ, – თქვა მერაბმა და კაპიტანს ჰკითხა: – ბოტანიკურ ბაღთან ბევრი ხალხი შეიკრიბა იმ ღამეს?

– მთელი სამმართველო ხომ იქ ვიყავით, მინისტრიც გააღვიძეს და მოვიდა. გამთენიისას კი აფხაზეთის თითქმის ყველა მილიციელი იქ შეიკრიბა.

– ჰოდა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის ფანტომიც იქ იყო, ბოროტმოქმედები კი უკვე გადამალულები ჰყავდა. ანუ, მან ალიბი გაიკეთა – იქ ტრიალებდა და მასზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა.

– კი, სავსებით რეალურია, – თავი დაუქნია კაპიტანმა.

– ჩემს ვერსიას უფრო ამყარებს და რეალურს ხდის ის, რომ, როგორც შენ ამბობ, ტოტალური ძებნის მიუხედავად, დამნაშავეები ვერ აღმოაჩინეს. ეს კი იმას ნიშნავს, მკვლელები ისეთ ადგილას იმალებოდნენ, სადაც მათ მილიცია არ მოძებნიდა. ასეთი ადგილი კი, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მილიციის სახლია.

– გეთანხმები, სავსებით რეალურია შენი ვერსია.

– სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ვერსიაა და გულდასმითაა გადასამოწმებელი და გასაანალიზებელი, – თქვა მერაბმა და ჩაფიქრდა. პესკასელმა კი დაამატა:

– ამაში კი დრო და ვითარება გვიშლის ხელს.

– სამწუხაროდ, ასეა. ცხელ კვალზე რომ დაგემუშავებინათ ეს ვარსია, სერგის მკვლელები და მათი მფარველები, შეიძლება, მაშინვე დაგეპატიმრებინათ.

– ეეჰ, მაშინ, ეს არავის მოსვლია თავში! – ხელი ჩაიქნია კაპიტანმა.

– არც ახლაა გვიან. ძველ კვალზე, შეიძლება, სერგის ტაბელურმა იარაღმა გაგვიყვანოს. შენ ხომ ვარაუდობ, რომ, პისტოლეტი, რომლითაც რუბენ ჩოჩიანი და ტიტე კალანდია დახოცეს, ჩოჩიანის იყო?

– კი, ასე ვფიქრობდი.

– და, სავსებით ლოგიკურადაც, – თქვა მერაბმა, – ჰოდა, თუკი სერგის ტაბელური იარაღი რუბენ ჩოჩიანს ჰქონდა, ესე იგი, ის სერგის მკვლელობის ადგილზეც იმყოფებოდა. ხოლო, თუკი რუბენ ჩოჩიანი და ტიტე კალანდია იმ ფანტომმა მოკლა, მაშინ, იმ ფანტომის კუდზე ვსხედვართ.

– როგორ?

– როგორ და, რუბენ და რუზგენ ჩოჩიანები ყოველთვის ერთად ყაჩაღობდნენ. თუკი იმ საბედისწერო ღამეს ისინი, ანუ ჩოჩიანები ისხდნენ აგრბას გატაცებულ მანქანაში და მათ მოკლეს სერგი, ხოლო ფანტომი კი მათ აზღვევდა, მაშინ, ფანტომის ვინაობაც ხომ ეცოდინებოდათ? ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ, რუზგენ ჩოჩიანია ამ საქმის მოწმე. ის კი შინაგან საქმეთა სამინისტროშია გამომწყვდეული და კარგად უნდა დაიკითხოს.

– ჰმ, – თავი გააქნია კაპიტანმა, – რა მოულოდნელი მიგნებაა. ისღა დაგვრჩენია, რომ ვალიკო ჟღენტს შევატყობინოთ ეს ვერსია და მან რუზგენ ჩოჩიანი დაკითხოს.

– ეს არც ისე იოლი საქმეა, – თავი გააქნია მერაბმა, – მე კარგად ვიცნობ რუზგენ ჩოჩიანს, მისი გატეხვა არც ისე ადვილია.

– გატეხენ, მერაბ. როდესაც მილიციელია მოკლული, ქვასაც კი აალაპარაკებენ – შენ ხომ კარგად იცი ეს.

– კი, სამწუხაროდ, მძიმე დანაშაულის გასახსნელად ზოგიერთი ჩვენი კოლეგა არც პატიმრის ცემას ერიდება და ზოგჯერ არც წამებას.

– კარგი, რუბენ ჩოჩიანი ჭირს წაუღია, მაგრამ, სერგისა და ტიტე კალანდიას მკვლელები არ უნდა აწამო? – იკითხა პესკასელმა და თავადვე გასცა პასუხი: – აწამო კი არა, მეტიც უნდა უქნა. ცოცხლად უნდა გაატყავო.

– არა, მე ამისგან შორს ვარ. თანაც, შეიძლება, არც ამ მეთოდმა გაჭრას რუზგენ ჩოჩიანზე.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ, თუკი რუზგენ ჩოჩიანი სერგის მკვლელობაში მონაწილეობდა, მაშინ მას დახვრეტა არ ასცდება და, როგორ ფიქრობ, თავს ყულფში გაჰყოფს?! არა, აქ სხვა მეთოდია საჭირო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ვინ იყო საბჭოთა უშიშროების ქართველი გენერალი, ვინც „ცეერუს“ შექმნაში მონაწილეობდა



გენერალ-პოლკოვნიკი ვასო იშხნელი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი „ჩეკისტი“ იყო, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს („ცეერუ“) მმართველობაში შეაღწია და თხუთმეტი წლის განმავლობაში მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. შტატებში იშხნელი ჯორჯ სპენსერის სახელით იყო ცნობილი. ცენტრში, ანუ მოსკოვში კი მას „კენტავრის“ ფსევდონიმით იცნობდნენ. მისი ნამდვილი ვინაობა იცოდნენ სტალინმა, ძერჟინსკიმ, მოგვიანებით კი – ბერიამ და კენტავრის პირადმა კურატორმა, პავლე სუდოპლატოვმა, რომელიც შემდეგ საბჭოთა საგარეო დაზვერვის შეფი გახდა. კენტავრის ასეთი ზეგასაიდუმლოება მისი განსაკუთრებული მისიით იყო გამოწვეული, რაც პირადად სტალინმა დაუსახა და იმაში მდგომარეობდა, რომ იშხნელს ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე უმაღლესი მმართველობის ორგანოში უნდა შეეღწია. სტალინის პირადი მითითებით, კენტავრს ეკრძალებოდა ყველაზე მინიმალური რისკიც კი. მას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კარიერულ წინსვლაზე უნდა ეფიქრა და ეზრუნა.

„გარისკავ და გამჟღავნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს საჭირო გახდება შენი სამშობლოს ან კაცობრიობის გადასარჩენად“, – უთხრა იშხნელს სტალინმა, როდესაც კენტავრს შეერთებულ შტატებში გზავნიდნენ, შემდეგ გზა დაულოცა მას და 1925 წლის 1 მაისს სამუშაოდ გააცილა...

1925 წლის 1 სექტემბერს 25 წლის ჯორჯ სპენსერი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესიდან საზღვაო თბომავალ „ლიბერთით“ ნიუ-იორკში ჩავიდა. მან თან ჩაიტანა ორი ცხედარი. ელზა და სემუელ სპენსერებისა, რომლებიც ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალა. გარდაცვლილები მისი მშობლები იყვნენ. ისინი ორი წლის წინ გარდაიცვალნენ და ჯორჯმა დედმამა სამშობლოში გადაასვენა...

### ოპერაცია „დუბლიკატი“

ჩეკისტური ოპერაცია „დუბლიკატი“ 1921 წელს დაიწყო და, 1925 წელს, სწორედ იმ დღეს დასრულდა, როდესაც ნიუ-იორკის სასაფლაოზე ელზა და სემუელ სპენსერი ხელმეორედ დაასაფლავეს. „დუბლიკატი“ სამი ფაზისგან შედგებოდა, რომლებიც პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა. პირველი ფაზა იყო კენტავრის მომზადება, პარალელურად კი სპენსერების ოჯახზე დაკვირვება და მათი შესწავლა, მეორე ფაზა იყო ეთნოგრაფ ელზა და სემუელ სპენსერებისთვის უბედური შემთხვევის მოწყობა და, პარალელურად, კენტავრისთვის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიცემა, რაც ჰქონდა ნამდვილ ჯორჯ სპენსერს, რომელიც ბუენოს-აირესის უნივერსიტეტში სამხრეთ ამერიკის ეთნოგრაფიას ეუფლებოდა. მესამე ფაზა კი იყო ნამდვილი ჯორჯ სპენსერის გატაცება და პარალელურად, კენტავრის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნება, ანუ, შეცვლის ოპერაცია.

1925 წლის 4 სექტემბერს კრემლში სტალინმა დეპეშა მიიღო კენტავრისგან, რომელიც ასე იშიფრებოდა: „მშვიდობიანად ჩავედი. მშობლები დავკრძალე. ვიწყებ კარიერაზე ზრუნვას. კენტავრი“.

ნამდვილი ჯორჯ სპენსერი სტალინის საიდუმლო ბრძანებით ცოცხალი დატოვეს და მოსკოვში, ლუბიანკის სარდაფში ჰყავდათ გამომწყვდეული. ის, ისევე როგორც იშხნელი, 1900 წელს იყო დაბადებული (მოსკოვში 1979 წელს გარდაიცვალა).

### ლათინური მუზეუმის მფლობელი

„ახალმა“ ჯორჯ სპენსერმა ამერიკის შეერთებული შტატების ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში დაიწყო მუშაობა და ლათინურ სექტორს ჩაუდგა სათავეში. 25 წლის ახალგაზრდამ ძალიან მალე მოიპოვა ავტორიტეტი თავის კოლეგებს შორის და 1927 წელს ნიუ-იორკში ლათინური მუზეუმი დააარსა. პარალელურად სპენსერი ბიზნესითაც იყო დაკავებული. ის ხორბლით ვაჭრობდა და სოლიდური შემოსავალი ჰქონდა, რომლის ოთხმოც პროცენტს სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე აღმოჩენილი ძველი ცივილიზაციების სხვადასხვა ექსპონატის შეძენას ახმარდა. სწორედ ამ კოლექციის შედეგად დააარსა მან მუზეუმი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეცნიერ-ეთნოგრაფთა შორის. ბიზნესის წარმატებაში სპენსერს საბჭოთა დაზვერვა უწყობდა ხელს.

1928 წლისთვის სპენსერმა თორმეტი მილიონი დოლარი დააგროვა. ამ პერიოდისთვის ლათინური მუზეუმიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და, ახალგაზრდა, წარმატებულმა მილიონერმა უკვე უოლ-სტრიტზე, ანუ, ამერიკის ბიზნეს და პოლიტიკურ ელიტაში ამოყო თავი. პირველი თანამდებობაც სწორედ მაშინ მიიღო კენტავრმა და ის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ეკონომიკური მიმართულების მენეჯერი გახდა. სპენსერს უკვე საიდუმლო ინფორმაციებზეც მიუწვდებოდა ხელი და საბჭოთა აგენტი კრემლს უძვირფასეს ცნობებს აწვდიდა ამერიკული არმიის საიდუმლო შესყიდვების შესახებ. ამგვარად, ლათინური მუზეუმის მფლობელი სრულმასშტაბიან სადაზვერვო საქმიანობაში ჩაება და 1929 წელს მას მაიორის ჩინი და წითელი ვარსკვლავის ორდენი პირადად სტალინმა მიანიჭა...

> **იშხნელის ნამდვილი ვინაობა იცოდნენ სტალინმა, ძერჟინსკიმ, მოგვიანებით კი – ბერიამ**

### „ბინძური ბომბები“ და მოსკოვში დაბრუნება

გასული საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში ჯორჯ სპენსერმა თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა და თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების, რუზველტისა და ტრუმენის ნდობითაც სარგებლობდა. კენტავრი იმ ასეულში შედიოდა, ვინც „ცეერუ“ დააარსა. მას ამერიკელი პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს და ცენტრალური დაზვერვის არგენტინული მიმართულება ჩააბარეს. სტალინის გარდაცვალებამდე, საბჭოთა ბელადმა თავის პირად აგენტს სამი ორდენი და გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიანიჭა. 1962 წელს კი, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ლამის მესამე მსოფლიო ომი დაიწყო, კენტავრმა ყველაზე დიდი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს.

„კარიბის კრიზისის“ დღეებში, როდესაც პრეზიდენტმა კენედიმ ხრუშჩოვს კუბიდან ატომ-ურქობინიანი რაკეტების სასწრაფოდ მოშორება მოსთხოვა და მთელი ამერიკული არმიის ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა, ლენგლიში, „ცეერუს“ შტაბ-ბინაში, საიდუმლო თათბირი გაიმართა. ამ თათბირს ესწრებოდა ჯორჯ სპენსერიც. საბჭოთა მიმართულების ხელმძღვანელმა, გენერალმა საიმონ ჰობსმა „ცეერუს“ დირექტორს უპატაკა:

– სერ, ოპერაცია „ურანის ჩემოდნების“ პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა და შემდგომი მოქმედებებისთვის ჩვენი ხალხი მზადაა. რას გვიბრძანებთ?

„ცეერუს“ დირექტორს კმაყოფილებისგან ჩაეცინა და ჰობსს მიუგო:

– ჩათვალეთ, რომ თქვენს სამხრეებს ერთი ვარსკვლავი დაემატა. „ურანის ჩემოდნებზე“ კი დაუყოვნებლივ ვაცნობებ პრეზიდენტს და, ვფიქრობ, დადებით პასუხსაც მივიღებთ.

„ცეერუს“ დირექტორი თეთრ სახლში, კენედისთან გაემგზავრა, ჰობსმა კი თავის კოლეგებს „ურანის ჩემოდნების“ არსი გააცნო. ამ ოპერაციის მიხედვით, ოც სტრატეგიულ საბჭოთა ქალაქში ორმოცი ცალი მინი-ატომური ბომბი უნდა აემოქმედებინათ ამერიკული დაზვერვის აგენტებს და საბჭოეთში დიდი ნგრევა და პანიკა დაეთესათ. ლენგლიში შეკრებილი ყველა ადამიანი საიმედოდ ითვლებოდა, ამიტომ, თვითკმაყოფილმა ჰობსმა კოლეგებს ეკრანზე უჩვენა „ურანის ჩემოდნების“ ზუსტი სქემა, რომელზეც ადგილები და აგენტების ვინაობაც იყო მითითებული.

იმავე ღამეს კენტავრმა ყალბი პასპორტით ისარგებლა და ჯერ ლონდონში გადაფრინდა, შემდეგ ბელგრადში, იქიდან კი – მოსკოვში. ვასო იშხნელი ლუბიანკაზე მივიდა და „კაგებეს“ ხელმძღვანელებს ამერიკული ოპერაციის დეტალური სქემა გადასცა. „კაგებემ“ სულ რაღაც ცხრა საათში ელვისებური და ეფექტური ოპერაცია ჩაატარა. საბჭოეთის ოც ქალაქში, მათ შორის თბილისშიც, დაკავებულ იქნა ამერიკის დაზვერვის ოცი აგენტი და ამოღებული და გაუვნებელყოფილ იქნა 40 ცალი ეგრეთ წოდებული „ბინძური ბომბი“... ამ ქმედებისთვის ვასო იშხნელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გენერალ-პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს.

იშხნელი გარდაიცვალა 1983 წელს, მოსკოვში...

**ნიკა ლაშაური**

# პენსიონერმა სიდედრმა მოძალადე და ქურდი სიძე სახალხოდ დასაჯა

64 წლის ვენერა მ-შვილი სამართალდამცველებმა საკუთარი სიძის მკვლელობის მცდელობის გამო დააკავეს. მას დანაშაულის დაფარვა არ უცდია, პირიქით, ის თავად მივიდა საგამოძიებო სამსახურში და ჩადენილი დანაშაული აღიარა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ვენერა მ-შვილმა ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა 40 წლის ალექსანდრე კ-ძეს, რომელიც წარსულში ქურდობისთვის იყო ნასამართლევი, დაზარალებული კი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ვენერა მ-შვილი იყო, რომელიც ამ ინციდენტის პოლიციაში გახმაურებას არ აპირებდა, მაგრამ, სავაჭრო ქსელში დასაქმებული ქალის გაქურდვის ამბავი სამართალდამცველებისთვის მაინც გახდა ცნობილი. ამ დანაშაულისთვის ალექსანდრე კ-ძემ სამწლიანი პატიმრობა მოიხადა, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ კი, ცოლს, ვენერა მ-შვილის ერთადერთ ქალიშვილს დაუბრუნდა, რომელსაც დედა ყოფილ ქმართან ურთიერთობას სასტიკად უშლიდა. ვენერა მ-შვილი მეზობლებში ამბობდა: კაცი რომ მე, მარტოხელა ქალს, მაღაზიას გამიქურდავს, იმას ოჯახში როგორ შემოვუშვებო. სიდედრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ალექსანდრე კ-ძე ცოლთან და ორ შვილთან ერთად საცხოვრებლად ცალკე გადავიდა, თუმცა, სამი თვის შემდეგ კვლავ სიდედრის ბინაში დაბრუნდა და, ვენერა მ-შვილთან გართულებული ურთიერთობის მიუხედავად, მის სახლში დასახლდა. სიძე-სიდედრს შორის წარმოქმნილ ოჯახურ დრამებს ერთი ინციდენტიც დაერთო, რის გამოც, პენსიონერმა ქალმა, რომელსაც რაიონში ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

**ჯერ დანა დავარტყი, დაჭრილიც კი ჩემზე იწევდა**

საქმის მასალების მიხედვით, ვენერა მ-შვილის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენას წინ უძღოდა ისტორია, რომელიც, გარდა იმისა, რომ რაიონში გახმაურდა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მივიდა. სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ 50 წლის მარინა მ-ლი სქესობრივი ძალადობის მსვერპლი გახდა. დაზარალებულმა ქალმა სამართალდამცველებთან განაცხადა, რომ მამაკაცს, რომელმაც მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით დაამყარა სქესობრივი კავშირი, კარგად არ იცნობდა. დაზარალებული ქალის ჩვენების მიხედვით, მან მამაკაცი საერთო ნაცნობის ოჯახში, წვეულებაზე გაიცნო. ოდნავ შეზარხოშებულმა კაცმა ქალს სახლამდე მიყვანა შესთავაზა. „ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რას წარმოვიდგენდი, თუ გზიდან გადაუხვევდა და ტყეში ძალის გამოყენებით გამაუპატიურებდაო," – განაცხადა დაზარალებულმა, რომელმაც მოგვიანებით შეიტყო მოძალადე მამაკაცის ვინაობა. მოძალადე, რომელმაც 50 წლის ქალი გააუპატიურა, ალექსანდრე კ-ძე აღმოჩნდა და მის მიმართ, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თუმცა, სანამ საქმე ოფიციალურ უწყებებამდე მივიდა, მოძალადე სიძე საკუთარმა სიდედრმა დასაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, ვენერა მ-შვილი ალექსანდრე კ-ძეს ფიზიკურად გაუსწორდა – მან მამაკაცი ჯერ დანით დაჭრა გულ-მკერის არეში, შემდეგ კი თავში რკინის ნაკეთობა ჩაარტყა, რის შედეგადაც მამკაცმა თავის მძიმე ტრავმა მიიღო და ის მძიმე მდგომარეობაში მოათავსეს საავადმყოფოში. ქირურგიული ჩარევის შემდეგ ალექსანდრე კ-ძე სიკვდილს გადაურჩა, გამოჯანმრთელებული კი, მასზე ათი წლით უფროსი ქალის გაუპატიურებისთვის გისოსებს მიღმა მოხვდა.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, რომლის მიხედვითაც ვენერა მ-შვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, ჩატარებული გამოძიებით ცნობილი გახდა, რომ სიძის საქციელით შეურაცხყოფილმა ქალმა დანაშაული სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. განსასჯელის მიერ გამოძიებაში მიცემული ჩვენების მიხედვით, რაც მან სასამართლო პროცესზეც დაადასტურა, მეზობლებისგან შეიტყო, რომ ალექსანდრე კ-ძეს ქალის გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი.

ამონაწერი ვენერა მ-შვილის ჩვენებიდან: „ჩვენი რაიონი პატარაა, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. იმ ქალს, რომლის გაუპატიურებაზეც მთელი რაიონი ალაპარაკდა, მეც ვიცნობდი. ეს ამბავი ერთმა ნაცნობმა ჩამაწვეთა ყურში, მერე უფრო დაწვრილებით მიამბო ჩვენმა ერთ-ერთმა „გულშემატკივარმა". ეჭვიც არ შემპარვია, რომ ალექსანდრე იყო ამის გამკეთებელი, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ამას ჩაიდენდა. როცა სახლში მივედი, ნასვამი დამხვდა, მაგრამ, მაინც ვუთხარი, ეს როგორ ჩაიდინე-მეთქი და აქეთ დამიწყო ბრალდებების წამოყენება, თან მთელი ხმით გაჰყვიროდა, ციხეში რომ გამომამწყვდიე, ისიც გეყოფა, ჩემი პირადი ცხოვრება შენი გასარჩევი არააო. ჩემი ქალიშვილი ეზოში იყო გასული. ჩვენი სახლის კართან კი ჩემი სიძის ყვირილზე მეზობლები იყვნენ შეგროვილნი. ისეთი აღელვებული ვიყავი, არც კი მახსოვს, როგორ ავიღე დანა და როგორ ჩავარტყი ალექსანდრეს, რომელიც დაჭრილიც კი ჩემკენ იწევდა. დაჭრილი რომ გამომეკიდა, მისგან თავის დასაცავად იქვე, აივნის ძირას დაგდებული რკინის არმატურა ავიღე და თავში ჩავარტყი. ამ დროს მეზობლებიც შემოცვივდნენ და გაგვაშველეს..."

განსასჯელმა ინციდენტის დეტალებთან ერთად ისიც აღიარა, რომ ალექსანდრე კ-ძეს შვილების თვალწინ არ უნდა გასწორებოდა – მხოლოდ ამას ვნანობო, განაცხადა, – მაღაზიის გაქურდვა ვაპატიე, მაგრამ, ასეთ შეურაცყოფას ვერ ვაპატიებდიო, – თქვა მან სასამართლო პროცესზე.

სასამართლომ ვენერა მ-შვილს 7 წლით პატიმრობა შეუფარდა; 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მოძალადე მამაკაცს, რომელიც დიდხანს ამტკიცებდა, რომ გაუპატიურების „სცენარი" მისმა სიდედრმა დაგეგმა და ასე იძია შური სიძეზე, რაც გამოძიების მიერ არ დადასტურდა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 4 აგვისტო

1693 – ფრანგმა ბერმა დონ პირინიონმა გამოიგონა შამპანური ღვინის დამზადების წესი.

1777 – ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ცირკი.

1870 – ბადენ-ბადენში ჩატარდა პირველი მსოფლიო ტურნირი ჭადრაკში.

### 5 აგვისტო

1789 – საფრანგეთში გაუქმდა ბატონყმობა.

1884 – დაიწყო თავისუფლების ქანდაკების მშენებლობა (ამერიკის შეერთებული შტატები).

1962 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დააპატიმრეს ნელსონ მანდელა. მან ციხეში 1990 წლამდე დაყო.

1967 – გამოვიდა ჯგუფ Pink-Floyd-ის პირველი ალბომი The Piper at the Gates of Dawn.

### 6 აგვისტო

1806 – გაუქმდა „საღვთო რომის იმპერია".

1890 – მკვლელი უილიამ კემლერი გახდა ელექტრონული სკამის პირველი მსხვერპლი.

1945 – ქალაქ ჰიროსიმაში (იაპონია) ამერიკელებმა პირველად ჩამოაგდეს ატომური ბომბი.

### 7 აგვისტო

1813 – სიმონ ბოლივარის გამათავისუფლებელმა არმიამ აიღო ქალაქი კარაკასი და დააარსა რესპუბლიკა ვენესუელა.

1888 – ლონდონში აღმოაჩინეს სერიული მკვლელის, „ჯეკ მფატრავის" პირველი მსხვერპლი.

1954 – ინგლისელმა როჯერ ბანისტერმა პირველმა გაირბინა 1 მილი (1 600 მეტრი) 4 წუთზე უფრო მცირე დროში.

1959 – ამერიკულმა თანამგზავრმა „ექსპლორერ მეექვსემ" პირველად გადმოსცა დედამიწის სურათი კოსმოსიდან.

### 8 აგვისტო

1588 – ესპანური „დაუმარცხებელი არმადის" საბოლოო მარცხი დიდი ბრიტანეთის ნაპირებთან.

1786 – ჟაკ ბალმა და მიშელ პიკარმა პირველებმა დაიპყრეს მონბლანის მწვერვალი. ისინი ითვლებიან ალპინიზმის დამაარსებლებად.

1899 – ამერიკელმა, გვარად მარშალმა, დააპატენტა მაცივარი.

1900 – მასაჩუსეტსში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაიმართა დევისის თასის პირველი გათამაშება ტენისში.

### 9 აგვისტო

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 – თერმოპილეს ბრძოლა, 300 სპარტელის გმირობა.

1803 – პარიზში ამერიკელმა რობერტ ფულტონმა წარმოადგინა თავისი გამოგონება – თბომავალი.

1859 – ამერიკელმა ნათან ეიმსმა დააპატენტა ესკალატორი.

1945 – ნაგასაკის ტრაგედია.

1962 – მუსიკოსმა რობერტ ციმერმანმა ოფიციალურად გადაიკეთა სახელი და ბობ დილანი დაირქვა.

1986 – ჩატარდა ჯგუფ „ქუინის" უკანასკნელი კონცერტი ფრედი მერკურის მონაწილეობით.

### 10 აგვისტო

1500 – პორტუგალიელმა ზღვაოსანმა დოიგუ დიაშმა აღმოაჩინა კუნძული მადაგასკარი.

1539 – საფრანგეთის მეფემ, ფრანსუა პირველმა, ფრანგული ენა საფრანგეთის ოფიციალურ ენად გამოაცხადა. მანამდე ოფიციალურ დოკუმენტებს ლათინურად ადგენდნენ.

1675 – ინგლისში დაიწყო გრინვიჩის ობსერვატორიის მშენებლობა (სადაც ნულოვანი მერიდიანი გადის).

1792 – პარიზის კომუნამ დაამხო სამეფო ხელისუფლება და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1821 – მისური გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 24-ე შტატი.

1833 – დაარსდა ქალაქი ჩიკაგო (ამერიკის შეერთებული შტატები).

1976 – ამერიკის შეერთებული შტატების ზარაფხანამ გამოუშვა ბოლო 2-დოლარიანი ბანკნოტი.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ორი ოვალის შეერთებით დაიწყეთ წეროს ხატვა



2. მიახატეთ ფრთები



3. დაასრულეთ წეროს ხატვა



4. ნისკარტით დააჭერინეთ ახალშობილი



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ძაღლი და ხორცის ნაჭერი

## (იგავ-არაკი)

ძაღლს ხორცის ნაჭერი ეჭირა და ხიდზე გადადიოდა. წყალში თავისი ლანდი დაინახა, სხვა ძაღლი ეგონა. იფიქრა, იმ ძაღლს უფრო დიდი ხორცი მიაქვსო; თავისი გადააგდო და წყალში გადახტა, ერთიც დაკარგა და მეორეც.

ეს არაკი ხარბ ადამიანზეა ნათქვამი.

## რიცხვრებუსი

3, , , , 5, , , 2, 10, , , , 3

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| დღეს<br>მოსდევს<br>მუსიკ. ბგერა | | კუზიანი<br>ცხოველი<br>წარმტაცი<br>ბალი | |
| | | | |
| რწმენა | | | |
| | | | |



- (.....) მღვიმეელი
- იხილე ფოტო ცეკვა?
- თითქოს ადრე უკვე ნანახი
- აბრაგი დათა
- თავდავიწყების მდინარე
- პატარა ამაღლება
- წვერი ასეთიც არის
- ჩვენთან ახლოს
- ადამიანს აქვს ოცი
- აპლოდისმენტები
- საწარმო
- ეპოქა
- რუსთველის კალამი
- მტაცებ. ფრინველი / ბოროტი
- არც გუშინ, არც დღეს
- ბიზანტიის რამდენიმე კეისრის სახელი
- ძალიან დიდი / ....ხაზანოვი
- მოჭიდავე ვახტანგ.....
- ესპანეთის დედაქალაქი
- თაოსნობა
- რუსი პოეტი ქალი
- ვიცით, იცით (.......)
- პირუტყვი / უძველ. ქალაქი
- პოლონეთის ქალაქი
- პოეტი (.......) მაჭავარიანი
- გოგოლის ტარასის გვარი
- საკოცნელი ადგილი (პოეტ.)
- წმინდანის გამოსახულება
- კუთხსაზომი იარაღის ნაწილი
- იემენის დედაქალაქი / საფრანგეთის ისტორიული რეგიონი
- ლიტერატურული პრემია
- ანონიმური ანუ?
- ბატონი მემანიშვილი
- სამიანი ნარდში
- იაპონ. "ბატონო" / ქალაქი ესპანეთ.
- სამეგრელოს რაიცენტრი
- დიმიტრი მოკლედ
- მან ცრემლი ღვარა ანუ?
- სცენაზე გამოსვლის ოსტატი
- მწერალი (......) ჩიანელი
- წინასწარი თანხა
- ონის რაიონის სოფელი
- ხაფანგი
- დიდი ხერხი
- ურარტუს სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეფე
- ლაქია / სისხლნაკლებობა
- ტანმაღალი
- წყლის გასაცხელებელი მოწყობილობა
- რესტორნის წიგნი
- ბაშკირეთის დედაქალაქი
- ქალაქი ტეხასის შტატში
- არარეალური ამბავი
- მოგზაური
- დარი, ამინდი
- პამიდვრის პროდუქტი
- ნაკადული
- საფოსტო ატრიბუტი
- გუსტავ ფლობერის რომანი / ვერონელი მიჯნური
- ჯარი (ძვ.სიტყ.) / ყვავილია ასეთი
- ფართობის საზომი
- ერთიანი ნარდში
- კარგია გამოსადეგია
- უარის სიტყვა
- საუნა / შენიშვნა პიესაში
- რჩეული ჯარი / ...ბერიკაშვილი
- ლოცვის სიტყვა
- ჯეირანი, ქურციკი, კანჯარი
- ბირთვის (........) / ფრანგი მწერალი
- პირველი წიგნი / ელდა
- დიდად ნიჭიერი / ბარათაშვილი
- ჩვენგან შორს / ტაბლეტი
- ადვილი
- გვარის გაერთიანება / (......) ვაიკულე
- ჭადრაკის ქმედება / ბითლზის რინგო

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | | | | | 3 | 4 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | | | | |
| | | | | 3 | 4 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 | 2 | | | 4 | 1 | 1 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | | | | |
| | | | 3 | 1 | 1 | 4 | 3 | 3 | 5 | 6 | 3 | 3 | 7 | | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 3 | 3 | 5 | 6 | 3 | 3 | 3 | | | |
| | | | 1 | 2 | 5 | 3 | 2 | 1 | 2 | 3 | 6 | 3 | 3 | 22 | 11 | 2 | 3 | 5 | 3 | 3 | 2 | 1 | 2 | 6 | 3 | 2 | | | |
| 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 2 |
| | | | | | | | 4 |
| | | | | | | | 6 |
| | | | | 3 | 1 | 1 | 2 |
| | | | | 3 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 3 | 2 | 2 | 3 |
| | | | | 4 | 3 | 3 | 2 |
| | | | | 4 | 3 | 3 | 2 |
| | | | | 5 | 4 | 4 | 3 |
| | | | | 5 | 4 | 4 | 2 |
| | | | | | | | 30 |
| | | | | | | | 2 |
| | | | | | 2 | 2 | 2 |
| | | | | | 4 | 2 | 4 |
| | | | | | 4 | 2 | 4 |
| | | | 6 | 1 | 2 | 6 | 1 |
| | | | 1 | 5 | 2 | 1 | 5 |
| | | | | | 6 | 2 | 6 |
| | | | 2 | 1 | 2 | 2 | 1 |
| | | | 1 | 1 | 2 | 1 | 1 |
| | | | | | | | 24 |
| | | | | 4 | 6 | 6 | 4 |
| 1 | 2 | 1 | 4 | 1 | 4 | 1 | 2 |
| | | | 2 | 3 | 3 | 3 | 1 |
| | | | | | | | 24 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 1 | | 5 | 4 | | 7 |
| 7 | 4 | 3 | | | 9 | | 1 | |
| | 5 | | 4 | 7 | | 3 | 8 | 2 |
| 9 | 2 | | 3 | | | 1 | 6 | |
| | 7 | | 2 | | 1 | 5 | | 8 |
| 3 | 1 | | 6 | | | 2 | 7 | |
| | 3 | | 7 | 6 | | 9 | 5 | 1 |
| 2 | 9 | | 5 | 1 | | 8 | | |
| 5 | | 1 | | 4 | 8 | | 2 | 3 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 4 | | 2 | 1 | | 8 |
| 6 | 1 | 3 | | 8 | | | | |
| | | | 7 | | | | 9 | |
| 3 | | | | | | | 1 | |
| | | 9 | | 3 | | | | 4 |
| 1 | | | | | | 9 | | |
| | | | 8 | 2 | | | 5 | |
| 5 | 3 | | 6 | | 1 | | | |
| | | | | 5 | 4 | 8 | 6 | 1 |

**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია FILA-მ, მსოფლიოს განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ევროპის 2014 წლის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველ ადგილს იკავებს. ქართველი სპორტსმენისთვის ეს წარმატება პირველი არაა. მან არაერთხელ ასახელა საქართველო და ქვეყნის სახელი საზღვრებს გარეთ გაიტანა.**

# როგორ მოხვდა ლადო ხინჩეგაშვილი მსოფლიო რეიტინგის პირველ ადგილზე და რა თემაზე არ უსაუბრია მას დედასთან

**– როგორია ლადო ხინჩეგაშვილი ტატამს მიღმა? რას მოგვიყვები შენ შესახებ?**

– ისეთივე ჩვეულებრივი ვარ, როგორც ყველა ადამიანი. დავიბადე ქალაქ გორში, 1991 წლის 28 იანვარს. ვცხოვრობ დასთან და დედასთან ერთად. მამა რომ გარდაიცვალა, 8 წლის ვიყავი. ვარჯიში 1999 წელს დავიწყე. თავიდანვე პერსპექტიული სპორტსმენი ვიყავი. მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე და, ვფიქრობ, რომ გავამართლე მათი შეხედულებები. 2006 წლიდან უკვე სერიოზული შედეგები მქონდა და გარკვეულ წარმატებას მივაღწიე. მანამდე, შეიძლება ითქვას, რომ თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. ვჭიდაობდი ქვეყნის შიგნით, მსოფლიო ასპარეზზე 2007 წლიდან გამოვჩნდი.

**– საკმაოდ პატარა იყავი, როდესაც დამწყებ მოჭიდავეთა რიცხვს შეუერთდი. ეს ოჯახის წევრების სურვილი იყო თუ შენი?**

– ჩემი არა, თავდაპირველად მამას მეგობრებმა მიმიყვანეს მწვრთნელთან, მერე მეც დამაინტერესა, თან, შევეჩვიე კიდეც. მთელი ცხოვრება რომ ვარჯიშობ, მერე გიჭირს თავის დანებება, თუმცა, მსგავსი რამ გულშიც არ გამივლია. სულ ვვარჯიშობდი და, მინდოდა, მიზნისთვის მიმეღწია. მამაც მოჭიდავე იყო, ამიტომ, ოჯახის წევრებსაც უნდოდათ, მის გზას გავყოლოდი.



სურვილი მაქვს ისეთი სპორტსმენი ვიყო არ მომიწიოს მუშაობა

**– მამაც ისეთივე წარმატებული სპორტსმენი იყო როგორიც შენ?**

– მამა, გიორგი ხინჩეგაშვილი, იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; ასევე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო დიდებში. მაგალითად მქონდა ხოლმე მამას წარმატებები, მეც მინდოდა, მას დავმსგავსებოდი.

**– რომელ გამარჯვებას გამოყოფ, რომელიც შენს მიზანს მიუახლოვდა და რომლის მისაღწევადაც არ იშურებდი ძალას?**

– ეს იყო ოლიმპიური თამაშები, როდესაც მეორე ადგილი დავიკავე – ჯერჯერობით ეს ითვლება ჩემს მიზანთან მიახლოებულად. ოლიმპიურ პრიზიორრობამდე ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი, მაგრამ, ოლიმპიური თამაშები მაინც სულ სხვაა, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და მეც მაგის შემდეგ უფრო გამიცნეს. ვიდრე ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გავხდებოდი, მანამდე რა შედეგებიც მქონდა, ყველა სასიხარულო იყო, მაგრამ, ცხოვრების საუკეთესო მომენტად, ამ ეტაპზე, მხოლოდ მას გამოვყოფ. სასიამოვნოა, როდესაც შრომა გიფასდება.

**– ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა რეიტინგი და შენს წონაში პირველ ადგილზე ხარ, რაც შენთვის სიახლე არ არის – შარშანაც იმავე ადგილს ფლობდი. რა განცდაა, როდესაც საკუთარ სახელსა და გვარს მსოფლიო რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზე ხედავ?**

– შარშანაც ვიყავი რეიტინგის მიხედვით პირველ ადგილზე, უბრალოდ, სხვა წონაში. ახლა 57 კილოგრამი ვარ, მაშინ კი 60 კილოგრამი ვიყავი. ძალიან მაგარი განცდაა, ამან უფრო მეტი სტიმული მომცა. ერთია, საკუთარ ქვეყანაში იყო წარმატებული სპორტსმენი და, მეორე – მსოფლიოს მასშტაბით იკავებდე პირველ ადგილს. ეს არაა მხოლოდ ჩემი წარმატება, ეს ქვეყნის გამარჯვებაც არის და, მიხარია, რომ საქართველოს სახელით დავდე შედეგი მსოფლიო ასპარეზზე.

**– სპორტის გარდა, რა ხდება შენს ცხოვრებაში?**

– ამ ეტაპზე არაფერი. ალბათ, გაგეცინებათ, მაგრამ, ყველაზე და ყველაფერზე წინ ჭიდაობას ვაყენებ. კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი, ამიტომ, ახლა რომ მოვდუნდე და სხვა რამეებზე გადავერთო, არ მინდა. ჯერ მიზანს მივაღწიო და მერე ყველაფერი იქნება *(იცინის).* ვსწავლობდი, დავამთავრე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტი. თავიდან ბიზნესსა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ შემდეგ ტურიზმი ავირჩიე.

**– შენი პროფესიით არ აპირებ დასაქმებას?**

– არა მგონია. იმიტომ ჩავაბარე, რომ საჭიროა განათლება, მხოლოდ სპორტი არაფერია. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ, ამჟამად არ ვფიქრობ. სურვილი მაქვს, ისეთი სპორტსმენი ვიყო, არ მომიწიოს მუშაობა – ვნახოთ, რა და როგორ იქნება. საერთოდ, სწავლა სკოლაშიც არ მიყვარდა, რომელი საგნებიც მაინტერესებდა, იმას ვკითხულობდი ხოლმე. მეექვსე კლასამდე მაძალებდნენ სახლში, რომ მესწავლა. არაფერი გამოუვიდათ და შემეშვნენ *(იცინის).*

**– მიზნებსა და მისწრაფებებზე საუბრობ, კონკრეტულად რას გულისხმობ?**

– მინდა, ის ტიტულები ავიღო, რომლებიც ჯერ არ მომიპოვებია. პირველ ყოვლისა, მინდა გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი, წელს ცოტა დამაკლდა – მეორე ადგილზე გავედი, სულ ერთი ნაბიჯი იყო მიზნამდე. შედეგი რომ გავაუმჯობესო, ამისთვის ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ. მინდა, ისე მოვიწყო ცხოვრება, როგორც ჩემს ფიქრებშია. ამისთვის ვიბრძვი, ვშრომობ და, იმედი მაქვს, ყველაფერი გამომივა.

**– თავისუფალ დროს რას აკეთებ ხოლმე?**

– თავისუფალი დრო ჩემთვის ფუფუნებაა *(იცინის).* თუ ამის შესაძლებლობა მეძლევა, ძირითადად, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ვარ. წლის განმავლობაში დაახლოებით ცხრა თვე სახლში არ ვარ, შეჯიბრებებსა და შეკრებებზე მიწევს წასვლა, ამიტომ, ყველა მონატრებული მყავს. შესაბამისად, როდესაც საქართველოში ვარ და თავისუფალ დროს გამოვნახავ, მირჩევნია, ოჯახის წევრებთან ვიყო. მართალია, საქართველოში უფრო ხშირად მიწევს გადაადგილება, მაგრამ, სახლში მაინც არ ვარ. შეკრებები ძირითადად ბორჯომში, ბაკურიანსა და დუშეთიში გვაქვს, რაც, დამეთანხმებით, გორისგან ძალიან შორსაა. ახლაც ორი დღეა, რაც ჩამოვედი – ბაქოში იყო „ოქროს გრანპრის“ ტიტულზე შეჯიბრება. სახლში როდესაც ვარ, ძირითადად ვისვენებ, ვიღვიძებ დაახლოებით 12 საათზე, მიყვარს ოჯახთან ერთად სადილობა, მსგავს სიტუაციებს მოკლებული ვარ. აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტად მიხარია ახალი წელი, რადგან, ერთად ვართ ხოლმე მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები. ეს არის დღე, როდესაც ყველა ბედნიერია და მეც ეს მახარებს. ხანდახან ფეხბურთსაც ვთამაშობ. ვუყურებ ფილმებს, ძალიან მიყვარს ისტორიული ფილმები – ეს არის ჩემი განტვირთვა.

**– დედას უნდოდა, რომ მოჭიდავე ყოფილიყავი?**

– ალბათ, უნდოდა, არასდროს გვისაუბრია ამ თემაზე. მაგრამ, რომ ხედავდა, ვვარჯიშობდი და სულ სპორტით ვიყავი დაკავებული, წინააღმდეგობას არ მიწევდა.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– არც არაფერი. სერიოზული ურთიერთობა არ მქონია, ანუ, ისეთი ჯერ არავინ გამოჩენილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, თუ იქნება, არავის დავემალები *(იცინის).*

**– რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდები ხოლმე ტატამზე?**

– ჩემს სახეობაში, ანუ, თავისუფალ ჭიდაობაში, ყველაზე ძლიერი გუნდი რუსეთს, ირანსა და აზერბაიჯანს ჰყავთ და ძირითადად მათთან მიწევს ხოლმე შეხვედრა.

**– რომელი იყო ბრძოლა, რომელიც, შენი აზრით, უნდა მოგეგო, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო დამარცხდი?**

– რამდენიმე შეხვედრა იყო, რომლებიც შემეძლო, რომ მომეგო, მაგრამ, წავაგე. თუნდაც ოლიმპიური, არ უნდა წამეგო.

**ეთო ხურციძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

**ალბათ, ყველა ქართველს გაუგია, ნიკო მარის სახელი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.**

**ცნობილია, რომ დიდებული გენი არ იკარგება და რომელიმე თაობაში აუცილებლად განმეორდება. ნიკო მარის შთამომავალი – თენგიზ მარი, სულ სხვა დარგში მოღვაწეობს – ის ძალზე საინტერესო მხატვარია. მისი შემოქმედება მკვეთრად ინდივიდუალურია. ნახატები სიმშვიდეს ჰგვრის მნახველს თავისი ჰარმონიულობით.**

**„თბილისელები“ ბატონ თენგიზს შინ ეწვია შემოქმედებასა და დიდებულ წინაპარზე სასაუბროდ.**

# აქვს თუ არა თენგიზ მარს ორმაგი წარმომავლობა და რატომ გადაწყვიტა ნიკო მარის მამამ, 84 წლის ასაკში გაეჩინა შვილი

**– ბატონო თენგიზ, როდის აღმოაჩინეთ, რომ ხატვის ნიჭი გქონდათ?**

– საერთოდ, მე პროფესიით არქიტექტორი ვარ. ხატვას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, დაბადებიდან ვხატავ.

**– როგორც თქვენი ნახატებიდან ჩანს, მეტამორფოზებს განიცდით.**

– ამის გარეშე ხელოვანი წარმოუდგენელია. ადრე პეიზაჟებსაც ვხატავდი. გითხარით, პროფესიით არქიტექტორი ვარ-მეთქი, ამიტომ, გეომეტრიული ფიგურების კონტრასტიც ძალიან მომწონს. ქალის პორტრეტიც მაქვს დახატული, ახლა კი ძირითადად ნატურმორტებს ვხატავ. თითოეული ნახატი დიდი შრომის შედეგია. ყოველ დეტალსა და წვრილმანს ვითვალისწინებ. ჩარჩოებსაც კი თვითონ ვამზადებ, წინააღმდეგობაში რომ არ მოვიდეს ნახატთან და ისიც მთელის ჰარმონიული ნაწილი იყოს.



**– თქვენს სახლს და ეზოს ძალიან ლამაზი და საინტერესო დიზაინი აქვს.**

– ეზოს, სახლის და, ბუნებრივია, სახელოსნოს დიზაინიც მე მეკუთვნის. არქიტექტორ-დიზაინერი ვარ და ბევრი სახლი მაქვს დაპროექტებული, მათ შორის – ჩემიც. აქ ყველაფერი საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული. მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ, ეს ფინა-



ნსებთანაა დაკავშირებული.

**– თქვენს ორმაგ წარმომავლობაზე რას გვეტყვით?**

– არანაირი კავშირი არ მაქვს შოტლანდიასთან, თუმცა, ვფიქრობ, ორივე წარმომავლობა ერთმანეთს ავსებს და ამდიდრებს.

**– დიდი ქართველი მეცნიერის – ნიკო მარის შთამომავალი ბრძანდებით. იქნებ, ზუსტად გვითხრათ, როგორი ნათესაობა გაკავშირებთ მასთან?**

– როდესაც ნიკოს მამა, იაკობი, საქართველოში ჩამოვიდა, ჰყავდა მეუღლე და ვაჟი – ივანე. მოგვიანებით მისი მეუღლე გარდაიცვალა მან ქართველი ქალი შეირთო ცოლად და ეყოლა ნიკო. დღეს მისი შთამომავლები პეტერბურგში ცხოვრობენ.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრები მარები, ნიკოს ნახევარძმის – ივანეს შთამომავლები ვართ. მე უკვე მეხუთე თაობა ვარ ივანე მარის.



ის პირველი იყო, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელ მეცნიერებას – რუსთველოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. იკვლევდა ქართული ენის სადაურობას და ასე შემდეგ

**– თუა თქვენთვის ცნობილი, როგორი იყო ნიკო მარი პიროვნულად?**

– რომ გითხრათ, პიროვნულად რაიმე განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა-მეთქი, მოგატყუებთ. ნიკო გამორჩეული იყო თავისი მოღვაწეობით. ის იყო დიდი ნიკო მარი. ისე კი, როგორც ვიცი, ძალიან პედანტი იყო. ყველაფერში ზედმიწევნით მოწესრიგებული ყოფილა, რაც, თურმე, მის სახლსაც ყოველთვის ეტყობოდა. ძალიან ჰყვარებია მოგზაურობა და თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი ჰქონდა. არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა და ეს მის მოვალეობაშიც შედიოდა.

**– გვიამბეთ მის შესახებ რამე ისეთი, რაც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებითვის.**

– მისი დაბადებაც კი განსაკუთრებულია. მამამისი ღრმად მოხუცებული იყო, როდესაც მეორედ იქორწინა. მისი მეუღლე, აღათი მაღულარია, გურული, ძალიან ახალგაზრდა ქალი იყო. მათ ნიკო შეეძინათ. გასაოცარი, იცით, რა არის? იაკობი 84 წლის იყო, როდესაც ნიკო გაჩნდა. ძალიან მოხუცი – 94 წლისა გარდაიცვალა.

ნიკომ ბავშვობა ოზურგეთში გაატარა და შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში შეუყვანიათ. ქართული წერა-კითხვა სცოდნია დედისგან, მაგრამ, არ იცოდა რუსული, რითაც მასწავლებლებზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია. შემდეგ კი დიდი ნიჭი გამოუჩენია და უამრავი უცხო ენა შეუსწავლია. სხვათა შორის, ნიკო მარტო მეცნიერი არ იყო. ის შემოქმედი ადამიანიც გახლდათ. აქვს ილია ჭავჭავაძისადმი, ალექსანდრე წერეთლისა და რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსები.

**– ხომ არ იცით, როდის გადაწყვიტა, რომ ქართული ენის კვლევისთვის მოეკიდა ხელი და რა იყო მისი მთავარი მიზანი?**

– როგორც ვიცი. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, როცა გადაუწყვეტია, რომ ქართული ენის წარმოშობა გაერკვია და, როგორც კი გიმნაზია დაუსრულებია, შესულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, ქართველოლოგიის განხრით.

მას უზომოდ უყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა. იცით, მისი მთავარი მიზანი რა იყო? იმდროინდელ საქართველოში ქართული ენის პრესტიჟის ამაღლება. ამისთვის დაიწყო ქართული ლიტერატურის ძეგლების სამეცნიერო კვლევა. ის პირველი იყო, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელ მეცნიერებას – რუსთველოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. იკვლევდა ქართული ენის სადაურობას და ასე შემდეგ.

**– როგორც ვიცით, მიაღწია კიდეც იმას, რომ ქართულ ენას საკადრისი ადგილი დაუმკვიდრდა.**

– ნიკოს მიაჩნდა, რომ ქართველი ერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ერი იყო მსოფლიო ერთა შორის, რომელმაც შექმნა ისეთი კულტურა, რითაც საერთაშორისო ყურადღება და პატივი დაიმსახურა. საქართველო აღმოსავლეთისთვის ქრისტიანული რწმენის დედაბოძად მიაჩნდა. ამ პატარა ერმა შეძლო დიდი ნიჭის გატანა იერუსალიმში ათონის მთაზე, სინას მთაზე და ასე შემდეგ. კულტურულ პაექრობაში იყო ბერძნებთან და სხვა უძველესი ცივილიზაციის კერებთან. ნიკომ კი ამ ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანასა და შეხსენებას შეუწყო ხელი. ივანე ჯავახიშვილმა თქვა ნიკოზე: „მან ქართული ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზეც და-



სავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგია იმყოფება“.

**ქეთი კაპანაძე**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1940 წლის ივნისში ბალტიისპირეთი საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ იქნა. ამავე დროს, ბევრმა არ იცის, რომ ქართველი ოფიცერი, გიორგი ჯანდიერი ლიტვის გადასარჩენად აქტიურად იღვწოდა. ამის შესახებ გვიამბობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკა თევზაძე.**

# ჰიტლერის რა დირექტივებს ატარებდა ლიტვაში აბვერის ოფიცერი გიორგი ჯანდიერი

– გიორგი ჯანდიერი პროფესიონალი სამხედრო მზვერავი იყო. ბალტიისპირეთს ის კარგად იცნობდა. 1912-1914 წლებში ჯანდიერი კაუნასში (მაშინდელი კოვნო) მსახურობდა. პირველი მსოფლიო ომის დროს კი, შედიოდა სპეცჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც გერმანელების მიერ ოკუპირებული ლიტვის ტერიტორიის ნაწილზე (კურლიანდია) დივერსიებს ახორციელებდა.

ოქტომბრის გადატრიალებას ძალზე უარყოფითად შეხვდა. ჯანდიერი, გენერალ კრასნოვთან ერთად, პეტერბურგიდან ბოლშევიკების განდევნას შეეცადა. ამის შემდეგ ჯანდიერი გადადის ფინეთში, იქიდან – შვედეთში. 1919 წელს ჩამოდის დამოუკიდებელ საქართველოში და ქართულ არმიაში მსახურობს. როცა საბჭოთა რუსეთმა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია მოახდინა, მიემგზავრება ემიგრაციაში. ქართველ ემიგრანტებთან მას ძალიან რთული ურთიერთობა ჰქონდა. მიზეზი ჯანდიერის ზედმეტი პირდაპირობა იყო. 1928 წელს ჯანდიერი, როგორც უცხოური ლეგიონის ჯარისკაცი, აფრიკაში იბრძვის. აქ მან გერმანელი ოფიცერი, ვინე კრამერი გაიცნო. მან კი ჯანდიერს გერმანიის დაზვერვისთვის მუშაობა შესთავაზა. 1934 წელს ისინი გერმანიაში ერთად ჩავიდნენ. გერმანიის ხელისუფლების სათავეში უკვე ჰიტლერელები იდგნენ. მალე ჯანდიერი სამხედრო დაზვერვის (აბვერი) თანამშრომელი გახდა. რაკი ქართველ ემიგრანტებთან ცუდი ურთიერთობები ჰქონდა, ბალტიისპირეთის განყოფილებაში ჩარიცხეს. ამ მხარეს ჯანდიერი კარგად იცნობდა, ლიტვურ ენასაც ბრწყინვალედ ფლობდა.

**– რას საქმიანობდა ბალტიისპირეთში ჯანდიერი?**

– ბალტიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა 1918-1920 წლებში მოიპოვეს. ამას ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსეთი (წითელი თუ თეთრი), ასევე გერმანიაც, რომელიც ბალტიას თავის საკუთრებად მიიჩნევდა. საქმე ისაა, რომ გერმანიამ თავის დროზე ბალტიისპირეთი დაიპყრო. მართალია, შემდგომში გერმანელი დამპყრობლები სხვებმა შეცვალეს (რუსებმა, შვედებმა, პოლონელებმა), მაგრამ გერმანულმა არისტოკრატიამ თავისი გაბატონებული პოზიციების შენარჩუნება მოახერხა. მე-18 საუკუნიდან ბალტიისპირეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მიუხედავად ამისა, გერმანელი ბარონები თავს კვლავაც არხეინად გრძნობდნენ. 1918 წლამდე მთელი მიწა მათ ხელში იყო. ლატვიელებს, ლიტველებს თუ ესტონელებს, მისი მხოლოდ არენდით აღება შეეძლოთ. ლიტვაში ამას პოლონური პრობლემაც დაემატა, რომელსაც იქ ძლიერი პოზიციები ჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება არც ისე იოლია. სამივე ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა. ლიტვაში ეს 1926 წელს მოხდა, ლატვიასა და ესტონეთში კი – 1934 წელს. შედეგად, გატარდა არაპოპულარული რეფორმები. ბალტიისპირეთის ქვეყნებში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ პოლიტიკური პრობლემები მტკივნეულად იდგა. საბჭოთა იმპერია ბალტიისპირეთში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ კი, გერმანელებიც გააქტიურდნენ. ისინი შეეცადნენ, რუსების საქმიანობა გაენეიტრალებინათ. ამ ოპერაციებში ჯანდიერიც მონაწილეობდა.

**– ბალტიელებს ტერიტორიული პრობლემები არ ჰქონიათ?**

– ასეთი პრობლემები ლიტვას ჰქონდა. როგორც ცნობილია, 1921 წელს პოლონეთმა ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი (პოლნურად, ვილნო) დაიპყრო. ლიტვამ პასუხად პოლონეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. დროებით დედაქალაქად კაუნასი გამოცხადდა. ისტორიაში ეს ვილნოს კონფლიქტის სახელწოდებითაა შესული. ამას გარდა, არსებობდა კლაიპედის საკითხიც. მაშინ, მოგეხსენებათ, კლაიპედის მხარეში უმრავლესობას გერმანელები შეადგენდნენ. მათ, ბუნებრივია, გერმანიასთან შეერთება სურდათ. რაკი გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, კლაიპედა ლიტვას გადასცეს, თუმცა ამ მხარეს ფართო ავტონომია ჰქონდა. 1926 წელს პოლკოვნიკმა პლეხავიჩუსმა კანონიერი პრეზიდენტი – გრიუნასი დაამხო და ლიტვის დიქტატორი გახდა. თავის რადიომიმართვაში პლეხავიჩუსმა აღნიშნა: მე სამხედრო ვარ და არა პოლიტიკოსი, პოლიტიკაში იმიტომ ჩავერთე, რომ ქვეყანა მეხსნა, მემარცხენე პრეზიდენტ გრიუნასს ხომ ლიტვა დაღუპვისაკენ მიჰყავდაო.



**როდესაც ულტიმატუმი გადასცეს, სმეტონამ იმ ქართველ ოფიცერთან შეხვედრა მოითხოვა, რომელიც ლიტველებს მოსალოდნელი რუსული აგრესიის შესახებ აფრთხილებდა**

პლეხავიჩუსმაც ლიტვის პირველ პრეზიდენტ ანტანას სმეტონას მიმართა და მოუწოდა, ხელისუფლება აეღო. სმეტონა თავდაპირველად შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. ამრიგად, ხელისუფლებაში მოვიდა ტაუტინინკების (ნაციონალისტები) პარტია, სადაც არსებობდა ორი ლიდერი, ანტანას სმეტონა (ის პრეზიდენტი გახდა) და აუგუსტინას ვოლდემარასი, რომელმაც პრემიერის პოსტი დაიკავა. შემდგომში სმეტონა-ვოლდემარასს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა გაიმართა, რასაც კინაღამ სამოქალაქო ომი მოჰყვა. ამ ბრძოლაში პრეზიდენტმა სმეტონამ გაიმარჯვა და ლიტვის დიქტატორი გახდა.

ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ლიტვა-გერმანიის ურთიერთობები უკიდურესობამდე დაიძაბა, რადგანაც კლაიპედაში გერმანიასთან შეერთების მომხრენი ძალზე გააქტიურდნენ. ჰიტლერმა ეს ოსტატურად გამოიყენა და კლაიპედის ანექსია მოახდინა (1939). ლიტველებში მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ პოლონეთ-გერმანიის ერთობლივ წნეხს ვერ გაუძლებდნენ, ამიტომ რუსეთთან ალიანსი აუცილებელიაო. გერმანელებმაც ამისი განეიტრალება სცადეს. ჯანდიერი ამ სპეცოპერაციებში აქტიუად მონაწილეობდა.

**– კონკრეტულად, რას საქმიანობდა?**

– ჯანდიერმა ახლო ურთიერთობები დაამყარა ლიტვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელებთან, სამხედროებთან, პოლიტიკოსებთან, მათ შორის მათთანაც, ვინც პრეზიდენტ სმეტონას მოწინააღმდეგე იყო. მის მეგობრებს შორის ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსი, ვინცას კრევე-მიოცკიავიჩუსიც იყო, რომელიც რუსეთთან ალიანსს მხარს უჭერდა და ლიტვა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი გახლდათ. კრევე-მიოცკიავიჩუსი რევოლუციამდე კავკასიაში, კერძოდ, ბაქოში ცხოვრობდა. კავკასიურ ადათ-წესებს კარგად იცნობდა, ამიტომ ჯანდიერმა მასთან საერთო ენა ძალიან სწრაფად გამონახა. 1939 წელს დაიდო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი. რუსეთი ბალტიისპირეთის ოკუპაცია-ანექსიისათვის ემზადებოდა. თუმცა, ლიტვის საკითხი სხვანაირად იდგა.

**– თუ შეიძლება, ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით მოგვიყევით.**

– ლიტვაში უნდა დამყარებულიყო რეჟიმი, რომელიც როგორც მოსკოვს, ისე ბერლინს ხელს აძლევდა. პრემიერის პოსტზე იმხანად ემიგრაციაში მცხოვრები ვოლდემარასის კანდიდატურა განიხილებოდა. სტალინი მის კანდიდატურას დათანხმდა, თუმცა ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო.

ბალტიისპირეთი, სტალინის სქემით, ანექსირებული უნდა ყოფილიყო. აქაოდა, ეს მხარე რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში იყო, კვლავ იმპერიის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდესო. გერმანელები შეეცადნენ, კონტრსვლა გაეკეთებინათ. აბვერის მიერ ლიტვაში ჩატარებულ ოპერაციებში ჯანდიერი აქტიურად მონაწილეობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ლიტვამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, გერმანიამ კი, როგორც ცნობილია, პოლონეთი ძალზე ადვილად დაამარცხა. ვარშავა დაეცა, ვილნიუსი კი ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა. მართალია, შეთანხმების მიხედვით, ვილნიუსში რუსები უნდა შესულიყვნენ, მაგრამ ჰიტლერმა მაინც სცადა, მათთვის სარმა გამოედო. ფიურერმა ლიტვის პრეზიდენტ სმეტონას შეუთვალა, რომ თუ ვილნიუსში შეხვალ, ყოველმხრივ მხარს დაგიჭერო. სმეტონამ ამაზე უარი უთხრა. ის, ჯერ ერთი, ჰიტლერს არ ენდობოდა. ვილნიუსშიც საბჭოთა არმია შევიდა. ამის შემდეგ უკვე სტალინმა ლიტვის პრეზიდენტს განუცხადა: მზადა ვართ, ვილნიუსი დაგიბრუნოთ, ოღონდ ერთი პირობით, ლიტვაში საბჭოთა სამხედრო ბაზების განთავსებაზე უნდა დაგვეთანხმოო. გერმანელებმა სცადეს, ამისთვის ხელი შეეშალათ. სპეცჯგუფში, რომელიც ლიტვაში მიავლინეს, ჯანდიერიც შედიოდა. ლიტვის მემარცხენე წრეებში გერმანიას ბევრი აგენტი ჰყავდა. უფრო სწორად, ესენი ორმაგი აგენტები იყვნენ – რუსებზეც მუშაობდნენ და გერმანელებზეც. მათი დახმარებით უნდა მოწყობილიყო პრეზიდენტ სმეტონას საწინააღმდეგო დემონსტრაცია. გარეგნულად ყველაფერი ისე გამოჩნდებოდა, თითქოს რუსებმა ლიტველი მემარცხენეების დახმარებით, სმეტონას დამხობა სცადეს. ლიტვის პრეზიდენტიც რუსეთთან ურთიერთობას გაწყვეტდა და არავითარი საბჭოთა ბაზები ლიტვაში აღარ განლაგდებოდნენ. კაუნასში ჩასული ჯანდიერი ლიტვის მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, პოვილაიტისს და უშიშროების დეპარტამენტის შეფს, სკუჩასს შეხვდა. პოვილაიტისი და სკუჩასი სრულად აცნობიერებდნენ იმ საფრთხეს, რასაც ლიტვას რუსული ბაზების განლაგება უქადდა. სკუჩასმა ჯანდიერს განუცხადა, რომ არსებობს მემარცხენე ჟურნალისტი – პალეცკისი, ბოჰემური ყაიდის მოღვაწე, რომელსაც რუსები ძალიან უყვარს, ხოლო პრეზიდენტი სმეტონა კი სძულსო. პალეცკისი საბჭოთა საელჩოს ხშირი სტუმარია, შესაბამისად, თუკი დემონსტრაციას პალეცკისი მოაწყობს, ყოველივე ისე წარმოჩინდება, თითქოს რუსებმა სმეტონას დამხობა მოიწადინესო.

სინამდვილეში დემონსტრაციის მოწყობა მას კომპარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მეშკაუსკენემ შესთავაზა. ეს ქალბატონი როგორც რუსების, ისე გერმანელებისთვისაც მუშაობდა. დემონსტ-

რაცია მართლაც მოაწყო და სმეტონას დამხობა მოითხოვა. პოლიციამ დემონსტრაცია დაარბია. პალეცკისი დააპატიმრეს. სმეტონა ისე გამმაგდა, რომ მზად იყო, რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტა. მოულოდნელად, ამას გადაჭრით წინ აღუდგა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი – რაშტიკისი, რომელიც სმეტონას ნათესავი გახლდათ. პრეზიდენტი იძულებული გახდა, უკან დაეხია. ლიტვაში საბჭოთა ბაზები განთავსდა. სამაგიეროდ, სტალინმა ლიტველებს ვილნიუსი დაუბრუნა.

**– ამრიგად, ჯანდიერის მისია წარუმატებლად დამთავრდა?**

– ჯანდიერი ლიტვას კიდევ რამდენჯერმე ეწვია. მან მიაღწია იმას, რომ პრეზიდენტმა სმეტონამ რუსებთან კავშირის გაწყვეტაზე თანხმობა განაცხადა. მალე ლიტვის პრეზიდენტმა პოვილაიტისი და სკუჩასი ბერლინში მიავლინა. ისინი პირადად ჰიტლერმა მიიღო. პოვილაიტისსა და სკუჩასს მან განუცხადა: კეთილი, გაწყვიტეთ რუსებთან ურთიერთობები, მოითხოვეთ რუსული ბაზების გაყვანა, მე მხარს დაგიჭერთ. შეკითხვაზე, კონკრეტულად რისი იმედი შეიძლება, გვქონდესო, ჰიტლერმა მიუგო, დღეისთვის ვერმახტი ბალტიისპირეთის მოვლენებში ვერ ჩაერევა, მაგრამ თუკი ლიტვა რუსების წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს, მას როგორც იარაღით, ისე ინსტრუქტორებით დაეხმარებაო. ამას გარდა, ჰიტლერმა პირობა წამოაყენა: ლიტვას გერმანული პროტექტორატი უნდა ეღიარებინა. ლიტვა-გერმანიას შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება, რომლითაც ლიტვური რკინიგზა გერმანიის საკუთრებაში გადადიოდა. ამას გარდა, ლიტვის მთავრობას თავისი საგარეო პოლიტიკა გერმანიასთან ერთად უნდა შეემუშავებინა, ლიტვური არმია კი ჰიტლერულ სამხედრო დოქტრინაში უნდა ჩამჯდარიყო. სამშობლოში დაბრუნებულმა პოვილაიტისმა და სკუჩასმა ყოველივე სმეტონას მოახსენეს. ამ დროს, რუსეთი ლიტვის ანექსიისთვის ემზადებოდა, გერმანიასაც მის მიმართ იმპერიალისტური გეგმები ჰქონდა. პრეზიდენტი სმეტონა დაიბნა. ჰიტლერის წინადადების მიღება შეუძლებელი იყო. ინგლის-საფრანგეთს კი ლიტვისთვის არ ეცალა. სმეტონამ აღარ იცოდა, რა ეღონა. სტალინმა დრო ზუსტად შეარჩია. ბალტიისპირეთზე მაშინ გაილაშქრა, როცა ჰიტლერი საფრანგეთის დაპყრობით იყო დაკავებული და ლიტვაში აქტიურად ვერ იმოქმედებდა.

**– გერმანელებმა წინააღმდეგობის გაწევა არ სცადეს?**

– კაუნასში ჩავიდა აბვერის ოფიცერთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ჯანდიერიც იყო. ის გულმოდგინედ ცდილობდა დალუპვის პირას მყოფი ლიტვა გადაერჩინა. პოვილაიტისის შეკითხვაზე, ასე მონდომებული რადა ხარო, მიუგო: ოცი წლის წინ რუსეთმა ჩემი სამშობლო დაიპყრო; ქართველებმა კარგად ვიცით, რუსული ულელი რასაც ნიშნავს და არ გვინდა, რომ ლიტვამ ეს იგემოსო. ამან პოვილაიტისზე შთაბეჭდილება იქონია. ჯანდიერმა ეს იგრძნო და რუსული სცენარის შესახებ დაწვრილებით მოახსენა: მოსკოვი ლიტვა–სსრკ–ს საზღვარზე ინცინდენტის პროვოცირებას მოახდენს, ამის შემდეგ ლიტველებს წაუყენებენ ულტიმატუმს, ან ომი, ან ხელისუფლებაში ისეთი ძალების მოყვანა, რომლებიც ლიტვა–სსრკ–ს შორის დადებულ შეთანხმების რეალიზაციას უზრუნველყოფენ. ლიტვას წარედგინება ამ მთავრობის სია, რომელიც საბჭოთა აგენტებით იქნება დაკომპლექტებული. მისი ფუნქცია არა ლიტვა–სსრკ–ს შორის შეთამხმების უზრუნველყოფა, არამედ ლიტვის სსრკ–ს შემადგენლობაში შესვლა იქნებაო.

**– შემდეგ რა მოხდა?**

– პოვილაიტისმა ყოველივე სმეტონას მოახსენა. პრეზიდენტის შეკითხვაზე, რა მოვიმოქმედით, შს მინისტრმა მიუგო: ყველა ანტი–სახელმწიფოებრივი ელემენტი დაუყოვნებლივ უნდა იყოს იზოლირებული, გამოცხადდეს მობილიზაცია, ანუ რუსეთთან ომისათვის თადარიგი უნდა დავიჭიროთო. სმეტონამ არაფერი უპასუხა. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ურბშისი თავის მემუარებში წერს, რომ ამ საუბრის შემდეგ პრეზიდენტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ეს 1940 წლის 15 ივნისს მოხდა. ყველაფერი ზუსტად ისე განხორციელდა, როგორც ჯანდიერი ამბობდა. ლიტვა-საბჭოთა კავშირის საზღვარზე მოხდა ინცინდენტი. რუსებმა მომხდარში ლიტველები დაადანაშაულეს. სტალინმაც, ლიტვას ულტიმატუმი წაუყენა – ან ლიტვა დათანხმდება დაუშვას თავის ტერიტორიაზე დამატებითი საბჭოთა ქვეგანაყოფები, დანიშნოს ისეთი მთავრობა, რომელიც ლიტვა-საბჭოთა კავშირს შორის დადებულ შეთანხმებას უზრუნველყოფს, ან საბჭოთა კავშირი საომარ მოქმედებებს დაიწყებსო. ლიტველებს გადაეცათ ამ მთავრობის სრული სია. ამას გარდა, სტალინმა პოვილაიტისისა და სკუჩასის მოხსნა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაც მოითხოვა, აქაოდა მთელი ანტისაბჭოთა პროვოკაციების ორგანიზატორები ესენი არიანო.

როდესაც ულტიმატუმი გადასცეს, სმეტონამ იმ ქართველ ოფიცერთან შეხვედრა მოითხოვა, რომელიც ლიტველებს მოსალოდნელი რუსული აგრესიის შესახებ აფრთხილებდა. შეხვედრაც შედგა. სმეტონამ ჯანდიერს ხელი ჩამოართვა და უთხრა: მთელი ლიტველი ხალხის სახელით, მადლობას გიხდიო.

**– რუსებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ლიტველებმა ვერ გაბედეს?**

– ლიტვის ეგრეთ წოდებული „სახალხო მთავრობის“ წევრები თავიანთ მემუარებში ერთხმად აღნიშნავენ: სტალინმა პირობა მოგვცა, რომ ლიტვის დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იქნება, უბრალოდ, სმეტონას პროდასავლური რეჟიმი მოსკოვისადმი ლოიალური ძალებით შეიცვლებაო. ამ დაპირების ბევრს სჯეროდა. ლიტვა მტკიცე ანტიგერმანულ პოზიციებზე იდგა, შესაბამისად, ლოგიკური იყო, რომ სტალინს ლიტვის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა და ლიტველებიც მტრად არ მოკიდებოდნენ. ეგრეთ წოდებულ „სახალხო მთავრობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ლიტვური ლიტერატრურის კლასიკოსი, ვინცას კრევე-მიცკიავიჩუსი (შემდგომში ემიგრაციაში წავიდა) ამბობდა: სმეტონას მხარი იმიტომ არ დაუჭირეს, რომ ყველა ფიქრობდა, ლიტვის დამოუკიდებლობას არაფერი ემუქრებაო. რუსებმა კი ეს, ოსტატურად გამოიყენეს. სმეტონამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სტალინის ულტიმატუმი უნდა უარვყოთ და დამოუკიდებლობა იარაღით ხელში დავიცვათო. თავდაცვის მინისტრი, გენერალი ვიტკაუსკასი, რომელიც რუსებმა მოისყიდეს, ამას შეეწინააღმდეგა. სმეტონას მხარი არც პრემიერმა მერკისმა და არც მთავრობის სხვა წევრებმა დაუჭირეს. პრეზიდენტმაც განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად სხდომას ტოვებდა და ლიტვიდანაც მიემგზავრებოდა, რათა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება მოეხდინა.

შემდეგში სმეტონა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, გარდაიცვალა კლივლენდში 1944 წელს. რაც შეეხება პოვილაიტისსა და სკუჩასს, ისინი რუსებმა შეიპყრეს და მოსკოვში გადაიყვანეს.

**– ჯანდიერს რა ბედი ეწია?**

– გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების შემდეგ, ჯანდერი დივერსიულ ჯგუფთან ერთად, ლიტვაში პარაშუტით გადაისროლეს. როგორც ცნობილია, ომის დაწყებისთანავე, ლიტვაში მასობრივი ანტირუსული აჯანყება დაიწყო. მეამბოხეებმა დაიკავეს კაუნასი და ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადეს. შეიქმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში ქრისტიან-დემოკრატი, ამბრაზიავიჩუსი ჩაუდგა. ჯანდიერი ამას მიესალმა, თუმცა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. კაუნასში გერმანელები შემოვიდნენ. ამბრაზიავიჩუსის მთავრობა დაშალეს. ლიტვა გერმანიის შემადგენლობაში შეიყვანეს, ანუ რუსული ანექსია გერმანულმა შეცვალა. ჯანდიერმა ეს ხმამაღლა გააკრიტიკა. ამის გამო, თანამდებობიდან მოხსნეს და გერმანიაში გადაიყვანეს. 1942 წელს ის ჩნდება როვნოში, სადაც აბვერის სპეცგანყოფილებაში მსახურობს. 1943 წელს ჯანდიერი გერმანულ არმიას ტოვებს, ერთხანს გლეხებთან იმალება, შემდეგ კი ბანდერელთა რიგებს უერთდება – იარლით ხელში იბრძვის როგორც ნაცისტების, ასევე, სტალინური საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უკრაინული წყაროების თანახმად, 1952 წელს ჯანდიერი ცოცხალი იყო. მისი შემდგომი ბედი უცნობია. სავარაუდოდ, ბრძოლაში დაიღუპა.

**ჯულია დემეტრაშვილი**

(37-ე გვერდიდან)

# როგორ ათამაშებდა სტალინი მოწინააღმდეგე ქვეყნების სპეცსამსახურებს

არი ნებით არ იტყოდა“.

სტალინს არაფერი უპასუხია, მხოლოდ თავი გააქნია, გააბოლა და პოსკრებიშევი იხმო, ჩაის მოტანა უბრძანა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჭიქა სანახევროდ გამოცალა, დაიწყო:. „დარწმუნებული ვარ, ნამდვილად წამოეგნენ და ნახე, თუ ხვალ-ზეგ უფრო დაჟინებით არ გვთხოვონ „დამეგობრება“. შენ და შენებმა ერთი-ორჯერ სიტყვა ბანზე აუგდეთ, მაგრამ არ გადაამეტოთ. მხოლოდ ამის შემდეგ დაჰყევით „სამეგობრო“ შეთანხმებაზე მუშაობას. დარწმუნებული ვარ, სულ მალე ასეთი შეთანხმება მიღწეული გვექნება. მე, რა თქმა უნდა, ამწუთსვე თანახმა ვარ, მაგრამ არ შეიძლება, გავიშიფრებით. შეიძლება, ჰიტლერი მიგვიხვდეს მანევრს და ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. გარდა ამისა, შენების მეშვეობით, დიპლომატიურ კორპუსში ინფორმაციამ გაჟონოს ჩვენი მომავალი მეგობრის თაობაზე და ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ ფრანკო-ბრიტანელები. ვფიქრობ, ისინიც შეეცდებიან ჩვენთან „დამეგობრებას“ და აქედან მხოლოდ ჩვენ ვიხეირებთ“. მართლაც, მოსკოვში მყოფ დიპლომატებს შორის საბჭოთა კავშირ-გერმანიის მომავალი კავშირის შესახებ ხმა გავრცელდა, რაზეც სასწრაფო რეაგირება მოახდინეს ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებმა და თავ-თავიანთ ქვეყნებში დაშიფრული დეპეშები დააგზავნეს. მთელი ზაფხული, როგორც გერმანია, ასევე ბრიტანეთი და საფრანგეთი საბჭოთა კავშირის თავის მხარეს გადაბირებას ცდილობდნენ, სტალინი კი ლავირებდა და პარალელურად, „წითელი არმიის“ ფორსირებულ მოდერნიზაციას ახორციელებდა.

23 აგვისტოს მოსკოვში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ფონ რიბენტროპი ჩავიდა, რომელსაც აეროპორტში მოლოტოვი დახვდა. პარალელურად კი, ლენინგრადის გავლით, დედაქალაქს ანგლო-ფრანგული მისიებიც ეწვივნენ, რომელთანაც ვოროშილოვი აწარმოებდა მოლაპარაკებებს. რიბენტროპს მხოლოდ სტალინი და მოლოტოვი შეხვდნენ პირისპირ, მოილაპარაკეს და ღამის 2 საათზე ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც ორ ქვეყანას შორის ათწლიან ნეიტრალიტეტს ითვალისწინებდა. ეს დოკუმენტი „თავდაუსხმელობის პაქტის“ სახელით შევიდა ისტორიაში და მას რიბენტროპმა და მოლოტოვმა მოაწერეს ხელი. რიბენტროპი აეროპორტში მოლოტოვმა გააცილა და უკან დაბრუნებული სტალინს პირდაპირ კაბინეტში ეახლა, რომელიც უკვე ელოდა. მოლოტოვის დანახვისთანავე, დიდმა ბელადმა ორი ბოკალი შამპანურით შეავსო, ერთი მოლოტოვს გაუწოდა და წარმოთქვა: „მაინც წამოეგნენ და ეს ჩვენთვის დიდი წარმატებაა. რა თქმა უნდა, არა მგონია, რომ ჰიტლერი ათი წლით შევაჩეროთ. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ წინააღმდეგ 2 წელიწადი არაფერს მოიმოქმედებს, რაც არცთუ ისე ცოტაა“. შემდეგ მან საგარეო საქმეთა კომისარს სასმისი სასმისზე მიუჭახუნა და ბოლომდე გამოსცალა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

# როდის გეგმავს „ახალი ტალღის" კონკურსანტების ჩამოყვანას ბათუმში ბრენდონ სტოუნი და ვინ აჩუქა ნუცა ბუზალაძეს ძვირად ღირებული, ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს სამაჯური

**სასიხარულოა, რომ წელს იურმალაში ჩატარებულ, ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურს „ახალი ტალღის" გამარჯვებული, ქართველი ნუცა ბუზალაძე გახდა. 17 წლის ნუცა, ნამდვილად დამსახურებულად დაეუფლა პირველ ადგილს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართველები ნიჭიერები, გამორჩეულები და ორიგინალურები ვართ. თუმცა, აშკარაა, სხვა წლებისგან განსხვავებით, წელს, კონკურსის ჟიურის წევრები და მათ შორის, ჟიურის თავმჯდომარე – იგორ კრუტოიც, განწყობაზე ვერ იყვნენ. ალბათ, ამის მიზეზი ის ფაქტია, რაც კონკურსის დაწყებამდე მოხდა. კერძოდ, ლატვიაში არ შეუშვეს რუსი მომღერლების გარკვეული კატეგორია და ამას პოლიტიკური სარჩული დაედო. როგორც ამ კონკურსის საუნდ-პროდიუსერმა, ბრენდონ სტოუნმა გვითხრა, „ახალი ტალღა 2014" სკანდალით დაიწყო. კერძოდ, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, რუს შემსრულებლებს – იოსიფ კობზონს, ოლეგ გაზმანოვსა და ვალერიას ლატვიაში შესვლა აეკრძალათ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარეშე ჩაიარა გახსნის ცერემონიამ, საკონცერტო დარბაზის გარეთ, ათასობით ბაიკერმა საპროტესტო აქცია მაინც მოაწყო. ასეა თუ ისე, კონკურსი მაინც შედგა და გამარჯვებულად ქართველი შემსრულებელი დასახელდა, რომელსაც ორმოცდაათი ათასი ევრო ერგო ჯილდოდ. ასევე, ქართველ გამარჯვებულ კონკურსანტს კიდევ ერთი საჩუქარი გადასცეს. კერძოდ, გერმანული საიუველირო ბრენდის წარმომადგენელმა ფარიდ ასრიმ, 17 წლის მომღერალს შავი ბრილიანტით შემკული 18-კარატიანი ოქროს სამაჯური გადასცა და აღნიშნა, რომ ეს სამაჯური საგანგებოდ „ახალი ტალღის" გამარჯვებულისთვის შეიქმნა.**

**ბრენდონ სტოუნი:** მიხარია, რომ ჩემმა თანამემამულემ, უნიჭიერესმა და ულამაზესმა ნუცა ბუზალაძემ მოიგო წლევანდელი „ახალი ტალღის" კონკურსი იურმალაში. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ, მუსიკალური და უნიკალური სასიმღერო ნიჭის მქონე ერი ვართ. პირველივე დღიდან, როცა ის სცენაზე გამოვიდა და იმღერა, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ უპირობო ლიდერი იქნებოდა. ისეთი დამაჯერებელი გამოსვლა ჰქონდა, ემჩნეოდა, პირველობას არავის დაუთმობდა და ასეც მოხდა.

**– ბრენდონ, წლევანდელი „ახალი ტალღის" კონკურსი სკანდალურად დაიწყო, რადგან რამდენიმე რუსი მომღერალი, რომლებიც აპირებდნენ იურმალაში ჩასვლას გახსნაზე, დაბლოკეს, არ შეუშვეს ლატვიის ტერიტორიაზე. კონკრეტულად, რა მოხდა და რა იყო ამის მიზეზი?**

– დიახ, იყო პოლიტიკაზე დამოკიდებული სიტუაცია და, ამის გამო, სამი რუსი მომღერალი – კობზონი, გაზმანოვი და ვალერია, არ დაუშვეს ლატვიაში. ლატვიელები უკრაინელების დიდი მეგობრები არიან და მათ უჭერენ მხარს. ვერ გეტყვით, ამ სამი კონკრეტული მომღერლის გამო რატომ ჰქონდათ ასეთი რეაქცია, მაგრამ ფაქტია, ქვეყანაში არ შეუშვეს. თუ არ ვცდები, როცა უკრაინაში დაძაბული სიტუაცია იყო, ისინი უკრაინაზე ცუდი ტონით საუბრობდნენ და ეს ვერ აიტანეს ლატვიელებმა. ყველა ამ თემაზე ლაპარაკობდა, ალბათ შეამჩნიეთ, ჟიურის წევრებიც როგორ განწყობაზე იყვნენ. თან, საკონცერტო დარბაზის წინ, „ახალი ტალღის" გახსნის დღეს, დაახლოებით ათასმა ბაიკერმა საპროტესტო აქცია ჩაატარა. როგორც მითხრეს, ამით უკრაინელ ხალხს უცხადებდნენ სოლიდარობას. ამის გამო, „ახალი ტალღა 2014-ის" გრანდიოზული გახსნა ვერ მოხერხდა. ნახევარი საათის განმავლობაში იდგნენ იქ. მერე კი პოლიცია ჩაერია და დაშალა. ვერ გეტყვით, ისინი რას აპროტესტებდნენ, თუმცა, შიგნით, კულისებში, ნამდვილად მეგობრული სიტუაცია იყო და არანაირი პოლიტიკა და პროტესტი არ იგრძნობოდა. ჩვეულებრივად გამოდიოდნენ კონკურსანტები, ემზადებოდნენ შემდეგი ტურისთვის და იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. თუმცა, იცით, რა შევამჩნიე, ჟიურის წევრები ცუდ განწყობაზე იყვნენ და კონკურსის მერეც, ცალ-ცალკე დადიოდნენ. ერთად არ იკრიბებოდნენ, არ ისხდნენ და არ საუბრობდნენ.

**– წარმომიდგენია, როცა ნუცა ბუზალაძე გახდა გამარჯვებული, როგორი ამაყი იყავი.**

– ნამდვილად! მეც ქართველი ვარ და მიხარია ყველა ჩემიანის გამარჯვება. მით უმეტეს, ასეთ კონკურსებში, სადაც დიდი კონკურენციაა და ჟიურის წევრებიც საკმაოდ კომპეტენტურები და მკაცრები არიან. თან მიხაროდა, ამდენი ქართველი მომღერალი რომ გამოდიოდა სცენაზე – თამარ გვერდწითელი, ქეთა თოფურია, სოსო პავლიაშვილი, სოფო და დარბაზის ოვაცია არ წყდებოდა მათ დანახვაზე. ვხუმრობდი, რა ხდება, როგორც იქნა, დაგვაფასეს ქართველები-მეთქი *(იცინის).* ფაქტია, უყვართ ქართველები და მათი ნამღერიც. თან, ნუცამ, პირველ საკონკურსო დღეს რომ იმღერა, იმ სიმღერის ფონოგრამა მე გავაკეთე და უნდა გენახათ, როგორი სიყვარულითა და გულით ვაკეთებდი ჩემიანისთვის. ასე რომ, მის გამარჯვებაში წვლილი მეც მიმიძღვის *(იცინის).* სანამ კონკურსი დაიწყებოდა, მანამდეც ხომ იცოდა ჟიურიმ როგორი შესაძლებლობების კონკურსანტები იყვნენ და ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ნუცა, უპირობო ლიდერი იყო. იცით, რა მინდა, გითხრათ? ნუცა ძალიან ევროპული გოგოა. ვუყურებდი და მეგონა, ნამდვილი ევროპელი იდგა სცენაზე. უფრო სწორად, იცით, როგორი გოგოა ნუცა?

**– როგორი გოგოა?**

– პატარა, ნიჭიერი პერსპექტიული გოგონა ამერიკელის ხმით, ფრანგის გრაციოზულობით, იტალიელის შინაგანი სიმშვიდით და ამავდროულად, ლათინოამერიკელის ცეცხლოვანებით *(იცინის).*



რუსეთის სახელით რომ გამოდიოდა, ნოდარ რევია, მასაც ძალიან ვგულშემატკივრობდი, რადგან ისიც ქართველია და მესამე ტურში, ჩემი დაწერილი რუსულენოვანი სიმღერა შეასრულა

**– როგორც გავიგე, ფილიპ კირკოროვი იყო უკრაინელი კონკურსანტის ლობი და ამბობდნენ, ყველაფერს გააკეთებს მისი გამარჯვებისთვისო. თავადაც ნახე, ნუცას პირველ დღეს, ათი ქულა დაუწერა, როცა ის უფრო მეტს იმსახურებდა. თუმცა, მერე იკადრა და მოუმატა ქულებს. თუ გქონდა კირკოროვთან საუბარი და რას ამბობდა ის ქართველ კონკურსანტზე და ზოგადად, მის გამოსვლებზე?**

– უკრაინელი კონკურსანტი გოგონა მართლაც ძალიან ნიჭიერი იყო და მას ფილიპ კირკოროვი, ნამდვილად გულშემატკივრობდა. შეიძლება, ამას პოლიტიკური სარჩულიც ედო, მაგრამ რომ ნახა ფილიპმა, ქართველი ნუცა უფრო მაგრად მღეროდა, ეტყობა, მიხვდა, სხვა გზა არ ჰქონდა და შეცდომა გამოასწორა. უფრო სწორად, გამოისყიდა და აუწია ქულები ნუცას. თუმცა, მეც ვაღიარებ, უკრაინასაც, როგორც ქართველებს, მართლაც მაგარი გოგონა ჰყავდა კონკურსზე. დამიჯერეთ, წელს, ჟიური საკმაოდ ჩუმი და იდუმალი იყო – არ საუბრობდნენ ბევრს კონკურსანტებზე, კულისებშიც კი.

**– რუსეთის სახელით რომ გამოდიოდა ქართველი ნოდარ რევია, რომელსაც რუსეთის შოუ-ბიზნესში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მასზე რას იტყვი? ჩემი აზრით, მას არ ჰქონდა სწორად შერჩეული რეპერტუარი, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ეჩვენებინა. არ მეთანხმები?**

– მასაც ძალიან ვგულშემატკივრობდი, რადგან ისიც ქართველია და არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის სახელით გამოვიდოდა. მან მესამე ტურში ჩემი დაწერილი რუსულენოვანი სიმღერა შეასრულა და საკმაოდ მაღალი ქულები დაუწერეს. იცით, რა იყო მისი შეცდომა? მეორე ტურში, დუეტში რომ იმღერა პოლინა გაგარინასთან ერთად, იმ სიმღერის რეპეტიცია ერთად არ გაუვლიათ. უბრალოდ, ინტერნეტით „სკაიპში" რეპეტიციობდნენ და ეს მათთვის წამგებიანი იქნებოდა ყველა ვარიანტში. სოფო ხალვაში და ნუცა ბუზალაძე კი, როგორც ვიცი, საქართველოში, დიდხანს რეპეტიციობდნენ და კარგადაც წარსდგნენ მეორე ტურში. ნოდარს და პოლინას კი, მანამდე ერთმანეთი არც უნახავთ. რეპეტიციის გარეშე, სიმღერის შესრულება, ხომ წარმოგიდგენიათ? თუმცა, მესამე ტურში, ნოდარს ჟიურის ყველა წევრმა თერთმეტი, მაქსიმალური ქულა დაუწერა და ის სიმღერაც მე მეკუთვნის. ამითაც ამაყი ვარ!

**– ბრენდონ, გავიგე რომ საქართველოში აპირებ კონცერტის გამართვას, სადაც მოწვეული იქნებიან „ახალი ტალღის" კონკურსანტები და მათ შორის, გამარჯვებული ნუცა ბუზალაძეც. თუ ეს სიმართლეა, სად გეგმავ კონცერტს და როდის?**

– დიახ, მართლაც ვგეგმავ ბათუმში, აგვისტოს ბოლოს, საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას, რომელსაც ბათუმის მერია მიკეთებს. მინდა, დავპატიჟო როგორც წლევანდელი „ახალი ტალღის" მონაწილეები, ასევე, შარშანდელი გამარჯვებული კუბელი ბიჭიც, რომელიც ჩემი აღმოჩენა იყო. რასაკვირველია, ასევე, შეუდარებელი სოფო ხალვაში. ახლა, ესპანეთში ვისვენებ ცოტა ხნით, მერე გერმანიაში ჩავალ, ჩავუჯდები სიმღერებს და სულ მალე, ბათუმსაც ვესტუმრები ჩემი სტუმრებით *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

# რისთვის არ დაზოგავს თავს კახა კუხიანიძე

*მომღერალი კახა კუხიანიძე ცხოვრების ჯანსაღ წესს ანიჭებს უპირატესობას და ყოველდღე ვარჯიშობს. გარდა ამისა, მუშაობს ახალ სიმღერებზე და სექტემბრიდან მზად არის, მათ გასაჟღერებლად.*

**– ზაფხული მომღერლებისთვის, წესით, გადატვირთული უნდა იყოს. არის დაგეგმილი კონცერტები?**

– ჯერჯერობით არაფერი მსმენია. მიუხედავად იმისა, რომ მომღერლებისთვის ძალიან ცუდია, მაინც გასაგებია ყველაფერი. იმედია ყველაფერი კარგად იქნება და მომღერლებსაც გვექნება ჩვენი სამუშაო.

**– წერ ახალ სიმღერებს?**

– ორი ახალი სიმღერა ჩავწერე, ერთი ლაშა აბზიანიძემ დამიწერა, მეორე სიმღერას კი სალომე გოგიაშვილთან ერთად ვმღერი. მაგრამ პრემიერა არსად გამიკეთებია. ალბათ, სექტემბრიდან მივხედავ პრემიერის ამბავს. ხალხიც დასვენებული იქნება და ახალი ენერგიითა და შემართებით დავიწყებ საქმეს. ახლა ყველა გადაღლილია. ისე, ყოველთვის მეზიზღება ზაფხული თბილისში, რადგან სულ მგონია, ყველა გადაღლილი და დანერვოზებულია სიცხის გამო.

**– დასასვენებლად არ გეგმავ ქალაქიდან გასვლას?**

– მაისიდან დავიწყე დასვენება. როგორც კი ამინდი გამოდის, მაშინვე ვიწყებ დასვენებას. რა თქმა უნდა, აგვისტოში აუცილებლად წავალ სადმე. უკვე სამჯერ ვიყავი ბათუმში, შეიძლება, კიდევ წავიდე, ან თურქეთსა და ეგვიპტეზე გავაკეთო არჩევანი, ზუსტად არ ვიცი. სიმართლე გითხრა, არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა საქართველოში დავისვენებ, თუ მის ფარგლებს გარეთ. მთავარია, თავი ვიგრძნო კარგად, იმ ადამიანების გარემოცვაში ვიყო, ვინც კომფორტს შემიქმნის, ისევე როგორც მე მათ. აი ეს არის ჩემთვის დასვენება.

**– სამწუხაროდ, დღეს არ ტარდება კონცერტები, რაც მომღერლისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო უნდა იყოს. ამ ეტაპზე რა შეადგენს შენი შემოსავლის წყაროს? ანუ, რა არის შენი დამატებითი შემოსავალი?**

– მომღერლობიდან მე კი არა, სამწუხაროდ, მგონი, საქართველოში არავის აქვს ძირითადი შემოსავალი. რაც შეეხება ჩემი შემოსავლის წყაროს, ყველამ იცის, რომ საბავშვო სტუდიების ქსელი მაქვს, როგორც რუსთავში, ასევე თბილისში. ვგეგმავ კიდევ უფრო გაფართოებას. ძალიან მიყვარს ეს საქმე და ბავშვებთან ურთიერთობაც კარგად გამომდის. თან, სტუდიაში პროფესიონალები მუშაობენ.



მართალია, ნერვული სტრესი მქონდა, მაგრამ ნინომ უდიდესი სიხარული მოგვანიჭა თავისი წარმატებით

**– ნინი ბადურაშვილი არის ისევ სტუდიაში?**

– კი, ნინი ჩვენთან ერთად არის, რა თქმა უნდა.

**– კიდევ ერთი მიზიდულობის ძალაა, ალბათ, ეს მისი სახით.**

– კი, ასეა.

**– ერთი თვის წინ, ძალიან კარგი და სასიხარულო ამბავი მოხდა თქვენს ოჯახში, რომელიც ნინო ძოწენიძის (რძალი) წარმატებას უკავშირდება. მან პროექტ „ერთი ერთში," გაიმარჯვა და ყველასთვის სასურველი ბინის მფლობელი გახდა პრესტიჟულ უბანში.**

– ვერც კი გადმოგცემთ, რა დონის ბედნიერება იყო ეს. რა ხდებოდა, გეტყვი. ჯერ ხომ მთელი დღე ნერვიულობისგან განადგურებული ვიყავი. ტელევიზიაში რომ მივედი, მანქანა ავტოსადგომზე გავაჩერე და უცებ ისე გავითიშე, 15 წუთი მეძინა. მელოდებოდნენ, როდის გავიღვიძებდი, რომ ტელევიზიაში შევსულიყავით. მართალია, ნერვული სტრესი მქონდა, მაგრამ ნინომ იმხელა სიხარული მოგვანიჭა თავისი წარმატებით, რომ ეს ამად ღირდა. ნინო გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ნინომ თავისი შესაძლებლობები დაამტკიცა – ის არის საუკეთესო, კარგი არტისტი და მომღერალი. რაც შეეხება პრიზს, ძალიან კარგია და ესეც ძალიან გვიხარია. დიდი მადლობა პროექტის პროდიუსერებს, რადგან ყველაფერი ძალიან მოწესრიგებული და კარგად შეფუთული იყო.

**– შენც ხომ არ გეგმავ მომდევნო სეზონზე მონაწილეობის მიღებას?**

– ვფიქრობ, შეიძლება, მეც მივიღო მონაწილეობა. ეს მართლაც საუკეთესო პროექტია, საკუთარი შესაძლებლობები რომ წარმოაჩინო. ოღონდ, 24 საათის განმავლობაში გიწევს მუშაობა საკუთარ თავზე. პრინციპში, მე მზად ვარ, მთელი ენერგია ბოლომდე დავხარჯო და არ დავზოგო თავი. მთავარია, მათი სურვილიც იყოს და მე მზად ვარ.

**მარიკა ხიდურელი**

# რატომ არ ნერვიულობდა თაკო ოქროპირიძე „ახალი ხმის" ბოლო დღეს სცენაზე და რატომ გადაიზარდა მომენტალურად მისი სტრესი ბედნიერებაში

*მომღერალი თაკო ოქროპირიძე ივლისში დედაა გახდა. აქტიური ფეხმძიმობა პატარა გაბრიელის გაჩენით დამთავრდა. ჩვენი რესპონდენტი უკვე წლებია, „ავტორადიოს" წამყვანია. ბავშვობიდან მღერის და უყვარს თავისი საქმე. ის ფართო საზოგადოებამ პროექტ „ახალი ხმით" გაიცნო და უამრავი გულშემატკივარიც გაიჩინა.*

**თაკო ოქროპირიძე:** 19 ივლისს, გამთენიისას, 3-ის ნახევარზე, დავით გაგუას კლინიკაში, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით, ვიმშობიარე. ისეთი ყურადღებიანია მთელი გუნდი, რომ მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა მათ, გვერდში დგომისთვის.

**– მშობიარობას ოჯახის წევრებიდან დაესწრო ვინმე?**

– მშობიარობას ჩემი დედამთილი დაესწრო და დედასავით მედგა გვერდში. შიგადაშიგ მომდიოდა ხმები, რომ მეუღლესაც უნდოდა შემოსვლა, მაგრამ ვერ ბედავდა.

**– როგორი შეგრძნებაა დედობა?**

– არც ერთ ქართულ ლექსიკონში ამის ახსნისთვის სიტყვები არ მოიძებნება. ვერ შევაფასებ.

**– პატარას რა დაარქვით?**

– მამა გაბრიელის სახელი დავარქვით. ის გაბრიელ ბოლქვაძეა, რომელიც 4 კილო და 53 სანტიმეტრი დაიბადა.

**– საკმაოდ აქტიური ფეხმძიმე იყავი.**

– კი, ბოლომდე ვიმუშავე და აგვისტოს პირველ კვირას, უკან ვბრუნდები სამსახურში.





მაია დარსმელიძესთან შეხება პროექტის შუა ნაწილიდან გავწყვიტე და არც „ახალი ხმის" დასრულების შემდეგ მქონია მასთან ურთიერთობა – არც სიტყვიერი და არც პროფესიული

**– სიმღერას რაც შეეხება.**

– სიმღერას რაც შეეხება, ამ ამბავში ყველაზე მეტად ჩემი ქმარი აქტიურობს. ასეთი აქტიური მეუღლე, არ ვიცი კიდევ თუ ჰყავს ვინმეს. სულ მეუბნებიან, რომ ამა თუ იმ პროექტში მივიღო მონაწილეობა. ვინმე თუ დამიკავშირდა კონცერტზე გასვლასთან დაკავშირებით და უარი ვუთხარი, ბრაზობს. ძალიან უნდა, რომ ვიმღერო. ამ ეტაპზე კონცერტის გამო ბავშვს ნამდვილად ვერ დავტოვებ მარტო. სექტემბრიდან კი, უკვე მეც ჩავერთვები.

**– მეუღლემ ხელი იმაშიც შეგიწყო, რომ სანერვიულო ბედნიერებაში გადაგიზარდა. პროექტ „ახალი ხმიდან" გამოთიშვას და იმ დღესვე გათხოვებას ვგულისხმობ.**

– ვიცოდი, რომ ეს იმ დღეს მოხდებოდა. სცენაზე მართლა არ ვნერვიულობდი, რადგან მანამდეც არ მაკლდა „ახალ ხმაში" ნერვიულობა.

**– შენი და მაია დარსმელიძის უთანხმოების შესახებ მთელმა საქართველომ გაიგო. პროექტის შემდეგ თუ გქონდა ურთიერთობა მასთან?**

– მაიასთან შეხება პროექტის შუა ნაწილიდან გავწყვიტე და არც „ახალი ხმის" დასრულების შემდეგ მქონია მასთან ურთიერთობა – არც სიტყვიერი და არც პროფესიული.

**– ისევ გაბრიელს დავუბრუნდები. ვის ჰგავს?**

– გაბრიელი დაიბადა თუ არა, ერთხმად აღნიშნეს: ქერა მამა დაიბადაო. ზედ გამოჭრილი მამაა, ძალიან ჰგავს.

**– გილოცავ, კიდევ ერთხელ და ბედნიერ დედობას გისურვებ!**

**მარიკა ხიდურელი**

# ვინ განკურნა და აამეტყველა ქართულად წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი

ქართველი წმინდანი ეფთვიმე (ექვთიმე) მთაწმინდელი (ათონელი) დაიბადა დაახლოებით 955 წელს. ეფთვიმე მთაწმინდელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მნათობია ქართული ეკლესიისა. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. ეს იყო ბრწყინვალე ლიტერატურული ტალანტის მქონე ადამიანი.

გარდა ამისა, ის განსაკუთრებული სიწმინდით გამოირჩეოდა და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელ იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში. მას აფასებდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე. წლების განმავლობაში წინამძღოლობდა ათონის ივერთა მონასტერს. შემდეგ დაანება თავი მონასტრის წინამძღოლობას, რადგან ეს ხელს უშლიდა თავის უმთავრეს საქმიანობაში – სასულიერო ლიტერატურის თარგმნაში.



მისი მამა, წმიდა იოანე მთაწმინდელი ერისკაცობაში სამცხელი დიდებული გახლდათ. ის ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი იყო დავით მესამე, კურაპალატის კარზე. როცა ეფთვიმე პატარა იყო, მამამისმა დაუტევა საერო ცხოვრება და ოთხთა ეკლესიაში გაემგზავრა, სადაც მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული ბერები – მამა მოსე და მამა გელასი. იქვე, ფარულად, ბერად აღიკვეცა.

მაგრამ, განცხადდა მისი ამბავი. მას კი უნდოდა, მორიდებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, ამიტომ კურთხევა გამოითხოვა მოძღვართაგან და უცხოეთს გაემგზავრა.

მამა იოანე ულუმბოს მთაზე, მონასტერში დამკვიდრდა, ჯორებს უვლიდა და სხვა, ასევე, უპატიო მსახურებას ეწეოდა. იქ, იმ დროს არსებობდა ქართული სავანე.

პატარა ექვთიმეს დედის მამა და ძმები ზრდიდნენ, შესაძლოა, დედით დაობლებული იყო.

961 წელს სამხრეთ საქართველოში, იმიერტაოს სამეფოს ხელმწიფე, მერე კი ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი გახდა ადარნასე მესამის ვაჟი, დავით მესამე. ის სახელგანთქმული ხელმწიფე იყო და აქტიურად ცდილობდა სამხრეთის ქართული მიწების შემოკრებას.

მისი ხელმწიფობა ცნო ბიზანტიის იმპერატორმა და ჯერ მაგისტროსის, მერე კი კურაპალატის ტიტული უბოძა. გარდა ამისა, ტაოს სამეფოს მომიჯნავე ტერიტორიებზე, მისი სუზერენიტეტი გამოცხადდა და იმპერატორმა, დავით კურაპალატს „ზემონი ქვეყანანი“ დაუთმო, ანუ, კიდევ საკმაოდ დიდი ტერიტორია მიუმატა, რათა თავის სიცოცხლეში მას ჰქონოდა. სანაცვლოდ, მძევლები მოსთხოვა ქართველ მეფეს.

მძევალთა შორის მოხვდა ყრმა ექვთიმეც.

მისთვის „დათმობილ“ მიწებს, ძირითადად, ქართველი მეფე ათავისუფლებდა მაჰმადიანთაგან. ეს ტერიტორიებია: არზრუმის ოლქი, ბასიანი, ვანის ტბის გარშემო და მის მომიჯნავედ არსებული მიწები – ნაწილი ქართული, ნაწილი სომხური.

მძევლების ამბავი გავრცელდა და წმიდა იოანეს ყურამდეც მივიდა. ის იძულებული გახდა, თავი გამოეცხადებინა და ულუმბოს მთიდან კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. მამა იოანე პატივით მიიღეს იმპერატორის სასახლეში. იქვე იყო მისი სიმამრიც – აბუჰარბი, რომელსაც ბიზანტიის სამეფო კარი საკმაოდ აფასებდა.

მამა იოანემ მოითხოვა შვილი დაებრუნებინათ მისთვის. სიმამრს არ უნდოდა, და არც სამეფო კარს, მაგრამ, მამის, თანაც წმიდა ბერის სიტყვებმა, ყველაზე იმოქმედა:

– რა არის ეს? ნუთუ შვილები თქვენ არ გყავთ?! ხომ გიყვართ ისინი! ჩემი ძე კი, ობოლი, მძევლად გაგიწირავთ... ღმერთმა შეგინდოთ!

იმპერატორმა უარი ვეღარ უთხრა და მამამ შვილი თან წაიყვანა მონასტერში, ულუმბოს მთაზე.

ულუმბოზე მათი ყოფნა ცნობილი გახდა და ბევრმა ბერძენმა და ქართველმა მიაშურა ულუმბოს მათ სანახავად. მამა იოანეს კი განმარტოებული, ბერული ცხოვრება უნდოდა. ამიტომ, თავის ძესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად, დაახლოებით 965 წელს, ულუმბოდან ათონს მიაშურა. იქ ათანასე დიდის ლავრას შეეწყნარა და მზარეულად მსახურობდა ორ წელზე მეტი. ათანასე დიდი დედით ლაზი ყოფილა და დედის თანამემამულე ქართველებისადმი დიდი სიყვარული ჰქონდა.

ამ პერიოდში დავით კურაპალატის ცნობ-

**იმპერატორმა უარი ვეღარ უთხრა და მამამ შვილი თან წაიყვანა მონასტერში, ულუმბოს მთაზე**

ილმა სარდალმა თორნიკემ დაუტევა საერო ცხოვრება და ბერად აღკვეცა გადაწყვიტა. მას დიდი სიყვარული ჰქონდა წმინდა იოანესი და გადაწყვიტა, მოეძებნა ის და მასთან ერთად დამკვიდრებულიყო მონასტერში. ამ მიზნით, ულუმბოს მთაზე ავიდა. იქ, ფარულად გაიგო იოანესა და ექვთიმეს გამგზავრება ათონზე და თავადაც გაეშურა მთაწმინდისკენ.

პატარა ექვთიმეს იმდენი დრო გაეტარებინა ბერძნულენოვან სამყაროში, რომ ქართული კარგად აღარც ახსოვდა.

მალე, მომავალი მნათობი ქართული ეკლესიისა, ავად გახდა. ბავშვი ხმასაც ვეღარ იღებდა უკვე. ყრმა ექვთიმე იმდენად ცუდად იყო, რომ მამამ, წმიდა იოანემ, დაკარგა შვილის გამოჯანმრთელების იმედი. გადაწყვიტა, ეზიარებინათ სიკვდილის წინ მისი ვაჟი და მღვდელს შეატყობინა. თვითონ კი ტაძარში შევიდა, ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და ლოცულობდა.

ცოტა ხნის მერე, შვილის სამყოფელში რომ მიბრუნდა, კეთილსურნელება შეიგრძნო. შვილი სრულიად გამოჯანმრთელებული დახვდა. როგორც უამბო ვაჟმა მამას: მასთან გამოცხადებულა ვინმე დიდებული დედოფალი, ქართულად გამოლაპარაკებია და უკითხავს პატარა მორჩილისთვის: „რა გჭირს ეფთვიმე?“

პატარა მორჩილმა უპასუხა: – „ვკვდები დედოფალო“...

დედოფალი მიეახლა ყრმას, ხელი მოჰკიდა ხელზე და უთხრა:

– ნუ გეშინია, ადექი და ქართულად თავისუფლად ილაპარაკე!

გახარებული წმინდა იოანე მადლობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს აღსრულებული სასწაულისა და შვილის გადარჩენის გამო.

იმ დღის შემდეგ ექვთიმე ბრწყინვალედ ფლობდა ქართულს.

წმიდა ექვთიმეს გამოჯანმრთელებისა და დალოცვის ფაქტში შეუძლებელია, კაცმა არ დაინახოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ყურადღება ქართველებისადმი. ყოვლადწმიდა ქართულად ესაუბრა მომავალ მნათობს ქართველებისა, ახალ ოქროპირს, როგორც უწოდებდნენ მას. დალოცა და ქართული ენის კარგად ფლობა მიმადლა.

წმინდა იოანე ბერძნულ და ქართულ ღვთისმეტყველებაში წვრთნიდა თავის პატარა მორჩილ ძეს.

მამამაც გაუმხილა თავისი გულისნადები შვილს:

– შვილო, ჩვენს ქვეყანას ძალიან აკლია წიგნები. ვხედავ, რომ ღმერთს მოუმადლებია შენთვის ნიჭი და იღვაწე, რათა გამოასწორო ეს მდგომარეობა.

მართალია, ბევრი რამ გვქონდა სასულიერო ნაწარმოებთაგან თარგმნილი, მაგრამ რედაქტირება სჭირდებოდა. მაგალითად, სახარება ერთიანი რედაქციით უნდა ყოფილიყო გავრცელებული მთელ ქვეყანაში. „შუშანიკის წამებიდან“ ჩვენ ვიცით, რომ უკვე მეხუთე საუკუნეში გვქონდა თარგმნილი სახარება და დავითნი. გარდა ამისა, საქართველოში სალვთისმეტყველო-ფილოსოფიური ნაწარმოებების სიმცირე იყო და საჭირო გახლდათ მათი თარგმნა. ასევე, სხვა წიგნებისა. საჭირო იყო ქართული ნაწარმოებების თარგმნა ბერძნულ ენაზეც. ასევე ახალი, ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა. ქართული მთარგმნელობითი სკოლა მუდამ ძლიერი იყო. ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ გინდა, არ ჩამორჩე, თუ გინდა, განვითარდე – უნდა თარგმნო.

წმიდა ექვთიმემაც ბევრი იზრუნა და ქართული სასულიერო ბიბლიოთეკა, ქართული ეკლესია და ზოგადად, ქართული კულტურა რამდენიმე ათეული ნათარგმნი ნაწარმოებით გაამდიდრა. მან მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ბიზანტიურ ლიტერატურას. ბერძნულ ენაზე წერდა ორიგინალურ ლიტერატუ-

**(გაგრძელება 86-ე გვერდზე)**

**ადამიანის სხეულის ორად გაჭრილ ნაწილს შორის ჯარის გატარების მსგავსი რიტუალი აღწერილია ბაბილონელთა მეზობელ ხეთებთან, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფო შექმნეს მცირე აზიაში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეჩვიდმეტე საუკუნეში. ეს წეს-ჩვეულება სრულდებოდა მაშინ, როცა ჯარი მარცხს განიცდიდა. როგორც ჩანს, მსხვერპლს სამხედრო ტყვე წარმოადგენდა. ხეთები კუნელის ტოტებისგან აგებდნენ სიმბოლურ ალაყაფის კარს. თხას, ძაღლის ლეკვსა და გოჭს შუა-შუა ყოფდნენ და კარის ორივე მხარეს აწყობდნენ. იმავეს უკეთებდნენ სამხედრო ტყვეს, მერე ორივე მხარეს ანთებდნენ კოცონს და ჯარს კარში უნდა გაევლო. შუაზე გაჭრილ სხეულებს შორის გავლის შემდეგ, ჯარისკაცები მდინარისკენ მიდიოდნენ და ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ. როგორც ჩანს, ეს წესი განწმენდის ხასიათს ატარებდა.**

# „მეფის შეცვლა“ ხეთების მსხვერპლშეწირვის ყველაზე ძველი რიტუალია

ხეთებს კიდევ ერთი, შუმერებისა და ბაბილონელების მსგავსი წეს-ჩვეულება ჰქონდათ – მეფის „შეცვლა“, რათა ყველა უსიამოვნება, რომელიც ნამდვილ მეფეს ბედისწერით ემუქრებოდა, მის „ნაცვალს“ დასტყდომოდა თავს. მეფედ აკურთხებდნენ ტყვეს; შემდეგ ნამდვილი მეფე ღვთაებას უცხადებდა: „... შეხედე! ეს არის მეფე! მეფობა მე მას დავაკისრე, სამეფო ტანსაცმელში გამოვაწყვე, სამეფო დიადემა დავადგი თავზე და აღნიშნეთ იგი ცუდი ნიშნით, შემოკლებული წლებით, შემოკლებული დღეებით! და ისწრაფეთ მის შესაცვლელად!“ – შემდეგ ტყვე მიჰყავდათ, ხოლო ნამდვილი მეფე ასრულებდა განბანის რიტუალს და კვლავ მიმართავდა ღვთაებას: „... შეხედეთ! მზის ზეციურ და მიწიერ ღვთაებებს მე ჩემ მაგივრად მივეცი ჩემი სანაცვლო მეფე და მიიღეთ იგი თქვენ, ხოლო მე გამიშვით!“ ამის შემდეგ, ლოგიკის მიხედვით, „გამეფებული“ ტყვე უნდა მოეკლათ. მაგრამ, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა – ის მიჰყავდათ იმ ქვეყანაში, საიდანაც ტყვედ წამოიყვანეს. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ეს უფრო გვიანდელი ტრადიცია იყო, ხოლო ადრეულ პერიოდში მეფის „ადგილმონაცვლეს“ ნამდვილად მსხვერპლად სწირავდნენ.

ხეთებს ჰქონდათ დღესასწაული – „ხას უმასი,” რომლის მთავარი მოქმედი პირი იყო ტახტის მემკვიდრე. დღესასწაულის ოთხი დღის განმავლობაში უფლისწული ქალაქის სარიტუალო შენობებს მოინახულებდა, ყველგან ნადიმობდა დაახლოებულ პირებთან და ქურუმებთან ერთად და „კვებავდა“ ღმერთებს. მაგრამ, მეოთხე დღეს დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად რთავდნენ ადამიანს, რომელსაც იმ ათასგვარი უბედურებისა და უსიამოვნების სიმბოლიზება უნდა მოეხდინა, რომელიც ხეთებს ემუქრებოდა. ეს იყო ერთგვარი „განტევების ვაცი“ – რიტუალში ტყუილად არ მონაწილეობდა ახლად დაკლული და შეჭმული თხის ტყავი. მსხვერპლად აუცილებლად ბრმა ადამიანს ირჩევდნენ – ბნელეთისა და სიკვდილის სიმბოლოს. მას ხდიდნენ ტანსაცმელს, მოსავდნენ თხის ტყავით, სცემდნენ და მიჰყავდათ ტაძარში, მაგრამ, როგორც ჩანს, უსინათლოს უსიამოვნებები ცემით მთავრდებოდა.

ხეთურ ტექსტებში შემორჩენილია დღესასწაულების აღწერა, რომლებზეც ადამიანები ღმერთებს რიტუალური ორთაბრძოლებით ამხიარულებდნენ. მაგრამ, როგორც „განტევების ვაცის“ შემთხვევაში, აქაც არ არის მკაფიო მინიშნებები იმაზე, თუ რით მთავრდებოდა „გასართობი“ ორთაბრძოლები – მონაწილეთა სიკვდილით თუ მისი იმიტაციით. ალბათ, უფრო დასაჯერებელია, რომ, შორეულ წარსულში, რომელზეც ხეთი ავტორები წერენ, შეიძლება, ღვთაებისთვის ადამიანის უსისხლო მსხვერპლშეწირვის რიტუალი ჩაეტარებინათ. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ორთაბრძოლა უეჭველად წინასწარ იყო დადგმული, მისი შედეგი წინასწარ იყო ცნობილი, ყოველწლიურად მეორდებოდა შემოდგომის დღესასწაულზე და ერთი მხარე ბრძოლაში ბამბუკის ჯოხებით იღებდა მონაწილეობას. ამასთანავე, ბრინჯაოს იარაღის მფლობელები იწოდებოდნენ „ხათის ადამიანებად“ (ხეთებად), ხოლო მათი მოწინააღმდეგენი, ბამბუკის ჯოხებით შეიარაღებულნი – „მასას ადამიანებად“. ორთაბრძოლა, ბუნებრივია, „ხათის ადამიანების“ გამარჯვებით მთავრდებოდა. მთლიანობაში კი ხეთები ჰუმანურები იყვნენ. მათი კანონმდებლობაც კი – მსოფლიოში უძველესი კრებულები, რომელთა შემონახული უძველესი ტექსტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთექვსმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების მიჯნით თარიღდება – სასიკვდილო განაჩენს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებდა და ჩანს მცდელობა, რომ ყველა საკითხი შეთანხმებითა და, სიამტკბილობით გადაეწყვიტათ. მაგალითად, მისი ერთ-ერთი პარაგრაფი გვამცნობს:



„თუ ვინმე მეორე ადამიანს რაიმეს ავნებს და ტკივილს მიაყენებს, ვალდებულია, მას მიხედოს. მან სანაცვლოდ უნდა მისცეს ადამიანი, რომელიც დაზარალებულის ოჯახში იმსახურებს მანამდე, სანამ ავადმყოფი მომჯობინდება. როდესაც ის გამოკეთდება, დამნაშავემ მას უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი და საფასური გადაუხადოს მკურნალ ექიმს“.

მაგრამ ხეთებს ჰყავდათ ქალღმერთი, რომელიც ადამიანის სისხლს ითხოვდა, თუმცა, მკვლელობას არ აიძულებდა. მათი ქურუმები, ექსტაზში შესულები, თვითდასახიჩრებას ეწეოდნენ, ყველაზე თავგამოდებულები კი თავს ისაჭურისებდნენ, რაც ყველაზე სასურველ მსხვერპლად ითვლებოდა. ეს სისხლმოწყურებული ქალღმერთი თავიდან იწოდებოდა როგორც „დიდი დედა”, მოგვიანებით კი მას „კიბელას” უწოდებდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ხეთთა სამეფო დასუსტდა. მცირე აზიაში იერიშით შეჭრილმა ფრიგიელებმა მათ მიერ დაპყრობილი ხალხის ქალღმერთის – კიბელას კულტი გადაიღეს. მას შემდეგ ფრიგიელმა ქალღმერთმა კიბელამ თავისი გამარჯვებითი სვლა დაიწყო მთელ მსოფლიოში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 204 წელს მან დაიპყრო დაუმარცხებელი რომი, სადაც ის ნათესების ქალღმერთის – ოპსის კულტს შეერწყა და მიიღო სახელმწიფოებრივი სტატუსი. მას მიეძღვნა მეგალაზიური თამაშები, რომლებსაც დაწვრილებით აღწერს ოვიდიუსი თავის „ფასტებში“ – რომის კალენდარული დღესასწაულების წიგნში. პოეტი იმაზეც მოგვითხრობს, თუ რატომ ითხოვდა ქალღმერთი თავის მსახურთაგან ასეთ უცნაურ მსხვერპლშეწირვას.

ოდესღაც ფრიგიის ტყეებში ნორჩმა ყმაწვილმა, „მიმზიდველი გარეგნობის აგისმა“, კიბელა „წმინდა სიყვარულით“ მოხიბლა. ქალღმერთი პასუხს აგებდა ნაყოფიერებაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, რატომღაც, გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა ფიზიკური სიახლოვისგან, ყმაწვილს მოსთხოვა, დარჩენილიყო მასთან და „დაეცვა სალოცავები“; ასევე, წაუყენა ნაკლებად შესასრულებელი პირობა – „მარადის ყმაწვილად დარჩენილიყო“, ანუ, საერთოდ უარი ეთქვა (ვისთანაც არ უნდა ყოფილიყო ეს დაკავშირებული) ხორციელ სიყვარულზე. მაგრამ აგისმა ვერ შეასრულა პირობა, მას ნიმფა შეუყვარდა, რაზეც კიბელა განრისხდა და დაღუპა ნიმფა, ხოლო აგისს უგუნურება „გამოუგზავნა“ და მან ჭრილობების მიყენება დაიწყო საკუთარ სხეულზე ბასრი ქვით.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ | | ფ | | ა | რ | ს | ე | ნ | ა |
| | | | | | ა | რ | ა | ლ | კ | | ე | | | ლ |
| | | | | | რ | | ფ | | ვ | ა | რ | ა | მ | ი |
| | | | | | ა | ვ | ა | რ | ა | | თ | | უ | ბ |
| | | | | | კ | | | | მ | ზ | ი | უ | რ | ი |
| | | | | | ა | ტ | ი | კ | ა | | ფ | | ი | |
| | | | | | ნ | | ლ | ი | რ | ფ | ი | | | ყ |
| მ | | კ | ა | რ | ა | ბ | ი | ნ | ი | | კ | | ბ | ი |
| ხ | ა | რ | ჩ | ო | | ა | კ | ო | ნ | კ | ა | გ | უ | ა |
| ე | | ო | მ | ბ | ა | ლ | ო | | ი | ა | ტ | ა | კ | |
| დ | ა | ნ | ა | ე | | თ | | შ | | ც | ი | ლ | ი | |
| ა | | ო | | რ | | ა | გ | ა | ს | ი | | ა | ა | კ |
| რ | | ს | ი | ტ | ი | | რ | ი | ტ | ა | | ქ | | ვ |
| ი | რ | ი | ს | ი | | ს | ი | რ | ა | | ე | ტ | ლ | ი |
| | უ | | ი | | ს | ა | მ | ი | ტ | ი | | ი | ა | ნ |
| | კ | | რ | კ | ა | ლ | ი | | ი | | | კ | | ტ |
| ზ | ა | მ | ბ | ა | რ | ა | | ს | ა | რ | ქ | ა | ლ | ი |
| ე | | კ | ა | ნ | ი | | ს | ი | | ა | | | ი | ლ |
| რ | ძ | ე | | კ | | კ | ა | ლ | ე | ნ | დ | ა | რ | ი |
| ე | | რ | | ა | დ | ა | მ | ო | | ტ | ო | კ | ი | ო |
| ლ | | დ | ე | ნ | | ფ | ე | ს | ვ | ი | | რ | | ნ |
| ე | მ | ი | რ | ი | | ე | დ | ი | | ე | ლ | ი | ნ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 | 7 |
| 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 9 | 1 | 3 | 4 |
| 2 | 5 | 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 9 | 3 |
| 9 | 3 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 1 | 2 |
| 1 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 6 |
| 5 | 7 | 3 | 1 | 6 | 8 | 2 | 4 | 9 |
| 8 | 2 | 4 | 9 | 5 | 3 | 6 | 7 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 7 | 3 | 5 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 7 | 8 | 9 | 1 |
| 3 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 5 | 8 |
| 5 | 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 | 2 |
| 2 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 9 | 4 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ჯომოლუნგმაზე ასვლის – ის წმიდა მთად ითვლებოდა. 2. წიგნაკი რადიოაქტიური ნივთიერებებით იყო დასვრილი. 3. შარავანდედი. 4. პატეფონი. 5. ზედა ტერასებზე წყლის ასატანად – „არქიმედეს ვინტი“. 6. იოჰან სებასტიან ბახის. 7. რეზინი და ვულკანიზაციის მეთოდი. 8. „მაკდონალდსი“. 9. ფუტკრები – „ფუტკრების გუნდი“. 10. ფენიქსს.**

**23 წლის მომღერალი, კომპოზიტორი საბინა ჭანტურია შვედეთშია დაბადებული და გაზრდილი. თუმცა მისი მამა ქართველია და როგორც საბინა ამბობს: მასში ქართული ხასიათი, ტემპერამენტი დიდი დოზით არის. რაც მთავარია, მას მუსიკალური ნიჭი სწორედ ქართული გენეტიკიდან გამოჰყვა. საბინა არაჩვეულებრივ მუსიკას წერს, როგორც შვედურ, ასევე ინგლისურ და უკვე ქართულ ენებზეც. მისი შემოქმედება შვედეთის ბევრ ქალაქში წარმატებული და პოპულარულია. ცოტა ხნის წინ კი საბინა ჰოლივუდიდან დაბრუნდა, სადაც საკუთარ სიმღერაზე კლიპი გადაიღო. თუმცა, საბინას ყველაზე მეტად ქართველი ხალხის სიყვარულის დამსახურება სურს და ცდილობს, თავისი შემოქმედება მათ უკეთ გააცნოს.**

# როგორ გადაიხადეს საბინა ჭანტურიას მშობლებმა სოხუმში ყველაზე ბოლო გრანდიოზული ქორწილი და რა ნიჭი გამოჰყვა შვედეთში გაზრდილ გოგონას ქართული გენეტიკიდან

**საბინა ჭანტურია**: შვედეთში ვარ დაბადებული. მამაჩემი – რევაზ ჭანტურია სოხუმიდანაა, ხოლო დედა – კარინა ვამლინგი, შვედია. ორივე ლინგვისტია. წლების წინ დედა თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტში სწავლობდა ასპირანტურაში, ისევე, როგორც მამა. ორივე იკვლევდა კავკასიურ ენებს და იქ გაიცნეს ერთმანეთი. ორი წლის განმავლობაში იყვნენ შეყვარებულები და შემდეგ, 1989 წელს სოხუმში, გადაიხადეს დიდი ქორწილი. სტოკჰოლმიდან ჩამოვიდნენ სტუმრები, ისეთი ლამაზი ქორწილი ჰქონდათ, სოხუმში ამის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ. ეს იყო სოხუმში ბოლო, ყველაზე დიდი ქორწილი, სანამ ის საშინელი მოვლენები განვითარდებოდა. შემდეგ იძულებულები გახდნენ, შვედეთში წასულიყვნენ, სადაც დავიბადე მე და ჩემი პატარა ძმა – ალბერტ-ოთარი. ოთარი ქართველი ბაბუის სახელია. მეც ორი სახელი მქვია – ოლგა და საბინა. საბინა შვედი ბებიის სახელია, ოლგა, ანუ ოლღა, მეგრელ ბებიას ერქვა. დღეს დედაც და მამაც მალმოს უნივერსიტეტში ასწავლიან, პროფესორები არიან. დედა კავკასიური ენების შემსწავლელი განყოფილების უფროსია – მას ძალიან უყვარს კავკასია, საქართველო.

**– როგორ ფიქრობ, რა გაქვს ქართული ხასიათიდან?**



**ხან ქართული ხასიათი მაქვს და ხან – შვედური. ტემპერამენტით უფრო ქართველს ვგავარ, მეგრული ხასიათი მაქვს. მინდა, ყველაფერი სწრაფად გავაკეთო**

– ხან ქართული ხასიათი მაქვს და ხან – შვედური. ტემპერამენტით უფრო ქართველს ვგავარ – მეგრული ხასიათი მაქვს, მინდა, ყველაფერი სწრაფად გავაკეთო. მეორე მხრივ შვედური დისციპლინა მაქვს და დანარჩენი ყველაფერი, ალბათ, ქართულია. თან, მამას ძალიან ვგავარ ხასიათით. ის ჯერ კიდევ ბავშვობაში მიყვებოდა საქართველოზე, თუმცა მისთვის ამ თემაზე საუბარი ყოველთვის რთული, მტკივნეული იყო. სოხუმში დარჩა სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა, გაიზარდა. ჩვენს სახლთან ახლოს არის დაბა ლუმა, რომელსაც ძალიან ლამაზი სანაპირო აქვს. იქ რომ გავდივართ, მამა ყოველთვის ამბობს: ეს ადგილი სოხუმს მახსენებსო – ნოსტალგიურად იხსენებს, მისთვის ეს დიდი ტრავმაა.

**– სახლში თუ იცავთ ქართულ ტრადიციებს?**

– აუცილებლად აღვნიშნავთ ქართულ შობას – ჩვენი საყვარელი დღესასწაულია. დედა ამზადებს ქართულ კერძებს: ხაჭაპურს, ბადრიჯანს. სახლში მოწყობილი გვაქვს ქართული კუთხე, თავისი ტრადიციული ნივთებით.

**– როგორ დაიწყო შენი მუსიკალური კარიერა?**

– ბავშვობიდან ვმღერი. ჩემს დიდ ბებიას ჰქონდა მუსიკალური ნიჭი – ფანდურზე უკრავდა, მღეროდა. მამაც მღერის, ეს ნიჭი სუფთა ქართული გენიდან მოდის. დღემდე თვითონ ვწერ სიმღერის ტექსტსაც და მუსიკას. 10 წლის ვიყავი, პირველად რომ დავწერე გამოცდისთვის სიმღერა. მითხრეს: როგორი ნიჭიერი ხარო. ამის მერე, უკვე სერიოზულად მივუდექი ამ საქმეს. ჩავაბარე მუსიკალურ უნივერსიტეტში მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე. სამი წლის წინ ჰოლივუდში ვიყავი. შვედეურ სააგენტოში გავაგზავნე მონაცემები. მათ ამირჩიეს და შემდეგ ლოს-ანჯელესში საერთაშორისო კონკურსზე – World Champhionship of Performing Arts გააგზავნეს ჩემი მონაცემები, რომელიც ჰოლივუდში ტარდებოდა. მათაც ამირჩიეს 30 შვედთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ მსახიობები, მოცეკვავეები, მოდელები. მხოლოდ მე ვიყავი ავტორ-შემსრულებელი. კონკურსი 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, იქ იყვნენ აგენტები, პროდიუსერები. მათთან დავამყარე კონტაქტები. გავიცანი ცნობილი პროდიუსერი, ქევინ ჯარვისი, რომელმაც შემომთავაზა ამერიკაში მუსიკალური კარიერის გაგრძელება. თუმცა, ამისთვის მჭირდებოდა დაფინანსება, რაც ცოტა ხნის წინ მოვიპოვე შვედეთის კულტურის ფონდიდან. მათ მომცეს გრანტი, რომლის დახმარებითაც უკვე მეორედ ვიყავი ჰოლივუდში ერთი თვის განმავლობაში. საკმაოდ ცნობილ მუსიკალურ სტუდია Sonic Boom Room-ში ჩავწერე ორი სიმღერა და გადავიღე ერთი მუსიკალური ვიდეორგოლი. მქონდა ბედნიერება, გამეცნო ძალიან ცნობილი რეჟისორი ჩედ შოლმაიერი. მასთან მუშაობა ნებისმიერი მუსიკოსისთვის მნიშვნელოვანია. მან რომ მოისმინა ჩემი სიმღერა „ობობას ქსელი“, ძალიან მოეწონა და შემომთავაზა კლიპის გადაღება.

**– კლიპში ცნობილი მსახიობი გიწევს პარტნიორობას.**

– დიახ, პარტნიორობას მიწევს პოპულარული მსახიობი რაიან ფრენსისი. გადაღებები მიმდინარეობდა ჰოლივუდში სტუდია „ავალონში“, სადაც ბევრი ცნობილი ფილმი, მუსიკალური კლიპია გადაღებული. ორივე სტუდია ძალიან წარმატებულია და მიხარია, რომ მომეცა იქ მუშაობის საშუალება, თან, ასეთ პროფესიონალებთან ერთად. კლიპში რაიანი ჩემი ბოიფრენდია – ანუ სიმღერა და კლიპი არის ურთიერთობაზე, რომელიც ადამიანებს ანგრევს. ეს ბიჭი თავისი ცხოვრების წესით ობობის ქსელებს აბამს, საიდანაც, საბოლოოდ, მივდივარ. მასთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო, მომეწონა – ისეთი სიმპათიური ბიჭია, თან ნიჭიერი. სტივენ სპილბერგის ფილმებშია გადაღებული. დილიდან საღამომდე ინტენსიურად ვმუშაობდით. საბოლოოდ, კლიპი ძალიან კარგი გამოვიდა – ისეთი პროფესიონალები არიან. თვითონ სტუდია ჰაი-კლასისაა და ძალიან დიდი. ამის მერე მქონდა კონცერტები ლოს-ანჯელესსა და სან-დიეგოში. კლუბებში გამოვდიოდი და ვფიქრობ, კონცერტებმა ძალიან კარგად ჩაიარა. ყოველთვის მხოლოდ ჩემ დაწერილ სიმღერებს ვასრულებ – რაც ძალიან მოსწონთ ამერიკაში. ქავერები არ უნდათ, უფრო მეტად, ორიგინალურს ანიჭებენ უპირატესობას.

**– სად იყო კლიპის პრეზენტაცია?**

– კლიპის პრეზენტაცია ამერიკაში იყო, „სონიკის“ სტუდიაში. უბრალოდ, მე იმ დროს იქ აღარ ვიყავი. ონლაინ-რეჟიმში მიმდინარეობდა პრეზენტაცია და ჩვენც ვუყურეთ, კარგად ჩაირა. „იუთუბის“ საკუთარ გვერდზე განათავსეს და საკმაოდ ბევრი ნახვა ჰქონდა. შვედეთში რომ დავბრუნდი, სამხრეთ შვედეთის ტოპ-ჟურნალებმა და გაზეთებმა დაწერეს ინფორმაციები ჩემი კლიპის, კონცერტების, ლოს-ანჯელესში ყოფნის შესახებ. შემდეგ მიწვეული ვიყავი რადიოში, სადაც ინტერვიუც მქონდა და ჩემი სიმღერებიც შევასრულე.

**– როდის გქონდა შვედეთში პირველი კონცერტი?**

– 15 წლის ვიყავი, შვედეთში პირველი კონცერტი რომ ჩავატარე, საკუთარი სიმღერები ვიმღერე, მაგრამ იმ დროს ძალიან გამოუცდელი ვიყავი. მალმო შვედეთში მესამე დიდი ქალაქია და იქ ხშირად მაქვს კონცერტები, ფესტივალებზე გამოვდივარ, რომლებიც მთელი შვედეთის მასშტაბით ტარდება. ერთი წლის წინ სკონეს მასშტაბით მალმოში ჩატარდა კონკურსი, სადაც ხალხის სიმპათიად დამასახელეს. ასევე, ხშირად მაქვს სოლოკონცერტები სხვადასხვა ქალაქებში. ჟურნალ-გაზეთებში თითქმის ყოველ კვირას ჩემს შესახებ წერენ ინფორმაციას. ანუ, კვირაში ერთხელ სულ არის ჩემი შემოქმედების შესახებ ნიუსები.

**– როგორც მივხვდი, სულ ცდილობ, ქართული ელემენტები შეიტანო შენს მუსიკაში.**

– დიახ. შვედი ავტორ-შემსრულებლებისგან განვსხვავდები და ამას ყველა ამჩნევს. ამიტომაც, მათთვის ჩემი მუსიკა უფრო ეგზოტიკურია. მე ვფიქრობ, ამ ყველაფერს ქართული ელემეტები განაპირობებს. ერთი მეგრული სიმღერაც გავაკეთე: „დიდოუ ნანას“ ჩემეული ვერსიაა. ვფიქრობ, ძალიან კარგი ვერსიაა. რადგან მეგრული არ ვიცი, მამა დამეხმარა. მშობლები ყოველთვის მგულშემატკივრობენ, გვერდში მიდგანან. გულწრფელად მოსწონთ ჩემი შემოქმედება. მინდა, მეგრული სიმღერა საქართველოშიც მოვასმენინო და შვედეთშიც.

**– როდის ჩამოხვედი საქართველოში?**

– 2005 წელს ჩამოვედი პირველად. ჩემთვის ეს ქვეყანა ცოტა აბსტრაქტული იყო: ვიცოდი ყველაფერი მის შესახებ, მაგრამ არ მქონდა ნანახი. პირველად ერთი კვირა ვიყავი და ეს ძალიან ცოტა იყო. ახლა გავიგე, რას ნიშნავს საქართველო და ქართველობა. აქამდე ნახევარი ვიყავი და ახლა თითქოს ორი ფაზელი შეუერთდა ერთმანეთს. ძალიან მიყვარს საქართველო. მიხარია, რომ ცოტა ხნის წინ გამოვედი „არტ-გენზე“. ასევე, შევხვდი მერაბ სანოძეს და ვგეგმავთ, ერთად განვახორციელოთ პროექტი, ჩავწეროთ მის სტუდიაში რამდენიმე სიმღერა. ძალიან მინდა, ქართველმა მსმენელმა გაიცნოს ჩემი შემოქმედება. ერთი ქართული სიმღერა უკვე მაქვს ჩაწერილი „სისხლიანი ხელები“, რომელიც აგვისტოს ომის თემაზეა: ჯერ გავაკეთე ინგლისური ვერსია და შემდეგ ქართული. საკმაოდ რთული თემაა ჩემთვის, 2008 წელს, ომის დროს საქართველოში ვიყავი და როცა შვედეთში დავბრუნდი, იქ დავწერე ამ სიმღერის ინგლისური ვერსია. შემდეგ უკვე ქართული, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო კარგი გამოვიდა, თუმცა მძიმე მოსასმენია.

**– ხომ არ აპირებ ცოლად გაჰყვე ქართველ ბიჭს?**

– ახლა უფრო ქართველი მინდა. ამჟამად თავისუფალი ვარ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**ნათია უტიაშვილი**

**ზაფხული, საქმიანი ადამიანებისთვის, დასვენებასთან და დროის მშვიდად გატარებასთან ასოცირდება და რა გასაკვირია, რომ მომღერალი ნუცა შანშიაშვილისთვისაც, ზაფხული წელიწადის ყველა დროსთან შედარებით, ყველაზე საყვარელი პერიოდია. როგორც თავად ამბობს, მას ამერიკაში, ოკეანის სანაპიროზე დასვენება დადებითი ენერგეტიკით ავსებს და ცდილობს, მზიანი დღეები იქ გაატაროს, თუმცა, წელს შვილის გამო, მთაში სუფთა ჰაერზე დასვენება მოუწია და არც მეტი, არც ნაკლები, დათვების, ფარშევანგების, შვლის ნუკრებისა და ციყვების გარემოცვაში, ნამდვილ სამოთხეში, ერთი თვე დაჰყო. თუ რა სიურპრიზი მოუწყო მას თაყვანისმცემელმა და ვისთან ერთად ისვენებდა მაიამის კუნძულზე ნამდვილი დედოფალივით, ამაზე თავად გიამბობთ.**

# რა ცივილიზებული სიურპრიზი მოუწყო ამერიკელმა მილიარდერმა ნუცა შანშიაშვილს და როგორ ცხოვრობდა ის ერთი თვე დათვების გარემოცვაში

**ნუცა შანშიაშვილი**: ზაფხული, ჩემთვის ყველაზე საყვარელი პერიოდია და ასოცირდება ოკეანესთან, სანაპიროსთან, მზესთან, კოქტეილებთან, „ლამბორჯინებთან", „პორშეებთან", არაჩვეულებრივ დასვენებასთან და ყველაფერ მშვენიერთან. ზაფხულში სულ ვცდილობ, ნიუ-იორკში ვიყო, ოკეანის გვერდით, მაგრამ ჩემი შვილის, ნიკალას დაბადების მერე, აღმოჩნდა, რომ მისთვის ოკეანეზე მეტად, მთის სუფთა ჰაერია სასარგებლო და საჭირო. ამერიკა, ძველი ინდიელების მიწაა, ველური და ულამაზესი ბუნება აქვს და როცა, გადავწყვიტეთ, მე და ჩემმა მეუღლემ ბავშვის ქალაქიდან გაყვანა, ავარჩიეთ ყველაზე ძვირადღირებული კურორტი ამერიკაში – ლეიქ ჰარმონი, რომელიც მდებარეობს პენსილვანიაში, კოკონოს მთებში. ძვირფასი ვილები დგას ტყეში და იქ საკმაოდ ცნობილი მსახიობები და მომღერლები ისვენებენ – ზოგს ნაყიდიც აქვს და ზაფხულობით სულ იქ არიან. დამიჯერეთ, იქ ჩასული, ნამდვილ სამოთხეში მოვხვდი. თავი პრინცესა კი არა დედოფალი მეგონა ***(იცინის).*** ორსართულიანი ვილა ვიქირავეთ, თავისი ბილიარდის, ბავშვის სათამაშო ოთახითა და „ბასეინით." მოკლედ, ყველანაირი კომფორტით ულრან ტყეში. სასწაული კი ის არის, როგორ მოახერხეს ამერიკელებმა ასეთ ულრან ტყესა და მთებში, ასეთი გზების დაგება და ხის სასახლეების აშენება. მართლა ენით აუწერელი სილამაზე დამხვდა და მთელი ერთი თვე, ამ სამოთხეში დავისვენე. თუმცა, მე მაინც ქართველი ვარ და რაჭის, გუდაურისა და ბორჯომის ხეობის სილამაზე მირჩევნია და რა ვქნა? ***(იცინის).***

**– ამბობ, ნამდვილ სამოთხეში ვიყავი, პენსილვანიის მთებშიო და მაინც საქართველოს ბუნება გახსენდებოდა?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი ჰაერი და ბუნება, როგორც საქართველოშია, არც ერთ ქვეყანაში არ არის. უბრალოდ, სხვაგან ბუნება მეტად მოვლილია და კომფორტია შექმნილი, თორემ სხვა მხრივ, ნამდვილად ჩვენი მხარე ჯობია, ჰაერი უკეთესია. სადაც ჩვენ ვიყავით, ხომ გეუბნებით, საოცარი სილამაზეა, მაგრამ სხვანაირი ტენიანი და უხეში ჰავაა.

**– თავად თქვი, ამერიკის ყველზე ძვირად ღირებულ კურორტზე ვისვენებდიო. თუ საიდუმლო არ არის, რა დაჯდა ეს ყველაფერი?**

– მე, დედა, თემური და ბავშვი ვიყავით და თუ არ ვცდები, ერთი კაცი სამი ათას ხუთასი დოლარი ჯდებოდა. მაგრამ ჩემი ქმარი იხდიდა და ამიტომ, ზუსტად არ ვიცი, რამდენი გადაიხადა.

**– ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრული სილამაზეა პენსილვანიაში, ის ასევე საშიშია, რადგან ველური ცხოველები დადიან და ადამიანებს ესხმიან თავსო. მართლაც ასეა?**

– მართალია, ღამით დათვები ჩამოდიოდნენ და გარეთ ვერ გამოვდიოდით. დადიოდნენ, დასეირნობდნენ თავისთვის ***(იცინის).*** დღისით კი, ირმები, შვლები, ნუკრები, ციყვები და ათასნაირი საყვარელი ცხოველი დადიოდა ჩვენს ირგვლივ. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეშინოდათ ადამიანების. პირველ დღეს, გამოვდივარ ვილიდან, ბავშვი უნდა გავასეირნო და ჩემს წინ ჩაიარა რვა, კუდგაშლილმა ულამაზესმა ფარშევანგმა. კინაღამ ენა გადავყლაპე და ჭკუიდან გადავედი, ისეთი სიმალაზე იყო. დედა-შვილი ირმები გვყავდა შემოჩვეული და სულ ჩვენ წინ დარბოდნენ. არ დამავიწყდება, მე, თემური და ბავშვი ვსეირნობთ და უცებ, თემური მშვიდად ამბობს, ფრთხილად გადააბიჯეთ, გველია! კი გადავაბიჯე, მაგრამ რომ მოვიხედე და უზარმაზარი, რუხი, დაკლაკნილი არსება დავინახე, კინაღამ გონება დავკარგე. კიდევ კარგი დავინახეთ, ფეხი არ დავაბიჯეთ და არ დაგვეტაკა და დაგვგესლა. მართლა, სასწაულ ადგილას ვიყავი. თვალს რომ ახელ დილით და მარტო მწვანე ხეებს ხედავ იმპრესიონისტების ნახატივით, სულიერად ისვენებ და ივსები ბუნების სუფთა ენერგეტიკით. საღამოს ლეიქ ჰარმონის ტბაზე ჩავდიოდით და წყლის ენერგეტიკას იქ ვიღებდით. იცით, როგორი ტბაა? საღამო კი „ბეილისივით" გემრიელი და რბილი იყო, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, სახლში გავრბოდით, რომ დათვებს არ გადავყროდით. უამრავი მილიარდერი ისვენებს იქ.



ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის ზაფხულში დასვენება და ყოველთვის უარს ვამბობ ზაფხულის პროექტებზე

**– ვიცი, რომ ზაფხულის პერიოდში, უამრავი პროექტი იგეგმება ამერიკაში, სადაც ხშირად შენც ხარ მიწვეული. როგორ უთავსებ დასვენებას და საქმეს ერთმანეთს?**

– ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის ზაფხულში დასვენება და ყოველთვის უარს ვამბობ, ზაფხულის პროექტებზე. მუშაობის პროცესს კი სექტემბრიდან, აღდგენილი ძალებით ვიწყებ. ზაფხული ჩემთვის ენერგიის მომმარაგებელი, დასვენების პიკის პერიოდია. ამიტომ, ამ სიამოვნებას ვერ მოვიკლებ ***(იცინის).*** ერთი ისეთი დაუვიწყარი ზაფხული მომიწყო თაყვანისმცემელმა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მოკლედ, მაიამიში არის კუნძულები, სადაც მილიარდერები ისვენებენ და სწორედ, იქ, ერთ-ერთ კუნძულზე, მაჩუქა დასვენება ამერიკელმა მილიარდერმა ქალბატონმა. ეს იყო ერთი თვის განმავლობაში, ცივილიზებული დასვენება ოკეანეზე, თავისი „პორშეებით", ბრილიანტებით, ექვსი მოსამსახურით, პირადი პოვრით, აუზებით, ჯაკუზებითა და ფრანგული შამპანურით. მართლა, კლეოპატრასავით ვცხოვრობდი. სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ისე მთხოვეს, უარი ვერ ვუთხარი. ვიფიქრე, გამოყრუებული დასვენება არ მიყვარს, ცოტა ხანი ვიქნები და მერე წამოვალ-მეთქი. მაგრამ ისე გამიტკბა პრინცესობა, ერთი თვე დავრჩი და ვისიამოვნე.

## გამოყრუებული დასვენება არ მიყვარს, მაგრამ ისე გამიტკბა პრინცესობა, ერთი თვე დავრჩი მაიამის სანაპიროზე და ვისიამოვნე

**– ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, დამეთანხმე, ამ ყველაფერს საყვარელი მამაკაციც ხომ უნდა გვერდით?**

– რასაკვირველია! საყვარელი მამაკაცის გარეშე, რად მინდა ბრილიანტები, ფრანგულ შამპანურებსა და ჯაკუზებში დასვენება?! თემურიც ჩემს გვერდით იყო. საყვარელი მამაკაცის გვერდით, დანჯღრეულ ნავში რომ იჯდე და ჭაობიან ტბაში მიცურავდე, ესეც საკმარისია, თავი ბედნიერად იგრძნო ***(იცინის).*** დამიჯერეთ, მაიამის კუნძულზე, ისეთი იყო მზის ჩასვლა, შეიძლება, ჭკუიდან გადასულიყავი. ამ დროს, მე ვიწექი აუზში, რომელიც ვილის სახურავზე იყო, ოკეანეს გავყურებდი, ვწრუპავდი ყინულიან „დონ პერენიონს" მოოქრული ბოკალიდან და ვუსმენდი საოცარ მუსიკას. აი, ეს ზაფხული, ნამდვილად არასდროს დამავიწყდება, როგორც წლევანდელი პენსილვანიის დილა-საღამოები. ძალიან მინდოდა, ამ ზაფხულს საქართვლოშიც დამესვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ. ზოგადად, ყოველი ზაფხული ისე უნდა გაატარო მთელი წლის მუშაობის შემდეგ, რომ დაუვიწყარი მოგონებები დაგიტოვოს. არ არის ამისთვის აუცილებელი, ძვირად ღირებული ვილები და კუნძულები. უბრალოდ, საჭიროა, ისეთ ადგილას წასვლა, სადაც დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტები, გვერდით საყვარელი ადამიანები გეყოლება და იფიქრებ, მხოლოდ კარგზე.

**ნონა დათეშიძე**

**იმისთვის, რომ ბავშვი ნორმალურ, ჯანსაღ და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდეს, საჭიროა, რომ მშობელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მისი აღზრდის პროცესს. მით უფრო პატარა ასაკში, როცა ის სამყაროს და მასში მიმდინარე პროცესებს ეცნობა და შეიმეცნებს. ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი, რომელიც თან ახლავს აღზრდის პროცესს, არის ბავშვის დასჯა.**

**ამ საკითხებში გასარკვევად აუცილებელია ფსიქოლოგთან კონსულტაცია, რისთვისაც იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ბავშვთა ნევროლოგ-ფსიქიატრს, მედიცინის დოქტორს, ქალბატონ ციცო სირბილაძეს მივმართეთ.**

# როდის არის აუცილებელი ბავშვის დასჯა და როგორ უნდა მოთოკოს მშობელმა ემოციები

**– შესაძლებელია თუ არა ბავშვის აღზრდა დასჯის გარეშე?**

– სამწუხაროდ, არსებობს შემთხვევები, როცა მკვეთრად გამოხატული ქცევა სცილდება ასაკისთვის შესაფერის ქცევის ნორმებს, ბევრად მძიმეა და აღემატება ეგრეთ წოდებულ „ბავშვური მავნებლობის“ ან მოზარდის დაუმორჩილებლობის ფარგლებს. მსგავსი ქცევითი დარღვევები შესაძლოა, იყოს რომელიმე ფსიქიკური დაავადების სიმპტომიც. ასეთ დროს აუცილებელია, მშობელმა მიმართოს ექიმს (ფსიქიატრს), რომელიც დასვამს დიაგნოზს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გააჩნია, აქ დასჯის რა მეთოდს გულისხმობთ: ფიზიკურ დასჯას (ცემა, ხელის კვრა, ჩქმეტა და ასე შემდეგ) თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას. რა თქმა უნდა, არც ერთი არ არის მისაღები. დასჯის სხვა მრავალი მეთოდი არსებობს, რაც უფრო ეფექტურად იმოქმედებს ბავშვზე, ვიდრე ეს ორი.

**– რა ასაკიდან არის მიზანშეწონილი მისი დასჯა?**



**არასდროს შეარცხვინოთ ბავშვი თანატოლების თანდასწრებით, არასდროს მიაყენოთ მის პიროვნებას შეურაცხყოფა**

– რა ასაკიდანაც დაიმსახურებს, ნახევრად ხუმრობით, რა თქმა უნდა. ზოგჯერ ბავშვი ვერ ხვდება, რას ითხოვენ მისგან უფროსები და ამაში დამნაშავე თავად უფროსები ვართ. მთავარია, მას მისთვის გასაგებ ენაზე ავუხსნათ, რა გვინდა და რატომ ვითხოვთ ამა თუ იმ ქცევას შვილისგან. იმედია, ნორმალური განვითარების ბავშვი, რომელსაც პრობლემები არ აქვს, სრულყოფილი ახსნა-განმარტების მიღების შემთხვევაში, მეორედ იგივე კითხვას არ გაიმეორებს და დასჯაც საჭირო არ გახდება. მაგრამ, თუ კვლავ არ დაგემორჩილებათ, ამის შემდეგ შეგიძლიათ, მიმართოთ დასჯის მეთოდებს. ეს მეთოდები კი ფსიქოლოგისგან უნდა იყოს რეკომენდებული. თუ „პრობლემური“ შვილი გყავთ, აუცილებელია, ერთხელ მაინც მიიღოთ რჩევები ფსიქოლოგისგან დასჯის მეთოდების შესახებ.

**– დასჯის საჭიროების შემთხვევაში, თუ აქვს დროის ფაქტორს მნიშვნელობა?**

– ვთქვათ, თქვენმა შვილმა „დანაშაული“ ჩაიდინა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. არ არის მიზანშეწონილი, იქვე მისი დასჯა – არც სიტყვიერი და არც ფიზიკური, გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს. თუ მისი ქცევა ძალიან შემაწუხებელია, მალე გაარიდეთ იქაურობას და როცა სახლში მიიყვანთ, ჯერ ჰკითხეთ, რამ გამოიწვია მისი ასეთი ქცევა. შემდეგ გააანალიზეთ მშვიდად და აუხსენით, რა შეცდომა დაუშვა ბავშვმა, რომ შემდეგში მსგავსი რამ აღარ გაიმეოროს. არასდროს შეარცხვინოთ ბავშვი თანატოლების თანდასწრებით, არასდროს მიაყენოთ მის პიროვნებას შეურაცხყოფა. ყოველთვის გაუსვით ხაზი ბავშვის ქცევას. მაგალითად, არ უთხრათ: „რას ჰგავხარ?“, „რა ცუდი ბიჭი ან გოგო ხარ“. მიმართვისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ ბავშვის ქცევაზე, კერძოდ: „რა ცუდად გამოგივიდა“, „ძალიან ცუდად მოიქეცი“, „ასე არ უნდა გეთქვა“ ან „რა კარგად მოიქცეი“ და ასე შემდეგ. ანუ, ის, როგორც პიროვნება კი არ არის კარგი ან ცუდი, არამედ მისი ქცევა.

**– რა სახის უნდა იყოს თვითონ სასჯელი?**

– არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მიაყენოთ პიროვნული შეურაცხყოფა. გახსოვდეთ, რომ ბავშვები პიროვნებები არიან. მათ ისეთივე პატივისცემით უნდა მოექცეთ, როგორც ზრდასრულ ადამიანებს. მაგალითად, დავუშვათ, თქვენი შვილი არ მოიქცა სხვების თანდასწრებით სათანადოდ, არ შეგისრულათ თხოვნა, არ დაექვემდებარა თქვენს რჩევას და ასე შემდეგ. უპირველესად, გაარკვიეთ, რატომ მოიქცა ბავშვი ასე, კონკრეტულ სიტუაციაში – იქნებ ეს მისი პროტესტი იყო? შემდეგ კი ეცადეთ, მშვიდად აუხსნათ, რომ ის ცუდად მოიქცა, შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო. საუბრისას არ უნდა აღელდეთ, თქვენი ტონი უნდა იყოს მშვიდი და გასაგები. თუ ამის შემდეგ, ის იგივეს გაიმეორებს, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, დასაჯოთ. კერძოდ, არ შეუსრულოთ დანაპირები, არ გაუშვათ სათამაშოდ, არ მისცეთ ეზოში სეირნობისა და თანატოლებთან გართობის საშუალება და ასე შემდეგ. რამდენჯერაც ცუდად მოიქცევა, იმდენჯერვე ამ მეთოდებით დასაჯეთ. საბოლოოდ მიხვდება, რომ უფროსებთან დამოკიდებულება და ცუდი ქცევა უნდა შეცვალოს.

**– ფიზიკურ სასჯელზე რას იტყვით?**

– ფიზიკური სასჯელი არის ძალადობა ბავშვზე, არ დაგავიწყდეთ, რომ ძალადობა ახალ ძალადობას ბადებს. ასეთი ქცევით თქვენ ცუდ მაგალითს აძლევთ შვილს. ის ჩათვლის, რომ მასაც შეუძლია, სუსტი და უსუსური სხვა ადამიანი დაჩაგროს. ბოლოს და ბოლოს ხშირი ცემის შემდეგ, ეს მეთოდიც არ გაჭრის და პროტესტის გრძნობა კიდევ უფრო გამყარდება. რაც მთავარია, ბავშვი თქვენ მიმართ პატივისცემას დაკარგავს, რაც მომავალში ცუდად აისახება თქვენს ურთიერთობაზე.

**– ვთქვათ და, მშობელმა მაინც დასაჯა ბავშვი ფიზიკურად, როგორ უნდა მოიქცეს ამის შემდეგ?**

– სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება, რომ მშობელი წონასწორობას კარგავს და შეიძლება, სილაც გააწნას ბავშვს. მაგრამ, მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ყველა დამშვიდდებით, შვილისთვის ბოდიშის მოხდა არ დაგავიწყდეთ. იმავდროულად, უნდა აუხსნათ, რატომ მოიქეცით ასე. ჯობია, მშობლებსა და შვილებს შორის ყველა ურთიერთობა გარკვეული იყოს, ვიდრე მიმალული და იგნორირებული.

**ბავშვი ჩათვლის, რომ მასაც შეუძლია სუსტი და უსუსური სხვა ადამიანი დაჩაგროს**

**– ფსიქოლოგიური დასჯის სახეებზეც გვესაუბრეთ.**

– კონკრეტული მზა ფორმულები ბავშვის დასჯის შესახებ არ არსებობს. მაგრამ, შეგიძლიათ, გამოიყენოთ დასჯის ყველაზე მარტივი მეთოდი: როცა ცუდად მოიქცევა ბავშვი, არ შეუსრულოთ ის, რაც ყველაზე ძალიან უნდა. არ დაგავიწყდეთ ახსნა, რატომ არ უსრულებთ თხოვნას.

**– კონფლიქტის მიზეზი ხშირ შემთხვევაში, ხდება ზედმეტი თამაში, განსაკუთრებით ეს კომპიუტერულ თამაშებს ეხება. რას გვირჩევთ ამ შემთხვევისთვის?**

– საკმაოდ რთული საკითხია. დღეისთვის თითქმის ყველა მშობელს ეგ პრობლემა აწუხებს. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვისთვის მშობელი უნდა იყოს ავტორიტეტი, რათა მის აკრძალვას შედეგი მოჰყვეს. ეცადეთ, შეჰპირდეთ სხვა, ალტერნატიული გასართობი, რითაც დააინტერესებთ შვილს. სასურველია, ბავშვი კომპიუტერთან იჯდეს შეზღუდული დროით, თუ ამის აუცილებლობაა. კერძოდ, გასათვალისწინებელია ბავშვი კომპიუტერით დავალებას ასრულებს, თუ თამაშით ერთობა.

**– როგორ უნდა გავუჩინოთ სხვა რამისადმი მოტივაცია ისე, რომ მკაცრი სასჯელი არ დაგვჭირდეს?**

– ყოველთვის აუხსენით შვილს, რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ქცევას. გამოიყენეთ მაგალითები სხვა ადამიანების პირადი ცხოვრებიდან. ურჩიეთ ისეთი ჟანრის ფილმების ნახვა, რომელიც დაეხმარება კარგი და ცუდი ქცევის გამიჯვნაში. დააინტერესეთ რაიმე ჯილდოთი კარგი ქცევის სანაცვლოდ. თუ თავად ვერ ახერხებთ ბავშვთან მიდგომას, მიმართეთ ფსიქოლოგს რჩევისთვის.

**– რამდენად კატეგორიულები უნდა ვიყოთ: უნდა ვურჩიოთ თუ უნდა ავუკრძალოთ?**

– ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვის მიმართ მოთხოვნები იზრდება, ამიტომ რჩევა თუ აკრძალვა – არჩევანი უნდა გავაკეთოთ სიტუაციის შესაბამისად. ერთსაც და მეორესაც, თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტება მშობლის მხრიდან. კატეგორიულობა შვილის აღზრდის პროცესში არცთუ სახარბიელო მიდგომაა. ეცადეთ, შვილისთვის იყოთ კარგი, უფროსი მეგობარი, რომელსაც შეიძლება, სრულიად დაეყრდნოს მოზარდი. ნდობის მოპოვება ერთ-ერთი უპირველესია, რის შემდეგაც ურთიერთობები გამოსწორდება და მშვიდად გააგრძელებთ ცხოვრებას.

**– მშობლის დამოკიდებულება: „რასაც მე ვერ მივაღწიე, შენ უნდა მიაღწიო“ და სასჯელი წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენად მიზანშეწონილია?**

– არცთუ ისე იშვიათად, შეგვხვედრია ხელმოცარული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, „შეუსრულებელი მისია“ საკუთარ შვილებს მოახვიონ თავს. შვილში ისინი საკუთარი ცხოვრების განმეორებას ხედავენ. ამიტომ, აიძულებენ ბავშვს მშობლის მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს. ყველა შვილი როდი ეგუება მსგავს ძალდატანებას. ამიტომ, იწყება კონფლიქტი მშობლებსა და შვილებს შორის. მიეცით შვილს საშუალება, თავად აირჩიოს პროფესია, მეგობრების წრე და აკეთოს ის, რაც ხელეწიფება.

**– დასჯის თვალსაზრისით, დედას და მამას თუ აქვთ განსხვავებული ფუნქციები?**

– აუცილებელია, მშობლები თანაბრად იყვნენ ჩართული შვილის აღზრდის პროცესში. ჯობია კონკრეტული საკითხი ბავშვის გარეშე განიხილონ და მისი დასჯის თუ წახალისების ხერხები, ერთად შეიმუშაონ. არ შეიძლება, ერთსა და იმავე საკითხზე, დედა გაუჯავრდეს და მამა მოეფეროს, ან პირიქით.

**– როცა ოჯახში რამდენიმე ბავშვია და ერთი მეორე ჩაგრავს, ამ დროს რა ზომები უნდა მიიღოს მშობელმა?**

– ეს გახლავთ სიბლინგთა კონკურენცია, როცა უფროსი ბავშვი „ეჭვიანობს“ უმცროსზე. ეცადეთ, აუხსნათ მას, რომ პატარას დახმარება და მეტი მზრუნველობა სჭირდება. დაიხმარეთ ის პატარას დაბანის, დაძინების, კვების პროცესში, მაგრამ ეს უნდა გააკეთოთ თხოვნით (დამეხმარე პატარას ჩაცმაში) და არა ძალდატანებით. მას თავად უნდა გაუჩნდეს სურვილი.

**ქეთი პაპანაძე**

**დაბინძურების რა მაჩვენებელი გვაქვს თბილისში და რა საფრთხე გვემუქრება ჰაერიდან, ამის შესახებ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტს, ია ხომერიკს გავესაუბრეთ.**

# რა აბინძურებს ყველაზე მეტად გარემოს თბილისში და რომელი უბნები გამოირჩევა სუფთა ჰაერის ზღვრული მაჩვენებლით

**ია ხომერიკი:** სტატისტიკის ბოლო მონაცემებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი საგანგაშო ნამდვილად არ არის. თბილისში გვაქვს სამი სტაციონალური და ერთი ავტომატიზებული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების ჯიხური, საიდანაც ვიღებთ დამაბინძურებელი ნივთიერებების სინჯებს. სტაციონალური ჯიხურები განლაგებულია მოსკოვისა და წერეთლის გამზირებზე, ალმაშენებლის და თამარ მეფის კვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს ბოლო წერტილი, ძალიან სტანდარტული შემთხვევაა – ინტენსიური მოძრაობა, შუქნიშნები, ხალხმრავლობა. ავტომატიზებული სადგური გვაქვს ვაშლიჯვარში, სადაც არის ქალაქის ფონური მოცემულობა. აქედან 24-საათიან რეჟიმში, ერთწუთიანი ინტერვალებით ხდება ინფორმაციის მიღება. უახლოეს მომავალში, იაპონიის მთვარობის დახმარებით, იგეგმება თბილისში არსებული ჯიხურების გადაიარაღება. ამჟამად ჰაერზე დაკვირვების ჯიხურები, თბილისის გარდა, კიდევ ოთხ ქალაქში გვაქვს: რუსთავში, ბათუმში, ზესტაფონში, ქუთაისში. სამომავლოდ, იგეგმება ახალი დაკვირვების ჯიხურების გახსნა. საერთაშორისო სტანდარტით, ათი ათას ადამიანზე ჰაერის დაბინძურების განმსაზღვრელი ერთი ჯიხური მოდის. ამ სტანდარტით, თბილისში მინიმუმ რვა ჯიხური უნდა იყოს. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა ეს საქმიანობა დაიწყო, საქართველოში 33 ჯიხური არსებობდა. მაგრამ, შემდგომ ამ რაოდენობამ იკლო. 2006 წლიდან კვლავ დაიწყო დაკვირვების ჯიხურების დადგმა. ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც გვიყენებს სტანდარტებს. ახალი პროექტებით, გაიზრდება ჯიხურების რაოდენობა, რაც ცალსახად განსაზღვრავს დაკვირვების ხარისხს.

დაბინძურების მთავარი წყარო თბილისში არის ავტომაგისტრალები, მშენებლობები, მანქანების გამონაბოლქვი, საწარმოები. თბილისში ჰაერის დაბინძურების 95 პროცენტი მოდის ავტომაგისტრალზე.

**– როგორია თბილისის ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების მაჩვენებელი?**

– თბილისის ჰაერი ყველაზე მეტად დაბინძურებულია მტვრით, ნახშირჟანგით, აზოტისა და გოგორდის დიოქსიდებით, ოზონით, ტყვიით. ბოლო ექვსი თვის მონაცემებით, ჰაერში მტვრის კონცენტრაცია აღემატება ზღვრულ დასაშვებ მაჩვენებელს ერთნახევარ-ორჯერ. ზღვრულ ნორმაზე მაღალია ნახშირჟანგის შემცველობა, სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების მაჩვენებელი, ნორმის ფარგლებშია. ამ მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამ მხრივ, აღსანიშნავია ზესტაფონი, სადაც ჰაერის მთავარი დამაბინძურებელია მანგანუმის დიოქსიდი. ზესტაფონში ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ზღვრულ ნორმას ორნახევარჯერ, ხანდახან კი ხუთჯერ აჭარბებს. ჰაერის დაბინძურება დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე: წვიმაზე, ქარზე. ზაფხულში, ტურისტული სეზონის დროს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი საგრძნობლად იმატებს ბათუმსა და სხვა ზღვისპირა ქალაქებში. ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, გამოირჩევა რუსთავი, სადაც ჰაერის დაბინძურების წყარო არის ცემენტი. მოგახსენებთ, რომ ზაფხულში, როცა არ ხდება ჰაერის ცირკულაცია ვერტიკალურად უფრო მეტად ბინძურდება ჰაერი. ყველაზე დიდ საფრთხეს ჰაერს მტვრისგან უქმნის მყარი ნაწილაკები, რომელიც პირდაპირ ილექება ფილტვებში და ფილტვის, სასუნთქი გზების დაავადებებს იწვევს. ნახშირჟანგი სწრაფად მოძრაობს და შესაბამისად, ხვდება ადამიანის სისხლში, რაც იწვევს სისხლის ფორმულის შეცვლას. ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის აზოტის დიოქსიდი და ტყვია, რომელიც ჰაერში მავნე დამაბინძურებლების სახით ხვდება.



**თბილისში ჰაერის მაჩვენებლით ყველაზე სუფთა ადგილია ვაშლიჯვარი**

**– რომელია თბილისში ყველაზე სუფთა უბნები?**

– შეიძლება ითქვას, რომ თბილისში, ჰაერის მაჩვენებლით, ყველაზე სუფთა ადგილია ვაშლიჯვარი. ავტომატიზებული სადგურის მონაცემებით, ვაშლიჯვარში ჰაერში არსებული არც ერთი ინგრედიენტის კონცენტრაციები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე არ გადის ავტომაგისტრალი, არ არის საწარმოები, შესაბამისად, არ არსებობს დაბინძურების წყარო. ჰაერი ასევე შედარებით სუფთაა თემქის, ზედა ვარკეთილის, გლდანის ბოლო მიკრორაიონებში. იგივეს ვერ ვიტყვით, ამ დასახლებებში მეტროსთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე, სადაც დაბინძურების საკმაოდ ბევრი წყარო არსებობს. სანაპიროებზე კიდევ უფრო მეტია განიავების საშუალება და არ გვაქვს მძიმე მაჩვენებელი. თბილისში ცხელი წერტილებია: ალმაშენებელი, რომლის განიავებაც არ ხდება. ადრე პრობლემები გვქონდა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, სადაც ჰაერში მტვრის კონცენტრაცია და CO აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ჩვენი სადგურის მონაცემებით, არ გვაქვს საგანგაშო მდგომარეობა დიდუბეში, როგორც ეს შეიძლება იყოს დასაშვები ამ ტერიტორიის დატვირთულობიდან გამომდინარე. ბოლო პერიოდში დიდმა საწარმოებმა დაიწყეს დამცავი მექანიზმების განხორციელება, რაც აუცილებელია ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. საჭიროა, გატარდეს პრევენციული ზომები – ქალაქში არ უნდა მოძრაობდეს გაუმართავი მანქანები. უცხოეთიდან საქართველოში შემოსულ ავტომობილებს ამოცლილი აქვთ კატალიზატორები, რაც იწვევს გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურებას. პროექტი, რომლის მიხედვითაც იგეგმება ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება, იქნება საუკეთესო გზა ავტომანქანების გამონაბოლქვისგან ჰაერის დასაცავად. შედეგად, საფრთხეებს, რაც დაბინძურებული ჰაერიდან მოდის, თავიდან ავიცილებთ. მით უფრო, რომ ცნობილია სტატისტიკა – საქართველოში ჰაერის დაბინძურების დაახლოებით 75 პროცენტი ავტოტრანსპორტზე მოდის.

**თამუნა ნიჟარაძე**

(მე-14 გვერდიდან)

# რატომ ეგონა დიასპორის ახალ მინისტრს სესილია თაყაიშვილი საკუთარი ბებია და როგორ გახდა ის ომამდე ტანკისტი

ვიგრძენი, რომ სისხლის გადასხმა იყო საჭირო, ამიტომაც წამოვედი ამ სფეროში. 1998 წელს დავინტერესდი ამ თემატიკით. ირაკლი მენაღარიშვილს, რომელიც იყო საგარეო საქმეთა მინისტრი და დიდ პატივს ვცემ, დავუწერე მოხსენებითი ბარათი დიასპორის სამმართველოს შექმნის შესახებ. იმ პერიოდში სომხებს უკვე დეპარტამენტიც კი ჰქონდათ. მე შევისწავლე ყველა სეგმენტი და დავწერე კონცეფცია, რომელიც მომავალში ერთ-ერთ საფუძვლად დაედო ამ სამინისტროს შექმნას.

**– მართლაც ლოგიკურად მოსულხართ აქამდე.**

– ბედის ირონია იყო და ისე მოხდა, რომ შვიდი წლის თავზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში გავხდი დიასპორის სამმართველოს უფროსი. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უფროსობას გამოკიდებული კაცი ვარ. ჩემი კერპია ჩერჩილი, რომელიც ომის მოგების შემდეგ გადადგა პოსტიდან. ასეთი რამ ჩემგანაც მოსალოდნელია. თუ ვიფიქრებ, რომ ჩემი ცოდნა არავის სჭირდება, დავიხურავ ქუდს, წავალ ჩოხატაურში და თევზს დავიჭერ გუბაზეულში. ნახატიც მაქვს – ოცნება დიდი თევზის დაჭერის.

**– თქვენი ნანატრი თევზი ოქროსია?**

– არა დიდია. მე ჩემი „თევზი" რამდენჯერმე დავიჭირე – მყავს მეუღლე და მასში ძალიან გამიმართლა, მერე ჩემი შვილი, შვილიშვილი. დანარჩენი, რაა მთავარი? კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით. მადლობას იმისთვისაც ვეუბნები ღმერთს, რაც მაქვს.

**– ახალი პოსტი როგორ შეცვლის თქვენს ცხოვრებას?**

– პრინციპები, როგორც ზრდასრული ადამიანისა და მამაკაცისთვის არის უპირველესი მომენტი. ჩემი საყვარელი ფრაზაა ალექსანდრე ჭავჭავაძის „ვაჰ დრონი, დრონი...", პრინციპები არის ის, რაც ჩემს ცხოვრებაში არ იცვლება, სამაგიეროდ, თავიდან ბოლომდე შეიცვლება ჩემი ცხოვრების წესი. სამსახურიდან გავდივარ ძალიან გვიან, წესიერად ვერ გამოვიძინე, რაღაცას დაგეგმავ და შენგან დამოუკიდებლად იცვლება ყველაფერი.

**– დარჩენილიყავით ბატონო დიპლომატიურ ნირვანაში.**

– რა მინდოდა წვენებში? ***(იცინის)*** ეს ხუმრობით, ყველა ადამიანს ღვთისგან აქვს მიცემული არჩევნის ნება. ჩემთვის მთავარი იყო სამშობლოში დაბრუნება და ჩემი გამოცდილების გაზიარება, რაც ამ წლებში დამიგროვდა სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ვითარებაში. მათ შორის, ექსტრემალურ სიტუაციებში, რაც დიპლომატიაში იშვიათი არაა.

**– ოჯახიც თან დაგყვებოდათ დიპლომატიურ მისიებში?**

– ჩემი მეუღლე ყველგან თან დამყვებოდა, სადაც კი საცხოვრებლად მივდიოდი. ირინა ყოველთვის ჩემთან ერთად იყო, რასაც ძალიან ვაფასებდი. ჩემი ქალიშვილი სალომე აზერბაიჯანში ერთი წელი ცხოვრობდა ჩვენთან, მერე ამერიკულ აკადემიაში ჩააბარა, სასწავლებლად წავიდა ბრემენში, სადაც გაიცნო ეროსი ბზეკალავა. არ დაარღვია ტრადიცია. გვყავს პატარა ნიკოლოზი, რომელიც არის ჩემი დიდი მეგობარი და იმის გამო, რომ საკმაოდ კარგი სამსახური მივატოვე, არის ის ხალხი, რომელთა გარეშეც ცხოვრება ძალიან გამიჭირდა.

**– კიდევ რის გარეშე გიჭირთ ცხოვრება?**

– ხატვა მიყვარს ძალიან, თვითნასწავლი მხატვარი ვარ. ჩემი ნახატები გამოფენილი იყო როგორც კიევში, ასევე აქ, თბილისში, ბამბის რიგსა და აეროპორტის ვიპდარბაზში. ერთ დღეს ყველა ჩემი ნახატი მომენატრა, ავკრიფე და წამოვიღე სახლში. ხატვა არის ის, რასაც ვერც ველევი და არც ვაპირებ, შეველიო.

**თამუნა სამადაშვილი**

# როგორ გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის ფასად 5 წლის ბავშვი ოთო გურგენიშვილმა

*რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 21 წლის ოთო გურგენიშვილი გარდაიცვალა. მან სიკვდილს გადაარჩინა მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც გზაზე გადასვლის დროს მანქანა ეჯახებოდა. ოთო გურგენიშვილმა ბავშვს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა, რის შემდეგაც დიდი სისწრაფით მომავალი „მერსედესის ჯიპი“ დაეჯახა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მძღოლის ვინაობა ცნობილია, თუმცა საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და მისი დაკავების საკითხი ექსპერტიზის დასრულების შემდეგ გაირკვევა.*

*„მძღოლი ახალგაზრდა მამაკაცია. არ მიმალულა, მისი ვინაობა ცნობილია, მაგრამ ჯერ დაკავებული არ არის, რადგან ექსპერტიზის პასუხები ცნობილი არაა, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. არ ვიცით, მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში თუ იყო. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, გაირკვევა, დააკავებენ თუ არა“, – განაცხადა შსს-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა.*

*მისივე ცნობით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს „ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“. აღნიშნული მუხლი ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ოთო გურგენიშვილი „საქართველოს ბანკსა“ და სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ პიარისა და გაყიდვების მიმართულებით მუშაობდა. ის პოეზიითაც იყო გატაცებული. ოთოს ლექსები ქვეყნდებოდა „ფეისბუქზე“ შექმნილ გვერდზე „ოთო გურგენიშვილის პოეზია.“ ამ გვერდზე მის მიერ გამოქვეყნებული ბოლო პოსტი ასეთია:*

**ბიჭებო (მამაკაცებო), უთხარით თქვენს გოგონებს (ქალებს), რომ ძალიან ლამაზები არიან. მხოლოდ სამი სიტყვაა სათქმელი და სამაგიეროდ, მათი სახეების დანახვა უნდა გიღირდეთ ყველაფრად**

„ბიჭებო (მამაკაცებო), უთხარით თქვენს გოგონებს (ქალებს), რომ ძალიან ლამაზები არიან. მხოლოდ სამი სიტყვაა სათქმელი და სამაგიეროდ, მათი სახეების დანახვა უნდა გიღირდეთ ყველაფრად. იყავით უფრო ხალისიანები და ლაღები. გაილამაზეთ ცხოვრება და ყოველთვის და ყველგან გახსოვდეთ, რომ ბედნიერება ნამდვილად წვრილმანებშია“.

სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, ოთომ საკუთარ გვერდზე დედის ფოტო გამოაქვეყნა, შემდეგი წარწერით: „დედის სათუთ გულს გაუფრთხილდით! მიყვარხარ დედა“ .

„... ხის ლიანდაგზე ისევ მიჰქროდა მატარებელი,



ხეთქავდა რელსებს უკუღმართი ბედის ბორბალი“....

მეგობარი გოგოს წერილი ოთოს: „არ მახსოვს, დანაპირები არ შეგესრულებინოს... ერთნაირად შოკირებული და გაბრაზებული ვარ იმიტომ, რომ აღარ მეყოლები და იმიტომ, რომ პირობა დაარღვიე – წახვედი! მეშინია ჩვენი შეტყობინებების გადაკითხვის. ამ რამდენიმე საათში ათასჯერ შემოვედი შენს თაიმლაინზე და ორიათასჯერ ვცადე, მეპოვა შენი არარსებობის სულ მცირე ფაქტიც კი... ჯერ ისევ მგონია, რომ ცუდ სიზმარში ვარ... რომ მალე გამეღვიძება და აუცილებლად დამხვდება შენი შეტყობინება...

რა დამიტოვე... დაცარიელებული, მოწყენილი, ატირებული ნუცა... არ გეპატიება, ცუდი საქციელია... რამდენიმე საათის წინ იყო აღფრთოვანებული რომ მიყვებოდი შენს გეგმებზე და ახლა უცებ, ყველაფერი უაზროდ შემატოვე ხელში...

მეცამეტე თვე ჩვენი თვე იქნება! სადღაც მაინც დადგება ეს მეცამეტე თვე...“

ანა ბერუაშვილს ოთოსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, მან „თბილისელებთან“ საუბრისას გვითხრა, რომ: „ასეთი თბილი, კეთილი და კარგი ადამიანი იშვიათია. ვერ ვიჯერებ მომხდარს... იმდენად ცუდად ვარ, ბაღიდან მოყოლებული სკოლაშიც, მთელი 12 წელი ერთად ვიყავით. სულ კარგ ხასიათზე იყო, ძალიან თბილი და მეგობრული. სულ ხუმრობდა, ყველა მასწავლებელს უყვარდა. ბოლოს 12 ივლისს დამირეკა, დაბადების დღე მომილოცა. რას ვიფიქრებდი, რომ მისი ბოლო დარეკვა იყო ჩემთან. უზომოდ ნიჭიერი იყო, სულ ლექსებს წერდა. ხშირად გვეუბნებოდა, როგორ უყვარდა დედა. ისეთ თბილ ლექსებს ყვებოდა ნანაზე, გვატირებდა ყველას. უნდოდა, მაგარი კაცი დამდგარიყო და თავისი რაღაც შეექმნა. მაგარი კი არა, ძალიან მაგარი იყო და შექმნა კიდეც ის, რაც უნდოდა. საქართველოს უნივერსიტეტში ატარებდა პოეზიის საღამოებს. უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო“.

მარიამი: „ოთო საოცარი ადამიანი იყო, მას ყველა და ყველაფერი უყვარდა, ყველას და ყველაფერს აფასებდა. ჩემი ოთო, საოცრად თბილი, პატიოსანი, თავმდაბალი, განსხვავებული, განსაკუთრებული იყო. ჩვენ ვსეირნობდით ერთად რიყეზე, ვსაუბრობდით ცაზე, მიწაზე, ბუნებაზე, აბსოლუტურად ყველაფერზე. ღამეებს ვათენებდით ქუჩაში და ვტკბებოდით დილის ნათებით. ის სულ დადებითად აღიქვამდა ყველაფერს, ყველას მიმართ მზრუნველი და კეთილი იყო. მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო, ქართველ ხალხს ერთმანეთის დაფასება, სიყვარული და პატივისცემა ესწავლა. თავისი ქვეყნის გიჟი იყო. უნდოდა, მშვიდობა ყოფილიყო ქვეყანაში. მე მასზე ლაპარაკი არ მომბეზრდება, იცით, მასში რას ვაფასებდი? როცა ვეუბნებოდი, რომ კარ-



გი ადამიანია, სულ მადლობას მეუბნებოდა. აი, ასეთი თავმდაბალი იყო, ჩემი ოთი. დღეს უნდა შევხვედროდით, ჩემთან სამსახურში ერთმანეთს, მაგრამ არ დასცალდა. რომ დამირეკა, მითხრა, რომ ბევრი კარგი ახალი ამბავი უნდა მოეყოლა. მაგრამ, ველარ მოვასწარით ერთმანეთის ნახვა.“

***ტრაგიკულად გარდაცვლილი 21 წლის ოთო გურგენიშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში დაკრძალეს.***

***P.S. ჟურნალი „თბილისელები“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოთო გურგენიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.***

**ეთო ხურციძე**

**ზაფხულობით მთელი რიგი დაავადებები იჩენს თავს. ამიტომ არის საჭირო, რომ ადამიანმა ზუსტად იცოდეს, რომელ დაავადებას რა გამოვლინება აქვს, რა სიმპტომები ახასიათებს, საშიშია თუ არა სიცოცხლისთვის, რა მოიმოქმედოს ამ დროს, რომ სავალალო შედეგებს თავი დააღწიოს. ამ პერიოდში ზღვისპირა ქალაქებში ძირითადად ენტეროვირუსები ვლინდება და, არაოფიციალური ინფორმაციით, საავადმყოფოს ბევრმა დამსვენებელმა მიმართა მსგავსი პრობლემით. ასევე, მთელ რიგ რეგიონებში, გამოვლინდა ლეიშმანიოზით და ჯილეხით დაავადების არაერთი შემთხვევა.**

**ამ თემებთან დაკავშირებით მეტად კომპეტენტურ და გასათვალისწინებელ რჩევადარიგებებს, მედიცინის აკადემიური დოქტორი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების სამმართველოს უფროსი, ბატონი შოთა ცანავა მოგვაწვდის.**

**ასე რომ, თუ გსურთ, დასვენების სეზონი არ ჩაგშხამდეთ, დროულად დაეხმაროთ საკუთარ თავს, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს დაავადების პირველივე ნიშნების გამოვლენისთანავე, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ბატონი შოთას რჩევები.**

# რატომ არის ზაფხულში საშიში კუჭ-ნაწლავის პრობლემების გამწვავება, კანზე გამონაყარი და ორგანიზმის ტემპერატურის მომატება

**– ახლა ის სეზონია, როცა მოსახლეობა აქტიურად გადის დასასვენებლად ქალაქიდან. ახალ გარემოში აკლიმატიზაციას ყველაზე ძნელად ბავშვები, მოზარდები და ხანშიშესული ადამიანები განიცდიან. ზაფხულში, ასევე იზრდება ენტეროვირუსით დასნებოვნების საფრთხეც. რამდენად საშიში დაავადებაა ეს და რა გამოვლინებები ახასიათებს? როგორც გავიგე, ბოლო პერიოდში, ზღვისპირეთში ასეთი სიმპტომებით ბევრმა ადამიანმა მიაკითხა საავადმყოფოებს. რეალურად, თუ არსებობს ამ დაავადებით დამსვენებლების მასიურად დასნებოვნების საშიშროება?**

– დიახ, აკლიმატიზაციის სინდრომის დროს ბავშვი თავს სუსტად გრძნობს, ხანდახან უწევს სიცხე, სტკივდება ყელი და ასე შემდეგ. ეს საშიში არ არის და მალევე, თავისთავად გაივლის. წყლის და საკვების ცვლილებებზე, არა მარტო ბავშვის და მოზარდის, არამედ ზრდასრული ადამიანის კუჭ-ნაწლავიც, ზოგჯერ თავისებურად რეაგირებს. ამ დროს, პატარას ემართება ფაღარათი. ამიტომ, აგარაკზე ბავშვის ჩვეული მენიუ შეგიძლიათ, ოდნავ შეცვალოთ. პაპანაქება სიცხეში ასვით ბევრი სითხე, საკვები კი სასურველია, ჩვეულებრივზე უფრო კალორიული მისცეთ. უპირატესობა მიანიჭეთ რძემჟავა პროდუქტებს. მათი ორგანიზმი ადვილად შეითვისებს და საჭმლის მონელებასაც უწყობს ხელს. რაც შეეხება ენტეროვირუსს, დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ არანაირი ეპიდაფეთქების საშიშროება არ არსებობს და თუ ადამიანი დასნებოვნდა, მაშინ ეს მისი არასწორი ცხოვრების წესის ბრალია. ნაწლავთა მწვავე ინფექციების გავრცელების დროს, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ბევრი რამ თვით მოსახლეობაზეა დამოკიდებული. ზაფხულში აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა: მაცივარში მოხარშული კერძები უნდა ინახებოდეს დახურულ ჭურჭელში; ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი უმი პროდუქტების შესანახი ადგილი. სალათები უნდა შეკაზმოთ მაიონეზით ან არაჟნით უშუალოდ სუფრასთან მიტანის წინ, ხილი და მწვანილი კარგად უნდა ჩაალბოთ წყალში და შემდეგ გულდასმით გარეცხოთ გამდინარე წყალში, ყურადღება მიაქციეთ პროდუქტის ყიდვის დროს, მის ვარგისიანობას და ასე შემდეგ. გამზადებული საკვები კი უნდა შეინახოთ საჭირო ტემპერატურაზე და დაცულ ადგილას. მოერიდეთ საკვების ქუჩაში ყიდვას, რადგან პაპანაქება სიცხეში, ის მალე ფუჭდება. გარეგნულად შეიძლება, ვერც შენიშნოთ და როცა ის საშიში მიკროორგანიზმები ჩვენს ორგანიზმში მოხვდება, მაშინ ხდება საშიში. მოერიდეთ ზაფხულში ქუჩაში კვებას. ასევე, თუ წყლის სისუფთავეში არ ხართ ასი პროცენტით დარწმუნებული, არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ. ენტეროვირუსული დაავადებები, ხასიათდება გართულებებით, მაგალითად, მენინგიტებით და ეს საკმაოდ საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. ზოგს ჰგონია, რომ მენინგიტით დაავადება მხოლოდ ზამთრის ცივ პერიოდშია მოსალოდნელი, მაგრამ ეს ასე არ არის. ის ზაფხულშიც ვითარდება ენტეროვირუსის ფონზე და საკმაოდ საშიში დაავადებაა, რომელიც არ არის გამორიცხული, ადამიანის სიკვდილით დასრულდეს. მართალია, საბედნიეროდ, ლეტალური შემთხვევა არ არის ამ სეზონზე რეგისტრირებული, თუმცა, თავდაცვა აუცილებელია, რადგან ენტეროვირუსი რთული სინდრომია და მისგან თავდაცვა აუცილებელია. უკვე რამდენიმე ათეული შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. ამიტომ, გირჩევთ, თუ რაიმე სიმპტომი შეამჩნიეთ, აუცილებლად, დროულად მიმართოთ ექიმს.



გაფრთხილებთ, მზის ჩასვლის შემდეგ ბავშვებს ნუ გაასეირნებთ პარკებსა და სკვერებში, იმ ადგილებში, სადაც შებინდებისას ბევრი ქინქლა დაფრინავს და მაწანწალა ძაღლი დადის

**– კონკრეტულად, რა არის მისი გამომწვევი და რა გამოვლინებები ახასიათებს მას?**

– ენტეროვისუსს იწვევს ვირუსი, რომელიც ენტერალურ ტრაქტში მრავლდება, ანუ, საჭმლის მომნელებელ სისტემაში და ორგანიზმში იწვევს მთელ რიგ ცვლილებებს. ვირუსი ხვდება კუჭ-ნაწლავის სისტემაში საკვების ან წყლის მეშვეობით. ამ დროს ჩნდება შემდეგი სიმპტომები – გამონაყარი კანზე, ტემპერატურული რეაქციები, მაგალითად, ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, სისუსტე, კუჭის აშლა და ასე შემდეგ. მისი უმთავრესი სიმპტომი კი კუჭ-ნაწლავის პრობლემებია, ანუ დისკომფორტი: დიარეა ან შეკრულობა. დროთა განმავლობაში, ეს სიმპტომები რთულდება. ამიტომ, წყლისა და საკვების ხარისხზე აუცილებლად უნდა იზრუნოთ და დაიცვათ თავი ამ სიცოცხლისთვის საშიში დაავადებისგან, განსაკუთრებით ამ სეზონზე. საკვების თერმულად დამუშავებას ზაფხულში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ასევე, იმ წყალს, რომელსაც სვამთ. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ბავშვებს და ხანშიშესულ ადამიანებს, რადგან მათი იმუნიტეტი შედარებით, სუსტია და ენტეროვირუსით დაავადების საფრთხე მაღალია.

**– ამ პერიოდში მოსახლეობისთვის მეტად შემაწუხებელი მომენტია მწერები. როგორც ვიცი, დაფიქსირდა კიდეც, მათგან გადამცემი საშიში დაავადების, ლეიშმანიოზის შემთხვევები საქართველოში. მათთან ბრძოლას რა მეთოდებით გვირჩევთ?**

– რასაკვირველია, მწრები საკმაოდ აქტუალურია ზაფხულში და მათთან ბრძოლაც, ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. სხვათა შორის, ევროპაში გაჩნდა მწერებისგან გადამდები ის დაავადებები, ანუ არგოვირუსები, რომლებიც აქამდე არ იყო რეგისტრირებული და მათი გადამტანი კოღოა. საქართველოში მიმდინარეობს შესწავლა მსგავსი ჯიშის კოღოები არის თუ არა, რადგან ისინი არსებობენ აფრიკაში, აზიაში, ამერიკაში და მათი შემოყვანა თვითმფრინავით, გემით ან მანქანით, ადვილი შესაძლებელია. მინდა, გავაფრხილო მოსახლეობა, რომ კოღოს ნაკბენს ყურადღება მიაქციონ და ნუ მიაყურადებენ. თუ ის გამწვავდა, საკმაოდ საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. მწერების გადამტანი დაავადებები, მაგალითად, ლეიშმანიოზი, საკმაოდ დიდი პრობლემაა და საქართველოში, სულ მცირე, წელიწადში 200-250 შემთხვევა ფიქსირდება. ახლა სწორედ ის პერიოდია, როცა საკმაოდ მაღალია ლეიშმანიოზით დასნებოვნების საფრთხე. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ლეიშმანიოზი ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალური გახდა. ძირითადად, რისკის ქვეშ ბავშვები არიან. თუმცა, ის მოზრდილებისთვისაც ძალიან საშიშია. გეტყვით, რომ ლეიშმანიოზი ვერაგი დაავადებაა და მისი ინკუბაციური პერიოდი – ანუ დაინფიცირებიდან პირველი ნიშნების გამოვლინებამდე, ორ, სამ ან შესაძლოა, ოთხ თვესაც კი მოიცავდეს. მარტივად რომ ავხსნათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ან მოზრდილი ადამიანი, თუ მოსკიტებმა დაკბინეს, ანუ ამ დაავადების გადამტანმა მწერებმა, დაავადების ნიშნები შესაძლოა, რამდენიმე თვის შემდეგ გამოვლინდეს. მოსკიტი ერთგვარი კოღოა, რომელიც უფრო პატარა ზომისაა. აქედან გამომდინარე, ზაფხულის პერიოდში დასვენებულ ადამიანს შემოდგომით უჩნდება პრობლემა.

კოღო საღამოს საათებში აქტიურდება და იწყებს „ბობოქრობას". საქართველოში, უკვე 50-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული ლეიშმანიოზის და ძირითადად, ბავშვებში.

**– ამ დაავადებით დასნებოვნების დროს, არასწორი ან დაგვიანებული მკურნალობა თუ იწვევს ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ გართულებას, რომელიც შესაძლოა, ლეტალური შედეგით დასრულდეს?**

– ლეიშმანიოზის გართულება უამრავი დაავადების გამომწვევია. არასწორი ან დაგვიანებულად ჩატარებული მკურნალობის კურსი, არ არის გამორიცხული, ლეტალური შემთხვევით დასრულდეს. ამიტომ, თუ რამე საშიშ სიმპტომს შეამჩნევთ, რომელიც შესაძლოა, დაავადების გამოვლინება იყოს, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ გამოკვლევა. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, ჩაიტარეთ დროული მკურნალობა, შესაბამისი სპეციალისტის რეკომენდაციის და დაკვირვების ქვეშ. გაფრთხილებთ, ნუ ეხუმრებით ვისცერიული ლეიშმანიოზით დაავადებას და ეცადეთ, დაიცვათ მისგან როგორც საკუთარი თავი, ასევე ოჯახის წევრები და ახლობლები.

**– პროფილაქტიკის მიზნით, რა რჩევებს მისცემთ მოსახლეობას. რა გავითვალისწინოთ, რომ მისგან თავი და ახლობლები დავიცვათ?**

– ლეიშმანიოზის კონტროლისა და პროფილაქტიკის მიზნით, სახლის ფანჯრებზე უნდა გააკრათ ბადეები, სხეულის ღია ნაწილები დაიმუშაოთ რეპელენტებით, ანუ დამაფრთხობელი სითხით ან კრემით, რომელიც აფთიაქებში იყიდება. გაფრთხილებთ, მზის ჩასვლის შემდეგ, ბავშვებს ნუ გაასეირნებთ პარკებსა და სკვერებში, იმ ადგილებში სადაც შებინდებისას ბევრი ქინქლა დაფრინავს და მაწანწალა ძაღლი დადის. ეს თავდაცვის ყველაზე მარტივი, საიმედო და გასათვალისწინებელი მეთოდებია.

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**არისტოტელე**: არაფერი ისე არ გამოფიტავს და მოსპობს ადამიანის ჯანს, როგორც ხანგრძლივი უმოქმედობა.

**ციცერონი**: სწავლის მსურველთ ხშირად თავიანთი მასწავლებლის ავტორიტეტი ვნებთ ხოლმე.

**პასკალი**: არასდროს ისე თამამად და თავისუფლად არ ავკაცობს ადამიანი, როცა შეგნებულად ავკაცობს.

**ჰიუგო**: ვინ იტყვის, ექიმის ბრალია ავადმყოფობაო.

**ლაბრიუერი**: ადამიანის განდიდების მხოლოდ ორი მიზეზი არსებობს: თავისი გაქნილობა და სხვისი სისულელე.

**ლეონარდო და ვინჩი**: ადამიანი სამყაროს მოდელია.

**კარნეგი**: დიდი ადამიანები იმდენად დიდები არიან, რომ დროს არ კარგავენ საკუთარი გამარჯვებით ტკბობაზე.

**სუვოროვი**: სადაც ნაკლები ჯარია, იქ მეტი სიმამაცეა.

**შოპენჰაუერი**: მე არ ვფიქრობ, რომ გენიალურ ადამიანს დიდი პირი უნდა ჰქონდეს, ეს ცხოველობის გამომხატველი ნიშანია. მე იმ აზრის ვარ, რომ თვალები და შუბლი ინტელექტის გამომხატველია, ხოლო პირი – ნებისყოფის.

**ტოლსტოი**: ნასწავლი ისაა, ვინც ბევრი იცის წიგნებიდან; განსწავლულია ის, ვინც შეითვისა თავისი დროის ყველაზე უფრო გავრცელებული მოძღვრებანი და ხერხები; განათლებული კი ის არის, ვისაც თავისივე ცხოვრების აზრი ესმის.

**შპენგლერი**: ადამიანური აზროვნება – ეს თვალის აზროვნებაა.

**დიდრო**: ვინც შენ სხვისი ნაკლოვანებების შესახებ გელაპარაკება, ის სხვას შენს ნაკლოვანებებზე უყვება.

**გრიგი**: სიტყვებს ხანდახან მუსიკა სჭირდებათ, მუსიკა კი არაფერს საჭიროებს.

**სოლომონი**: ქვა მძიმეა, ქვიშას აქვს წონა, მაგრამ ბრიყვის მრისხანება ორივეზე უმძიმესია.

**კუნანბაევი**: მრისხანებაში მყვირალი – სასაცილოა, მრისხანებაში მდუმარე კი – საშიში.

**სუხომლინსკი**: ადამიანი ისეთია, როგორი წარმოდგენაც აქვს ბედნიერებაზე.

**როლანი**: ის, რაც ადამიანშია, უეჭველად უფრო საჭიროა, ვიდრე ის, რაც ადამიანს გააჩნია.

**დემოკრიტე**: აღზრდა ბედნიერების სამკაულია და თავშესაფარია უბედურების დროს.

**ცვაიგი**: როდესაც მოხუცდები კაცი, საკმარისია, ერთი შევავლო თვალი ადამიანს და მაშინვე ხედავ, რას წარმოადგენს.

**ბულგაკოვი**: ყველგან ასწრებს ის, ვისაც არსად ეჩქარება.

**ვოლტერი**: ახსნილი ხუმრობა აღარ არის ხუმრობა.

**სტენდალი**: რაც უფრო ძლიერი ხასიათი აქვს ადამიანს, მით უფრო ნაკლებად მერყეობს ის სიყვარულში.

**ოსტინი**: ქალი კაცზე ჭკვიანია და მთელ თავის ჭკუას იმას ახმარს, რომ კაცმა ეს ვერ შეამჩნიოს.

**ალიენდე**: ქალებს აინტერესებთ არა ის, რას ლაპარაკობენ, არამედ ის, რას ჩურჩულებენ.

# თუ გაქვთ იცნობთ

1. 1920 წელს დალაი ლამამ ინდოეთის ვიცე-მეფის დაჟინებულ თხოვნას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და ინდოელებს ამის ნება დართო. ევროპელებს კი ამის შესაძლებლობა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიეცათ. **რისი?**

2. 1958 წელს ბრიუსელში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონატებს შორის იყო პიერ და მარია კიურების ჩანაწერების წიგნაკი. გარეგნულად არაფრით გამორჩეული, უბრალო, შავყდიანი წიგნაკი დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა იმ მიზეზით, რის გამოც მას გვერდს შორიდან უვლიდნენ. **დაასახელეთ მიზეზი.**

3. ის უფრო ხშირად ოვალური გვხვდება, თუმცა მისი სხვა ფორმებიც არსებობს. მაგალითად, მიღებულია, მამა-ღმერთისთვის ის სამკუთხედის ფორმით გამოისახოს, რომის პაპისთვის კი – კვადრატულით. **რა?**

4. **რომელი** პატენტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის, რომლებიც პარიზულ ფირმა „ძმებ პატეს" ეკუთვნოდა?

5. სემირამიდას ბაღების აღწერის დროს ისტორიკოსმა სტრაბონმა პირველობა წაართვა არქიმედეს, როგორც გამომგონებელს. ცნობილი ისტორიკოსი წერს, რომ, მოწყობილობა, რომელიც არქიმედეს სახელთანაა დაკავშირებული, მის მოღვაწეობამდე 400 წლით ადრე აშენებულ სემირამიდას ბაღებში ფუნქციონირებდა. **რისთვის?**

6. **დაასახელეთ**, ვის შესახებ წერდნენ მკვლევრები: „სი ბემოლი, ლა, დო სი..." – ნოტების ასეთი მიმდევრობა ქმნის „ჯვრის ფიგურას" და, შესაძლოა, კომპოზიტორი თვითონაც ხედავდა ამაში ღვთიურობას, ვინაიდან, მას ძალზე ბევრი ეკლესიური მუსიკა აქვს შექმნილი.

7. ჩარლზ გუდიარის ექსპერიმენტები არ მოსწონდა მის მეუღლეს. ერთხელაც, როდესაც ის კაუჩუკთან გოგირდის ურთიერთქმედების ცდას ატარებდა და ცოლი დროზე ადრე მოვიდა, შეშინებულმა ჩარლზმა ნაერთი ანთებულ ბუხარში შეაგდო... ასე გაჩნდა ახალი მასალა და მეთოდი. **რომელი?**

8. ამერიკელი ძმების ამ „გამოგონებას" მსოფლიო აღიარება რეი კროკმა მოუტანა, რომელმაც ის ძმებისგან 1955 წელს შეისყიდა, თუმცა, საბჭოთა კავშირში პირველი ასეთი ობიექტი მხოლოდ 1989 წელს გაიხსნა. **დაასახელეთ, რა?**

9. ძველ ჩინელებს ჰქონდათ იარაღი – ისრები, რომლებიც ხის ექვსკუთხა ფორმის კონტეინერში იყო მოთავსებული და ერთდროულად გაიტყორცნებოდა დენთის საშუალებით. მას ადარებდნენ იმათ გუნდს, რომელთაც სიმდიდრე და შემოსავალი უკავშირდება (რა თქმა უნდა, თუ არ გააბრაზეთ) და სახელადაც ასე შეარქვეს. **რა?**

10. ერთ–ერთი ებრაული ლეგენდის მიხედვით, ცოდვით დაცემული ევა შურით აღივსო და ყველა ცოცხალ არსებას გაასინჯა „აკრძალული ხილი". მხოლოდ ერთმა ფრინველმა – მილხამმა გაუძლო ამ ცდუნებას. **რას ვუწოდებთ** ამ ფრინველს ჩვენ, თუ სწორედ ამის გამო მიეცა სიკვდილის ანგელოსს ბრძანება: „ღვთისმოშიში არ უნდა კვდებოდეს!"

*პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე*

# დიდ შემოქმედთა გადახრები და შიღბლობები

ჰომოსექსუალები იყვნენ ისეთი ცნობილი ტიტანები, როგორებიც არიან: მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, შექსპირი და სხვა... შექსპირთან დაკავშირებით ეს დასკვნა სეიმონსმა გააკეთა დედუქციის მეთოდით. მან დიდი ინგლისელის სონეტებში დიდი რაოდენობით აღმოაჩინა ჰომოსექსუალური თემატიკა; უფრო მეტიც, სეიმონსი წერს, რომ სონეტები: 20, 26, ა36, ა53 და 126 ჰომოსექსუალიზმის ტიპური ნიმუშებია. მაგრამ, რა კრიტერიუმით აკეთებდა იგი შეფასებებს, ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ეროტიკული უკუღმართობის პირველი აპოლოგეტი იყო ოსკარ უაილდი. 1895 წელს სასამართლოზე მან უაღრესად დახვეწილი სიტყვა წარმოთქვა ამგვარი „სიყვარულის" დასაცავად. მისი გამოსვლა მართლაც ორატორული ხელოვნების ნიმუში იყო. უაილდმა დაასახელა დავითის, პლატონის, მიქელანჯელოსა და შექსპირის სახელები. დარბაზში აქა-იქ აპლოდისმენტებიც კი გაისმა, მაგრამ, სასჯელი „დორიან გრეის პორტრეტის" ავტორმა მაინც მიიღო და ამ ფაქტმა მსოფლიო ლიტერატურა „რეგინის ციხის ბელადით" გაამდიდრა.

ყველა დროში, ოდნავ განათლებული ყველა კაცისთვის ცნობილი იყო სოკრატეს ცოლი – ქსანტიპა, რომლის სიანჩხლე და ჭირვეულობა სიმბოლოს დონეზეა ასული. როცა სოკრატეს ჰკითხეს, როგორ იტანდა ცოლის ასეთ ხასიათს, მან წყნარად მიუგო: „მე მივეჩვიე მას ისე, როგორც მეურმე – ურმების ჭრიალს". ალბათ, ამ კითხვის პასუხზე კონკურსი რომ ჩატარდეს, უკეთესს ვერავინ იტყვის. ერთხელ ქსანტიპამ სოკრატეს დიდი ჩხუბის შემდეგ წყალი გადმოასხა ზემოდან. ამაზე სოკრატემ წყნარად ჩაილაპარაკა: რა თქმა უნდა, დიდი ჭექა-ქუხილის შემდეგ წვიმის მოსვლა კანონზომიერიაო.

ცოლქმრულ ცხოვრებაში არ გაუმართლათ: ასტრონომსა და მათემატიკოს კეპლერს, რუს მეცნიერ ლობაჩევსკის; პოეტებს – ტიუტჩევს, ბლოკს (რომელთა ცხოვრებაში ცოლის სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთს ენაცვლებოდა), მაიაკოვსკისა და ბაირონს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-d8!**
**შეადგინა სერგილ სუხიტაშვილმა**




რჩევების მიუხედავად, ატომური აფეთქების დროს არაფრით არ დაწვეთ მიწაზე სახ-




ით ქვემოთ. ასეთ სანახაობას თქვენ პირველად და უკანასკნელად უყურებთ...

***

გოგოებო, ისწავლეთ საჭმლის მომზადება. არ აქვს მნიშვნელობა, ვის გაჰყვებით ცოლად... ჭამა ყველას უნდა...

***

– რატომ არის, რომ ნასვამ მამაკაცს ყველა ქალი ლამაზი ეჩვენება?

– ორგანიზმს ჰგონია, რომ მოიწამლა და ცდილობს, სწრაფად გაამრავლოს თავისი ჯიში...

***

ფული – ბოროტებაა, ხელის ჭუჭყი. ფულში არაა ბედნიერება. ვინც სულით ძლიერია, სწორედ ისაა მდიდარი... კიდევ რით გავიმხნეო თავი, სანამ ხელფასს მომცემენ?

***

ქალს სიცოცხლეში სამი ასაკი აქვს.
ანერვიულებს მამას.
აღიზიანებს ქმარს.
აცოფებს სიძეს.

***

მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევები.

აღმოჩნდა, რომ არაყი ყინულით ღვიძლს აზიანებს, კონიაკი ყინულით გულს ვნებს, ვისკი ყინულით – ტვინს...

და დაასკვნეს მეცნიერებმა – საშინელი რამე ყოფილა ეს ყინული.

***

ხმაურიანი ქორწილის შემდეგ ახალდაქორწინებულები სასტუმროს შეკვეთილ ნომერში ავიდნენ. აღელვებული ახლადგამომცხვარი სიძე ვერაფრით უყრის გასაღებს კარის ღრიჭოში.

– ო... ვერაფერს იტყვი, გადასარევი დასაწყისია...

***

ხდება ხოლმე, ხმას არ იღებ და... უკვე არასწორად გაგიგეს...

***

ბაბუასთან მივიდნენ შვილიშვილები... და როგორც ხდება... სახლი გადმოგვიფორმეო...




– შვილებო, ჩაი დავლიოთ, ნამცხვრით და მერე...

– ბებერო, რა დროს ჩაია? წავიდეთ, საბუთები გავაფორმოთ! – თავს ადგას მოხუცს ორი „ვერზილა".

– პატივს სულ არ მცემთ, დავლევ ჩაის და მერე წავიდეთ...

– კარგი, ჯანდაბას, – დათანხმდნენ.

ბაბუამ გამოიღო სერვანდიდან ძველი ლამპა, ტილოს უსვამს, აპრიალებს. ამოვიდა ლამპიდან ჯინი, ეუბნება ბაბუა:

– მომეცი, ძვირფასო, ჩაი, ნამცხვარი, ლიმონი...

და სუფრაზე უცბად დალაგდა სამ კაცზე ჩაი და ნამცხვარი...

– ბაბუა, ეგ ლამპა მოგვეცი...

– არა, ყველაფერს თქვენ გადმოგიფორმებთ, ლამპას კი ვერ მოგცემთ.

– მოგვყიდე...

ივაჭრეს და ლამპა 5 ათასად წაიღეს. მიიტანეს სახლში, გაწმინდეს.. ამოვიდა ჯინი და ეუბნებიან:

– აბა, მოგვეცი მილიონ-მილიონი...

– ახალო პატრონებო, მე მხოლოდ ჩაიზე და ნამცხვრებზე ვარ სპეციალიზებული...

***

ყურადღება! შეკითხვა:

– თქვენ წევხართ თქვენი ოცნების ქალსა და გეის შორის. ვის შეაქცევთ ზურგს?

***

– ჯუჯის კოსტიუმი მინდა: 54 ზომა, 178 სიმაღლე...

– აუ, ფიფქია წარმომიდგენია!

***

სანდროს მშობელი დაიბარეს. მამა მივიდა.

– იცით, თქვენმა შვილმა ბოზი მიწოდა...

– არ გრცხვენია, – აღშფოთდა მამა, – მასწავლებელი გასწავლის, შენთვის წვალობს, რომ კაცი გამოხვიდე, ზრუნავს... რა შენი საქმეა, სამსახურის მერე რას აკეთებს?

# ცნობილი ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

ქუთაისში ინგლისელი სტუმრები, და-ძმა უორდროპები იყვნენ ინგლისიდან ახალი ჩამოსულები. ერთ ოჯახში ერთი თავადიშვილი გააცნეს, ლიფლიფა მოლაპარაკე და ცოტათი ჭკუაზედ მწყრალი.

თავადიშვილმა გაცნობისთანავე, ერთიმეორეზე მიახალა კითხვები:

– საიდან ბრძანდებით, როდის მობრძანდით, სად მიბრძანდებით, როგორა ბრძანდებით?

მარჯორი უორდროპი ერთბაშად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა თავადიშვილი: ის კი გაიგო, საქმე ჩემს მგზავრობას შეეხებაო და თავის მხრივ, შეეკითხა მას.

– დასაბამით? (ესე იგი, დასაბამიდან, თავიდან მოგიყვეთ ჩემი მოგზაურობის ამბავიო)

განაწყენებულმა თავადიშვილმა იქვე მდგომ აკაკის შესჩივლა:

– ხომ არ გაგიჟებულა, მეუბნება, დასაბმელი ხარო.

– მაგას რომ არ ეთქვა, განა მე კი არ ვიცოდი, – უთხრა აკაკიმ.

***

აკაკის ერთმა ქალმა მიუძღვნა მშვენივრად მოქარგული ბალიში, შესაფერისი წარწერით. საჩუქარი პოეტს ძალიან ესიამოვნა და ღიმილით თქვა:

– ჰეი-ჰეი, ბექირ-ბეი, სანამ ახალგაზრდა ვიყავი, „მალვიძარა" საათებს მიგზავნიდნენ, ახლა კი ბალიშებს მიგზავნიან – დაწექ და დაიძინეო.

***

– ქართლოსია, – მითხრა ნოდარ დუმბაძემ, – ვიცი, გიჭირს, შვილები გყავს სარჩენი, ჰონორარს მოგცემ, თუ გინდა, მარა აგი ლექსი არვარგა და ვერ დაგიბეჭდავ.

მეც გავჯიუტდი, გინდა თუ არა, დაბეჭდემეთქი (არადა, მართლა არ იყო ცუდი ლექსი).

– წადი, ცნობა მომიტანე, რომ ნორმალური ხარ და დაგიბეჭდავ, – მომიშორა ნოდარმა.

წავედი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შევედი ავლიპ ზურაბიშვილთან.

– ოოო... ჩანტლაძეს გაუმარჯოს! – მომესალმა პროფესორი. მეც არ ვიუარე... ცნობა მომცა, რომ ნორმალური ვარ – ქვას გახეთქავდა, ისეთი.

რედაქციაში გამოვიქეცი. ნოდარი პარტკომის კრებას ატარებდა. მაგიდაზე დავუდე




ცნობა. დიდხანს კითხულობდა, ბოლოს ამომხედა და მითხრა: „წადი ახლა და ის ცნობა მომიტანე, რომ ვინც ეს ცნობა მოგცა, ისიც ნორმალურია".

*(ქართლოს კასრაძის ნაამბობიდან)*

# რა „სასწაული" მოახდინა „გვასახელე" გოგი ლომინაძემ ქუთაისში

იურიდიულზე უნდოდა ჩაბარება, მაგრამ... ღმერთი საოცრად სამართლიანია. კაკო ლომინაძის ბიჭი, გოგი ლომინაძე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა აგვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს.

როგორც ზურიკო ვაშალომიძე იტყოდა. სტუდენტობის დღეებში, კვირეები და თვე-წლები – ზაფხულის გიჟმაჟი წვიმასავით გაისრუტა.

და აი, კაკო ლომინაძე უკვე ექიმია.

ტრავმატოლოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგის, ლევარსი ლეფსვერიძის მესამე მოადგილე.

კარგი „ვოლგაც" დაიადა და მშობლიურ ქუთაისს ტრიუმფით მიადგა. ქუთაისში რაც მოხდებოდა, ალბათ, ჩემი ახსნა არ დაგჭირდებათ. მეორე დილით თავგასიებული და „გლუბოკი" პახმელიაზე გამოვიდა მოთეთრო „ვოლგით" ქალაქში.

ბაღის კიდეზე კლასელი მეგობრები დაეხვივნენ – გოგი, გოგიო... ამანაც შეიფერა, – რა თქმა უნდა, ვაი, თქვენ გენაცვალეყენ სათითაულოდ ყველასო.

ამ „პარადმაც" ჩაიარა.

მაგრად „დაგრუზული" გამოვიდა „მოდი, ჭირიმედან" და მანქანა სულ არ გახსენებია. ნელ-ნელა გაუყვა ბავშვობის ქუჩაჩიხებს. ცნობილი ტრავმატოლოგი იყო, ბოლოს და ბოლოს. ჯაჭვის ხიდზე რომ შედგა ფეხი, ორი ყავარჯნით ხელში ბიჭი შეამჩნია. ბიჭს ყავარჯნები ეჭირა აქეთ-იქით და ჭკვიანად მოდიოდა, რაც მთავარია.

ცნობილ ტრავმატოლოგს ძმაკაცების მთელი არმადა მოჰყვება და გოგის თვალებში შესციცინებენ, როგორც პერიფერიაში




ჩამოსულ „გვასახელეს".

გოგიმ ბიჭს თვალი შეავლო და ზრდილობიანად გააჩერა:

– ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, ერთი წუთით შეჩერდით.

ბიჭმა ყავარჯნები მოიშილიფა და გაჩერდა.

– ყავარჯნები... ყავარჯნები... სისულელეა ყოველივე ეს.

ბიჭი გაოცებით უყურებს.

– რა გნებავთ, ბატონო?

– მე რა მნებავს, არა? – თუ თქვენ რა გნ... ოღონდ სიმშვიდე... სიმშვიდე... მომეცით თქვენი ყავარჯენი, თუ შეიძლება.

– რატომ? შეწუხდა ბიჭი.

– რომ გეუბნებით, ასეა საჭირო...

ბიჭმა ყავარჯენი მიაწოდა.

– ჰოოპ! – დაიძახა გოგიმ და ყავარჯენი რიონში მოისროლა.

– ახლა მეორეც მომაწოდეთ!

შეჩქვიფინებულმა ბიჭმა – ეს „კიო" ხომ არაა აქანაო – მეორეც მიაწოდა და გოგიმ ისიც მოისროლა მდინარეში. მერე ხელები გაშალა და ბიჭს ოპტიმისტურად შეუძახა:

– გაიარე... გაიარე!

– სად? – შეწუხდა ყავარჯნებგადაგდებული.

– გაიარე, ისე, როგორც ყველა დადის... აბა, მიდი.

ბიჭმა გაიარა.

– ახლა გამოიარე.

ბიჭმა გამოიარა.

– აი, ხომ ხედავთ, – მიუბრუნდა თაყვანისმცემლებს გოგი, – ასე ვიცი მე! კაცი დადის... უყავარჯნოდ!

– ყავარჯნები რატომ გადამიყარე, ბიძია? – გამოერკვა ბიჭი.

– იმიტომ, რომ შენ უკვე უყავარჯნოდ დადიხარ.

– მე ასთე დავდივარ სულ, ბიძია. ყავარჯნები ბაბუაჩემიზა მიმქონდა, რა ვუთხრა ახლა მე ბაბუას?..

გოგი დაიბნა...

მაგრამ „მედიცინა არ იბნევა"...

**მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

(76-ე გვერდიდან)

# ვინ განკურნა და აამეტყველა ქართულად წმინდა ექვთიმე მთაწმინდელი

რულ თხზულებებს. მისი სახელით ათონის მთის ერთ ბერძნულ ხელნაწერში შემონახულია რამდენიმე ბერძნული თხზულება: აუარებდითი, ტროპარი, დიდება, აკოლეთია, ღვთისმშობლის იკოსი, კანონები და ლოცვები.

ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა შუა საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურის ორი ბრწყინვალე ნაწარმოები: „სიბრძნე ბალაჰვარისი" (ბერძნულად – „ვარლაამი და იოასაფი") და „აბუკურა" („მიქაელ საბაწმიდელის მარტვილობა"). საინტერესოა, რომ ბერძნულიდან „ვარლაამი და იოასაფი" ითარგმნა ლათინურად, გავრცელდა მთელ ევროპაში და ძალიან პოპულარული იყო შუა საუკუნეებში.

უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა ექვთიმეს გარდაცვალების შემდგომ, გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება" უმალ ითარგმნა ბერძნულ ენაზე. დიდი იყო ინტერესი წმინდა ექვთიმე მთაწმინდელისა და მისი წმინდა მამის მიმართ მაშინდელ მსოფლიოში.

გარდაცვალების მერე, ექვთიმე ათონელი წმიდანად შერაცხა არა მხოლოდ ქართულმა, არამედ ბერძნულმა ეკლესიამაც.

ექვთიმე მთაწმინდელი ქართულ ენაზეც წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს, შემორჩენილია მისი ერთი ლოცვა. მაგრამ, განსაკუთრებული ღვაწლი, მაინც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაა. მის მიერ თარგმნილი ლიტერატურა სასულიერო მწერლობის ყველა დარგს მოიცავს. როგორც ვთქვით, ესაა რამდენიმე ათეული ნაწარმოები.

ბიბლიური წიგნებიდან მან ხელახლა თარგმნა სახარება (რომელიც მერე გაარედაქტირა მისი საქმის გამგრძელებელმა გიორგი მთაწმინდელმა. ახლა რომ იკითხება ეკლესიებში), დავითნი, გამოცხადება; ასევე აპოკრიფები; ეგზეგეზები; ასკეტურ-მისტიკური ლიტერატურა; ჰომილეტიკური ლიტერატურა; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა; ლიტურგიკული ნაწარმოები; საეკლესიო სამართლის ძეგლები და მრავალი სხვა...

983 წლიდან ქართველებმა ათონის მთაზე დაასრულეს საკუთარი სავანის – ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის მშენებლობა, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის სახელითაა ცნობილი. 1005 წლიდან, მამის გარდაცვალების შემდგომ, მონასტრის წინამძღვარი გახდა მამა ექვთიმე. მაგრამ, 1019 წელს მან უარი თქვა წინამძღვრობაზე, რათა მთელი დრო ლიტერატურული საქმიანობისთვის დაეთმო.

ექვთიმე მთაწმინდელის მოღვაწეობა და ათონის ქართული სალიტერატურო სკოლის დაარსება იყო ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იმ აღმავლობის გზაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში და რომელსაც სათავეში ედგნენ, გადმოცემით, ღვთისმშობლის ნათესავებად მიჩნეული, ბაგრატიონები.

ამავე პერიოდში, დავით მესამე, კურაპალატმა, იშვილი თავისი ნათესავი და მოგვარე ბაგრატ მესამე ბაგრატიონი და სხვა მამულიშვილების დახმარებით, გაამეფა რამდენიმე ქართულ სამეფოში.

ბიზანტიაში ქართულ კულტურას ამდიდრებდა ექვთიმე მთაწმინდელი და ათონის სალიტერატურო სკოლა, საქართველოში კი ქვეყანას აერთიანებდა ბაგრატიონთა საგვარეულო.

სივრცეებს უკვე გასცქეროდა ახალი აშენებული, ქართული სახელმწიფოს მომავალი დიდების მაცნე – ოშკი...

ასე მიმდინარეობდა საქართველოში დიდი აღმავლობა, რომელსაც მერე მოჰყვა ოქროს ხანა.

**გიორგი მახოზეშვილი**

# „საქართველოს ბანკის" დაფინანსებით, თბილისის საკვანძო ქუჩები და გამზირები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებული გახდება

**„საქართველოს ბანკი", გარდა იმისა, რომ კლიენტებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს და არის წამყვანი ბანკი ქართულ საბანკო სექტორში, უნიკალური სოციალური და საზოგადოებრივი პროექტებითაც გამოირჩევა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი, უკვე პოპულარული პროექტია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თბილისის ქუჩების, ბაღებისა და სკვერების პანდუსებით აღჭურვა. ეს ევროპული სტანდარტია და სწორედ „საქართველოს ბანკი" აღმოჩნდა ამ პროექტის ინიციატორი და დამფინანსებელი. თბილისში, ჭავჭავაძეზე, მელიქიშვილზე, პეკინზე, ყაზბეგზე; ასევე, კოსტავაზე, შარტავაზე, ჯიქიაზე, ქავთარაძესა და ჩოლოყაშვილზე – ქუჩების ტროტუარები სრულად ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს ფონდი „სიცოცხლის ხე", ინიციატივა კი ეკუთვნის ჯგუფ „სოცკოდექსს". პროექტი მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე დასრულდება და ჯამში 650 პანდუსი დამონტაჟდება, რისთვისაც „საქართველოს ბანკმა" თითქმის 200 000 ლარი გამოყო.**

**ირაკლი გილაური** *(„საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი):* თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ინიციატივაა, თბილისის ქუჩებში გადაადგილება ნებისმიერმა ადამიანმა შეძლოს შეზღუდვების გარეშე. პირველი ასეთი პროექტი „m²-მა", ფონდმა „სიცოცხლის ხემ" და არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსმა" ვაჟა-ფშაველას გამზირზე გააკეთა. დამონტაჟდა 190 პანდუსი, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას აძლევს, გადაადგილდნენ თავისუფლად. მნიშვნელოვანია ის, რომ იდეის გარშემო ბევრი ადამიანია გაერთიანებული. ჩვენ ერთად ვფიქრობთ, ვმსჯელობთ და ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს. გადავწყვიტეთ, რომ პროექტი უფრო მასშტაბური გაგვეხადა. სულ მალე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებული იქნება ჭავჭავაძის, მელიქიშვილის, რუსთაველის, პეკინის, ყაზბეგის გამზირების: ასევე, კოსტავას, შარტავას, ჯიქიასა და ჩოლოყაშვილის ქუჩები. საერთო ჯამში, ეს პროექტი 200 ათასი ლარი ჯდება. ბიუჯეტი დიდი არ არის, რაც „სოცკოდექს ჯგუფის" დამსახურებაა, რადგან, ამ იდეის განხორციელებაში ბევრი ადამიანი ენთუზიაზმით არის ჩართული. გვინდა, რომ ამით არ შემოვიფარგლოთ და თბილისი სრულად იყოს ადაპტირებული.

**ტატო მიროტაძე** *(„სოცკოდექს ჯგუფის" თანადამფუძნებელი):* 2012 წლიდან ვმუშაობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემებზე. განვახორციელეთ სხვადასხვა ტიპის პროექტები. ჩვენი ჯგუფი, პროექტის – „შეზღუდვების გარეშე" – ფარგლებში, ტექნიკურად განახორციელებს თბილისის ქუჩების რეკონსტრუქციასა და პანდუსების აღჭურვას. აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართულია 500-მდე მოხალისე და ესენი არიან იმ ქუჩების მოსახლეები, სადაც ვამონტაჟებთ პანდუსებს. მათი მადლიერება და მოწონება ჩვენთვის დიდი სტიმულია. დიდი მადლობა, ასევე, „საქართველოს ბანკსა" და „სიცოცხლის ხეს", რომ საშუალებას აძლევენ ყველას, თბილისში შეზღუდვების გარეშე გადაადგილება შეძლონ.



**თორნიკე გურული** *(ფონდ „სიცოცხლის ხის" დირექტორი):* მოხარული ვარ, რომ „სიცოცხლის ხე" გამოჩნდება არა მარტო ვაჟა-ფშაველაზე, არამედ, თბილისის საკვანძო ქუჩებსა და გამზირებზე. ჩვენი სამომავლო გეგმაა, რომ მთელი თბილისი მოიცვას ამ უმნიშვნელოვანესმა პროექტმა. თბილისის ქუჩები სრულად ადაპტირებული გახდება და ეტლით მოსარგებლეებს მარტივად შეეძლებათ გადაადგილება. ვამაყობ, რომ ამ წამოწყებას ჩვენ დავუჭირეთ მხარი და, ერთობლივი ძალებით, ეს გარემო ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ. „სიცოცხლის ხე" ჩნდება იქ, სადაც საჭიროა ზრუნვა, რათა თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

**სოფი ლორია**



SAIRME
HOTELS & RESORTS










საირმის მინერალური წყლები უებარი სამკურნალო საშუალებაა: შარდ-კენჭოვანი, ნაღველ-კენჭოვანი, კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს და ნივთიერებათა ცვლის მოშლისას.

თერმული წყლები კი  გამოიყენება: ძვალ-სახსროვან და ნერვულ სისტემათა მოშლის, ინვაზირების, ქრონიკული შარდ-სასქესო სისტემისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას, ასევე შაქრიანი დიაბეტის დროს და დერმატოლოგიაში.



საირმეში ბუნებას ისე უზადოდ შეუზავებია წყალი, ჰაერი და ნიადაგი ერთმანეთში, რომ დამსვენებელს კომპლექსურად შეუძლია მიიღოს მისგან სარგებელი, როგორც სხეულისთვის, ისე სულისთვის. დაისვენოს, გაჯანსაღდეს და გაერთოს. მათ განკარგულებაშია სრული კომპლექსი: თანამედროვე ტიპის სასტუმრო, რესტორანი, კლინიკისა და სპა მომსახურების ყველა საშუალებით.



საირმე – წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით, მთის კლიმატით გამორჩეული და, რაც მთავარია, სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლის საბადოებით მდიდარი ბალნეოლოგიური კურორტი ქალაქ ქუთაისის სამხრეთით, ბაღდათის რაიონში, ზღვის დონიდან 950 მეტრზე მდებარეობს.

ბაღდათის რაიონი, კურორტი საირმე
ტელ:  (+995 32) 240 45 45/46
ფაქსი: (+995 32) 2 40 45 46
ელ-ფოსტა: info@sairme.com.ge
web: www.sairme.com.ge



